საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge
ყოველკვირეული ჟურნა[ლი] №4(630) 21–27 იანვარ[ი] * ფასი 1,50 ლარი



გვ. 18

## 2012 წელს ცნობილი ქართველი წყვილების ოჯახებში დაბადებული ბავშვები



გვ. 35

რატომ მეგობრობენ ერთმანეთთან ბესო მეგრელიშვილის ცოლები და ვის გამო არ მიუტოვებია მას არც ერთი ცოლი



გვ. 38

თინა და ირინა ნიქარიძეების „არჩუნი“ „ოსკარის“ ნომინანტობის კანდიდატების სიაშია



როდის იყო ნანიკო ხაზარაძე ტანჯვა-წამებაში და რა ოცნებები აუხდა მას ერთდროულად

გვ. 70



გვ. 22

როგორ გაჩნდა ნუგზარ ერგემლიძის ცხოვრებაში ფიდელ კასტრო და რა კავშირი აქვს მას ოქროყანაში „გახსნილ“ წყაროსთან



სად შედგება ანიტა რაქველიშვილისა და მისი მეუღლის „ცალმხრივი სიყვარულის“ დებიუტი და როდის აპირებს ანიტა თავის „მუსიკალურ ნათლიასთან“ სამუშაოდ დაბრუნებას

გვ. 74



გვ. 75

როგორ გახდა პორტუგალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო სამსახურის უფროსის მენეჯერ-სტილისტი გურამ ბალდოშვილი და სად დადიან მისი კერძების დასაგემოვნებლად ზიდანი და რონალდუ

ჟურნალ „თბილისელებთან“ ერთად წიგნის ფასი
წიგნი 6.50 + ჟურნალი 1.50 = 8 ლარი

მგლები




წიგნი მეორე

## გილოცავთ ნინოობას!

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რა არის რუსეთის მიერ აღიარებული ტერიტორიების განაღიარების ფასი და



რატომ გაიხსენა ვლადიმირ პუტინმა „თბილისის გუბერნია“ ........................... 6



რატომ ცხოვრობენ საქართველოში სირიიდან წამოსული სომხები და ქრისტიანი არაბები დევნილის სტატუსით ..... 8

რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს საქართველოსთვის ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის ამოქმედებას და გაუწევს თუ არა ქართული რკინიგზა ქართულივე პორტებს კონკურენციას ........................................ 10



რა შემთხვევაში აირჩევდა მომღერლის კარიერას ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი და რამდენი მკითხველი ჰყავს მის ბლოგს „ტვიტერზე“ ........................ 12

ვინ აქეიფებდა გოგი თოფაძეს ჭორვილაში ჭურის თავთან და რაში არ უმტყუნა მან პრემიერ-მინისტრს .......... 14

ადვოკატი გირჩევთ ...................................... 17

2012 წელს ცნობილი ქართველი წყვილების ოჯახებში დაბადებული ბავშვები ................................................ 18

რისგან გადაარჩინა „თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციამ“ ქართული პრესა და რა ისტორიებს ყვებიან წითელ უნიფორმებში გამოწყობილ პრესის რეალიზატორებზე ........................................ 19

როგორ არიდებს ზოგიერთი ქალი თავს ღალატს და რისთვის სჭირდება მას „ცოტა ინტიმი“ ........................................ 20

როგორ იპოვეს დაკარგულმა დებმა ერთმანეთი საახალწლოდ და ვინ ეძებდა დედამამიშვილს რუსეთიდან საქართველოში ........................................ 21

როგორ გაჩნდა ნუგზარ ერგემლიძის ცხოვრებაში ფიდელ კასტრო და რა კავშირი აქვს მას ოქროყანაში „გახსნილ“ წყაროსთან ........................ 22

თბილისის რომელ ქუჩაზე გადაიხადა ქორწილი იოსებ ჯულაშვილმა და რომელ თბილისელ გამომცემელთან ჩერდებოდა სახლში აკაკი წერეთელი ..... 23



რატომ უნდა ფიქრობდეს ადამიანი მუდმივად საკუთარ აღსასრულზე და როდის არის საშიში სამი ექვსიანი ........ 24

მოძღვარი გვირჩევს ........................................ 25

NBA-ს ყველაზე ცნობილი და დაუმხობელი რეკორდები......26



ექიმის რჩევები..........29

ვინ სცადა ორჯერ კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორის მოკვლა და რა ბედი ეწია მის ანტიკვარულ ოქროსა და ვერცხლის მონეტებს და კოლექციებს ........................ 30

როდის უნდა აკონტროლოთ სიტყვები და აზრები განსაკუთრებულად და რა უნდა ატარონ გასათხოვარმა გოგონებმა ბედის გასახსნელად ........................................ 32

რის გამო უთხრა უარი მთავარ როლზე მელ გიბსონმა დენიელ დეი-ლუისს გახმაურებულ ფილმში „ქრისტეს ვნებანი“ და რა აკავშირებდა მას სექს-სიმბოლო იზაბელ აჯანისთან ................ 34

რატომ მეგობრობენ ერთმანეთთან ბესო მეგრელიშვილის ცოლები და ვის გამო არ მიუტოვებია მას არც ერთი ცოლი ........................................ 35

თინა და ირინა წიქარიძეების „არჯუნი“ „ოსკარის“ ნომინანტობის კანდიდატების სიაშია ........................................ 38

რას უკრძალავს ნატა ბერაძეს ახალი კონტრაქტი და ტოკიოს რომელ სააგენტოში გაატარებს 3 თვეს ქართველი მოდელი ........................................ 46

კოსმეტოლოგის რჩევები ........................ 47

როგორ აიყვანეს მოუხელთებელი ბანდა, რომელსაც 34 წლის ქალი მეთაურობდა.............48



ქმარზე ეჭვიანობამ ცოლი ციხის კარამდე მიიყვანა....50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს...................51



ვეტერინარის რჩევები .............. 57

ფლორის სამყაროში .......... 57

მე – დაქირავებული მკვლელი ............. 58

რად დაუჯდათ სტალინის უზადო მეხსიერება მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ........................................ 62

მგლები 5 ........................................ 66

შეკითხვა ასტროლოგს ........................ 72

რას მალავს თითოეული ჩვენგანის დაბადების რიცხვი და როგორ გავიუმჯობესოთ ადამიანებთან ურთიერთობა მისი ცოდნით .................. 72

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ....... 73

სად შედგება ანიტა რაჭველიშვილისა და მისი მეუღლის „ცალმხრივი სიყვარულის“ დებიუტი და როდის აპირებს ანიტა თავის „მუსიკალურ ნათლიასთან“ სამუშაოდ დაბრუნებას ........................................ 74

როგორ გახდა პორტუგალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო სამსახურის უფროსის მენეჯერ-სტილისტი ქართველი გურამ ბაღდოშვილი და სად დადიან მისი კერძების დასაგემოვნებლად ზიდანი და რონალდუ ........................................ 75



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**განყოფილებები**

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე

რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი

კორექტორი: ხატია ჟღენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, სოფო ლომიძე, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე

ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ასლანიდის (ყოფილი ალმასიანის) ქუჩა №14 სპორტის სასახლის გვერდით („მაკდონალდსის“ უკან)

ტელ: 233-42-24; 599 10-15-20 221-31-12

სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 221-31-34

დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: info@tbiliselebi.ge
tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# ნახევრად სიმართლე

## ანუ, ყასიდად შემომწყრალნი

მართალია, **აქამომდე ისეთი სიამტკბილობა ჰქონდათ, ერთმანეთს თვალში რომ ჩაცვენოდნენ, წყლითაც არ ამოიბანდნენ,** მაგრამ, გასულ კვირას **თბილისის მერიამ კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ თითი დაუქნია**. კერძოდ, **წერილი აფრინა**, რომელშიც **დედაქალაქის 24-საათიანი წყალმომარაგების ვალდებულების შესრულებას სთხოვს.** მერიის ვებ-გვერდი გვამცნობს, რომ „ნასყიდობის **ხელშეკრულების** 11.6.1 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, შპს **„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ვალდებული იყო, 2013 წლის 1 იანვრისათვის ქალაქის ძველი საზღვრების ფარგლებში, წყლის შეუწყვეტლად**, 24-საათიანი მიწოდების ვალდებულების შესრულება **უზრუნველეყო** (აქვე გეტყვით, რომ ნასყიდობის ეს **ხელშეკრულება გასაიდუმლოებულია და მომხმარებელმა ჯერაც არაფერი უწყის, თუ რა პირობებით ანდეს ეს ჩვენი წყალი უცხოურ კომპანიას).“**

ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი

მოკლედ, **თუკი GWP დედაქალაქს წყლით 24-საათიანად არ მოამარაგებს, დედაქალაქისვე მერია იმუქრება**, რომ კომპანიას, მთლად დედა თუ არა, ინვესტორი აღარ ეყოლება. ციტატას მოვიხმობ: **„კომპანიის წინააღმდეგ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ ყველა საშუალებას გამოიყენებს, რათა დაცული იყოს თბილისის მოსახლეობის ინტერესები** (ანუ, თავი და თავი აბონენტების ბედნიერებაა).“



იმ მარტივი მიზეზით, **„მე შაირი არ მინდოდა, შენ ამტეხე ძალადაო“,** მოგახსენებთ, რომ, **მართალია, ხელშეკრულება გასაიდუმლოებულია**, მაგრამ, **სამაგიეროდ, ხელმისაწვდომია პრეზიდენტის 245-ე ბრძანებულება** (2008 წლის 10 აპრილს გამოცემული), რის მიხედვითაც, **24-საათიანი წყალმომარაგება რუსთავშიც, თბილისშიც და მცხეთაშიც 2011 წლიდან უნდა დაწყებულიყო**. უფრო მეტიც, **ამავე ბრძანებულებითაა განსაზღვრული წყლის ტარიფიც,** რომელიც „გაუმრიცხველიანებელი მოსახლეობისთვის მოსახლეობის **ერთ სულზე განისაზღვროს არა უმეტეს შემდეგი ოდენობისა: 2011-2013 წლები – 2,95 ლარი** (არადა, მოგეხსენებათ, 3 ლარსა და 15 თეთრს ვიხდით), **2014 წელს – 3,3 ლარი**; 2015 წელს – 3,5 ლარი; 2016 წელს – 3,7 ლარი, 2017 წელს – 3,9 ლარი, **2018 წელს – 4,1 ლარი.“** ანუ, **გაუმრიცხველიანებისთვის წყლის ტარიფის გაძვირების გარდაუვლობა აშკარა 2008 წელსვე იყო.**

რთული წარმოსადგენია, **რომ დედაქალაქის მესვეურებმა პრეზიდენტის ბრძანებულების არსებობა არ იცოდნენ,** ხოლო, **თუკი თბილისელთა ბედნიერება მათთვის პირველხარისხოვანია,** უპრიანი არ იქნებოდა, **ხელშეკრულებისთვის გრიფი „საიდუმლოდ“ მოეხსნათ** და აბონენტებს საკუთარი რუხი ნივთიერების დახმარებით გაერკვიათ, **ვინ ატყუებს: GWP, მერია თუ ორივე ერთად?!**

# გავაშინგტონებული

## რეინკარნებული აბრაამ ლინკოლნი

იმ მარტივი მიზეზით, რომ **ფრიად აქტიურია და გამონაკლისი არც წინა კვირა იყო, ჩემი მუზაც**, ნებსით თუ უნებლიეთ, **მისით სულდგმულობს**. ერთი სიტყვით, პარლამენტის **ქუთაისიდან თბილისში გადმოტანის ერთ-ერთი გააფთრებული მოწინააღმდეგე** ხალხის რჩეული ბ-ნი **ბობოხიძეა**, რაც, **თუ გავითვალისწინებთ, რომ ის დასავლეთ საქართველოს მკვიდრია** (თუმცა, თუ დაგვლუპავს, კუთხურობა დაგვლუპავს და ეს სულაც არ არის ჩემ მიერ აღმოჩენილი თეზა), **მთლად გაუგებარიც არ უნდა იყოს**.



უფრო მეტიც, ბ-ნი ბობოხიძე **მთავრობის თბილისიდან ქუთაისში გადატანის მომხრეა, არათუ საკანონმდებლო ორგანოთი კვლავ თბილისის დამშვენებით,** ამიტომაც, ბრძანებს, რომ **„პარლამენტის ქუთაისში არდარჩენა ეს არის ანგაჟირებული პროცესი.“**



ხოლო, დარჩენის შემთხვევაში, მისეული ხედვით, **ქუთაისისგან**, თუ მთლად მეგაპოლისს ვერა, **პატარა მასშტაბის ვაშინგტონის მნიშვნელობის ქალაქს ხომ მაინც მივიღებთ?!** ბუნებრივია, არც მე და, რატომღაც, მგონია, რომ არც თქვენ **არაფერი გვაქვს ქუთაისის გამოვაშინგტონების საწინააღმდეგო**, ოღონდ, ვფიქრობთ, იმ ერთადერთ შემთხვევაში, **თუ ბ-ნი ბობოხიძე რეინკარნებული აბრაამ ლინკოლნი აღმოჩნდება!**

# პოზა „ლაივში“

## ანუ, იმედს პრეზიდენტი არ მოუკლავს

ჩვენ არ ვიცით, **როდის დაიგეგმა ეს ვიზიტი** (მანამდე, ვიდრე ბელორუსის პრეზიდენტი დსთ-ში დაბრუნებას გვთხოვდა თუ ამის შემდეგ), მაგრამ, თითქმის ოფიციალურად **დადასტურდა, რომ ალექსანდრ ლუკაშენკო ქართველი კოლეგის – მიხეილ სააკაშვილის მოწვევით, უახლოეს მომავალში სტუმრად ჩამოგვიფრინდება.**



სხვათა შორის, ეს ამბავი **თავად ლუკაშენკომ გვამცნო გასულ კვირას უცხოური მედია-საშუალებებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე**. იმავე შეკრებაზე **არც ის დაუმალავს ჩვენს პოტენციურ სტუმარს**, რომ, ჯერ ერთი, **კვლავაც არ გადასწურვია საქართველოს დსთ-ში ხილვის იმედი** და, რაც მთავარია, ამ თემაზე **უშუალოდ აპირებს გასაუბრებას როგორც პრეზიდენტთან, ისე პრემიერთან.**

თუ გავიხსენებთ, რომ ბ-ნი **ლუკაშენკო** ბ-ნ **სააკაშვილს მოუწვევია**, ეს უკანასკნელი **დსთ-ში დაბრუნების წინააღმდეგია** (სხვათა შორის, მეც!), **სტუმარი კი**, როგორც თავად ამბობს, **მომენტის გამოყენების შანსს ხელიდან არ გაუშვებს** (მომყავს ციტატა ლუკაშენკოს გამოსვლიდან: „ვფიქრობ, უახლოეს მომავალში დსთ-ში დაბრუნების შესახებ საქართველოს ხელმძღვანელობასთან – სააკაშვილთან და ივანიშვილთან საუბარს შევძლებ“) და **მის იმ პირობასაც გავიხსენებთ, მუხლის ჩოქზეც დავუდგები,** ოღონდ დსთ-ში დაბრუნდნენო, **ვითომ, ჩვენმა პირველკაცმა კოლეგა ამ პოზის „ლაივში“ სანახავად მოიწვია?!**

# კვერცხის ამღები

## „აბა, უმრავლესობაში მნახე, ვინა ვარ!“

სულ **პირველად თავი ფართო საზოგადოებას ჟურნალისტის ცემით დაამახსოვრა**, თუმცა, **ტრადიციას არც გარჩეულების შემდეგ უღალატა** და გასული მოწვევის პარლამენტში თავის **კოლეგა პეტრე მამრაძეს არათუ კამერების თვალწინ გაარტყა**, არამედ, **მოგვიანებით კამერებთანვე დაგვემუქრა, რომ ყველას, ვისი პოლიტორიენტაციაც არ მოეწონებოდა, თავ-პირს დაუსისხლიანებდა** (იმაზე აღარაფერს ვიტყვი, მეშვიდე მოწვევის **პარლამენტის სხდომებზე მუდამ რომ კუნთებს ათამაშებდა**).

თუმცა, **ხანი გამოხდა და, თუკი აქამდე უმრავლესოელ ბ-ნ ბობოხიძეს ერიდებოდნენ**, აწ უკვე **უმცირესოელ ბ-ნ ბობოხიძეს სჭირდება პოლიციის კორდონი**, რომ **სხვებს მოერიდოს.**

ერთი სიტყვით, **გასულ კვირას ზუგდიდში**, სადაც, წესით, ხალხის როგორც უმრავლესოელ, ისე უმცირესოელ რჩეულთ დაინტერესებულ არასამთავრობოელებთან ერთად საკონსტიტუციო ცვლილებებზე უნდა ემსჯელა, ბ-ნი **ბობოხიძის თავს ახალი აღთქმისეული ჭეშმარიტება გაცხადდა**: მახვილის ამღები (ანუ **კუნთების მომღერებელი**) მახვილითვე (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რასაკვირველია, **კვერცხით) დაიღუპება**.

იმის მიუხედავადაც, რომ **კვერცხი არც ცივი იარაღია და არც ცხელი**, მისი **დეპუტატის მიმართულებით მსროლელები პოლიციამ დააკავა**, სასამართლომ კი **100-100-ლარიანი ჯარიმა დააკისრა**, თუმცა, **თავად დაზარალებულმა** (ანუ აკაკი ბობოხიძე) **მეტად დარდიმანდულად ბრძანა, რომ კვერცხის მსროლელთა დასჯას არ მიესალმება.**



ხოლო, თუ გავიხსენებთ, **რა შემართებით იწევდა ხოლმე წინა მოწვევის პარლამენტში ბ-ნი ბობოხიძე კოლეგა უმცირესოელების მიმართულებით**, „მუხამბაზის“ მისებური პერიფრაზი ასეთია: **განა ორთაჭალის ბაღში**, „აბა, **უმრავლესობაში მნახე, ვინა ვარ!“**

# „თხა და გიგო“

## დამთხვეულები

მართალია, მაგალითად, **გერმანიის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარი საქართველოში გამოცხადებულ ამნისტიას მიესალმება** (მათ შორის, პოლიტპატიმრების გათავისუფლებასაც, უფრო მეტიც, რეგიონის მთავრობებსაც მოუწოდებს პოლიტპატიმრების შეწყალებისკენ), მაგრამ, **სამაგიეროდ, მაგალითად, ყოფილი პოლიციელი კარინა გრიგორიანი – გმობს. ნაპოლიციელის მტკიცებით**, სამართალდამცველი **ორგანო მან მას შემდეგ დატოვა, რაც პარლამენტმა პოლიტპატიმრები გამოუშვა** (ჯაშუშებისთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭება ჩემი პოლიციური სულისკვეთებისთვის მიუღებელიაო), თუმცა, **თავად პოლიტპატიმრები ისეთებს გვიამბობენ,** სოლჟენიცინის **„არქიპელაგი გულაგი“ „თხად და გიგოდ“ მოგეჩვენება.**



ხოლო, რაკი **ყოფილი მმართველი პარტია, ამჟამინდელი პრეზიდენტი** და **ნაპოლიციელი ერთურთს ემთხვევიან** (ისინი რა, მათი აზრები ემთხვევიან), სავსებით, ბუნებრივია, რომ ეს უკანასკნელი (ანუ ქ-ნი **გრიგორიანი) პირველმა პირმა სასახლეში მიიხმო,** არც ტკბილი სიტყვები დაიშურა და **ზედ ორდენიც დაჰკიდა** (რა თქმა უნდა, ღირსებისა).

ამის პარალელურად, სააგენტო „პირველმა“ გამოარკვია, რომ **აწ უკვე ღირსების ორდენოსანი** ქ-ნი **გრიგორიანი, ბოლო 4-5 წელია, შსს-ს მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შსს-ს მიერ იყო მივლინებული** იქაურ **თანამშრომელთა პოლიტიკური პლატფორმის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად**. რაც შეეხება ოფიციალურ ინფორმაციას: ქ. **გრიგორიანი 2005 წლიდან შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის** მე-2 სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს **უფროსი ინსპექტორი-გამომძიებელი ბრძანდებოდა. „სოდის“ რეორგანიზაციის შემდეგ** კი **კადრების განკარგულებაში დარჩენილა** (თუმცა, როგორც მოგახსენეთ, თავად **ორდენოსანი იმ ვერსიაზეა, რომ შსს პროტესტის ნიშნად დატოვა).**

**პრეზიდენტი დარწმუნებულია**, რომ ქ. **გრიგორიანი შსს-ში კვლავაც დაბრუნდება, კრიმინალებსაც შეებრძოლება** და, **ზედაც, ჯაშუშებსაც.**

ჩვენ, ბუნებრივია, არ ვიცით, ვის რა მომავალი ელის, მით უფრო, ვინ სად აღმოჩნდება, ის კი აშკარაა: **ზოგს ორდენი დაჰკიდეს, ზოგსაც – ჰკიდია!**

# ზემოდან – ქვემოთ

## შეუფასებელი ნაგავი

**ამომრჩეველს საქმე** ჯერჯერობით **სამალარიჩოდ აქვს**, რადგან, **აქეთ – „ქართული ოცნებაა“ დაქიჩმაჩებული მისთვის დანაპირებების შესასრულებლად**, იქით – **თბილისის მერია ძვრება კანიდან** (მე რომ 100-ლარიან ვაუჩერებს ვარიგებ, ის ჯობია ელექტროენერგიის გაიაფებასო, არადა, **მე რომ მკითხოთ, ორივენიცა**!). თუმცა, მაგალითად, **დედაქალაქის მესვეურები არ იმჩნევენ კოალიციის საკანონმდებლო ინიციატივას საბავშვო ბაღებში გადასახადის გაუქმების შესახებ** (მაგალითად, მე ველი, რომ **საპასუხოდ მერია ყოველ მომდევნო ბავშვზე, თუ 100-ს არა, 10 ლარს მაინც დაუწესებს ბავშვებიან ოჯახებს**).



როგორც ირკვევა, **ზემოდან არა მხოლოდ ამ, არამედ, ნაგვის საკითხსაც გადმოსწვდებიან.** რაკი **ჩვენმა მშობლიურმა მერიამ ნაგვისა და შუქის გაყრა არ ისურვა** (ერთი ისაა, რომ, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, თითოეულ მოხმარებულ ელენერგიაზე ზამთარში 5-ის ნაცვლად 2,5-თეთრს გადავიხდით), **კოალიცია სხვა გზით წავიდა**: ცვლილებებს ამზადებს ორ კანონში – „საქართველოს დედაქალაქის – თბილისისა“ და „მოსაკრებლის შესახებ“.

ჯერჯერობით ის ვიცით, რომ **ზღვრულმა მოსაკრებელმა ნარჩენების გატანაზე 3 ლარიდან, შესაძლოა, 2,5-მდე დაიკლოს**, ხოლო **სულადობრივი ზღვარი კი 10 ლარით განისაზღვროს** (ანუ, ოჯახები, რომლებიც 4 და მეტი სულისგან შედგებიან, მაინც 10 ლარს გადაიხდიან). თითქმის ისიც გადაწყდა, რომ **საკრებულოსაც მიეცეს თავის გამოჩენის საშუალება**, კერძოდ, მასაც **შეეძლება საკუთარი შეხედულებისამებრ დაუწესოს ტარიფი** სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობას (**მერიაც გაირიეს მარაქაში?!).**

ერთი სიტყვით, **დასუფთავების გადასახდელის ბედი კვლავაც ბუნდოვანია**, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **ვერაფრით დაუთვლიათ, ბოლოს და ბოლოს, რა უჯდება თბილისის მერიას ნარჩენების გატანა**, აშკარაა, რომ **დედაქალაქური ნაგვის ფასი შეუფასებელია!**

# პარლამენტარის ნაკვალევი

იმისთვის, რომ **თბილისისთვის პარლამენტი ჩამოერთმია**, სახელმწიფო **საკონსტიტუციო კომისია შექმნა**, რომელმაც **ერთ წელს ღვარა ოფლი**, რათა, საერთო ჯამში, **ექვსნახევარ თაბახის ფურცელზე რომ დაეტეოდა**, იმდენი **საკონსტიტუციო ცვლილებები შეეტანა მოქმედ** და მრავალგზის გადაწერილ-გადმოწერილ **კონსტიტუციაში** (თამამად შეიძლება ითქვას, **რუსის ბარაბანს არ მოხვედრია იმდენი, რამდენიც ამ ჩვენს კონსტიტუციას – ცვლილება**).

მართალია, ამ ცვლილებებით და **მეშვიდე მოწვევის პარლამენტის უმრავლესობის ნებით, პარლამენტმა ქუთაისში დაივანა**, თუმცა, ახლა უკვე **მერვე მოწვევის პარლამენტის უმრავლესობა მის გადმოტანას ისევ დედაქალაქში აპირებს,** რასაც, ბუნებრივია, აწ უკვე ყოფილი მმართველი გუნდი, **აწ უკვე უმცირესობიდან ეწინააღმდეგება.**

პრეზიდენტს ასეთი ფატალური შედარებაც კი მოჰყავს: **„თუ არ იქნება ქუთაისში პარლამენტი, აღარ იქნება ახალგაზრდების პერსპექტივა.“**

უფრო მეტიც, **თვით ტურისტებიც კი აღარ ესტუმრებიან, თურმე, ქუთაისს** (იმიტომ რომ **ვეღარ ნახავენ პარლამენტარის ნაკვალევს და მხოლოდ დინოზავრის ნაკვალევით მოუწევთ დაკმაყოფილება!).** სიტუაციის **დრამატულობის უფრო მძაფრად შესაგრძნობად** მოვიყვან ვრცელ ციტატას პრეზიდენტის გამოსვლიდან: **„თუ პარლამენტი არ იქნება ქუთაისში, არ იქნება უამრავი ტურისტული ობიექტი**... შესაბამისად, **ათიათასობით სამუშაო ადგილი დაიკარგება**. ქუთაისის **აეროპორტი ვერ განვითარდება**, რომელიც, გვსურდა, რომ, არა მხოლოდ კავკასიის, არამედ, ევროპის უდიდესი აეროპორტი ყოფილიყო.“

რაც მთავარია, პრეზიდენტმა ვერდიქტიც გამოიტანა (თითქოს სამყაროს მბრძანებელი ყოფილიყოს): **„თუ პარლამენტი არ იქნება ქუთაისში, ქუთაისი იქნება მკვდარი ქალაქი. მკვდარი ქუთაისი კი ნიშნავს ჩამკვდარ დასავლეთ საქართველოს.“**

პირადად მე ვერ დავეთანხმები პრეზიდენტის აზრთა მდინარებას, ხოლო, **თუ მის ლოგიკას მივყვებით** (რომ **პარლამენტის შენობაა ქალაქებისთვის სიცოცხლის მიმნიჭებელი**), გამოდის, რომ საქართველოს **ყველა ქალაქში, თუ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხარ**, თითო-თითო რას მიქვიან, **ორ-ორი პარლამენტი უნდა გვქონდეს!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია



**ჩემი დაკვირვებით, რუსები ფიქრობენ, რომ აფხაზებთან პრობლემა არ ექნებათ და შეძლებენ, გაიმეორონ 1921 წლის სიტუაცია, როდესაც ჯერ ცნეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა, შემდეგ ისევ დაუბრუნეს საქართველოს ავტონომიის სახით**

**თბილისი და მოსკოვი ერთმანეთთან უბრად აღარ არიან, თუმცა მათ ურთიერთობაში, მაინცდამაინც, არც ენაწყლიანობა შეინიშნება. ამის პარალელურად, რუსი და ქართველი პოლიტიკოსები სიტუაციის შეფასებისას ფრთხილობენ და ზედმეტი ინფორმაციის გაცემას ერიდებიან. მაგრამ მთავარი გზავნილი ვლადიმირ პუტინმა უკვე გამოუშვა (2012 წლის მიწურულს გამართულ თავის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე). ებრაელი პოლიტოლოგი აბრაამ შმულევიჩი, რომელიც მოვლენებს შორიდან აკვირდება, გაგვიზიარებს თავის მოსაზრებას იმ არცთუ იოლ პროცესზე, რასაც რუსულ-ქართული ურთიერთობები ეწოდება.**

# რა არის რუსეთის მიერ აღიარებული ტერიტორიების განაღიარების ფასი და რატომ გაიხსენა ვლადიმირ პუტინმა „თბილისის გუბერნია“

**– როგორ აფასებთ მოსკოვსა და თბილისს შორის ბოლო დროს შემჩნეულ აქტივობებს?**

– მოვიყვან ვლადიმირ პუტინის ციტატას: „მოქმედმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა შეიყვანა ვითარება ჩიხში და გულწრფელად რომ ვთქვა, მე არ ვიცი, როგორ გამოვიდეთ აქედან. რუსეთს არ შეუძლია თავისი აღიარების გადაწყვეტილების შეცვლა, საქართველოს არ შეუძლია, დაეთანხმოს მათ დამოუკიდებელ სტატუსს. წარმოდგენა არ მაქვს, რა უნდა გავაკეთოთ. ჩვენ რეალურად გვინდა საქართველოსთან სიტუაციის ნორმალიზება, თუმცა, ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველო უფრო მეტადაა დაინტერესებული, ვიდრე რუსეთი.“ შემდეგ მან ახსენა თბილისის გუბერნია.

**– მისი ეს ხსენება ალმაშფოთებელი იყო, რადგან რუსეთის იმპერიამ, მას შემდეგ, რაც თავზე დაგვახია გეორგიევსკის ტრაქტატი, გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა და დაგვყო გუბერნიებად.**

– რეალურად, ეს იყო სკანდალური განცხადება. წარმოიდგინეთ, პუტინს რომ ეთქვა, რუსეთს არ შეუძლია შეცვალოს თავისი შეხედულება და უარი თქვას კურილიის კუნძულებზე, არც იაპონიას შეუძლია ამასთან შეგუება, მაგრამ ჩვენ გვინდა იაპონიასთან ურთიერთობის ნორმალიზაცია და ვეძებთ გამოსავალსო. ამის საპასუხოდ დიპლომატიურ ენაზე ყველა იტყოდა, რომ რუსეთი მზადაა, გადახედოს თავის გადაწყვეტილებას, გადასცეს თუ არა კურილიის კუნძულები იაპონიასო. იგივე ხდება ამ შემთხვევაშიც. არავის უთხოვია პუტინისთვის, ეთქვა ის, რაც თქვა. მან თვითონ განაცხადა, რომ საქართველოს არ შეუძლია, აღიაროს ამ რეგიონების დამოუკიდებლობა. დიპლომატია კი იმდენად მოქნილი რამაა, რომ 20-მდე ვარიანტის მოძებნაა შესაძლებელი. ანუ პუტინს არ უთქვამს, რომ ეს საკითხი დახურულია.

**– ვიფიქროთო.**

– მაგრამ წინასწარვე თქვა, რომ საქართველო ამას არასდროს აღიარებსო. ესე იგი, რუსეთი დაიწყებს ფიქრს, გადახედოს თავის აღიარებას და რაღაც სტატუსი მოუფიქროს ამ რეგიონებს. პუტინმა ძალიან მკაფიო სიგნალი მისცა საქართველოს, რომ ის მზადაა კომპრომისისთვის და მისი ეს სიტყვები არ იყო პირველი. 2009 წელს პრიმაკოვის დაბადების დღეზეც თქვა დაახლოებით იგივე რამ: ჩვენ შეგვიძლია ამ თემაზე ლაპარაკიო. ანუ ეს სიგნალები რამდენიმე წელია, მოდის, მაგრამ ამჯერად პუტინმა მკაფიოდ თქვა, რის მიღება უნდა სანაცვლოდ საქართველოსგან: თბილისის გუბერნია. მე არაერთხელ მომისმენია ეს აზრი კრემლის ანალიტიკოსებისგან არაფორმალური შეხვედრებისას: თუ ჩვენ მთლიან საქართველოს მივიღებთ, მაშინ გვექნება აფხაზეთიც და „იუჟნაია ოსეტიაც“. ანუ ტერიტორიების ფასი არის თბილისის გუბერნია. პუტინმა თქვა: არანაირი საქართველო არ არსებობდა, იყო თბილისის გუბერნია და ეს იყო კარგიო. ვერ წარმომიდგენია, პუტინს ეთქვა, არ არსებობდა არანაირი უკრაინა და ეს იყო კარგი; არ ყოფილა არანაირი ყაზახეთი და ეს იყო კარგი. ეს გამოიწვევდა დიპლომატიურ სკანდალს და, შესაძლოა, გაერომდეც მისულიყო საქმე. მაგრამ ამ შემთხვევაში ამან ჩაიარა, თითქოს არაფერიაო. საქართველოს მთავრობამ არ შეიმჩნია.

**– არც საქართველოს ოპოზიციამ.**

– თუ ოპოზიციასაც არაფერი უთქვამს, ეს უფრო ამძიმებს ვითარებას. მკაფიო განკარგულება გაიცა, თუ რა უნდა პუტინს საქართველოსგან ოკუპირებული ტერიტორიების ამ თუ სხვა სახით დაბრუნების სანაცვლოდ. ეს არის საქართველოს სახელმწიფოს ბოლომდე დამორჩილება.

**– უფრო მეტად, ვიდრე სომხეთი ჰყავს?**

– რა თქმა უნდა, თუმცა სომხეთიც მთლიანადაა შესყიდული რუსული კაპიტალის მიერ, მაგრამ საქართველოს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს.

**რუსული პროპაგანდა აფხაზეთსა და „იუჟნაია ოსეტიაში“ იმუშავებს შემრიგებლური პოზიციის შესაქმნელად, საქართველოში კი, პირიქით, რევანშისტული განწყობების გაღვივებას შეუწყობს ხელს, რომ უნდა დავიბრუნოთ ტერიტორიები ნებისმიერ ფასად**

პუტინის კურსი არის საბჭოთა კავშირის დაბრუნება და საქართველო შეიძლება, გახდეს პირველი ქვეყანა, რომელიც დაბრუნდება მოსკოვის სკიპტრის ქვეშ. თქვენ სწორად შენიშნეთ, მათ თვითონ შექმნეს თბილისის გუბერნია, დაარღვიეს რა ყველა შეთანხმება. მით უმეტეს, რომ პუტინის ეს მინიშნება საქართველოს საზოგადოებამ გადაყლაპა.

რაც შეეხება აფხაზეთსა და „იუჟნაია ოსეტიას“: აფხაზეთის ბიუჯეტის 75 პროცენტი დოტაციაზეა და მიიჩნევენ, რომ რუსეთს აფხაზეთი ჯიბეში ჰყავთ, თუმცა ყველა აფხაზი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, რუსები ფიქრობენ, რომ აფხაზებთან პრობლემა არ ექნებათ და შეძლებენ, გაიმეორონ 1921 წლის სიტუაცია, როდესაც ჯერ ცნეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა და ასე ჩართეს საბჭოთა კავშირში, შემდეგ ისევ დაუბრუნეს საქართველოს ავტონომიის სახით. იმავეს გაკეთებას უნდა ფიქრობდნენ ევრაზიული კავშირით. მაგრამ პუტინმა წამოაყენა პირობები: რადგან ხაზი გაუსვა, რომ ყველაფერში დამნაშავეა მოქმედი პრეზიდენტი, ეს საკითხი არ გადაწყდება, სანამ საქართველოში ორხელისუფლებიანობა არ დასრულდება.

**– ისინი არ მალავენ, რომ ელოდებიან, როდის დასრულდება ხელისუფლების გადანაწილების პროცესი, რომ გაირკვეს, ბოლოს და ბოლოს, რომელ მხარეს აქვს რეალური ძალაუფლება.**

– სანამ სააკაშვილი ბოლომდე არ ჩამოშორდება ხელისუფლებას, რუსეთი არ გადადგამს მკვეთრ ნაბიჯებს, თუმცა უმაღლეს დონეზე მან თავისი პოზიცია უკვე მონიშნა. ახლა ჯერი საქართველოზეა. ამასთან, ძალიან მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია მიხაილ ლეონტიევმა. ის არის ყველაზე გავლენიანი რუსი პოლიტოლოგი. რასაც ახლა ამბობს პუტინი, ის ლეონტიევმა თქვა წელიწად-ნახევრის წინათ. ახალ წლამდე პუტინის პრესკონფერენციამდე, ლეონტიევმა ინტერვიუ მისცა „კომსომოლსკაია პრავდას“ და თქვა: საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა ადამიანი, რომელიც გაიზარდა რუსეთში, რუსეთის გარეშე არაფერი შეუძლია და ხაზგამით უწოდა ბორის ივანიშვილი. ამით ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი ივანიშვილს აღიქვამს, არ ვიცი, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ადამიანად, რომელიც მას სრულად დაემორჩილება. ასევე, ლეონტიევი ფიქრობს, რომ რუსეთს თავიდან ბოლომდე დაემორჩილებიან სეპარატისტული რეგიონები. ერთადერთი პირობაა წინაღობების მოსპობა: პირველია ორხელისუფლებიანობის გაუქმება, იმიტომ რომ, ვთქვათ, რუსეთმა გადადგა რაღაც ნაბიჯები და ამ დროს სააკაშვილი ისევ მობრუნდა?! მეორე წინაღობაა დასავლეთის პოზიცია.

**– ჩვენი, საქართველოს მოსახლეობის, ამომრჩევლის პოზიცია? თუ ჩვენ ანგარიშგასაწევნი არ ვართ?**

– მოსკოვისთვის თქვენ ანგრიშგასაწევი არ ხართ.

**– და დასავლეთისთვის ვართ?**

– დასავლეთისთვის ხართ. დასავლელი დიპლომატებისგან მომისმენია, ჩვენ ვაფასებთ, რომ საქართველო აშენებს დემოკრატიას. ანუ ანგარიშს გიწევენ, მაგრამ რუსეთს აქვს წონიანი არგუმენტები: რაც უფრო გაუარესდება ივანიშვილის ურთიერთობები დასავლეთთან, მით უფრო ცოტას გაუწევენ ანგარიშს ქართველ ამომრჩეველს. რუსეთი მკაფიოდ თვლის, რომ საქართველოს ხელისუფლება ჯიბეში ჰყავს, რუსეთი კი მიჩვეულია, ანგარიში არ გაუწიოს თავის ამომრჩეველს, არათუ ქართველ ამომრჩეველს. რუსეთი ძლიერ პროპაგანდისტულ კამპანიას გააჩაღებს, მათ შორის, რუსეთში მცხოვრები ქართველების ორგანიზაციების მიერ.

**– მაგრამ იმ ორგანიზაციებს არ აქვთ ავტორიტეტი და მხარდაჭერა საქართველოში და, რაც მთავარია, ის ამომრჩეველი, რომელმაც ბიძინა ივანიშვილის კოალიციას მისცა ხმა, მხარს უჭერს საქართველოს ინტეგრაციას დასავლურ სტრუქტურებში.**

– რუსეთის პოზიცია მკაფიოდ გამოხატა მიხაილ ლეონტიევმა, ეს არის ის, რასაც იტყვის პუტინი მომავალში. მე სხვა ადამიანებისგანაც მომისმენია, რომ ის ახმოვანებს რუსეთის პოზიციას საქართველოს მომავლის შესახებ. მათ შორის, „იუჟნაია ოსეტიას“ და აფხაზეთის მომავალზე.

**– თუ არ აღმოჩნდება ივანიშვილი ადამიანი, რომელიც კრემლს ჯიბეში არ ჰყავს, შემდეგ რა ხდება?**

– ასეთი ვარიანტი იყო სააკაშვილთან და, სხვა-

# იჩქარეთ! – განსაკუთრებული ფასდაკლება ჟორდანიას განახლებულ კლინიკაში!

**ჟორდანიას განახლებული კლინიკა გელით განახლებული ულტრათანამედროვე აპარატურით, მკურნალობის ეფექტური მეთოდებითა და წამყვანი სპეციალისტების მომსახურებით. მრავალწლიან ავტორიტეტს სულ ახლახან ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სრული ულტრათანამედროვე აღჭურვილობა და გამოცდილი ექიმების შემადგენლობა დაემატა.** ახალი ბიზნესინვესტიციის დახმარებით, განახლებული ჟორდანიას კლინიკა უნაყოფო წყვილთა მკურნალობის ყველაზე წარმატებულ კლინიკად იქცა. მათ, ვისაც უშვილობის პრობლემა აწუხებთ, აღარ მოუწევთ წამყვან ევროპულ ქვეყნებში გამგზავრება და გაცილებით სოლიდური ფულადი სახსრების ხარჯვა. ჟორდანიას კლინიკაში თქვენს რეპროდუქციულ ფუნქციასა და ჯანმრთელობაზე იზრუნებენ ევროპული დონის აპარატურის საშუალებითა და მომსახურებით და, რაც მთავარია – შედეგიანად.

**ასევე, სპეციალურად უშვილო წყვილებისთვის ჟორდანიას კლინიკამ განსაკუთრებული გამონაკლისი დაუშვა: იმ უნაყოფო წყვილისთვის, რომელიც ჟორდანიას კლინიკაში მეორედ ჩაიტარებს ხელოვნური განაყოფიერების სამედიცინო პროცედურას, სპეციალური ფასდაკლების სისტემა ამოქმედდება.** ამჟამად ინსტიტუტში უნაყოფო წყვილთა მკურნალობის შედეგად წელიწადში 1 000-ზე მეტი ბავშვი იბადება. ინსტიტუტში წარმატებით ფუნქციონირებს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების საერთაშორისო განყოფილება, სადაც წარმატების მაჩვენებელი 80 პროცენტს აღემატება:

**ინსტიტუტი საქართველოში ექსკლუზიურად ფლობს ახალ სამედიცინო აპარატურას, უახლეს ციფრულ, „სიმენსის" ფირმის რენტგენის აპარატს, აგრეთვე, „ვოლუსონ 8-ს", რომელიც მუცლის ღრუს**



**ორგანოებისა და ნაყოფის შრეობრივი ტომოგრაფიული ულტრასონოგრაფიული გამოკვლევის შესაძლებლობას იძლევა.** ამიერკავკასიის მასშტაბით ხელოვნური განაყოფიერების მეთოდის დანერგვასა და მაღალი შედეგიანობის მიღებას სწორედ ჟორდანიას ინსტიტუტმა ჩაუყარა საფუძველი 1998 წელს და ახლა ის გახლავთ ინ-ვიტრო განაყოფიერების მხრივ ყველაზე გამოცდილი და კვალიფიციური კლინიკა. ჟორდანიას ინსტიტუტში ახალი ინვესტორის შემოსვლამ და ევროსტანდარტების დონეზე მატერიალურმა გადაიარაღებამ სულ სხვა იერსახე შესძინა კლინიკას. მაღალტექნოლოგიურ აპარატურას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კლინიკის ეფექტური ფუნქციონირებისთვის. კლინიკაში გამოიყენება „ოლიმპუსის", „ორიჯიოს", „ნიკონის" და სხვა უმაღლესი კლასის აპარატურა. სამკურნალოდ ჩამოდიან უცხოეთიდანაც, რადგან კლინიკაში მათ სთავაზობენ ევროპული გაიდლაინების მეთოდით ხარისხიან მომსახურებას უფრო დაბალ ფასებში, ვიდრე ეს სხვა ქვეყნებშია. ამას ემატება ექიმთა გამოცდილი კადრებიც, რაც, ერთიანობაში, უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მომსახურებას და იძლევა მაღალ შედეგიანობას. ხაზგასასმელია, რომ პაციენტის პირველი კონსულტაცია უფასოა და თითოეულ პაციენტთან ურთიერთობა მკაცრად ინდივიდუალურია, მათ შორის – ფინანსურ საკითხებშიც.

***საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი: ლუბლიანას ქუჩა №5, ყოფილი რკინიგზის საავადმყოფო. ტელეფონი. 293-11-45.***
*info@zhordania-ivf.ge*

**ეკა ნაკაიძე**

თა შორის, შევარდნაძესთანაც.

**– გამსახურდია საერთოდაც ჩამოაგდეს.**

– მე არ ვთვლი, რომ ივანიშვილი აბსოლუტური მარიონეტია. მას აქვს თავისი ხედვა და მე არ ვიცი, რამდენად არის მზად წინააღმდეგობა გაუწიოს მოსკოვს და რამდენად შეძლებს საქართველოს საზოგადოება წინააღმდეგობა გაუწიოს იმ ბერკეტებს, რაც რუსეთს აქვს.

**– რამე ახალი ბერკეტი გაუჩნდა, რაც აქამდე არ ჰქონია?**

– როდესაც რუსეთმა დაკეტა თავისი ბაზარი ქართული პროდუქციისთვის.

**– ჩვენ ეს ვიცით და ჩვენმა მეწარმეებმაც იციან, რომ სიბრიყვეა იყო მხოლოდ რუსეთის ბაზრის იმედად.**

– მიუხედავად ამისა, იმედები არის. ასევე, როდესაც ივანიშვილმა ეჭვქვეშ დააყენა ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა.

**– მე, როგორც მივხვდი, აქ ლაპარაკია ქართულ ინტერესზე, ეს გზა კონკურენციას გაუწევს ჩვენსავე სატრანზიტო ფუნქციას, ჩვენს პორტებს და ამ პროექტით ყველაზე ნაკლებ მატერიალურ მოგებას ვიღებთ.**

– ღმერთმა ქნას, ეს ასე იყოს, იმიტომ რომ ეს გზა საშუალებას მისცემდა საქართველოს, რომ ეკონომიკურად დამოუკიდებელი გახდეს, ისევე, როგორც აზერბაიჯანს გახდიდა რუსეთისგან დამოუკიდებელს და ივანიშვილმა ეს საკითხი სახალხოდ დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ, ესეც რუსული პოლიტიკაა.

**– მთავარი ხომ მაინც ისაა, გაიხსნება თუ არა საბოლოოდ ეს რკინიგზა? და რა არის ცუდი იმაში, თუ საქართველოს ეკონომიკური ინტერესიც იქნება გათვალისწინებული?**

– რა თქმა უნდა, მაგრამ ჯერჯერობით გადაიდგა ნაბიჯები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, აშენდეს თუ არა რკინიგზის ეს ხაზი. თავის მხრივ, პუტინმა მკაფიოდ დაასახელა, რაზეა თამაში. საკითხის ფასია თბილისის გუბერნია და, თუ საქართველო დათანხმდება რუსეთის პროტექტორატს, შესაბამისად, სეპარატისტული რეგიონების საკითხიც გადაიჭრება. ისმის კითხვა: შეძლებს თუ არა ქართველი ამომრჩეველი, რომელმაც ხმა მისცა „ნატოში" შესვლას, ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას გაუწიოს წინააღმდეგობა?! რუსეთმა დაიწყო საბჭოთა კავშირის აღდგენა და მათთვის ძალიან ხელსაყრელი იქნებოდა ამის საქართველოსგან დაწყება.

მე ვფიქრობ, მოსკოვი ელის, რომ საქართველოში დამთავრდეს ორხელისუფლებიანობა. ამის შემდეგ გადაიდგმება რაღაც ნაბიჯები: რუსეთი რბილად მოიქცევა ეკონომიკური მიმართულებით და შეეცდება, მოამზადოს ნიადაგი აფხაზეთსა და „იუჟნაია ოსეტიაში", რომ, თუ ამის საჭიროება დადგება, გატეხოს იქ მოსახლეობის წინააღმდეგობა. უკეთეს შემთხვევაში, როგორც გითხარით, გათამაშდება 1921 წლის სცენარი: საქართველო – მთლიანად შევა ევრაზიის კავშირში.

**– როდის ელით ამ სცენარის ამოქმედებას, როგორც კი ორხელისუფლებიანობა დასრულდება?**

– ეს არ მოხდება 2014 წლის ოლიმპიადამდე. თუმცა, თუ ისინი ჩათვლიან, რომ აფხაზეთში არაფერი მოხდება, შესაძლოა, მანამდეც გააკეთდეს, მაგრამ, თუ ისინი გადაწყვეტენ, რომ ამ პოზიციას აფხაზეთში მკაცრი წინააღმდეგობა შეხვდება, ისინი ამას ოლიმპიადამდე არ გააკეთებენ. მე არ ვამბობ, რომ ეს გადაწყვეტილება სამართლიანია ან უსამართლო. რადგან რუსეთის პოლიტიკა ძალიან მოუქნელია და შესაძლოა, მათ დაასკვნან, რომ წინააღმდეგობის მოძრაობა არ იქნება აფხაზეთში, ისინი ამ მიმართულებით მოძრაობას ოლიმპიადამდეც დაიწყებენ. პუტინმა მკაფიოდ განსაზღვრა თამაშის წესები: აფხაზეთისა და „იუჟნაია ოსეტიას" სტატუსის გადახედვა შესაძლებელია. თავის მხრივ, შემხვედრი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს ხელისუფლების მიერ: ივანიშვილის განცხადება ყარსი-ახალქალაქის რკინიგზაზე. თუ რკინიგზის მშენებლობის გადაწყვეტილება გადაიხედება, ბაქოსთან და თურქეთთან სრულად გაწყდება ურთიერთობა.

**– მგონი, მოილაპარაკეს, რომ პროექტი გაგრძელდება.**

– ვნახოთ, ეს დიპლომატიური შემხვედრი ნაბიჯი იყო პუტინის განცხადებაზე. თუმცა ჯერჯერობით ეს ყველაფერი ხდება განცხადებების დონეზე.

**– სოციალურ ქსელში მყავს აფხაზი მეგობრები და ერთი კვირის წინათ მსჯელობდნენ თემაზე, თუ რატომ აჩვენებდა აფხაზეთის ტელევიზია პროპაგანდისტულ ფილმს საქართველოზე – „სიყვარული აქცენტით".**

– ეს საინტერესო ფაქტია. საზოგადოებრივი აზრის მომზადება იწყება.

**– თუმცა აქვე უნდა გითხრათ, რომ ეს ფილმი გადაიღეს წინა ხელისუფლების დროს და, როგორც ვიცი, იდეის ავტორი მიხეილ სააკაშვილია. არის კიდევ ერთი საკითხი: თუ საქართველო უარს იტყვის თავის ტერიტორიებზე, ბერკეტიც აღარ ექნება რუსეთს?**

– ეკონომიკური ბერკეტი რჩება.

**– 6 წელი იყო დაკეტილი რუსეთის ბაზარი, მაგრამ არ დავხოცილვართ.**

– სეპარატისტული რეგიონების დაბრუნება ძალიან მძლავრი ბერკეტია. რამდენიმე ქართველი ნაცნობისგან, რომლებსაც მკვეთრად ანტირუსული პოზიცია აქვთ, მომისმენია, თუ საქართველო მიიღებს ამ რეგიონებს, მაშინ შეიძლება, განვიხილოთ ევრაზიულ კავშირში შესვლის საკითხი. თან, რუსული პროპაგანდა აფხაზეთსა და „იუჟნაია ოსეტიაში" იმუშავებს შემრიგებლური პოზიციის შესაქმნელად, საქართველოში კი, პირიქით, რევანშისტული განწყობების გაღვივებას შეუწყობს ხელს, რომ უნდა დავიბრუნოთ ტერიტორიები ნებისმიერ ფასად. ამ დროს რუსეთი გამოვა ასპარეზზე და იტყვის, ჩვენ მზად ვართ, დაგიბრუნოთ ეს ტერიტორიებიო. მათი აზრით, მთავარია, აფხაზეთის საზოგადოებრივი აზრის გატეხა.

**ნინო ხაჩიძე**



**რამდენიმე დღის წინათ მილიარდერმა პროხოროვმა თქვა: რუსეთი უნდა გახდეს უნიტარული სახელმწიფო. უნდა მოიშალოს რესპუბლიკები და ნაციონალური წარმონაქმნები. პროხოროვს გაახმოვანებინეს ის, რასაც ფიქრობს კრემლი**

**სირიის გამალებული კრიზისის დროს რფ-მ ხმელთაშუა ზღვაში სამხედრო-საზღვაო წვრთნები წამოიწყო, თავისი თითქმის ყველა ფლოტის მონაწილეობით, თანაც, სამხედრო წვრთნების სცენარი რფ-ის ტერიტორიის გარეთ ბრძოლებს ითვალისწინებს. ამის პარალელურად, თურქეთის ტერიტორიას ანტისარაკეტო სისტემების განსალაგებლად ამზადებენ (გადაწყვეტილება უკვე მიღებულია). იმის გათვალისწინებით, რომ ეს ყოველივე ჩვენგან მეტად ახლოს ხდება, სიტუაციის ანალიზს მამუკა არეშიძესთან ერთად შევეცდებით.**

# რატომ ცხოვრობენ საქართველოში სირიიდან წამოსული სომხები და ქრისტიანი არაბები დევნილის სტატუსით

**– რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან რუსეთის სამხედრო-საზღვაო წვრთნებსა და თურქეთში ანტისარაკეტო სისტემების განლაგებას?**

– პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს წინა აზიაში, ერთმანეთთან კავშირშია. ამდენად, უნდა გავიხსენოთ, რა სიტუაციაა იქ: დღეს მიდის ბრძოლა სირიისთვის და, აქედან გამომდინარე, ყველა ის აქტივობა, რასაც ახორციელებენ ამ სივრცის მსხვილი მოთამაშეები, „ნატო“, ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, თურქეთი, ირანი და ასე შემდეგ, ერთმანეთთანაა დაკავშირებული; ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ სირიაშია განლაგებული რუსეთის ერთადერთი სამხედრო-საზღვაო ბაზა ტარტუსი რუსეთის საზღვრების გარეთ. სირიაში მიმდინარე პროცესები ამ ბაზის ყოფნა-არყოფნის საკითხს აყენებს დღის წესრიგში. ამიტომაც გადაწყვიტა რუსეთმა, ჩაეტარებინა მანევრები ხმელთაშუა ზღვაში თავისი ოთხი ფლოტიდან სამის მონაწილეობით. შავი ზღვის, ბალტიის ზღვისა და ჩრდილოეთის ფლოტების ერთიანი ძალებით მიმდინარეობს ეს ოპერაცია დოტაციური წესით. ერთადერთი მუდმივად მონაწილეობს ავიამზიდი „კუზნეცოვი“, რომელსაც ადრე „თბილისი“ ერქვა და მისი ავიაციის პირველი ლეგენდარული მეთაური იყო ოთარ აფაქიძე, საბჭოთა კავშირის გმირი, მსახიობ ირაკლი აფაქიძის ძმა.

მთავარი ის არის, რომ ეს მანევრები არის ძალის დემონსტრირების მანევრები. თუმცა, მაინცდამაინც, შთამბეჭდავი ვერ გამოდგა, რადგან რუსეთის გემები და ეკიპაჟი არ არის იმ მდგომარეობაში, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ამერიკის ფლოტებს, რომლებიც იმ ზონაში იმყოფებიან.

**– აბა, რატომ ეფაფხურებიან?**

– რაც უნდა დაცემული იყოს რუსული ფლოტი, იქ ისეთი ტიპის სარაკეტო კომპლექსებია განლაგებული, რომელთა გამოყენებასაც, სულაც არ სჭირდება ფლოტის განსაკუთრებული სამანევრო თვისებები. რაც შეეხება თურქეთში ანტისარაკეტო კომპლექსების განლაგებას, რასაც ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და ჰოლანდია, ანუ „ნატოში“ შემავალი ქვეყნები: ეს რაკეტები, ერთი შეხედვით, თავდაცვითია, მაგრამ მათ არა მხოლოდ თავდაცვითი ფუნქციის შესრულება შეუძლიათ. იქაც ძალის დემონსტრირება ხდება: სირიას ამ ბოლო დრომდე არ ჰქონდა სარაკეტო კომპლექსები, რომლებითაც შეეძლო განსაკუთრებული ზიანის მიყენება თურქეთისთვის, მაგრამ ეს იმის დემონსტრირებაა, რომ „ნატო“ თავის წევრ ქვეყანას ეხმარება. თურქეთმა მიმართა „ნატოს“ და ამუშავდა „ნატოს“ წესდების შესაბამისი მუხლი.

**– ყველა ერთისთვის!**

– დიახ. ეს მუხლი გამოიყენეს და იმიტომაც განლაგდება ეს სარაკეტო კომპლექსები თურქეთის ტერიტორიაზე. თუმცა ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ რამდენჯერმე სირიამ, ნებსით თუ უნებლიეთ, დაბომბა თურქეთის ტერიტორია: ერთხელ, მართლაც, შემთხვევით, მეორედ – შეგნებულად. ასეთი პროცესია: არის კუნთების თამაშიც და რეალური ბრძოლაც. რეალურ ბრძოლებში სირიის ამბოხებულთა მხარეს მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ისლამური შენაერთი. წინა აზიაში სამხედრო-პოლიტიკური ძალების სერიოზული ჯახია და შედეგად ვიღებთ იმ სურათს, რასაც ვიღებთ. დღეს პარიტეტული ვითარებაა სირიაში: ვერც იმას ვიტყვით, რომ ამბოხებულები იმარჯვებენ და ვერც იმას, რომ სამთავრობო ჯარები აკონტროლებენ მთელ სირიას.

**– ამ ძალის დემონსტრირების პარალელურად, მსხვილ მოთამაშეებს შორის, ალბათ, პოლიტიკური პროცესიც მიმდინარეობს?**

– ორივე მხარე ცდილობს, დასავლელი შუამავლების მეშვეობით ერთმანეთს თავს მოახვიონ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების თავისი ვარიანტი. დასავლეთის მედიამ, ეს, ბუნებრივია, ინსპირირებული იყო ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ, წამოიწყო ფიარკამპანია, რომ თითქოს ასადი აპირებს ქიმიური იარაღის გამოყენებას ამბოხებულთა წინააღმდეგ, მაგრამ დასავლურმა საზოგადოებამ ეს ამბავი არ აიტაცა.

**ჩვენც გვიჭირავს კოზირის კარტები: რუსეთისთვის უმძიმესი დრო დგება, რადგან მკაფიოდ ჩანს რუსეთის ტერიტორიული რღვევის კონტურები**

**– ახსოვთ სადამ ჰუსეინის ისტორია?**

– დიახ, სადამ ჰუსეინის ბიოლოგიური იარაღი, სხვა ფაქტებიც. ამიტომ ამ ინფორმაციას დიდი აჟიოტაჟი არ გამოუწვევია და თავი დაანებეს. ასადს თავისი დანაშაული აქვს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ევროპაში სულ უფრო და უფრო იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ეჭვის თვალით უყურებენ ამბოხებულთა შემადგენლობას, იმიტომ რომ პროცესებში სერიოზული ისლამისტური ძალებია ჩართული. სირიაში ალავიტების მცირერიცხოვან ჯგუფს აქვს ძალაუფლება. ალავიტები არიან შიიტური მიმართულების ერთი ჯგუფი, მოგეხსენებათ, ირანელები შიიტები არიან და ამიტომაც ირანი ყველანაირად ეხმარება ასადს. რუსეთმაც მიაწოდა შესაბამისი რაკეტები სირიის ხელისუფლებას. მაგრამ სირიის მოსახლეობის უმრავლესობა სუნიტია, რომლებიც თურქეთზე არიან ორიენტირებულნი. ამდენად, არა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური, არამედ სერიოზული რელიგიური ჯახიცაა.

**– გასაგებია, რომ არათუ მხოლოდ ჩვენ, მთლიანად სამხრეთ კავკასია ვერ გამოდგება სირიის საპირწონედ. მომგებიანია ჩვენთვის, რომ ამ პროცესში მონაწილეებს არ ეცლებათ ჩვენთვის თუ როგორ შეგვიძლია ვითარების საჩვენოდ გამოყენება, თუ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია?**

– საქართველოს წინა ხელისუფლება შეეცადა, ჩართულიყო ამ პროცესში. დაუდასტურებელი ინფორმაციით, კოპიტნარის აეროპორტიდან რამდენჯერმე აფრინდა თვითმფრინავი, რომელმაც იარაღი ჩაიტანა ამბოხებულებისთვის. გარდა ამისა, არის ინფორმაცია, რომ ამბოხებულთა ხელმძღვანელობის წარმომადგენლებიც იყვნენ საქართველოში. ეს მცდელობები დამთავრდა პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ. თუმცა უნდა ითქვას, რომ სამხრეთ კავკასია ამ პროცესში ირიბად ჩართულია, იმიტომ რომ სირიაში ძალიან ბევრი კავკასიური წარმოშობის ადამიანი ცხოვრობს: აფხაზები, ჩერქეზები, რაც ყველაზე მთავარია, 200 000-მდე სომეხი. ამ სომხების ერთი ნაწილი უკვე იმყოფება სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიებზე. ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე არიან საკმაოდ დიდი რაოდენობით ქრისტიანი არაბები.

**– როგორც დევნილები?**

– დევნილობის საბაბით არიან. ამას გარდა, სირიელი აფხაზების 103 ოჯახია ჩასული აფხაზეთში. რაც შეეხება თქვენს კითხვას: როგორ შეიძლება, გამოვიყენოთ შექმნილი პოლიტიკური ვითარება: დღეს საქართველოში სხვაგვარი სიტუაციაა. საქართველოს საგარეო პოლიტიკა სხვა ტიპის ხდება: ნაკლებად კონფრონტაციული და, აქედან გამომდინარე, დღევანდელი ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, რომ რეგიონული პოლიტიკა აწარმოოს და მოერიდოს საერთაშორისო ამბებში აქტიურ ჩართულობას. სხვანაირად რომ ვთქვათ, დღეს საგარეო პოლიტიკის დალაგების პროცესია და, ამდენად, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისთვის არაკომფორტულია საგარეო პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა.

**– ერთია, რომ არაკომფორტულია საქართველოს ხელისუფლებისთვის, მაგრამ რამდენად კომფორტული იქნება ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის ეს ჩვენი პასიურობა?**

– გარკვეულ ეტაპზე მათთვის ბევრად უფრო არაკომფორტული იყო ჩვენი განსაკუთრებული გეოპოლიტიკური აქტივობა, იმიტომ რომ პრობლემას ქმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში იყო წრეები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ჩვენს გეოპოლიტიკურ აქტივობას, მაგალითად, მაკკეინის ჯგუფი ამერიკის შეერთებულ შტატებში და ასეთი ხალხი იყო ევროპაშიც. მათ ხელისუფლებებს დისკომფორტს უქმნიდა საქართველოს წინა ხელისუფლების განსაკუთრებული აქტივობა. ასე რომ, თუმცა საქართველოს წინა ხელისუფლების აგრესიულ პოლიტიკას ჰყავდა მხარდამჭერები, ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც. ასე რომ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა უფრო მომგებიანია დასავლეთისთვის.

**– უცხოელი პოლიტოლოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის პასიურობის შედეგად საქართველოს ნაკლები მხარდამჭერი ეყოლება რუსეთთან დაპირისპირებაში. ეთანხმებით?**

– მოდი, ასე ვთქვათ: ჩვენ დღეს რუსეთთან დაპირისპირება გვაძლევს ხელს თუ დიალოგი?! დაპირისპირება შეიძლება, იყოს კონფრონტაციული ხასიათის, რომელსაც სამხედრო დაპირისპირებამდე მივყავართ და დაპირისპირება შეიძლება, იყოს დიალოგის სახით. ჩვენ დღეს დიალოგის ფორმატის შექმნას ვცდილობთ, რომლის დროსაც დაპირისპირება, რასაკვირველია, იქნება, მაგრამ დიალოგისას დაპირისპირება უფრო ნაკლებად სახიფათოა ჩვენი ქვეყნისთვის, ვიდრე ღია კონფრონტაციული დაპირისპირება. მე შევხვდი რუს და დასავლელ ექსპერტებს, რომლებიც იმავეს ამბობენ, რაც თქვენ იკითხეთ, მაგრამ მე მათ წინ დავუდე

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ავთო შაბურიშვილი** *(52 წლის. კერძო ბიზნესი, დუშეთი).*

**დიაგნოზი**: წელის მალების სპონდილართროზი, ქრონიკული რადიკულიტი.

– ახლა რა შედარებაა, უკეთესად ვარ. რომ მოვედი, წელში ვერ ვიმართებოდი, მიჭირდა სკამიდან წამოდგომა, ლოგინში გადატრიალება. სიარულიც მიჭირდა – სულ სკამს ვეძებდი.

ეს დიდი ხნის ამბავია, ბოლო წელიწადს კი ძალიან გამიმწვავდა. ხომ იცით საქმიანი ადამიანის ხასიათი, ექიმთან ყოველთვის „ხვალ" რომ მიდის. მერჩივნა, აქამდე მოვსულიყავი და ასეც არ გამირთულდებოდა. მაგრამ, რომ არ მეგონა, ისეთი კარგი შედეგი მივიღე. ორ დღეში წელში გავიმართე, კიდევ სამი პროცედურის შემდეგ კი ისე დავდიოდი ქალაქში, ვითომ არაფერი მტკიებია. მინდა, ძალიან დიდი მადლობა ვუთხრა ჩემს მანანა ექიმს და კლინიკის ყველა თანამშრომელს. ღმერთმა დაგლოცოთ!

**მარიეტა ჩიხლაძე** *(62 წლის, პენსიონერი. თბილისი).*

**დიაგნოზი**: ორმხრივი გონართროზი.

– ორივე მუხლი მტკიოდა, დროდადრო მისივდებოდა, თანდათან სიარულიც შემეზღუდა, სკამს მივეჯაჭვე. მუხლებს სულ ღრჭიალი გაუდიოდა, როგორც კი რამდენიმე ნაბიჯის გადადგმას მოვახერხებდი. უმოძრაობისგან წონაში მოვიმატე და ამან უფრო გამიმწვავა ტკივილები. ალექსიშვილის კლინიკაში ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მოვედი, ჩავიტარე



პროცედურა და მაშინვე ვიგრძენი რალაც შვება. მეორე დილით მუხლებს რომ დავხედე, უკვე დამცხრალიყო და ტკივილის ოდნავი ნარჩენი მქონდა. ნაბიჯები თამამად გადავდგი, ორ დღეში ხელჯოხიც გადავაგდე და მესამე დღეს ოჯახში საქმიანობაც მოვახერხე. ვიცი, რომ ეს დაავადება ქრონიკულია და მუდმივ მკურნალობას საჭიროებს, მაგრამ, რას დავეძებ, რადგან ამ კლინიკის მისამართი გავიგე და, აწი ვიცი, სად უნდა მივაკითხო.

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში", სადაც ექიმი დედა-შვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**ნინო ლომიძე** *(27 წლის, თბილისი).*

– სამი კვირის წინ ვიმშობიარე. რთული მშობიარობა მქონდა, ნაყოფი დიდი იყო – 3,500 კილოგრამი. მშობიარობის ტკივილი მონაგონია იმ ტკივილებთან, რაც მერე დამემართა. ტკივილისგან გული მიწუხდებოდა. არც ერთი გამაყუჩებელი არ მოქმედებდა. აქამდე ძლივს მოვაღწიე. ქირურგმა გამსინჯა. უზარმაზარი კვანძები მქონდა, საშინელი ტკივილები... წავილე მალამოები, დანიშნულება და იმავე დღეს მომცა კარგი შეღავათი, ტკივილის სრულად მოხსნას კი 4-5 დღე დასჭირდა.

დღეს მეორე კურსის წამლები მიმაქვს. გაცილებით უკეთ ვარ, თავისუფლად ვჯდები. მქონდა ძლიერი შეკრულობა და ისიც მომეხსნა. დაუჯერებლად კარგი ეფექტი მივიღე, უსწრაფესი. ახლა მშვიდად ვარ. გლოცავთ, მანანა ექიმო, გაიხარეთ!

**დათო უგრეხელიძე** *(34 წლის, ინჟინერი. რუსთავი).*

**დიაგნოზი**: ანალური ნაპრალი (მწვავე).

– დიდი ხანია, ყრუ ტკივილები მაწუხებდა, მაგრამ, ყურადღებას არ ვაქცევდი, თანაც, მერიდებოდა ექიმთან გასასინჯად მისვლა. ბოლოს იმდენად გამიმწვავდა ტკივილი, რომ თვითონ მიმიყვანა ექიმთან. პროქტოლოგის გასინჯვით დამიდგინდა მწვავე ანალური ნაპრალი შეკრულობის ნიადაგზე.

მანანა ექიმმა ორივე პრობლემაზე ერთდროულად დამიწყო მკურნალობა. იყო მალამოები, მცენარეული წვეთები, ნახარშები. ძალიან კარგი შედეგი მივიღე. პირველივე 10-დღიან კურსში მომიწესრიგდა კოლიტი და ტკივილები ასი პროცენტით მომეხსნა. თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან მადლობას ვუხდი მანანა ექიმს ოპერატიული დახმარებისთვის. ის რომ არა, ოპერაცია გარანტირებული მქონდა.

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

---

საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ შექმნილი დოკუმენტები, რომლებშიც ისინი კატეგორიულად ითხოვენ საქართველოს ხელისუფლებისგან რუსეთთან მდგომარეობის განმუხტვას. რადგან არსებობს ასეთი ტიპის რეკომენდაციები, ჩვენ იძულებულნი ვართ, ამ რეკომენდაციებს მივდიოთ, იმას გარდა, რომ ეს ჩვენი დღევანდელი აუცილებლობაა.

**– მაგალითად, აბრაამ შმულევიჩი აცხადებს, რომ ასეთი რბილი საგარეო კურსის შედეგად შესაძლოა, გაიზარდოს იმ სახელმწიფოების რიცხვი, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობას. არის ეს საფრთხე?**

– არა, თუ ჩვენ მოვახერხეთ რუსეთთან დიალოგის რეჟიმში შესვლა და ამ დიალოგს მიეცა პერმანენტული და ნაკლებად მძაფრი სახე, რუსეთისთვის წამგებიანიც შეიძლება, იყოს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" აღიარების პოლიტიკა, რადგან, რომ არა რუსეთი, არც ერთი ქვეყანა, რომელმაც ისინი აღიარა, ამ რეგიონების ამღიარებელი არ იყო. თუ ჩვენ მოვახერხეთ რუსეთთან მოლაპარაკება, რომ აღიარების ფორსირება აღარ მოახდინოს, მაშინ უცხოელი ექსპერტების ეს ნააზრევიც საფუძველმოკლებული იქნება.

**– ოკუპანტი ქვეყნის სტატუსი დიდ და სამართლიან დისკომფორტს უქმნის რუსეთს და, თუ საქართველო შეძლებს კონსტრუქციულ რეჟიმში რუსეთთან მოლაპარაკების წარმართვას, მაშინ სხვა ქვეყნებმა რატომ უნდა გაალიზიანონ რუსეთი ოკუპანტად მისი მოხსენიებით?**

– მე საქართველოს ხელისუფლებას ვურჩევდი, რომ რუსეთისთვის ოკუპანტის სტატუსის მოხსნისგან თავი შეიკავოს, თუკი არ გამოჩნდება ხვალინდელი დღის კონტურები, ვიდრე არ გამოჩნდება ურთიერთობის დათბობის ტენდენცია. გეოპოლიტიკაში, ისევე, როგორც ბაზარში, მოსულა ვაჭრობა: მე გიკეთებ ამას, შენ მიკეთებ – ამას. თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პერსპექტივა არ გამოჩნდა, ოკუპანტის სტატუსის მოხსნაზე არანაირი ლაპარაკი არც შეიძლება იყოს. ხოლო, თუ რაღაც ეტაპზე დავინახავთ, რომ შეგვიძლია მოლაპარაკება, ტერმინი „ოკუპირებული" შეიძლება, შევცვალოთ „დაკავებული ტერიტორიებით" ან სხვა ამგვარი ტერმინით, რომელსაც ასეთ შემთხვევაში იყენებენ ხოლმე. შევცვალოთ, მაგალითად, იმ ტერმინით, რასაც იყენებს სამხრეთ კვიპროსი ჩრდილოეთ კვიპროსთან მიმართებაში.

შეიძლება, ოპონენტმა მითხრას, რომ ამდენი წელია, ჩრდილოეთ კვიპროსის სტატუსი არ შეცვლილაო და, რა თქმა უნდა, ჩრდილოეთ კვიპროსი ჩვენთვის მაგალითია, მაგრამ, იმავდროულად, არსებობს ჩრდილოეთ ირლანდიაც, სადაც კონფლიქტი ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. ოფიციალური ლონდონი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კონფრონტაცია შემცირდეს და თავისი გავლენების წყალობით გააერთიანოს ირლანდია. დღეს ოფიციალური ლონდონი ძალიან დიდი საფრთხის წინაშე დგას: ხვალ თუ ზეგ შოტლანდიამ შეიძლება, გამოაცხადოს დამოუკიდებლობა, ამიტომ ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანება დანარჩენ ირლანდიასთან, შოტლანდიელი სეპარატისტებისთვის იქნება საკადრისი პასუხი. ასე რომ, დღეს, რაც უნდა პარადოქსული იყოს, ლონდონისთვის ერთადერთი გამოსავალია ჩრდილოეთ ირლანდიის მიერთება დანარჩენ ირლანდიასთან, თუმცა ამას წინააღმდეგობას უწევს ჩრდილოეთირლანდიური პროტესტანტული პარტიების ერთი ნაწილი.

**– პუტინის გამონათქვამი, რომ არ არსებობდა არანაირი საქართველო, იყო თბილისის გუბერნია და ეს იყო კარგიო, როგორ გაიგეთ?**

– ეს ძალიან გამაღიზიანებელი ფრაზა იყო და წინა ნათქვამი გადაფარა, ვიფიქროთ აღიარებული ტერიტორიების სტატუსზეო. მაგრამ, მოდი, მივუდგეთ ამას ფსიქოლოგიურად: ტუინმა საშინელი დარტყმა მიაყენა თავის მოკავშირეებს ცხინვალსა და სოხუმში, რაღაცით ხომ უნდა გადაეფარა ეს და ამიტომ თქვა, ის, რაც თქვა. გარდა ამისა, რამდენიმე დღის წინათ გამოვიდა მილიარდერი პროხოროვი და თქვა: რუსეთი უნდა გახდეს უნიტარული სახელმწიფო. უნდა მოიშალოს რესპუბლიკები და ნაციონალური წარმონაქმნები. პროხოროვს გაახმოვანებინეს ის, რასაც ფიქრობს კრემლი. იგივე გამოიხატა პუტინის ფრაზაშიც: დარწმუნებული ვარ, თბილისის გუბერნიის ხსენება ეხება არა თბილისს, არამედ რუსეთის ფედერაციის ნაციონალურ წარმონაქმნებს. მშვიდად უნდა შევხედოთ პროცესებს, რადგან არ გვჭირდება ზედმეტი ნერვიულობა, მაგრამ გვჭირდება ზედმეტი პროფესიონალიზმი. ზურაბ აბაშიძე გამოცდილი დიპლომატია, მაგრამ ის არის მარტო. უნდა შეიქმნას ძალიან სერიოზული ჯგუფი, რომელიც მრავალპლანიან მუშაობას აწარმოებს რუსეთთან. ყოველთვის ვამბობდი, რომ რუსეთის „დუმაში" უნდა შეგვექმნა ლობისტური ჯგუფი, რომელიც საქართველოსთვის იმუშავებდა. მით უფრო, რომ ამის გაკეთების საშუალებას კანონიც გვაძლევს. ლობისტური ჯგუფების გარეშე შედეგს ვერ მივაღწევთ, იმიტომ რომ ლობისტური ჯგუფები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკური ამინდის შექმნაში.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094



ზარი ფასიანია



**მეც მაქვს შევარდნაძისადმი პრეტენზიები. ძალიან ბევრი უბედურება, რაც ამ ქვეყანაში ხდებოდა და დღესაც ხდება მის კისერზეა, მაგრამ მე არ მინდა, მას იმაზე მეტი ავკიდო, ვიდრე იმსახურებს**

**ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა, წესით, 2013 წლის ბოლოს უნდა იყოს მზად ექსპლუატაციისთვის, 2014 წლის გაზაფხულიდან კი მთელი დატვირთვით უნდა ამოქმედდეს. მის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ საქართველოზე გამავალი სამხრეთ კავკასიური დერეფნის კიდევ ერთი განშტოება იქნება, რასაც გეოპოლიტიკური დატვირთვა აქვს, რადგან აძლიერებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ იმ გზას, რომელიც რუსეთს გვერდს უვლის. ჩვენს საზოგადოებას არასდროს უმსჯელია ახალი სარკინიგზო ხაზის ეკონომიკურ მხარეზე (პოლიტიკურის პლუსი ისედაც აშკარაა), გია ხუხაშვილთან ერთად სწორედ ამ საკითხს განვიხილავთ.**

# რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს საქართველოსთვის ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის ამოქმედებას და გაუწევს თუ არა ქართული რკინიგზა ქართულივე პორტებს კონკურენციას

**– როგორია, ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველოსთვის ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის დადებითი და უარყოფითი მხარეები, იმას გარდა, რომ, როგორც პრეზიდენტი ამბობდა, ორ დღე-ღამეში ვიქნებით ლონდონში?**

– ამ სარკინიგზო ხაზს რამდენიმე ასპექტი აქვს. ცოტა შორიდან დავიწყოთ: საქართველოს ერთადერთი გეოპოლიტიკური ფუნქციაა, რომ არის შემაერთებელი კვანძი აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის. ეს არის თემა, რითაც ჩვენ საინტერესო ვართ გარე სამყაროსთვის. აქედან გამომდინარეა მნიშვნელოვანი დერეფნის ეს ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით, ენერგომატარებლების მხრივ. ახალი სარკინიგზო ხაზი აძლიერებს ამ ფუნქციას და ეს საინტერესოა, რადგან აძლიერებს ჩვენს ინტეგრაციას გლობალურ სივრცეში, ასევე, რეგიონული გაგებით, ღრმავდება პარტნიორობა აზერბაჯანთან თუ თურქეთთან. ეს არის პოლიტიკური ასპექტი, რაც უდავოდ, მნიშვნელოვანია, თორემ ის, რომ ვიღაც პეკინში ჩაჯდება მატარებელში და ლონდონამდე ჩავა, რასაკვირველია, არასერიოზული არგუმენტია, იმიტომ რომ ოცდამეერთე საუკუნეში ასეთი ადამიანები აღარ არიან.

**– ისინი დაფრინავენ.**

– დიახ, მაგრამ ამ სარკინიგზო ხაზს აქვს ეკონომიკური ასპექტებიც. დერეფნის განვითარების პოტენციალი საკმაოდ მაღალია: შესაძლებელია ახალი ტვირთების მოზიდვა, რაც მოგვცემს საშუალებას გავაძლიეროთ ჩვენი ეკონომიკური პოტენციალი, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ დერეფანში არიან სხვა მოთამაშეებიც.

**– შეიძლება, რომ ჩვენს ტერიტორიაზე ამ ახალი სარკინიგზო ხაზით ჩვენივე თავის კონკურენტები აღმოვჩნდეთ?**

– თუ ტვირთბრუნვა არ გაიზარდა, ეს გარკვეულ რისკებს გამოიწვევს საქართველოში, რადგან, მოგეხსენებათ, დღეს ძირითად შემოსავალს ვიღებთ სატრანზიტო ტვირთებით. ეს ტვირთები გარდაბნიდან მიემართება ფოთი-ბათუმის მიმართულებით, იქ იტვირთება გემზე და გემებით გადის სხვა ქვეყნებში. მარტივად რომ ვთქვათ, ამ გზით შოულობს ფულს საქართველოს რკინიგზაც. ისიც მნიშვნელოვან მოგებას იღებს ამ გადაზიდვებით და პორტებიც. ამ ახალი ხაზის გახსნით, თუ ახალი ტვირთები არ მოვიზიდეთ, შესაძლოა, გაიყოს ჩვენივე ტვირთბრუნვა და ტვირთების გარკვეულმა რაოდენობამ გადაინაცვლოს ახალ მიმართულებაზე, რაც ბუნებრივად გამოიწვევს ჩვენს პორტებში ტვირთბრუნვის შემცირებას. პორტები დაკარაგვენ საკმაოდ დიდ შემოსავალს და ვერც რკინიგზა ნახავს მოგებას. თან, ეს ახალი სარკინიგზო მიმართულება კრედიტით შენდება და იქიდან მიღებული შემოსავლები ამ კრედიტის დაფარვას უნდა მოემსახუროს. შესაბამისად, რკინიგზის მოგებაც მცირდება. შესაბამისად, შესაძლოა, მივიღოთ სურათი, როდესაც რკინიგზაც დაკარგავს შემოსავალს და პორტებიც. გარდა ამ პირდაპირი ეკონომიკური ზარალისა, შეიძლება, მივიღოთ გარკვეული სოციალური რისკებიც: დაიკარგოს სამუშაო ადგილები და ასე შემდეგ. ასეთი ტიპის თეორიული რისკიც არსებობს, ამიტომაც გაისმა ყარსი-ახალქალაქთან დაკავშირებით კრიტიკა, თუმცა, თუ ეს ხაზი იმუშავებს ახალმოზიდული ტვირთების ხარჯზე და არსებულ დერეფანში არსებული ტვირთბრუნვა არ შემცირდება, შეიძლება, არანაირი პრობლემა არ გაჩნდეს.

**– მათთვის, ვინც დღესაც იყენებს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას, უფრო მომგებიანი ახალი ხაზით სარგებლობაა თუ ძველით?**

– თუ ტვირთები თურქეთში მიდის, ბუნებრივია, თურქეთისთვის უფრო მომგებიანია სახმელეთო გზით რკინიგზით ტვირთების მიტანა, ეს ბევრად უფრო იაფიც დაჯდება. არ არის გამორიცხული, თურქული სტრატეგიიდან გამომდინარე, სხვადასხვა სტიმულები შეიქმნას, რომ თურქეთის ტვირთები მაინც ყარსი-ახალქალაქისკენ გადამისამართდეს და იქიდან მიეწოდოს მომხმარებელსა თუ მიმწოდებელს. ასე რომ, ეს რისკები არსებობს. მე არ ვამბობ, რომ ვითარება დრამატულია და არასდროს არც დამდგარა პროექტის შეჩერების საკითხი, რადგან პროექტის პოლიტიკური ფასი ძალიან მაღალია. ამდენად, უნდა განვავითაროთ ეს პროექტი, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ: ამ პროექტში ძირითადი ინტერესი აქვს თურქულ მხარეს.

## რუსული პოლიტიკა ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ენერგორესურსებთან მიმართებაში ასეთია: ყველა გზა უნდა იყოს ჩაკეტილი და მხოლოდ რუსეთი უნდა ატარებდეს ენერგომატარებლებს

**– მატერიალურ ინტერესს გულისხმობთ?**

– მატერიალურს და შესაძლოა, პოლიტიკურსაც, რაც ბუნებრივია. აზერბაიჯანისთვის, მინიმუმ, სულერთია, იმიტომ რომ ეს ტვირთები აზერბაიჯანის ტერიტორიას ნებისმიერ შემთხვევაში გადის და ისინი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება, გაიყოს. ანუ აზერბაიჯანის რისკი არის ნულოვანი. ერთადერთი, ვინც რისკავს ამ პროექტით, არის საქართველო.

**– პროექტის პოლიტიკური ფასი ღირს მატერიალურ რისკად?**

– თუ ჩვენ დავკარგეთ ტვირთები ფოთსა და ბათუმში, სათუოა, ღირდეს, გააჩნია, რამდენს დავკარგავთ. მაგრამ ჩვენ დიდი იმედი გვაქვს და ჩვენი პარტნიორებიც გვპირდებიან, რომ ასეთი მძიმე სურათი არ შეიქმნება: იქნება დამატებითი ტვირთები და ჩვენი პორტები არ დაზარალდება. საქმე ის არის, რომ თავის დროზე, როდესაც კონტრაქტს მოეწერა ხელი, საჭირო იყო საქართველოს რისკების დაზღვევა. მეორე მხრივ, სარკინიგზო ხაზის ასაშენებლად აღებული კრედიტი რკინიგზის შემოსავლებიდანაა დასაფარი და, თუკი ამ პროექტის ძირითადი ინტერესი აქვს თურქეთს და შემდეგ – აზერბაიჯანს, მაშინ შეიძლებოდა, მათ ჩაედოთ რეალური ინვესტიციები და საქართველოს არ ეტვირთა ამ პროექტის განხორციელების მთელი ეკონომიკური მხარე. ამაზეა საუბარი. ეს არ არის პოლემიკის და მეგობრებს შორის გარჩევის საგანი. ჩვენ ჩვენს მეგობრებთან, რომლებიც ძალიან გაგებით ეკიდებიან ამ მოსაზრებას, უნდა ვიმუშაოთ იმაზე, თუ როგორ დავაზღვიოთ ასეთი ტიპის რისკები. კარგი იქნებოდა, ეს პროექტის დაწყებამდე გაკეთებულიყო, მაგრამ, რადგან დღეს ასეთი ვითარებაა შექმნილი, უნდა ვეცადოთ, მეტი ვიმუშაოთ რისკების შესამცირებლად.

**– ხელშეკრულების გადახედვა შეუძლებელია, მაშინ რისკები როგორ უნდა შევამციროთ?**

– ხელშეკრულება გლობალურად არც უნდა გადაიხედოს, მაგრამ შესაძლოა, გამოვნახოთ მექანიზმები, როგორ შეიძლება დანაკარგების კომპენსირება. მეორე მხრივ, უფრო მეტი მარკეტინგული სამუშაო უნდა ჩატარდეს: რა ახალი ტვირთების მოზიდვა შეგვიძლია. ჩვენ, უპირველესად, ვმუშაობთ აზერბაიჯანულ მხარესთან და თურქულ მხარესთანაც გვექნება საუბრები, რომ ყველაფერი განვითარდეს საუკეთესო სცენარით და დაბალანსებული იყოს სამივე მხარის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ინტერესი და არ მოხდეს ისე, რომ ერთ-ერთი მხარე დაიჩაგროს.

**– ოღონდ პროექტის განხორციელებას ეს ხელს არ შეუშლის?**

– პროექტის შეჩერების საკითხი არც განხილულა და არც არავინ უნდა განიხილოს.

**– როგორც მახსოვს, თავის დროზე, ამერიკის შეერთებული შტატები წინააღმდეგი იყო ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის აშენების და ჩვენ მათ გარეშე დავიწყეთ ეს პროექტი.**

– მაშინ უფრო სხვა აქცენტები დაისვა: ლაპარაკი იყო სომხეთის ჩართულობაზე, რაკი ეს რეგიონული პროექტი იქნებოდა. სომხები იყვნენ წინააღმდეგნი და ამასთან დაკავშირებით კითხვებს სვამდნენ ამერიკელებიც, იმიტომ რომ ასეთი ტიპის პროექტები უფრო წახალისებულია მაშინ, როდესაც რეგიონის ყველა ქვეყანა იღებს მონაწილეობას. სომხეთი ამის მიღმა დარჩა და არ უნდა გაუკვირდეს, რადგან, როდესაც სამი

მოთამაშიდან ორთან პრობლემები გვაქვს, სხვანაირად ვერც იქნება. მე ამ პროექტის დაწყებამდეც ვწერდი რისკებზე, მაგრამ ჩვენი ყოფილი ხელისუფალი არასდროს ფიქრობდა სახელმწიფო ინტერესების დაცვაზე, აინტერესებდა ლენტის გაჭრა და მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ პეკინში ჩაჯდებოდა მატარებელში და ლონდონში ამოყოფდა თავს, ანუ ფიარის ელემენტი იყო მთავარი.

**– იგივე სურათი გვაქვს შევარდნაძის მმართველობისასაც: ძალიან მწირადაა გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკური ინტერესი მილსადენების უკვე მოქმედ პროექტებში.**

– რა თქმა უნდა, საკმაოდ წამგებიანი პირობებია დღეს საქართველოსთვის, მაგრამ მაშინ სხვა რეალობა იყო. მაშინ ნავთობი ძალიან იაფი ღირდა, მაგრამ დღევანდელი რეალობით, ის შემოსავალი, რაც გვაქვს ნავთობსადენიდან, სასაცილოა: მაშინ 15-20 დოლარი ღირდა ბარელი ნავთობი, დღეს – 100 დოლარს აჭარბებს. თავის დროზე, ეს უნდა გაეთვალისწინებინათ და პროცენტის სახით მომხდარიყო ანაზღაურება. მე ვფიქრობ, შესაძლებელი იყო, ჩადებულიყო ტრანზიტის ტარიფების გადახედვის მექანიზმი, თუმცა მე მაინც არ მინდა, ბოლომდე გავამტყუნო შევარდნაძე, იმიტომ რომ მაშინ ამ პროექტის პოლიტიკური ფასი ძალიან მაღალი იყო: ეს იყო სამხრეთ კავკასიური ხაზის გახსნის პირველი მცდელობა, ანუ საქართველოსთვის ფუნქციის შეძენის მცდელობა. სწორედ ამ პროექტის შემდეგ შევიძინეთ ფუნქცია. ამის შემდეგ განხორციელდა შაჰ-დენიზის პროექტი, რამაც დასავლეთში ცხოველი ინტერესი გააჩინა საქართველო-აზერბაიჯანის კვანძის მიმართ. შეცდომა იყო დაშვებული, თუმცა მე შემიძლია, ადამიანურად ავხსნა ამ შეცდომის ანატომია. შევარდნაძე მოხუცი ადამიანია.

**– მაგრამ, სანამ მოხუცდებოდა, ის ახალგაზრდა და ენერგიული იყო და ჩვენც სწორედ მის იმდროინდელ ნამოქმედარზე ვსაუბრობთ.**

– მეც მაქვს მისადმი პრეტენზიები. ძალიან ბევრი უბედურება, რაც ამ ქვეყანაში ხდებოდა და დღესაც ხდება მის კისერზეა, მაგრამ მე არ მინდა, მას იმაზე მეტი ავკიდო, ვიდრე იმსახურებს.

**– უცხოელი პოლიტოლოგების ნაწილი ამბობს, რომ კითხვის ნიშნების დასმა ყარს-ახალქალაქის რკინიგზისადმი, რუსული ინტერესია, თუმცა პირადად მე არ მესმის, რატომ უნდა იყოს საქართველო წამგებიან მდგომარეობაში, გინდა, ყარს-ახალქალაქის პროექტი იყოს და გინდა – სხვა რომელიმე. ყარს-ახალქალაქის გახსნა აზიანებს რუსულ ინტერესს თუ პირიქით?**

– მე ვერ ვიტყვი, რომ ეს ცალსახად რუსეთის ინტერესის საწინააღმდეგო პროექტია. რა თქმა უნდა, სამხრეთ კავკასიური დერეფანი რუსეთის სტრატეგიული ინტერესის საწინააღმდეგოა, მაგრამ, მეორე მხრივ, ნახეთ, რა ხდება: ამ რკინიგზით რუსეთს ეხსნება პირდაპირი სახმელეთო გზა თურქეთისკენ.

**– აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით.**

– დიახ, თუ ჩვენ რუსეთთან ურთიერთობას დავალაგებთ, ამ რკინიგზით რუსულ პროდუქტს გაეხსნება პირდაპირი გზა თურქეთში მოსახვედრად, თან, სახმელეთო, რაც ბევრად იაფია. რუსეთს აქვს შახტების შენახვის პრობლემა, თურქეთი კი ნახშირის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომხმარებელია. ასე რომ, რამდენიმე მილიონი ტონა მხოლოდ ნახშირი შეიძლება, გადადიოდეს ამ გზით. იგივე საკმაოდ მაღალია სავაჭრო აქტივობა თურქეთიდან რუსეთის მიმართულებით და ეკონომიკურად ეს გზა რუსეთისთვის შეიძლება, გახდეს ძალიან მნიშვნელოვანი. როდესაც რისკების შემცირებაზე ვსაუბრობ, რომ არ შემცირდეს ტვირთბრუნვა ფოთისა და ბათუმის პორტებში, სწორედ რუსეთის იმედი მაქვს.

**– მხოლოდ რუსეთიდან თურქეთზე მიმავალი ტვირთებითაა შესაძლებელი ყარს-ახალქალაქის დატვირთვა? კიდევ ვისი მოზიდვა შეიძლება?**

– დიახ, ურალიდან პირდაპირი სახმელეთო გზის გაჭრა რუსეთ-თურქეთს შორის ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენც ძალიან დაგვეხმარება, რომ ფოთი და ბათუმი არ დარჩეს უფუნქციოდ.

**– რუსეთისთვის ამ რკინიგზის პოლიტიკური მინუსი რა არის?**

– ამ პროექტით და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიური მიმართულებით რომ მხოლოდ რუსული პროდუქტი გადაიზიდებოდეს, რუსეთისთვის ეს არ იქნება დანაკარგი, მაგრამ ამ გზით, კასპიის ზღვის გავლით, შეიძლება, ცენტრალურ აზიას გაუძლიერდეს პირდაპირ გასასვლელი ევროპისკენ რუსეთის გვერდის ავლით. რუსული პოლიტიკა ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ენერგორესურსებთან მიმართებაში ასეთია: ყველა გზა უნდა იყოს ჩაკეტილი და მხოლოდ რუსეთი უნდა ატარებდეს ენერგომატარებლებს. ამით რუსეთი, ერთი მხრივ, აკონტროლებს ენერგომატარებლების მოპოვებას ცენტრალურ აზიაში და, მეორე მხრივ, აკონტროლებს, მათ შორის, პოლიტიკურად ევროპულ ქვეყნებს. ის არის გაზისა და ნავთობის ექსკლუზიური მიმწოდებელი ევროპულ ბაზრებზე და, თუ გაძლიერდა ალტერნატიული გზა, რითაც ამ ყველაფრის გატანა იქნება შესაძლებელი, ეს არ არის რუსეთის არც გეოპოლიტიკური და არც ეკონომიკური ინტერესი. ასე რომ, ძალიან რთული საკითხებია და თეთრითა და შავით მსჯელობა გამორიცხულია. ეს არის დიდი თამაში, რომელიც დინამიკაში უნდა განვიხილოთ, სადაც ყველას აქვს თავისი ინტერესი, თითოეული იბრძვის თავისი ტორტის ნაჭრისთვის. ისევ ყარს-ახალქალაქის რკინიგზის პლუს-მინუსებს დავუბრუნდეთ: ვისაუბრეთ, რომ ეს პროექტი შეიძლება, იყოს ძალიან მომგებიანი და ძალიან წამგებიანიც, გააჩნია, როგორ იმუშავებს. ნებისმიერ პროექტს აქვს თავისი ბნელი და ნათელი მხარეები. კითხვებიც იმიტომ ისმება, რომ მოხდეს ოპტიმიზაცია და რისკები გავითვალისწინოთ და არა იმიტომ, რომ ცალსახად ვთქვათ, ეს პროექტი კარგია ან ცუდი.

**ნინო ხაჩიძე**

# კალეიდოსკოპი

## აღმოაჩინეს პლანეტა-ზომბი

ეგზოპლანეტა „ფორმალგაუტ b-მ“ არაერთხელ მიიპყრო ასტრონომთა ყურადღება. როგორც პლანეტა, პირველად ის 2008 წელს აღმოაჩინეს, მაგრამ, შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ფორმალგაუტი მტვრის ღრუბელია. Hublle-ის ბოლო ფოტოებმა მეცნიერები დაარწმუნა, რომ პირველი ჰიპოთეზა სწორი იყო. სწორედ იმის გამო, რომ მკვლევრები უკვე „დამარხულ“ თეორიას მიუბრუნდნენ, ამ ციურმა სხეულმა „პლანეტა-ზომბის“ სახელწოდება მიიღო.




ძნელია, ფორმალგაუტს ერთგვაროვანი ციური სხეული უწოდო. ის უჩვეულო ელიპტიკური ტრაექტორიით მოძრაობს, რაც კომეტას უფრო შეეფერება. სწორედ, ეს უცნაური ტრაექტორია აძლევს მკვლევრებს საბაბს, ივარაუდონ, რომ ის „გამოგდებულია“. ასეა თუ ისე, პლანეტამ არასახარბიელო ორბიტა აირჩია და „დაღუპვისკენ მიემართება“.

ახალგაზრდა ვარსკვლავ ფორმალგაუტზე დაკვირვება უნიკალურ შესაძლებლობას გვაძლევს, დაახლოებით ალვადგინოთ, როგორ ვითარდებოდა ჩვენი მზის სისტემა მილიარდი წლის წინ. კერძოდ კი, ასტრონომები აკვირდებიან და აფიქსირებენ, როგორ „იხატება“ ფორმალგაუტის სისტემის პლანეტური სტრუქტურა.

## სიახლე გერმანელთა შეიარაღებაში

შეიარაღების გერმანულმა მწარმოებელმა Rheinmettal-მა მაღალენერგეტიკული ლაზერი გამოსცადა. სიახლე ისაა, რომ ის ორი მოდულისგან შედგება. დამუშავებული ტექნოლოგიის დახმარებით, ერთი აღმოაჩენს მიზანს და ასხივებს, შემდეგ კი მას გადასცემს მეორე მოდულს, რომელიც ანადგურებს. გამოცდის დროს, რომელიც შვეიცარიაში, ოქსენბოდენის პოლიგონზე ჩატარდა, სისტემამ 3 კილომეტრ მანძილზე აღმოაჩინა მიზანი, შემდეგ მონაცემები გადასცა 30 კილოვატი სიმძლავრის ქვემეხს, რომელმაც დაასხივა მფრინავი აპარატის სხივი და, შედეგად, 2 კილომეტრის დაშორებით მყოფი მიზანი 2 წამში განადგურდა. ამას გარდა, მოწყობილობამ გამოავლინა უმცირესი მიზნის განადგურების უნარი – 1 კილომეტრ მანძილზე გაანადგურა ფოლადის 15-მილიმეტრიანი ღერო, ასევე, ააფეთქა წამში 50 მეტრი სიჩქარით მოძრავი 82 მილიმეტრის დიამეტრის მქონე ფოლადის სფერო. გერმანელი მწარმოებელი ამჟამად მუშაობს ამ იარაღის შემცირებულ ვარიანტზე, რათა მისი გამოყენება სახმელეთო ჯარის მეომრებმა პირდაპირ ბრძოლის ველზე შეძლონ.

## ბირთვული სოკოს უნიკალური ფოტო

იაპონიის ერთ-ერთ დაწყებით სკოლაში იპოვეს ჰიროსიმაში ჩამოვარდნილი ატომური ბომბის – ორად გაყოფილი სოკოს უნიკალური შავთეთრი ფოტო. ვარაუდობენ, რომ ქალაქის თავზე აღმართული ატომური სოკოს სურათი გადაღებულია აფეთქებიდან 30 წუთის შემდეგ, ეპიცენტრიდან 10 კილომეტრი მანძილიდან, სადაც ამერიკელებმა ბომბი „ნამცეცა“ ჩამოაგდეს. როგორც ჰიროსიმას მშვიდობის მემორიალური მუზეუმის კურატორი ამბობს, ისტორიკოსებმა იცოდნენ ამ ფოტოსურათის შესახებ, მაგრამ, მხოლოდ ახლა აღმოაჩინეს სხვა მრავალ ისტორიულ მასალასა და წიგნებს შორის, რომელიც ქალაქ ჰიროსიმას სკოლის დირექტორს, ხონკავას ეკუთვნოდა.



იაპონურ ქალაქებში – ჰიროსიმასა და ნაგასაკიში 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ამერიკელებმა ჩამოყარეს ატომური ბომბები – „ნამცეცა“ და „მსუქანა“, რის შედეგადაც ჰიროსიმაში დაიღუპა 140 ათასი ადამიანი, ნაგასაკიში კი – 70 ათასი.

**მოამზადა**
**ლაშა გაგელიამ**



# რა შემთხვევაში აირჩევდა მომღერლის კარიერას ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი და რამდენი მკითხველი ჰყავს მის ბლოგს „ტვიტერზე”

***ამბობენ, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია და კომაში იმყოფება, არაოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით კი ვრცელდება ინფორმაცია, რომ იგი სულ მალე გააკეთებს განცხადებას და ქვეყნის მართვის სადავეებს თავის თანაგუნდელებს გადასცემს. საუბარია ვენესუელის პრეზიდენტ უგო ჩავესზე, რომელიც უკანასკნელი რამდენიმე წელია, ონკოლოგიურ დაავადებას ებრძვის. სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ქარიზმატული პრეზიდენტის, დასავლურ მედიაში დიქტატორად წოდებული უგო ჩავესის მიმართ ინტერესი მსოფლიო საზოგადოების მხრიდან მუდამ არსებობს და გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს ამ ოდიოზური პოლიტიკური ლიდერის ცხოვრებიდან.***

* უგო რაფაელ ჩავეს ფრიასი დაიბადა 1954 წლის 28 ივლისს, ქალაქ საბანეტაში. მამა – უგო დე ლოს რეიეს ჩავესი, აფრო-ინდურ-ესპანური წარმომავლობის იყო; დედა – ელენა ფრიას დე ჩავესი – კრეოლი. მისი ერთ-ერთი წინაპარი დედის მხრიდან 1859-1863 წლების ვენესუელის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე გახლდათ ლიბერალების მხრიდან და პირადად იცნობდა სახალხო ბელად იზეკილ სამორას. უგოს დედის ოცნება იყო, მისი შვილი მღვდელი გამოსულიყო, თავად უგო კი ბეისბოლისტის პროფესიულ კარიერაზე ოცნებობდა. ბეისბოლით უგო ჩავესი დღემდეა გატაცებული.

* უგო ჩავესი საჰაერო-სადესანტო სამხედრო დანაყოფში მსახურობდა და მისი ცნობილი წითელი ბერეტი მას სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ მუდამ თან აქვს.

* უგო ჩავესი ცნობილია საზოგადოებაში სკანდალური ქცევებით. კარაკასში მიმდინარე ლათინურ-ამერიკული ქვეყნების ლიდერების სამიტზე ბოლივიის პრეზიდენტმა ევო მორალესმა სახალხოდ განაცხადა, რომ აპირებს კოკაინის ხის ფოთლების გაყიდვის ლეგალიზებას. ცნობილია, რომ კოკაინის ხის ფოთლებიდან ნარკოტიკული საშუალება კოკაინი მზადდება. ამასთან დაკავშირებით, ჩავესმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს მორალესის ინიციატივას, სახალხოდ ჩაიდო პირში კოკაინის ფოთლები და ღეჭვა დაიწყო. ვენესუელურმა ოპოზიციამ დაუყოვნებლივ მოითხოვა, პრეზიდენტს ტესტი გაევლო ნარკოტიკებზე, რაზეც ჩავესმა უპასუხა, რომ კოკაინის ფოთლებს ყოველ დილით ღეჭავს ტონუსის მომატების მიზნით და მის ამ ჩვევას არანაირი კავშირი არ აქვს ნარკომანიასთან. ცნობისთვის, კოკაინის ხის ფოთლებს ანდებში მცხოვრები ერები ტონუსის მომატების მიზნით გამოიყენებენ, ვინაიდან ის კლავს შიმშილის გრძნობას და ხსნის დაღლილობას.

* 1992 წელს, ციხეში ყოფნის პერიოდში, უგო ჩავესის მიერ დახატული ფერწერული ტილო „იარეს მთვარე” კარაკასში გამართულ საქველმოქმედო აუქციონზე 255 ათას დოლარად გაიყიდა. ტილო შეიძინა ჩავესის თანამებრძოლმა ვენესუელის გაერთიანებული სოციალისტური პარტიიდან, იროსიმა ბრავომ. შეგახსენებთ, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში უგო ჩავესი ვენესუელაში სამხედრო გადატრიალების ორგანიზების გამო იყო დაპატიმრებული.

* წიგნი, რომელიც ვენესუელის ლიდერმა ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას აჩუქა, სულ რაღაც, ორ დღეში მსოფლიო დონის ბესთსელერად იქცა. ურუგვაელი ავტორის ედუარდო გალეანოს „ლათინური ამერიკის ვენების გადახსნა: ხუთასწლიანი მოროდიორობა” ინტერნეტმაღაზია amazon.com 54 295-ე ადგილზე იმყოფებოდა, ხოლო ობამასთვის ჩუქების შემდეგ მე-2 პოზიციაზე დამკვიდრდა და მასზე მოთხოვნა მსოფლიოს ხუთივე კონტინენტიდან გაიზარდა. რამდენიმე დღის შემდეგ ჩავესმა კიდევ ერთი საჩუქარი გაუკეთა ობამას და ვენესუელის მთავრობის საკუთრებაში მყოფი, ნიუ-ჯერსის შტატში მდებარე 214 ჰექტარი მიწის ფართობის მქონე კუნძული ამერიკის შეერთებულ შტატებს გადასცა.

* უგო ჩავესი ყველაზე ცნობილი ლათინოამერიკელი ტელეწამყვანია. მისი საავტორო გადაცემა „ალო, პრეზიდენტო!” 1999 წლიდან გადის ეთერში და მილიონობით მაყურებელი ჰყავს. 2007 წლიდან გადაცემა ყოველდღიური გახდა და მისი სტუმრები მინისტრები და ვენესუელის უბრალო მოქალაქეები არიან, რომლებთან ერთადაც ჩავესი მიმდინარე პრობლემებს იხილავს. გადაცემა ნახევარსაათიანი ფორმატისაა, მაგრამ, ყოფილა შემთხვევა, რომ ჩავესს 7 საათის განმავლობაში უსაუბრია პირდაპირ ეთერში, შესვენების გარეშე. თუმცა, არც ეს არის რეკორდი. ყველაზე მეტხანს პირდაპირ ეთერში უგო ჩავესმა 2007 წლის სექტემბერში ილაპარაკა – იგი შეუჩერებლად, 8 საათისა და 6 წუთის განმავლობაში მიმართავდა თავის მოსახლეობას. ჩავესი მხოლოდ ყავის დალევის დროს ჩერდებოდა, ისიც რამდენიმე წუთით და კვლავ განაგრძობდა საუბარს.

* ლეგენდარულ არგენტინელ ფეხბურთელს, დიეგო მარადონას, არაერთხელ აქვს აღნიშნული, რომ დიდი სიამოვნებით გაიკეთებდა ტატუირებას უგო ჩავესის გამოსახულებით. მარადონა ცნობილია, როგორც მემარცხენე პოლიტიკოსების მხარდამჭერი და ის დიდი ხანია, მეგობრობს ფიდელ კასტროსთან, რომლის ტატუ მარცხენა ფეხზე აქვს გაკეთებული. სხვათა შორის, უგო ჩავესის ნახვა შეიძლება ემირ კუსტურიცას მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში – „მარადონა”.

* სუპერმოდელი ნაომი ქემპბელი, ჟურნალ GQ-ს დაკვეთით, ცნობილ სპორტსმენებთან, კულტურის მოღვაწეებთან და პოლიტიკოსებთან ამზადებდა ინტერვიუებს და მისი რესპონდენტების რიცხვში უგო ჩავესიც მოხვდა. ინტერვიუმ საინტერესო ვითარებაში ჩაიარა, რომლის განმავლობაშიც ჩავესი ბევრს ხუმრობდა. ინტერვიუდან ცნობილი გახდა, რომ ჩავესი ბრიტანული პოპ-ჯგუფის – „სფაის გერლზის” მსმენელი იყო, ის, ასევე, პირადად იცნობს ბრიტანულ სამეფო ოჯახს და, მიუხედავად იმისა, რომ კამილა პარკერი მასში გაცილებით ნაკლებ სიმპათიას იწვევს, ვიდრე პრინცესა დაიანა, მას პრინცი ჩარლზი გაწონასწორებულ და სიმპათიურ ადამიანად მიაჩნია. ნაომიმ ჰკითხა ჩავესს, თუ გარისკავდა ის, ვლადიმირ პუტინის მსგავსად, წელზემოთ შიშველს გადაეღო ფოტოსურათები, რაზეც პოლიტიკოსმა უპასუხა: „სიამოვნებით, რატომაც არა”.



ინტერვიუს ბოლოს ჩავესმა აღნიშნა, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ის არ იქნებოდა ქვეყნის პრეზიდენტი, მომღერლის კარიერას აირჩევდა და ცნობილი ლათინოამერიკელი შემსრულებელი გახდებოდა.

* უგო ჩავესი, გარდა იმისა, რომ ვენესუელის პრეზიდენტი და ლიდერია, არის, ასევე, ნაციონალური ვენესუელური სიმღერების პოპულარული შემსრულებელი. პრეზიდენტს რამდენიმე ალბომი აქვს ჩაწერილი და დისკები სრულიად უფასოდ ვრცელდება მოსახლეობაში. ჯერჯერობით მისი უკანასკნელი ალბომი – „კანსიონეს დე სიემპრე” – 50-ათასიანი ტირაჟით გამოვიდა და მასში შესულია 18 სიმღერა. საინტერესოა, რომ ბოლო ალბომში ჩავესმა ტრადიციულ ლათინურ-ამერიკულ სტილს უღალატა და სიმღერები რეპის, როკის, სალსასა და მერენგას სტილში ჩაწერა.

* უგო ჩავესი ორჯერ იყო დაქორწინებული. პირველ მეუღლეს, ნენსი კოლმანერესს, ის 1992 წელს გაშორდა, მეორე მეუღლეს – მარისაბელ როდრიგეს ოროლესას კი – 2002 წელს. ორი ქორწინებიდან უგო ჩავესს ხუთი შვილი ჰყავს: როსა ვირჰინია, მარია გაბრიელი, უგო რაფაელი, რაულ ალფონსო და როსინესი.

* უგო ჩავესი „ტვიტერის” მიკრობლოგის მომხმარებელია და სტატიის დაწერის მომენტისთვის მას 3,87 მილიონი ადამიანი კითხულობს. სწორედ უგო ჩავესის რჩევით, საკუთარი ბლოგები „ტვიტერზე” ფიდელ კასტრომ და ბოლივიის პრეზიდენტმა ევო მორალესმა გახსნეს.

* ცნობილი ფაქტია, რომ უგო ჩავესის კერპია სიმონ ბოლივარი. მის პატივსაცემად ჩავესმა ოფიციალური სახელწოდება შეუცვალა ვენესუელას და „ვენესუელის ბოლივარიული რესპუბლიკა” უწოდა. ჩავესის ინიციატივით, 2007 წელს სიმონ ბოლივარის სიკვდილის მიზეზის დადგენა დაიწყო და საბოლოოდ გაირკვა, რომ 1830 წელს გარდაცვლილი ბოლივარის სიკვდილის მიზეზი მკვლელობა იყო. სიმონ ბოლივარი კარაკასში მდებარე ნაციონალურ პანთეონშია დაკრძალული და მისთვის მავზოლეუმის აგება ჩავესის მთავრობას 28 მილიონამდე დოლარი დაუჯდა.

**უშანგი რუხაძე**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

**კომპანია „ნატახტარმა" ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის OHSAS 18001:2007 სერტიფიკაცია წარმატებით გაიარა. OHSAS-ის სტანდარტების დანერგვა კომპანიაში უსაფრთხო სამუშაო გარემოსა და სამუშაო რისკების შემცირებას უზრუნველყოფს. „ნატახტარი" პირველი კომპანიაა საქართველოში, რომელმაც ამ სტანდარტის დამადასტურებელი სერტიფიკატი მიიღო.**

**ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის მთავარი ამოცანაა, საშუალება მისცეს ორგანიზაციას, გააკონტროლოს ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების რისკები და გააუმჯობესოს არსებული მდგომარეობა.**

**OHSAS 18001:2007 სერტიფიკატისა და სტანდარტების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე გვესაუბრება კომპანია „ნატახტარის" პერსონალის მართვისა და ადმინისტრაციის დირექტორი ხათუნა ჩხაიძე:**



ხათუნა ჩხაიძე

# „ნატახტარში" OHSAS 18001:2007 სტანდარტები დაინერგა

– მართლაც საამაყოა, რომ საქართველოში „ნატახტარი" პირველი კომპანიაა, რომელმაც ამ სტანდარტის დამადასტურებელი სერტიფიკატი მიიღო. სერტიფიცირების პროცესი საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა, თუმცა, დღეს ეს სტანდარტი ეხმარება კომპანიას, გააუმჯობესოს უსაფრთხოების კულტურა, შეამციროს სამუშაო რისკები, შექმნას უსაფრთხო გარემო ბიზნესის წარმოებისთვის.

**– კონკრეტულად რა პროცედურების გავლა მოუწია კომპანიას სერტიფიკატის მისაღებად?**

– სერტიფიცირების პროცესში ჩართული იყო კომპანიის მთელი პერსონალი. ჩვენ დავუკავშირდით „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას" და გამოვთქვით სურვილი ამ სერტიფიკატის მიღებაზე. სერტიფიცირების ფარგლებში მოვიწვიეთ ექსპერტები, რომელთა დახმარებითა და ზედამხედველობით მოხდა პერსონალთან და წარმოებასთან დაკავშირებული ყოველდღიური საფრთხეების შეფასება და მათი შემცირებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ, დაათვალიერეს ქარხანა, გადაიღეს ფოტოები და დეტალურად მოგვაწოდეს ინფორმაცია არსებული რისკების შესახებ. იყო ელემენტარული პრობლემები, რომლებიც დაბალ რისკებად შეფასდა და რომელთა აღმოფხვრა ერთ საათში იყო შესაძლებელი, თუმცა, არსებობდა უფრო მაღალი რისკებიც, რაზეც შედარებით ხანგრძლივი მუშაობა დაგვჭირდა. ამისთვის კომპანიაში შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ: ტექნიკური დირექტორი, ლოჯისტიკის დირექტორი და ყველა ის პასუხისმგებელი პერსონალი, რომლებსაც უშუალოდ ჰქონდათ შეხება არსებულ რისკებთან. კვირაში ერთხელ იმართებოდა კომიტეტის შეხვედრა, სადაც ხდებოდა დავალებების გადანაწილება, შემდეგ კი თითოეული წევრი და პასუხისმგებელი რგოლი ცდილობდა, დროულად აღმოეფხვრა რისკები. ამ სერტიფიკატის მიღების სურვილი საკმაოდ დიდი იყო ქარხანაში და დიდი ძალისხმევა და მონდომება დაგვჭირდა მიზნის მისაღწევად. მთავარი იყო მომსახურე პერსონალის ცნობიერების ამაღლება და გარკვეულწილად მათი ფსიქოლოგიის შეცვლა, რომ ეს აუცილებელია. როდესაც ექსპერტი ორი თვის შემდეგ ისევ გვესტუმრა, გაოგნებული დარჩა, ისე დროულად დახვდა ყველაფერი მოგვარებული. საბოლოოდ, სამ-ოთხ თვეში მივედით იმ დონემდე, რომ უკვე მოგვეწვია მასერტიფიცირებელი ორგანოს TUV SUD-ის ექსპერტები აუდიტის ჩასატარებლად. პროცესი წარიმართა საკმაოდ მკაცრად, მოხდა თითოეული წვრილმანის გადამოწმება, თუმცა, ჩვენ დავაკმაყოფილეთ ყველა მოთხოვნა და საბოლოოდ მივიღეთ სერტიფიკატი.

**პირველი კომპანია საქართველოში, რომელმაც ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის სერტიფიკაცია გაიარა**

**– აღნიშნული სერტიფიკატის მიღება ნიშნავს, რომ კომპანია საბოლოოდ აკმაყოფილებს სტანდარტებს თუ, სამომავლოდ, პერიოდულად მოხდება არსებული სისტემის გადამოწმება?**

– რისკი ყოველთვის იარსებებს, უბრალოდ, ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვიყოთ დაცულები და ფხიზლად. რეაგირება არსებულ რისკზე სწრაფად უნდა მოვახდინოთ. წარმოებაში დიდი მნიშვნელობა აქვს პრევენციას. არის საფრთხეები, რასაც ვერ აღმოფხვრი. OHSAS 18001:2007 – ეს არის სტანდარტი, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას, გააკონტროლოს მომსახურე პერსონალი და მათი სამუშაო პროცესის რისკები; ასევე, გააუმჯობესოს მათი არსებული მდგომარეობა. პოტენციურ საფრთხეს უნდა შეხვდე მომზადებული. რა თქმა უნდა, პერიოდულად მოხდება არსებული სისტემის გადამოწმება და აუდიტი მოწვეული ექსპერტების მიერ.

**– თანამშრომლები თუ არიან ინფორმირებულები სისტემის შესახებ და როგორია მათი დამოკიდებულება?**

– თანამშრომლების ერთსულოვნება დიდი იყო. გარკვეული ტრენინგების ჩატარება ნამდვილად დაგვჭირდა, თუმცა, ყველა პასუხისმგებლობით მოეკიდა თავის საქმეს. რამდენჯერმე მოვაწყვეთ ხელოვნური განგაშიც და გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. პერსონალის ინტერესების გათვალისწინებით, შევიძინეთ საკმაოდ ძვირად ღირებული პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობა, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ სამუშაო პროცესში თანამშრომლებმა თავი იგრძნონ უსაფრთხოდ და კომფორტულად. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ნებისმიერი წარმოება მოიცავს გარკვეულ რისკებს და ვცდილობთ მათ მინიმალიზაციას. OHSAS-ის სერტიფიკატი კი არის დასტური იმისა, რომ კომპანია „ნატახტარის" თანამშრომლებისთვის სამუშაო პროცესის გამართულობა და უსაფრთხოება უკვე არის ჩვევა – ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი.

**გოგი თოფაძე პარლამენტის დეპუტატი მესამედ გახდა. ნაციონალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ბიზნესმენი ბოლო წლებში დიდ პოლიტიკას დროებით გაერიდა, თუმცა, იმ ადამიანის წყალობით, ვისთანაც უკვე წლებია, ახლობლობს, ისევ ძველ ამპლუას დაუბრუნდა. როგორ დაიწყო მისი და ბიძინა ივანიშვილის მეგობრობა, ვისთან ერთად „დაბანაკდა“ ქუთაისთან და რატომ არის ის მუდმივად „მობილიზაციაში“, ამის შესახებ თავად ბატონი გოგისგან შეიტყობთ.**

# ვინ აქეიფებდა გოგი თოფაძეს ჭორვილაში ჭურის თავთან და რაში არ უმტყუნა მან პრემიერ-მინისტრს

**– ბატონო გოგი, ხანგრძლივი ტაიმაუტის შემდეგ ისევ დაუბრუნდით პოლიტიკას და საქართველოს პარლამენტის მესამე მოწვევის დეპუტატი გახდით. რატომ „გითრევთ” ეს პოლიტიკა, მაშინ, როცა, მდიდარი კაცი ხართ და, შეგიძლიათ, მშვიდად იცხოვროთ.**

– პოლიტიკა ძალიან ცუდი და ბინძური საქმეა. რატომ ვერ ველევი? მე გეტყვით ერთს: როგორ კარგადაც არ უნდა იცხოვრო, როცა შენ ირგვლივ ამდენი გაჭირვებულია – მეზობელი, ახლობელი თუ ნათესავი; როცა ზოგს წამალი სჭირდება, ზოგს – ფული, თუ ნორმალური კაცი ხარ, კარგად ვერ იგრძნობ თავს. გუშინდელი კლერკები, ხელისუფლების წყალობით რომ მილიონერები გახდნენ, ამას ვერ დაინახავენ, იმიტომ, რომ არ იციან ბევრი რამის ფასი. მათ ფული ხელისუფლების მხარდაჭერით იშოვეს, მერე კი ისევ წაართვეს ამათ. ასეთი ხალხი ჩემთან წუწუნს რომ იწყებს, ვეუბნები: კაცო, მე რატომ მედრები, შარშან ლაბორანტი რომ იყავი და უცებ მილიონერი გახდი ამდენი დათმობის გამო, ნუღარ წუწუნებ მაინც! ამათ მოგცეს ეს ფული და ამათვე უნდა წაგართვან, აბა, როგორ?! მე იმდენი რამე გავიარე წლების განმავლობაში, ამ ნომენკლატორულ ბიზნესმენებს არც კი დაესიზმრებათ. რაც შეეხება პოლიტიკაში დაბრუნებას, მე პოლიტიკისგან შორს არასდროს ვყოფილვარ. ჩვენი პარტია 1998 წლიდან აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, მაგრამ, ყოფილ ხელისუფლებასთან პოლიტიკურ აქტივობას აზრი აღარ ჰქონდა, განსაკუთრებით – საქმიანი წრეების წარმომადგენლებისთვის. ან მათთან ერთად უნდა ყოფილიყავი, ან იმ დღეში ჩავარდებოდი, რაშიც ჩვენ ვიყავით: თვრამეტი საწარმო შედიოდა ჩვენს ჰოლდინგში და ექვსი დარჩა – ზოგი წაგვართვეს, ზოგი კი დავხურეთ, იმდენი ზეწოლა იყო ამ ბოლო წლებში.



**ბიძინას დედა თავისი ხელით მოწველილ ძროხის რძეს მასმევდა ხოლმე**

**– თავიდან ხომ იყავით მათთან?**

– თავიდან, როცა ეს ახალგაზრდები მოვიდნენ ხელისუფლებაში, მჯეროდა, რომ ახალი ძალა ახალი იდეებით საქართველოსთვის ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებდა. მეც ისევე შევცდი, როგორც სხვები. მე კარგად ვიცნობდი მიშა სააკაშვილის მამას, დედას, ბიძას, ბებია-ბაბუას. ნიკა სააკაშვილთან ახლო მეგობრული ურთიერთობა მქონდა. ვერელი კაცი იყო, კარგი ექიმი, ბევრი რამ გვქონდა საერთო. მიშა მაშინ არავინ არ იყო, როცა მე ნიკას დახმარებას ვუწევდი ჩვენი საქველმოქმედო ფონდიდან ბალნეოლოგიური კურორტის გადასარჩენად. მიშაზე ვფიქრობდი, ასეთი კაცის შვილია, თვითონაც კარგად წარუძღვება საქმეებს-მეთქი. თავიდან ბევრგან დავყვებოდი – რუსეთში, ბიზნესმენებთან შეხვედრებზე. როცა ნაზარბაევთან წავიდა, მთელი ოთხი საათი ერთად ვიყავით, თვითმფრინავში ათას რამეზე ვსაუბრობდით. 2006 წლის მერე ისე გარეკეს და აურიეს, მივხვდი, უკვე აღარაფერი გვქონდა საერთო – ღუპავდნენ სოფლის მეურნეობას, სოფელს, რომელიც სოციალური პრობლემაა. ამ ახალგაზრდებმა, შეიძლება, არ იცოდნენ რას ჩადიოდნენ, მაგრამ, ბენდუქიძემ ხომ იცოდა, რომ ამის გაკეთება ქვეყნის დაღუპვას ნიშნავდა?! ვხედავდი, როგორ კლავდნენ წარმოებას; ისე ასწიეს ენერგომატარებლების ფასი, კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანეს ყველა. მერე დაიწყო ის პროცესები ჩემთან დაკავშირებით, რომელიც ყველამ კარგად იცის. როცა გამოჩნდა პიროვნება, რომელზეც ნამდვილად ვიცოდი, რომ გულდამწვარი ქართველია; დაინახა თუ არა, რომ ქვეყანა იღუპებოდა, დათმო ბევრი თავისი ცხოვრებისეული პრიორიტეტი და, ჩვენი მეგობრული და პიროვნული ურთიერთობებიდან გამომდინარე, არ შემეძლო, ისევ არ ჩავრთულიყავი პოლიტიკაში. ბოლო ერთი წელიწადი მე და ჩემი პარტიის ყველა წევრი აქტიურად ვიყავით ჩართული საარჩევნო კამპანიაში. ამ არჩევნების შედეგებიდან ისიც კარგად დავინახე, რომ ნაციონალებმა ისეთი ჩახლართული საარჩევნო სისტემა შექმნეს, რომელსაც ვერავინ მოერეოდა. ყველაზე დიდი ქართველი, ილია ჭავჭავაძეც რომ ამდგარიყო საფლავიდან, ამათ არჩევნებს ვერ მოუგებდა. ბიძინა ივანიშვილმა ეს ყველაფერი კარგად იცოდა, გათვალა, სწორი ნაბიჯები გადადგა ამ პოლიტიკურ ხვეულებში და გადაარჩინა საქართველო იმ უბედურებას, რაც ემუქრებოდა ჩვენს ქვეყანას.

**– თქვენი და ბატონი ბიძინას მეგობრობა სად და როგორ დაიწყო?**

– ბიძინა წლების წინ გავიცანი, მის შესახებ ბევრი რამ ვიცოდი. ბიძინა რუსეთში ცხოვრობდა, მეც მოსკოვში მაქვს დამთავრებული ასპირანტურა, ბევრი საერთო ნაცნობი და მეგობარი გვყავდა. როცა ზამთრის კურორტების განვითარებაზე დავიწყეთ აქტიური საუბარი, მე, როგორც ზამთრის სპორტის სახეობების პრეზიდენტი, მივედი მასთან ჭორვილაში და ვთხოვე, რომ ბაკურიანის აღორძინების კარგ საქმეში დაგვხმარებოდა. ბიძინა იმ დროს უკვე ბევრ საქველმოქმედო პროგრამას ახორციელებდა. წავედით ბაკურიანში, ერთად ავედით იმ მთებზე, რომელიც აუთვისებელი იყო და სადაც დღეს შესანიშნავი საბაგირო გზებია. 25 მილიონი ჩაიდო ბაკურიანის განვითარებაში, რა აღარ ააშენა იქ. მაშინ დაიწყო ჩვენი ახლო ურთიერთობა, მერე და მერე კი უფრო ხშირად ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. ჭორვილაშიც ხშირად დავდიოდი.

**ნაბახუსევზე ჩემი ლუდიც კარგია და ხაშიც**

**– როგორი მასპინძელი იყო ბიძინა ივანიშვილი ჭორვილაში?**

– უფ, გადასარევი! ნეტავ იცოდეთ, როგორი კაცი იყო მამამისი – ნაღდი, იმერელი კაცი. მიმიყვანდა ხოლმე ჭურის თავთან, საკუთარი ხელით დაწურულ ღვინოს ამოიღებდა და ხან ერთს შემომთავაზებდა, ხან მეორეს – აბა, ეს გავსინჯოთ, აბა, ეს დავლიოთო. სანამ სუფრას გაშლიდნენ, ჭურის თავთან მიმასპინძლდებოდა ხოლმე.

**– ბიძინა ივანიშვილსაც უყვარს ქეიფი?**

– ზომიერად სვამს, მე უფრო მიყვარს ქეიფი. ხომ ასეთი ოჯახი აქვთ, დიდებული სახლ-კარი და, ღვინოს მაინც თავისი ხელით წურავდნენ ოჯახში. დედამისი თავისი ხელით მოწველილ ძროხის რძეს მოგვიტანდა ხოლმე. ბიძინას მეუღლე საოცარი დიასახლისია, კარგი, ქართული, ტრადიციული ოჯახი აქვთ, ხაჭაპურსაც აცხობენ და ღვინოსაც წურავენ. მილიარდერებივით კი არ ცხოვრობდნენ, ცხოვრების ისეთი წესი ჰქონდათ, ჩვეულებრივ ჭორვილელებს რომ აქვთ.

**– თქვენ არ ჩაგქონდათ მასპინძლებთან თბილისიდან თქვენი ლუდი?**

– ბიძინას მამასთან ჩამოჰქონდა ლუდი. ტრადიციების დამცველი კაცი იყო, ყველაფრის ფასი იცოდა. თვითონ ბიძინაც ასეთია: ნულიდან დაიწყო ყველაფერი, ბევრი იშრომა და დღეს ერთ-ერთი უმდიდრესი კაცია მსოფლიოში. მე ძალიან ბევრ ოლიგარქს ვიცნობ, მაგრამ, ბიძინას კიდევ სხვა თვისებები აქვს.

**– როგორც ჩანს, ახლო მეგობრობა გაკავშირებთ ერთმანეთთან.**

– ვერ ვიტყვი, რომ გადაბმული მეგობრები ვართ, ის გაცილებით დიდი მასშტაბის ბიზნესმენია ჩემთან შედარებით, მაგრამ, მის მიმართ დიდი პატივისცემა მაქვს. მეც ძალიან სუფთა ვიყავი მასთან, ძალიან დიდ თანხებს მანდობდა ბაკურიანში. ბევრმა უმტყუნა, მე არ მიმტყუნია მისთვის. ახალ წელს, შობას, სხვა დღესასწაულებს ვულოცავთ ხოლმე ერთმანეთს.

**– ბატონო გოგი, კიდევ დადიხართ სანადიროდ?**

– როგორ არა. ცოტა საარჩევნო კამპანიის დროს ვერ მოვიცალე ამისთვის. ახლა ისევ ვივლი სანადიროდ – სანადირო ატრიბუტიკა სულ გამზადებული მაქვს. დავურეკავ ჩემს პარტნიორებს, ორ საათში ჩამოვლენ ქუთაისში და წავალთ ფოთში სანადიროდ.

**– ბიძინა ივანიშვილიც ხომ არ აიყოლიეთ ნადირობაში?**

– არა, ვერ ავიყოლიე. ვცადე, მაგრამ, არაა ბუნებით მონადირე. სამაგიეროდ, კარგი მოსიარულეა მთაში. ბაკურიანში რომ ვიყავით ერთად, კალიასავით არბოდა მაღლა, ვერ დავეწიე. ნავარჯიშები ბიჭია, ჯანმრთელი წესით ცხოვრობს.

**– ახალმა პარლამენტმა ქუთაისში გადაგაბარგათ. თქვენ სად და ვისთან ერთად „დაბანაკდით”?**

– თითქმის სულ ქუთაისში ვარ. შეიძლება, ვილაცეები მაღალმთიანი რეგიონებიდან ვერ ჩამოვიდნენ სხვადასხვა მიზეზის გამო და, შესაძლოა გაგვიჭირდეს კანონის მიღება, სრულ მობილიზაციაში ვართ. ამას ისიც ემატება, რომ უმცირესობა ხშირად იქცევა გამომწვევად – დემონსტრაციულად ტოვებენ ხოლმე სხდომებს, აშკარად გვიწვევენ, ერთი-ორ ინციდენტსაც გადავურჩით, მაგრამ, ჩვენ მაქსიმალურად მშვიდად ვხვდებით მათ „გამოწვევებს”. ახლა კი ლაპარაკობენ რაღაცეებს თავიანთ უფლებებზე, მაგრამ, მესამე მოწვევის პარლამენტის წევრი ვარ და მე მაინც ვიცი, რომ ამათ არაფერი აქვთ სათქმელი. მე ვარ და ჩემი ნაბადიო – ასე ჰქონდათ საქმე. მე, ზურაბ ტყემალაძემ და თამაზ ყაჭეიშვილმა წყალტუბოში ერთი კარგი სახლი ვიქირავეთ – პარლამენტიდან ათი წუთის სავალზეა. საკუთარი ეზო გვაქვს, დიასახლისი გვყავს და გვეხმარება, სტუმრებსაც ვიღებთ და სუფრებსაც ვშლით.

**– ნაბახუსევზე ლუდის შოვნა არ გაგიჭირდებათ.**

– ნაბახუსევზე ლუდიც კარგია და ხაშიც, ჩვენ არც ხაშზე ვამბობთ უარს. იმერეთში ხომ ისეთი პურმარილი იციან, ტრადიციული, ქართული, ჩიტის რძე რომ მოინდომო, იმასაც იშოვი.

**თამუნა ნიჟარაძე**

**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი ახალ სასწავლო წელს აბიტურიენტებს უპრეცედენტო სიახლეს სთავაზობს: უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა, რომლის მიზანიც პროფესიონალი სახელმწიფო მოხელეების აღზრდა-სწავლებაა. ამასთან, განხორციელდა იურიდიული ფაკულტეტის რეორგანიზაცია, რომლის ბაზაზეც დაფუძნდა სამართლის სკოლა სამივე – ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტურანტურის – მიმართულებით. უნივერსიტეტი ახალ სასწავლო წელს ახალ საუნივერსიტეტო შენობაში დაიწყებს, რომელიც დიღომში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გვერდით მდებარეობს და სადაც თანამედროვე სწავლებისთვის ყველა პირობა შექმნილი. ეს ის სავიზიტო ბარათია, რომელიც გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის როგორც სამართლის, ისე საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლებს სხვა უმაღლესი სასწავლებლებისგან გამოარჩევს. არის კიდევ ერთი სიახლე, რაც აუცილებლად დაგაინტერესებთ: ის აბიტურიენტები, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლების არჩევისას პირველ ადგილას გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს მიუთითებენ, 15-პროცენტიანი ფასდაკლებით ისარგებლებენ სწავლის საფასურის დაფარვისას. აქვე გეტყვით, რომ სამართლის სკოლის დეკანია გერმანელი პროფესორი დიტერ უმბახი, გერმანიის პოტსდამის უნივერსიტეტის კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართლის პროფესორი, კონსტიტუციური სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, გერმანიის კონსტიტუციის კომენტარების ავტორი. მისი არყოფნისას დეკანის მოვალეობას ადმინისტრაციულ სამართალში სამართლის სკოლის პროფესორი პაატა ტურავა ასრულებს, რომელიც, იმავდროულად, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი გახლავთ. ახალი პროგრამების თავისებურებებსა და გამორჩეულობას გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორები: ბატონები ლევან იზორია და პაატა ტურავა გაგვაცნობენ.**

# უპრეცედენტო სიახლე აბიტურიენტებისთვის – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში!

## უნიკალური სასწავლო პროგრამები საჯარო მოხელეებისა და იურისტებისათვის

**– რატომ გადაწყვიტეთ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის შექმნა და რა არის მისი უპირატესობა?**

**ლევან იზორია:** საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა არის სიახლე და ეს პროგრამა სამ – სამართლის, ბიზნესის მართვისა და ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა – სკოლებს მოიცავს. პროფესიონალი საჯარო მოხელეების აღზრდა ისეთივე მნიშვნელოვანი პრობლემაა, როგორიც სასამართლო რეფორმა. სამართლის რეფორმა ერთიან კონტექსტში უნდა იქნას დანახული.იმისთვის, რომ მივიღოთ პროფესიონალი საჯარო მოხელე, აუცილებელია, ქვეყანაში არსებობდეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები.

**– სწორედ პროფესიონალ საჯარო მოხელეთა ფენის შექმნა არის სტაბილური სახელმწიფო სტრუქტურების შექმნის აუცილებელი პირობა.**

– რა თქმა უნდა. ამიტომაც შევქმენით საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის პროგრამა, რომელმაც ბაკალავრიატის დონეზე უნდა მოამზადოს საჯარო მოხელე. ჩვენ შევისწავლეთ საქართველოში არსებული პროგრამები, უცხოეთის გამოცდილება და შევქმენით, როგორც აკრედიტაციის ექსპერტებმა განაცხადეს, უნიკალური პროგრამა, რომლის ანალოგიც საქართველოში არ არის. ეს არის პრაქტიკაზე ორიენტირებული პროგრამა, რომლის მიზანია, სტუდენტმა მიიღოს ის სრულყოფილი ცოდნა, რაც სჭირდება საჯარო მოხელეს. ასევე, მნიშვნელოვანი დეტალია, რომ ამ პროგრამით არჩევნის საშუალებას ვაძლევთ სტუდენტს: მას შეუძლია, აირჩიოს ძირითადი პროგრამა და ერთი მაინორი, ანუ დამატებითი პროგრამა; ან ერთი ძირითადი და ორი მაინორი. დამატებითი პროგრამებია: ტურიზმი, ჟურნალისტიკა, ფინანსები და ბიზნეს-ადმინისტრირება. გარდა ამისა, ამ პროგრამის უნიკალურობა არის ის, რომ, თუ სტუდენტი აპირებს დასაქმებას თვითმმართველობაში ან ჯანდაცვის სექტორში, რაც სპეციფიურ ცოდნას მოითხოვს, შეუძლია, ძირითად პროგრამასთან ერთად აირჩიოს თვითმმართველობის ან ჯანდაცვის მიმართულება. აი, ეს მოქნილობაცაა ამ პროგრამის უნიკალურობა.



**პაატა ტურავა:** ამ პროგრამის მთავარი უპირატესობა არის ისიც, რომ მის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ ადამიანები, რომლებმაც ეს პროგრამა გაიარეს უცხოეთში და რომლებიც დღეს თავად არიან საქართველოს საჯარო მმართველობაში და ისინი არა მარტო თეორიულ, არამედ პრაქტიკულ ცოდნას აძლევენ სტუდენტებს. სახელმწიფო მოხელის მომზადებისას შეჯერებული უნდა იყოს ერთმანეთთან თეორია და პრაქტიკა. ჩვენს პროგრამაში გათვალისწინებულია სამი კომპონენტი: აკადემიური პერსონალი, კონტაქტი უცხოეთთან, პრაქტიკოსი მუშაკების მონაწილეობა. რადგან, რაც უნდა შესანიშნავი უცხოელი ექსპერტი მოვიწვიოთ, თუ არ იცნობს საქართველოს პრაქტიკას, მისი თეორიული ცოდნა არაფერს მოგვცემს.

**– როგორც საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის, ისე სამართლის სკოლაში ასწავლიან პედაგოგები, რომელთა სახელმძღვანელოებითაც საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ეუფლებიან სამართალმცოდნეობას სამივე საფეხურის სტუდენტები.**

– მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლი, მათ, რომლებიც სახელმწიფოს უმაღლეს რგოლებში მსახურობენ: ლევან იზორია, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, საჯარო მმართველობის სპეციალისტი, ხარისხი დაიცვა გერმანიაში და შპაიერის ფედერალური საჯარო მმართველობის უმაღლეს სკოლაში იყო ჰუმბოლდტის სტიპენდიანტი. ნოდარ ხადური – საქართველოს ფინანსთა მინისტრი, პროფესორი, რომელიც უშუალოდაა ჩართული პრაქტიკულ საქმიანობაში. დავით ნარმანია, საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრი და მისი მოადგილე შოთა მურღულია, ასევე პრაქტიკოსი მუშაკები არიან, პლუს თეორეტიკოსები სამეცნიერო ხარისხით. რამაზ საყვარელიძე: ცნობილი ექსპერტი.



**– რეორგანიზაცია განიცადა იურიდიულმა ფაკულტეტმა, რას სთავაზობს თქვენი სამართლის სკოლა მსურველებს?**

– იმ რეფორმის შედეგად, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში 2011 წელს განხორციელდა, იურიდიულ ფაკულტეტს, რეორგანიზაციის შედეგად ეწოდა სამართლის სკოლა. გვაქვს სამივე მიმართულება: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. შეიცვალა არა მხოლოდ სახელი, არამედ შეიცვალა პროგრამა, გარდა ამისა, გადახალისდა აკადემიური პერსონალი. სრულიად ახალი გუნდი მოვიდა: ადმინისტრაციულ სამართალში – მე, პაატა ტურავა და ლევან იზორია; კერძო სამართალში – ზურაბ ძლიერიშვილი, სისხლის სამართალში გაიხსნა ცალკე ინსტიტუტი, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის ცნობილ მაქს პლანკის ინსტიტუტთან. ასე რომ, ყველა მიმართულებით შემოვიდნენ ის ადამიანები, რომლებიც საქართველოში ქმნიან სახელმძღვანელოებს, მონაწილეობას იღებენ სამართლის რეფორმირების პროცესებში, კანონშემოქმედებით საქმიანობასა და ამ კანონების აღსრულებაში. ყველა ის ადამიანი, რომელიც საქართველოში სამართლის დარგის განვითარებაში იღებს მონაწილეობას, წარმოდგენილია ჩვენს უნივერსიტეტში, რაც მას, უდავოდ, გამოარჩევს.

სხვათა შორის, სამართლის სკოლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციისას, გაკეთდა ჩანაწერი, რომ ამ პროგრამას ანალოგი არ აქვს საქართველოში. მართლაც, მთლიანად შეიცვალა სწავლების მეთოდოლოგია, დაიხვეწა შეფასების სისტემა და ჩვენ ვართ პირველები, ვინც ეს ნოვაციური მეთოდი დავნერგეთ საქართველოში.

**– ბუნებრივია, ერთ ინტერვიუში ვერ ამოვწურავთ ყველა საკითხს, სად შეიძლება, დაგიკავშირდნენ უფრო სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებული პირები?**

– ჩვენი მისამართია: ჯანო ბაგრატიონის №6, ტელეფონის ნომერია: 238-44-06, ასევე, შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ ელექტრონულ მისამართზე info@gruni.edu.ge ან ეწვიონ ჩვენი უნივერსიტეტის ვებ-გვერდს www.gruni.edu.ge.

**ანა თაყაიშვილი**

# ინტიმური საუბრები



## ძუნწი სტუმარი

ამას წინათ სტუმარი მყავდა უცხოეთიდან (ქვეყანას შეგნებულად არ ვასახელებ, რომ იმ ერის წარმომადგენლებს არ ვაწყენინო). ყველანაირად კარგი ადამიანი აღმოჩნდა – მშვიდი, წყნარი, მხიარული, იუმორით აღსავსე, განათლებული; გარეგნობითაც არ დაიწუნებოდა. ჰოდა, ამ ჩემს სტუმარს ჩემი და მოეწონა. ისე მოეწონა, რომ გადაირია და ძალიან დახვეწილად დაუწყო არშიყობა. ვატყობდი, ჩემს დასაც მოსწონდა, მაგრამ, ხმას არ ვიღებდი. ძალიან გაბრაზებული ვიყავი – ეს როგორ გამიბედა სტუმარმა-მეთქი და სწორედ იმიტომ არ ამოვუნაყე ცხვირ-პირი, რომ სტუმარი იყო. ერთ დღეს კი მითხრა, შენი და შემიყვარდა და თუ წინააღმდეგი არ იქნები, საღამოს რესტორანში დავპატიჟებო. სიხარულით არ გადავრეულვარ, მაგრამ მაინც დავთანხმდი. წავიდნენ და დაახლოებით ორ საათში უკან დაბრუნდნენ. სტუმარი ძალიან კმაყოფილი ჩანდა, ჩემი და კი მაინცდამაინც ვერ იყო ხასიათზე. ვკითხე, რამე ხომ არ გაწყენინა-მეთქი. ჩემმა დამ იუარა – რას ამბობ, სულ თვალებში შემომციცინებდა, მაგრამ ორი ყავა და ორი ნაჭერი ნამცხვარი მოატანინა ოფიციანტს და გადახდის დრო რომ დადგა, მარტო თავისი ყავისა და ნამცხვრის ფული დადო. ვიფიქრე, შევარცხვენ-მეთქი და ორივეს მაგივრად მე გადავუხადე ოფიციანტს. ამას კი ისე გაუხარდა, ის თავისი დადებული ფული სასწრაფოდ აიღო და შეინახაო. მე ავუხსენი ჩემს დას, რომ იმათ ქვეყანაში ასეა მიღებული-მეთქი. ჰოდა, წავიდეს და თავის ქვეყანაში ეარშიყოს გოგოებსო, – მიპასუხა.

მეორე დღეს რაღაც საქმეებზე გავედით ქალაქში მე და ჩემი სტუმარი. გზაში მითხრა, დოლარი უნდა გადავახურდავო და ისეთ ადგილას მიმიყვანე, სადაც უკეთესი კურსი იქნებაო. ერთი საათი ვიარეთ ჯიხურ-ჯიხურ და ყველგან 2 თეთრით მეტად ითხოვდნენ გადახურდავებას, არადა, სულ 100 დოლარის გადაცვლა უნდოდა. ისე გამაგიჟა, ერთ-ერთ ჯიხურთან რომ გავაჩერე მანქანა, ვუთხარი, შენ აქ მომიცადე-მეთქი და ჯერ მე გადავედი. მივედი „ვალუტჩიკთან“ და ვუთხარი: ახლა აქ ერთი უცხოელი მოვა 100 დოლარით და ვაჭრობას დაგიწყებს 2 თეთრზე. თუ ძმა ხარ, ერთი სამსახური გამიწიე – აჰა, შენ 2 ლარი და იმ კაცს დაუმატე თავის თანხაზე, თორემ, გამაწამა. ამ 2 ლარის გამო 10 ლარის ბენზინი დამაწვევინა და თან წუწუნით ტვინი ამხადა-მეთქი. „ვალუტჩიკს“ გაეცინა და დამთანხმდა. მერე გადავიყვანე ჩემი სტუმარი, გადაახურდავა თავისი 100 დოლარი სასურველი კურსით და ძალიან კმაყოფილი დაბრუნდა მანქანაში.

მეორე დღესაც დაპატიჟა ჩემი და სადღაც, მაგრამ, იმან პირდაპირ უთხრა, ძუნწ კაცებს ვერ ვიტან და შენისთანა ადამიანს ვერ შევეგუებიო.

წასვლის წინ ჩემმა სტუმარმა შემომჩივლა: განა არ ვიცი, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება, მაგრამ თავს ვერ ვერევი. დაგეგმილზე ერთი ცენტით მეტიც რომ დავხარჯო, ერთი კვირა ვნერვიულობ. ეს სიძუნწე კი არ არის, ავადმყოფობაა, რომელსაც ექიმები ვერაფერს შველიან. ამ ავადმყოფობის გამო რამდენიმე ქალი გამექცა და ბიზნესიც ჩამივარდა, მაგრამ, რა ვქნა, ვერაფერს ვუხერხებ თავსო.

საწყალი, ისე შემეცოდა, გასამგზავრებელი ბილეთის ფულიც გადავუხადე, რითაც ისე გავახარე, რომ აეროპორტში სულ კუნტრუშით გამომყვა. ტრაპზე ასვლის წინ მითხრა, ძალიან შემიყვარდა თქვენი ოჯახი და კიდევ ჩამოვალო. გულში ვიფიქრე, აბა, შენ იცი, არ დააგვიანო-მეთქი. კაცს თან გადავყევი, საკუთარ ოჯახში ვაცხოვრე, კაპიკიც არ დავახარჯვინე და იმის ნაცვლად, რომ თავისთან დავეპატიჟე, ზრდილობის გამო მაინც, კიდევ აქეთ შემპირდა ჩამოსვლას.

რამდენიმე დღის შემდეგ სკაიპით მომწერა: საქართველოში რა თანხის დახარჯვაც მქონდა დაგეგმილი, შენი წყალობით 500 დოლარამდე დამეზოგა (წესით, მეტი უნდა ყოფილიყო) და ძალიან ბედნიერი ვარო. რამდენიმე თვის შემდეგ კი ისევ მომწერა: ცოლს ვირთავ, როგორც იქნა, ჩემნაირი ქალი ვიპოვე და ერთმანეთს ძალიან კარგად ვუგებთო.

გულით მივულოცე ბედნიერება, თუ ამას ბედნიერება ჰქვია.

**ზურა, 36 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78.**
**ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com**
**ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ნინო ვარსიმაშვილი – ნათელმხილველი, ვისზეც თბილისში საოცარ ისტორიებს ყვებიან

***ჩვენი ჟურნალის დეკემბრის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ მასალას ნათელმხილველ ნინო ვარსიმაშვილის შესახებ მკითხველების გამოხმაურება მოჰყვა. რედაქციაში მრავალი სატელეფონო ზარი იყო უცხოეთის ქვეყნებიდანაც, სადაც თავად ნინო ვარსიმაშვილიც ცხოვრობდა. მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით, ჩვენ კვლავ შევხვდით ქალბატონ ნინოს იმ თემებზე სასაუბროდ, რაც თქვენს ინტერესს წარმოადგენს. გთავაზობთ ინტერვიუს ნინო ვარსიმაშვილთან, რომელიც თბილისში ცნობილი ნათელმხილველი და ბიოენერგეტიკოსია.***

– ჩემი ნათელხილვები მოიცავს ყველა იმ პრობლემას, რაც აწუხებთ ადამიანებს. ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ჩაკეტილი ბედის გახსნაზე, ფინანსურ კეთილდღეობაზე. ადამიანთა უმეტესობას დღეს სწორედ ეს პრობლემები აწუხებს. ჩემი მუშაობის სტილი განსხვავებულია და უკავშირდება ჩემს პირად ისტორიას: 30 წლის წინათ ერთი პატარა, პროვინციული ქალაქის თეატრში ვმუშაობდი. ძალიან მიყვარდა ხელოვნება. მშვიდი ცხოვრება მქონდა, მაგრამ, ერთ დღეს ყველაფერი შეიცვალა – ტვინის დაავადების ძალიან მძიმე დიაგნოზით ორი თვე რეანიმაციულ განყოფილებაში გავატარე. ჩემი გადარჩენა მხოლოდ ღმერთის ნება იყო. მდგომარეობიდან გამოსულმა, საკუთარ თავში აღმოვაჩინე უნარი, რომელმაც თავიდან შემაშინა – ყველაფერს წინასწარ ვხვდებოდი, რაც ჩემს ახლობლებს ელოდათ. გამოჯანმრთელების შემდეგ ერთ-ერთ კომპეტენტურ ცენტრში დამიდგინეს, რომ მძლავრი ბიოენერგიაც მქონდა. სწორედ იმ პერიოდში, ჩემთან მოვიდა უცნობი ადამიანი, რომელმაც გამომიცხადა, რომ სოფელ კაბალში მცხოვრებმა მოხუცმა მამაკაცმა გამოგზავნა, რომელიც ჩემთან შეხვედრას ითხოვდა. სოფელში დამხვდა უხუცესი, 81 წლის ადამიანი, რომელმაც მასწავლა, თუ როგორ უნდა გამეგრძელებინა მისი გზა, რომელიც ნათელხილვასთან იყო დაკავშირებული. ჩემი არსებობა იმ მოხუცს ხილვაში ჰქონდა ნანახი. მას შემდეგ მე მეხმარება ამ ადამიანის მიერ გადმოცემული სპეციალური ლიტერატურა და თილისმები, რომლებსაც 16 კომპონენტისგან ვამზადებ.

**– როგორც ვიცი, თქვენ, ასევე, კურნავთ ნევროზს, შიშს, მიდრეკილებას ალკოჰოლისადმი და დაქვეითებულ სექსუალურ პოტენციას.**

– ეს ცოდნა იმ მოხუცისგან გადმომეცა, თუმცა, შემდეგ თავადაც დავამატე მკურნალობის ახალი მეთოდი. ამ დაავადებების სამკურნალოდ ძალიან ეფექტურია მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული ნაყენი. მკურნალობის კურსი ინდივიდუალურია, შედეგი კი ყველა შემთხვევაში – ეფექტური.

***იმ ადამიანთა შორის, ვინც რედაქციაში დაგვიკავშირდა, იყო ქალბატონი რომელიც უკვე ათი წელია, ამერიკაში ცხოვრობს. გთავაზობთ ამონაწერს 49 წლის მაკა ქუტიძის წერილიდან:*** „ჩემი ისტორია კონკიას ზღაპარს ჰგავს. მაშინ, როდესაც ქალბატონი ნინო გავიცანი, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. მის შესახებ ჩვენს რაიონში ლეგენდები დადიოდა. იყო პერიოდი, როცა ძალიან კარგი ოჯახი გვქონდა, ჩემს მეუღლეს ფინანსურად შეძლებული მამა ჰყავდა, რაიონში თითით საჩვენებელი ოჯახი ვიყავით. ერთ დღეს კი ყველაფერი შეიცვალა – ჩემმა მეუღლემ ძალიან დიდი თანხა წააგო და, ყველაფერთან ერთად, დავკარგეთ ბინაც, მოკლედ, საშინელ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ყოველივე ამას ისიც დაერთო, რომ კახას, ჩემს ქმარს, ალკოჰოლისადმი მიდრეკილება დაეწყო – დღედაღამ სვამდა. რა აღარ ვცადეთ, რომელ ექიმთან არ ვუმკურნალეთ, მაგრამ, ვერაფერს გავხდით. ოჯახის ახლობელმა დაგვაკვალიანა: ერთ ქალბატონს გაგაცნობთ, ის თუ შეძლებს თქვენს დახმარებასო. ასე მოვხვდით ნინო ვარსიმაშვილთან. ერთი თვე მკურნალობდა ჩემს მეუღლეს და ისე შეაძულა ალკოჰოლი, სასმლისკენ გახედვა აღარ უნდოდა, მაგრამ, ეს ყველაფერი არაა. ახლა მთავარ სათქმელზე გადავალ: მახსოვს, როდესაც ქალბატონი ნინო პირველად ვნახე, მასთან მარტო დავრჩი თუ არა, მითხრა: შენს ქმარს კი არა, შველა შენ გინდაო. ძალიან გამიკვირდა მისი ნათქვამი. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები გაქვს, რომელსაც მალე გაიგებ, მაგრამ, ყველაფერი კარგად დასრულდებაო. მართლაც, ერთი თვეც არ იყო გასული, როცა ექიმებმა ძუძუზე სიმსივნური წარმონაქმნი დამიდგინეს და ოპერაცია დამჭირდა. ამის შემდეგ კიდევ მივედი ნინოსთან. მითხრა: შენი ცხოვრება რადიკალურად შეიცვლება, ვხედავ, ოკეანის პირას, დიდ ვილაში ცხოვრობო. ისე წამოვედი იქიდან, ხმა არ ამომიღია. ვფიქრობდი: ორი პატარა ბავშვი მყავს, ჩემი რაიონიდან არსად გავსულვარ, ოკეანის პირას სად უნდა ვიცხოვრო-მეთქი. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ნინოს ნათქვამი ამიხდა. ორი წელიც არ იყო გასული, მეუღლეს დავშორდი და მალე გავიცანი მამაკაცი, რომელმაც ჩემი ცხოვრება ზღაპრად აქცია. უკვე ათი წელია, ამერიკაში ვცხოვრობ, ჩემი მეუღლის უზარმაზარი სახლი ოკეანის პირას დგას. ძალიან ხშირად მახსენდება ხოლმე ქალბატონი ნინოს ნათქვამი, რომელიც მაშინ საოცრებად მეჩვენა. ამ წლებში საქართველოში ორჯერ ჩამოვედი და ორჯერვე ვნახე ადამიანი, ვინც წლების წინ მომავალი მიწინასწარმეტყველა. დღეს მასთან ყოველდღიური სატელეფონო კავშირი მაქვს და ხანდახან ისეთ მინიშნებებს მაძლევს ხოლმე ჩემს ბიზნესზე, რაც ყველაზე მეტად მჭირდება, თუმცა, იმ პირველი შემთხვევისგან განსხვავებით, გაოცება „დავივიწყე”, რადგან, ნინოს ფენომენალურ უნარში დარწმუნებულმა, უკვე ვიცი, რომ მის ნათქვამს აუცილებლად უნდა დავუჯერო.”

**ნინო ვარსიმაშვილთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონებზე: 5 99 003 006; 5 97 826 868.**
**მისამართი: თბილისი, საბჭოს მოედანი**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

კითხვა: **მაინტერესებს, ეხება თუ არა ამნისტია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებს?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ამნისტიის კანონი მეტ-ნაკლებად ეხება ყველა მსჯავრდებულს, კერძოდ: ერთი მეოთხედით შეუმცირდებათ სასჯელი პირებს, რომლებზეც არ ვრცელდება ამნისტიის კანონის 1-15 მუხლების მოქმედება.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ შეეხებათ ამნისტია იმ პირებს, რომლებიც სასჯელს იხდიან დანაშაულთა ერთობლიობით, ანუ, რამდენიმე სხვადასხვა მუხლით არიან პასუხისგებაში მიცემული და სასჯელები აქვთ მთლიანად შეკრებილი?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ პირებს, რომლებსაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელი აქვთ დანიშნული დანაშაულთა ან/და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეკრების წესის გამოყენებით, ამნისტიის კანონი შეეხება თითოეული დანაშაულისა და სასჯელისთვის ცალ-ცალკე. მაგალითად, თუ პირს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილით სასჯელად აქვს შეფარდებული 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო იმავე კოდექსის 260-ე მუხლის მესამე ნაწილით 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და დანაშაულთა ერთობლიობით შეფარდებული აქვს საბოლოო სასჯელად 18 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამ შემთხვევაში, ამნისტიის კანონით, 179-ე მუხლით დანიშნული სასჯელი შემცირდება ერთი მეოთხედით ანუ 2 წლით, ხოლო 260-ე მუხლის მესამე ნაწილით დანიშნული სასჯელი განახევრდება და შემდეგ



მოხდება მათი შეკრება, ანუ, მთლიანობაში, ამნისტიის კანონის გამოყენებით, განესაზღვრება 11 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ მოხდება ამნისტიის კანონის გამოყენება იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთასთან ერთად შეფარდებული აქვთ ასევე პირობითი მსჯავრი და ჯარიმა?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ამნისტიის კანონით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლება ან/და სასჯელის შემცირება ერთნაირად და პროპორციულად ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ როგორც რეალურ სასჯელზე, ისე პირობით მსჯავრზე და გამოსაცდელ ვადაზე, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელზე, გარდა ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევისა. შესაბამისად, ამნისტია შეეხება ყველაფერს, გარდა უკვე გადახდილი ჯარიმისა და უკვე ჩამორთმეული ქონებისა.

კითხვა: **მაინტერესებს შეეხება თუ არა ამნისტიის კანონი იმ პირს, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა 2012 წლის 5 ოქტომბერს?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ამნისტიის კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც დანაშაული ჩადენილი აქვთ 2012 წლის 2 ოქტომბრამდე.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, ეხება თუ არა ამნისტიის კანონი იმ პირებს, რომლებსაც შეფარდებული აქვთ სასჯელის სახით მხოლოდ ჯარიმა, რომელიც არ არის გადახდილი; ასევე, იმ პირებს, რომლებსაც ჯარიმა დაეკისრათ პრობაციის რეჟიმის დარღვევისთვის?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ამნისტიის კანონის მოქმედება არ ვრცელდება სასჯელის სახით შეფარდებულ ან უკვე აღსრულებულ ჯარიმაზე ან/და ქონების ჩამორთმევაზე; ასევე „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი რეჟიმის დარღვევისთვის დაკისრებულ ან უკვე გადახდილ ჯარიმებზე.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, ვინ განსაზღვრავს და ანიჭებს მსჯავრდებულ პირებს საქართველოში პოლიტიკური პატიმრის სტატუსს?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ, შექმნილი პოლიტიკურ-სამართლებრივი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი, ხელმძღვანელობს რა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1900 (2012) რეზოლუციით განსაზღვრული კრიტერიუმებით და, მიიჩნევს რა, რომ საქართველოში დღეისთვის არსებობენ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ან პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილი პირები, ამნისტიის კანონით აცხადებს პოლიტიკურ ამნისტიას. შესაბამისად, უნდა გათავისუფლდნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან ის პირები, რომლებსაც საქართველოს პარლამენტის დადგენილებით მინიჭებული აქვთ პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებული ან პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილი პირის სტატუსი.

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, ვინ აღასრულებს ამნისტიის კანონს იმ პირთა მიმართ, რომლებსაც მინიჭებული აქვთ პოლიტიკური პატიმრის ან პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირის სტატუსი?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ ამნისტიის კანონით გათვალისწინებული პოლიტიკური ამნისტია, პოლიტიკური ნიშნით პატიმრობაში მყოფ პირთა მიმართ, უნდა აღასრულოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურატურამ და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრომ, კანონის ძალაში შესვლიდან ერთი კვირის ვადაში. ამავე ვადაში უნდა მოხდეს ასევე ამნისტიის კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ, პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილ პირთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გაუქმება ან მათი სასჯელისგან გათავისუფლება. მთავარი პროკურატურა პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილი ბრალდებული პირის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ, ამნისტიის კანონის საფუძველზე, შუამდგომლობით მიმართავს უფლებამოსილ სასამართლოს ან ბრალდებულის თანხმობით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას, ხოლო მსჯავრდებულის სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ მიმართავს თავდაპირველი გადაწყვეტილების გამომტან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

კითხვა: **მაინტერესებს როგორია ამნისტიის კანონის აღსრულების პროცედურა და როგორ მოხდება, ვის მიერ განხორციელდება გამოძიების სტადიაზე ამნისტიის კანონი და ვის მიერ აღსრულდება ამნისტიის კანონის მოთხოვნები უკვე მსჯავრდებული პირების მიმართ?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ამნისტიის კანონით გათვალისწინებული ამნისტიის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას ბრალდებულის მიმართ, გამოძიების სტადიაზე, იღებს შესაბამისი პროკურორი. ამნისტიის კანონის გათვალისწინებული ამნისტიის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას ბრალდებულის ან/და მსჯავრდებულის მიმართ, საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე, იღებს შესაბამისი სასამართლო.

ამნისტიის კანონით გათვალისწინებული ამნისტიის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის მიმართ, დასრულებული სამართალწარმოების საქმეზე, იღებს თავდაპირველი გადაწყვეტილების გამომტანი რაიონული (საქალაქო) სასამართლო, რომელსაც პატიმრობაში ან პრობაციის რეჟიმში მყოფი მსჯავრდებულის პირად საქმეს, ამ კანონის ძალაში შესვლიდან ორი კვირის ვადაში, მიაწვდის შესაბამისი სასჯელაღსრულების დაწესებულება ან პრობაციის სამსახური, ხოლო ძებნილი მსჯავრდებულის მიმართ ამ კანონის გამოყენების შესახებ მიმართავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, იმავე ვადაში. სასამართლო უფლებამოსილია, ამნისტიის გამოყენების საკითხი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

# 2012 წელს ცნობილი ქართველი წყვილების ოჯახებში დაბადებული ბავშვები

ალბათ, მკითხველი დამეთანხმება, რომ 2012 წელი საკმაოდ შფოთიანი, სტრესული და, იმავდროულად, ცვლილებებით აღსავსე იყო, ბევრ ოჯახში ეს ცვლილება გამრავლებით, ოჯახში ახალი წევრის შემატებით გამოიხატა. სხვათა შორის, სწორედ 2012 წლის 18 მაისს დაიბადა ჩემი დისშვილი – ვაჩე, რომელმაც მთელი ჩემი ცნობიერება და აზროვნება თავდაყირა დააყენა, ცხოვრებისადმი, ადამიანებისადმი უფრო მეტი სიყვარული გამიჩინა და, შეიძლება ითქვას, ამ სტატიის დაწერის მიზეზი სწორედ ამქვეყნად ჩემთვის ყველაზე საყვარელი არსება, ვაჩე გახდა – ერთი კბილითა და მუდამ გაღიმებული სახით. დრაკონის წელი ბევრი ცნობილი ქართველი წყვილისთვისაც ძალიან ფეხბედნიერი იყო და ისინი უკვე ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი წევრებით – შვილებით შეხვდნენ 2013 წელს.



ანანო მჟავია ნიკოლოზთან ერთად

„სეზონი“ 2 თებერვალს „გახსნა“ მომღერალმა, ჯეოსტარელმა ანანო მჟავიამ. ანანოს მეუღლე ბექა ბეშკენაძეა, ხოლო პატარა ვაჟკაცს, რომელიც მალე 1 წლის გახდება, ნიკოლოზი დაარქვეს.



გვანცა დარასელია ერეკლესთან ერთად

შემდეგ გვანცა დარასელია გახდა დედა. მისი ულამაზესი, ცისფერთვალება ერეკლე მჭედლიძე 6 თებერვალს მოევლინა ქვეყანას და დედიკოს გადარევა დიდი ხანია, მოახერხა.



ირინა ონაშვილი და საბა ვარძელაშვილი

მშვენიერი ირინა ონაშვილისა და ლადო ვარძელაშვილის ოჯახში უსაყვარლესი ბიჭი, საბა ვარძელაშვილი, 8 თებერვალს დაიბადა და დედიკოს ცხოვრება მთლიანად შეცვალა. როგორც თავად ირინა ამბობს: „ჩემს შვილს რომ ვუყურებ, ზოგჯერ მეშინია, ჭკუიდან არ გადავიდე. ხელში რომ მიჭირავს, გულზე მყავს მიკრული და, ყველაზე საშინელი რამეც რომ მითხრან, არ მექნება რეაქცია, იმხელა ძალას, ენერგიას, ცხოვრების სტიმულს მაძლევს“.

აპრილი განსაკუთრებულად ბედნიერი იყო გიორგი ყიფშიძისა და ანი ჩიკვილაძისთვის – მათი პატარა ალექსანდრე 17 აპრილს დაიბადა. როგორც იცით, გიორგისთვის ის მეორე შვილია, პირველი შვილი, ნატალია ყიფშიძე, მას და კრისტი ყიფშიძეს პირველი ქორწინებიდან ჰყავთ.



სალომე წაქაძე და ალექსანდრე კირკიტაძე

3 მაისს პატარა და უსაყვარლესი ალექსანდრე კირკიტაძის დედა გახდა სალომე წაქაძე, რომელსაც წყვილი დიდი ხნის განმავლობაში ელოდა. 8 თვის ალექსანდრე წელს ოჯახის მეკვლეც იყო.



კალაძეების ოჯახი

2012 წლის 4 მაისს ყოფილი ფეხბურთელისა და ამჟამინდელი ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძისა და დიზაინერ ანუკა არეშიძის ოჯახში მეორე ვაჟი – კახაბერი დაიბადა, რომელიც ძალიან ჰგავს დედას, ლევანი კი უფრო მამიკოს დაემსგავსა. ასე რომ, მათ პატარა ოჯახში უკვე სამი კალაა.

17 მაისს პატარა უტა მაჭავარიანის დედა გახდა მომღერალი და დიჯეი ეშლი მალიანი. ის მისი პირველი შვილია. როგორც შევიტყვეთ, უტას განსაკუთრებულად მოსწონს დედიკოს სიმღერები, რაც მომღერალს საკუთარი საქმის კეთების კიდევ უფრო დიდ სტიმულს აძლევს.



თამთა ძლიერიშვილი ოჯახთან ერთად

29 მაისს მეორე შვილის დედა გახდა ყოფილი წამყვანი და ქორწინების სახლის დირექტორი თამთა ძლიერიშვილი. პატარა ვაჟკაცი, ანდრია გოგუაძე, რომელიც მალე 8 თვის გახდება ძმასთან, ზუკა გოგუაძესთან ერთად, მხიარულად შეხვდა ახალ წელს.

19 ივნისს ტელეწამყვანი ვასილ ივანოვ-ჩიქოვანი და მისი მეუღლე, ტელეჟურნალისტი მაია ბოკერია პატარა დემეტრეს მშობლები გახდნენ.

მესამე შვილი გაუჩნდათ ზაზა ფაჩულიასა და თიკა ალავიძეს. ორი ვაჟკაცის შემდეგ მათი ოჯახი ნანატრმა გოგონამ – მარიამმა დაამშვენა, რომელიც ზაფხულში ატლანტაში დაიბადა.



მანიკა ასათიანი, ბექა და გიორგი წივწივაძეები

29 ივლისს კი მშვენიერი მანიკა ასათიანისა და კალათბურთელ ბექა წივწივაძის ოჯახში გიორგი წივწივაძე დაიბადა, რომელიც „ასფურცელასავით“ იზრდება და ისეთი საყვარელი და „გემრიელი“ ბიჭია, დედიკო და მამიკო სულ მთლად გადაიყვანა ჭკუიდან.

ასევე, ვაჟკაცის მამა გახდა ფეხბურთელი თორნიკე ოქრიაშვილი. პატარა ალექსანდრე 13 სექტემბერს მოევლინა ქვეყნიერებას და, რადგან მამას ძირითადად უკრაინაში უწევს ცხოვრება და თამაში, ბავშვის აღზრდაზე მისი მშვენიერი დედიკო – ლიკა მუზაშვილი ზრუნავს, რა თქმა უნდა, თორნიკესა და თავის მშობლებთან ერთად.



თორნიკე ოქრიაშვილი ალექსანდრესთან ერთად

ასევე, 1 ოქტომბერს პატარა დათოს დედა გახდა მომღერალი ეკა გაბიტაშვილი, რომელიც მეუღლესთან ერთად რუსეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

ამ სტატიის სტატისტიკის მიხედვით, 2012 წელს ცნობილ ქართულ ოჯახებში ძირითადად ბიჭები დაბადებულან, გამონაკლისი მხოლოდ ზაზა ფაჩულიას მშვენიერი მარიამია. კიდევ ერთხელ ვულოცავ ბედნიერ მშობლებს ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი არსებების დაბადებას და მათ ჯანმრთელობას, მშვიდობიან და წარმატებულ ცხოვრებას ვუსურვებ! ხოლო, ვინ დაიბადება 2013 წელს, ამას უკვე 2014 წელს მოგახსენებთ.

**ნათია უტიაშვილი**

**„თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაცია" ერთი წლის წინ, იმ დროს დაფუძნდა, როდესაც თავისუფალ პრესას გავრცელების საფრთხე დაემუქრა. მას შემდეგ, წითელ უნიფორმებში გამოწყობილი ადამიანები წარწერით: „მე მიყვარს თავისუფალი პრესა" თბილისის ყველა უბნის მოსახლეობას ურიკა-ველოსიპედებით სასურველ ჟურნალ-გაზეთებს სთავაზობენ. ერთი წელი ბევრი არაა, მაგრამ ახალი ყაიდის ფოსტალიონები თბილისისთვის უკვე ერთგვარ ხიბლადაც კი იქცა, უფრო მეტიც, „თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციამ" პროექტის მასშტაბები გაზარდა და რეგიონებიც მოიცვა. რა გეგმები აქვს ორგანიზაციას სამომავლოდ, ამის შესახებ „თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციის" აღმასრულებელ დირექტორს, ლექსო ჯიქიას გავესაუბრეთ.**



# რისგან გადაარჩინა „თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციამ" ქართული პრესა და რა ისტორიებს ყვებიან წითელ უნიფორმებში გამოწყობილ პრესის რეალიზატორებზე

**– ბატონო ლექსო, რატომ გახდა საჭირო ამ ორგანიზაციის დაფუძნება?**

– „თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაცია" არის არასამთავრობო და აპოლიტიკური ორგანიზაცია და დაფუძნდა 2011 წლის 13 დეკემბერს. ლოგიკურია, რომ ჩნდება შეკითხვა – იმ დროს, როცა საქართველოში პრესის გავრცელების 12 ორგანიზაცია არსებობდა, რატომ გახდა აუცილებელი, კიდევ ერთი ორგანიზაცია დაფუძნებულიყო. ყველას ახსოვს ის პერიოდი, როდესაც თბილისის მერიამ გამოაცხადა ტენდერი „1 000 ახალი ჯიხურის" შესახებ, რომელიც მოიცავდა თბილისის ფარგლებში მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემას. ეს პროექტი აღმოჩნდა გარკვეული საფრთხე თავისუფალი პრესის გავრცელებისთვის. მერიის მიერ სატენდეროდ გამოტანილი ლოტების უმეტესობა იმ ადგილებს დაემთხვა, სადაც მანამდე პრესის გავრცელების სხვადასხვა ორგანიზაციის კუთვნილი სარეალიზაციო ჯიხურები იდგა. ტენდერში მონაწილეობა მიიღეს არა მხოლოდ მედიაორგანიზაციებმა, ასევე ნებისმიერი მიმართულების როგორც ფიზიკურმა, ასევე იურიდიულმა პირებმა. მე მახსოვს, „თბილისი ცენტრალთან" ტენდერში გაიმარჯვა ერთ-ერთმა პირმა, რომელსაც იმ ადგილზე წლიური საიჯარო გადასახადი – 51 ათასი ლარი უნდა გადაეხადა. პრესის გავრცელების არც ერთი სამსახური ნამდვილად არაა განებივრებული ისეთი შემოსავლებით, რომ ერთ ადგილზე ამდენი თანხა გადაიხადოს. მე მახსოვს ისიც, რომ ჩემი საცხოვრებელი კორპუსის ქვემოთ იყო პრესის გავრცელების ჯიხური და ყველა მიჩვეული ვიყავით, რომ ყოველ დილას იქ გვეყიდა ჩვენთვის სასურველი პრესა. ერთ დღესაც იმ ჯიხურის ადგილას, პრესა კვერცხმა და ბარკალმა ჩაანაცვლა. ისე არ გამიგოთ, რომ მე ამ პროდუქციის მოხმარების წინააღმდეგი ვიყო, არავითარ შემთხვევაში. უბრალოდ, ეს საკმაოდ არასასიამოვნო მომენტი იყო იმ ადამიანებისთვის, ვინც კონკრეტულად იმ ადგილას ჟურნალ-გაზეთებს ყიდულობდა და ინტელექტუალურ „საზრდოს" იღებდა.

**– როგორ გადაარჩინა თქვენმა ორგანიზაციამ იმ რთულ პერიოდში ჟურნალ-გაზეთების გავრცელება?**

– ჩვენი ორგანიზაციის ორი ძირითადი ბენეფიციარია გამომცემელი და მომხმარებელი. პროექტის მისია იყო, ეს ორი „მხარე" ერთმანეთს შეხვედროდა გონივრულად, დროისა და სივრცის ფარგლებში. ჩვენ პრესის გავრცელების თორმეტივე ორგანიზაციას – პარტნიორობა, საზოგადოებას კი ნოვატორული იდეა შევთავაზეთ. ასეთი სერვისი არა მხოლოდ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, დსთ-ის სივრცის არც ერთ ქვეყანაში არ არის. პრესის გაუქმებული ჯიხურების ნაცვლად, მოსახლეობაში ჟურნალ-გაზეთების გავრცელებისთვის შევიძინეთ მოძრავი ურიკა-სტელაჟები და ველოსიპედი-სტელაჟები, რომლებიდანაც მოხდებოდა პრესის რეალიზაცია. თავიდან მოვახერხეთ ქალაქის ცენტრალური რაიონების ათვისება. დღეს ურიკა-სტელაჟები და ველოსიპედი-სტელაჟები მოძრაობს თბილისის პერიფერიულ უბნებში, წყნეთში, ლილოში, ორხევში, მუხიანში, ალმაშენებლის ხევანში ასე რომ, თუ მანამდე მომხმარებელს პრესის შესაძენად სახლიდან საკმაოდ შორს უწევდა წასვლა, ახლა უკვე მისთვის ძალიან მოსახერხებელ და კომფორტულ პირობებში შეუძლია სასურველი ჟურნალ-გაზეთების ყიდვა.

**– როგორც ამბობენ, წითელ უნიფორმებში გამოწყობილმა ადამიანებმა, რომლებიც პრესას ყიდიან მომხმარებლებთან ახლო კონტაქტით, ზოგიერთ უბნებში ძველი ფოსტალიონების როლიც კი მოირგეს.**

– კი, მართლაც ასეა. ძალიან ბევრ უბანში, კორპუსების მცხოვრებლებმა უკვე იციან რეალიზატორების ტელეფონის ნომრები, ურეკავენ და ეუბნებიან, რომელი გაზეთისა თუ ჟურნალის ყიდვა სურთ. ძალიან საინტერესო ისტორია მოხდა ვერცხლის ქუჩაზე. ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელმაც ჩვენი ურიკიდან შეიძინა გაზეთები, რეალიზატორს უთხრა, რომ ზედა სართულზე ცხოვრობდა ინვალიდი ქალბატონი, რომელსაც სიარული უჭირდა, ქვემოთ ვერ ჩამოდიოდა და ახლობლებსა და ნათესავებს აბარებდა ჟურნალ-გაზეთებს. ჩვენმა რეალიზატორმა ის ქალბატონი პირადად გაიცნო და მათი ურთიერთობა დღემდე გრძელდება ძალიან უშუალო ფორმით – როგორც კი ურიკა მის სახლთან გაჩერდება, ქალბატონი ჩამოუშვებს თოკს, რომელზეც რეალიზატორი მოაბამს მისთვის სასურველ პრესას და ასე აწვდის მას მეორე სართულზე.

**– რეგიონებში როდის გამოჩნდებიან თქვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები? რაიონებსა და სოფლებში ჟურნალ-გაზეთების შეძენა ტექნიკურად ბევრ პრობლემასთან არის დაკავშირებული.**

– თავიდან, როცა თბილისში პირველი ველოსიპედები გამოჩნდა, მაშინვე დამისვეს შეკითხვა, შედიოდა თუ არა ჩვენს პრიორიტეტში რეგიონებში. იმ პერიოდში პრობლემის გადაჭრა თბილისში უფრო აქტუალური იყო. მას შემდეგ, რაც დავიწყეთ კვლევა, თუ რა ხდებოდა საქართველოს მასშტაბით პრესის გავრცელების და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, აღმოჩნდა, რომ ბეჭდური პროდუქცია ძირითადად რეგიონულ ცენტრებში იყიდებოდა, სოფლის მოსახლეობამდე კი პრესა ვერ აღწევდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გაზეთის კითხვა ქართველი კაცისთვის ტრადიციულ კულტურად ითვლებოდა და მას ინფორმაციის ვერც ერთი მასობრივი საშუალება ვერ უცვლის. პროექტის მეორე ნაბიჯი იყო, გავსულიყავით თბილისიდან და ამ ერთი წლის განმავლობაში, პრესის გავრცელების სპეციალური ურიკები და ველოსიპედები უკვე ბევრ რეგიონში გამოჩნდა. პირველი რეგიონი, სადაც ჩვენი ურიკები გამოჩნდა არის რაჭა. ნიკორწმინდაში ჩვენს მისვლამდე პრესა არ გაყიდულა. იქ ჟურნალ-გაზეთები პირველად ჩვენ შევიტანეთ. დღეს უკვე 12 სოფელში იყიდება პრესა. ჩვენი გამოჩენა დაემთხვა ზაფხულის პერიოდს რაჭაში, როცა იქ ბევრი თბილისელი ისვენებს, მაგრამ ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა ინტენსიურად გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც საზაფხულო სეზონი დასრულდა. ჩვენი სპეციალური ურიკები უკვე საკმაოდ დიდი რაოდენობითაა აჭარაში, ბათუმის გარდა პრესა რეგულარულად მიეწოდება მახინჯაურს, ჩაქვს, ხელვაჩაურს. მოსახლეობას პრესის მიღება ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეუძლია მაღალმთიან აჭარაში, ხულოსა და შუახევში. ამას წინათ სოფელ დიდ აჭარაში ვიყავი, იმის იქით გოდერძის უღელტეხილი იწყება. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამ სოფელში იდგა ჩვენი წარმომადგენელი – ადგილობრივი მცხოვრები, რომელსაც პრეისკურანტი ჰქონდა დადებული ჟურნალ-გაზეთებზე. მათ შორის იყო თქვენი ჟურნალიც, რომელიც იმ სოფელშიც იმ ფასად იყიდება, როგორც თბილისში. ჟურნალ-გაზეთების რეალიზაცია დაიწყო ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, პრესა რეგულარულად მიეწოდება მცხეთა-მთიანეთის სოფლებს, ასევე ლეჩხუმს, ცაგერის რაიონს.

**– დღეს რამდენი ურიკაა თბილისში და რამდენი ადამიანია დასაქმებული თქვენი პროექტის ფარგლებში?**

– თავიდან თბილისში დადიოდა 180-მდე ურიკა. დღეს, რაც უკვე სიტუაცია დასტაბილურდა, მათი რაოდენობა 120-ია. ურიკების ერთი ნაწილი გადანაწილდა რეგიონებში. როცა პროექტი უკვე დამტკიცებული იყო, ჩვენ რეგულარულად ვაქვეყნებდით განცხადებას, რომლის მიხედვითაც სამუშაოდ ვიწვევდით რეალიზატორებს. პროექტის ფარგლებში დაახლოებით 225 პიროვნებაა დასაქმებული, რომელთა საშუალო ხელფასი 500 ლარია – მოჭრილ, სტაბილურ ხალფასზე დამატებული რეალიზებული პროდუქციის 7%. ეს ისეთ თანხასაც აღწევს, რომ მე ვიცი რეალიზატორი, რომელმაც ათი დღით ბათუმშიც კი დაისვენა. ეს კი, როგორც იცით, ცოტა თანხებთან არ არის დაკავშირებული.

**– რა გეგმები აქვს თქვენს ორგანიზაციას სამომავლოდ?**

– უპირველესად, აღვნიშნავ, რომ ჩვენი ორგანიზაცია არის არაკომერციული და არასამეწარმეო იურიდიული პირი. ჩვენი დამფუძნებელია პრესის ასოციაცია და არა ინდივიდები, ვინც შემდეგ დივიდენდებს ითხოვს. პროექტი, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ, ფაქტობრივად, საქველმოქმედოა – ამონაგები, ისევ პროექტის განვითარებას უბრუნდება.

ჩვენ გვყავს ერთი დონორი – საერთაშორისო, საქველმოქმედო ფონდი „ქართუ". პროექტი, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ იმდენად საჭიროა საზოგადოებისთვის და იმდენ ტექნიკურ და ფინანსურ ხარჯს უკავშირდება, რომ მისი განხორციელება ერთი დონორის პირობებში, რთულია. ორგანიზაციისა და პროექტის სიცოცხლისუნარიანობისთვის, ჩვენ გადავწყვიტეთ, მოვახდინოთ დაფინანსების წყაროს დივერსიფიკაცია. მივმართოთ სხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს. ახლახან, პრეზიდენტის ფონდიდან გამოიყო ერთი მილიონი ლარი, რაც თავისუფალი მედიის განვითარებისთვის არის გამიზნული. პრესა თავისუფალი მედიის მნიშვნელოვანი ნაწილია. მოგეხსენებათ, ეს თანხა ორმა სუბიექტმა მიიღო, რომლებიც გრანტის სახით გასცემენ თანხას. „თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაცია" აპირებს მონაწილეობის მიღებას ამ პროექტში. ერთმა წელიწადმა დაადასტურა, რომ საქმიანობა, რომელსაც ჩვენი ორგანიზაცია ახორციელებს, ჩვენი საზოგადოებისთვის ძალიან საჭირო და სასარგებლო საქმეა და მას მეტი განვითარება სჭირდება.

**თამუნა ნიჟარაძე**

# როგორ არიდებს ზოგიერთი ქალი თავს ღალატს და რისთვის სჭირდება მას „ცოტა ინტიმი“

**„ადამიანების უმეტესობას პრობლემები იმიტომ აქვს, რომ ისინი საერთოდ არ იცნობენ საკუთარ თავს, არ ესმით საკუთარი სხეულის; ცუდად იციან იმის შესახებ, თუ რა სურთ რეალურად,“ – ასე მიაჩნიათ ფსიქოლოგებს და ამისი მაგალითებიც აქვთ. შედეგად, ხდება ისე, რომ ადამიანი მოულოდნელად აღმოჩნდება ხოლმე იმ პრობლემის წინაშე, რომელიც თავადვე შექმნა. თუ ისწავლი საკუთარი სხეულის ენას, თუ ინტუიციურად გაუგებ შინაგან „მეს“, მაშინ შეცდომებსაც ნაკლებს დაუშვებ, მით უმეტეს – საბედისწერო შეცდომებს მძიმე შედეგებით.**



**ვახო** ***(37 წლის):*** თქვენ რომ ძალიან გაინტერესებდათ ეს თემა და მეც რომ დამიგროვდა სათქმელი, თორემ, ცოტა მერიდება ასეთ რაღაცეებზე ლაპარაკი, რადგან, რაღაც დოზით სხვის ცხოვრებაშიც ვიჭრები, უფრო სწორად – სხვების. თანაც, არა მარტო ქალთა სქესის, რომელთანაც უშუალო და ხშირი კონტაქტი მაქვს. მათი წყალობით, ჩემივე სქესის ბუნება გავიცანი კარგად და ის უხილავი შეცდომებიც დავინახე, რომლებსაც კაცები ხშირად ვუშვებთ.

**– აღიარებთ მამაკაცების დაშვებულ შეცდომებს?**

– რა თქმა უნდა, თუკი ამ ჩემი აღიარებით რამეს ან ვინმეს ეშველება, მაგრამ, ცოტა ეჭვი მეპარება – ზოგადად, ადამიანებს უჭირთ შეცდომების აღიარება.

**– თუ, კაცებს უჭირთ?**

– რატომ ასე რადიკალურად? ქალები, რა, ნაკლებად ჯიუტები არიან? მათაც ხშირად უჭირთ საკუთარ შეცდომებზე ხმამაღლა ლაპარაკი. ეს ადამიანია ასე მოწყობილი, ასეთი ფსიქოლოგია გვაქვს. სხვა აუცილებლად უნდა განვიკითხოთ და მისი შეცდომებიც კარგად გავქექოთ, საკუთარი კი – არა! მე არც ვლანძღავ ვინმეს, არც განვიკითხავ. პრობლემა არსებობს და ის არცთუ ცოტა ადამიანს აწუხებს. მე ვიცი ამ პრობლემის არსი.

**– სიჯიუტე... ამაზე ლაპარაკობთ?**

– ეს მხოლოდ ერთი ფაქტორია. თანაც, სხვა ფაქტორებთან შედარებით, უმნიშვნელო. თქვენ კომპლექსები გავიწყდებათ. უამრავი კომპლექსი, რომლებიც ყველა ადამიანს, ნებისმიერ ჩვენგანს საკმაო რაოდენობით გვაქვს. მაგალითად, მე ქალებზე საერთოდ სხვაგვარი წარმოდგენის ვიყავი. უფრო ზუსტად, სხვანაირად აღვიქვამდი მათ. მამაკაცები აზრზე არ არიან, რამდენ საიდუმლოს ინახავს ქალის ფიზიკური სხეული, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ სულზე. მამაკაცებს ეს ნაკლებად აინტერესებთ და ადარდებთ, არადა, უმნიშვნელოვანესი მომენტია. სხვაზე ჭკვიანი ნამდვილად არ ვარ – ამის დამტკიცებას არ ვცდილობ, მაგრამ თუ ჩემს სიტყვებს ირონიით კი არ წაიკითხავენ, არამედ, კარგად გაიაზრებენ, ისევ მათთვის იქნება სასარგებლო.

**– ანუ, გინდათ, მამაკაცებს გაუზიაროთ ის ცოდნა, რაც ქალებთან მიმართებაში დააგროვეთ?**

– თქვენ გეღიმებათ, მაგრამ მართლაც სერიოზული გამოცდილება მაქვს. ქალები ჩემთან ბოლომდე „იხსნებიან“, ნელ-ნელა და ბუნებრივად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. მასაჟისტი ვარ, ოღონდ, ჩვეულებრივი მასაჟისტი არა.

**– არაჩვეულებრივი მასაჟისტი როგორია?**

– ჩემნაირი ***(იღიმება).*** გარეგნობა როგორი მაქვს, თავადაც ხედავთ და, შესაბამისად, საკმაოდ ადვილად ვხიბლავ ქალბატონებს. ეს პროფესია გააზრებულად და შეგნებულად ავირჩიე. თავიდან ექიმობა მინდოდა, მაგრამ, მესამე კურსზე შევცვალე გადაწყვეტილება. იმიტომ არა, რომ ჩემში „მექალთანეობის“ ჟინმა იმძლავრა. უბრალოდ, ამ პროფესიაში მეტი პერსპექტივა დავინახე, ვიდრე ექიმობაში, როგორც ფინანსური, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით. ძალიან საინტერესოა. სხეულის ენას სწავლობ. საკუთარსაც, სხვათა შორის და ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩემთან ქალები სწორედ იმიტომ მოდიან, რომ მათ საკუთარი სხეულის შეცნობაში ვეხმარები. ღალატის გარეშე ახერხებენ თავისი სექსუალური ფანტაზიების დაკმაყოფილებას.

**– ანუ, თქვენთან სექსუალურად დაუკმაყოფილებელი ქალები დადიან?**

– ასეც ნუ იტყვით. ის, რომ ქალს სექსუალური სიამოვნების მიღება სურს, სექსუალურ დაუკმაყოფილებლობას არანაირად არ ნიშნავს. ბევრი ქალი ძალიან დიდ ფულს გადაიხდის და იხდიან კიდეც, რომ არც ქმარს უღალატონ და ცოტა ინტიმის უფლებაც მისცენ თავს და მე მომწონს, რომ ამაში ვეხმარები. არც არაფერს ვხედავ ცუდს. იცით, რამდენწლიანი კლიენტები მყავს?! არაჩვეულებრივი ქალბატონები არიან.

**– თქვენი კლიენტების ასაკი როგორია?**

– 25 წლიდან ზემოთ. აბა, თქვენ რა გგონიათ?! ქალები ძალიან საინტერესო არსებები არიან და ცუდია, რომ უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს საკუთარ შესაძლებლობებზე.

> **ქალების წყალობით ჩემივე სქესის ბუნება გავიცანი და ის უხილავი შეცდომებიც დავინახე, რომლებსაც კაცები ვუშვებთ**

**– ვინ არის ამაში დამნაშავე?**

– ერთი მიზეზი არ არსებობს. ჯერ ერთი, ჩვენს საზოგადოებას ძალიან აკლია ამ მიმართულებით განათლება. სწავლობენ, თავს იკლავენ სხვადასხვა, ზოგჯერ უსარგებლო ინფორმაციების მიღებით. იღებენ ზოგად, პროფესიულ განათლებას და საერთოდ არ ფიქრობენ, როგორი აუცილებელია ინტიმური განათლება. დამნაშავეები არიან კაცებიც, რომლებიც არ ზრუნავენ თავიანთი ცოლების ინტიმურ განათლებაზე და არც მიაჩნიათ ეს საჭიროდ. სამაგიეროდ, სიამოვნებით მირბიან ინტიმურად განათლებულ ქალებთან. სასაცილოები არიან და უვიცები. ჯერ კიდევ ერთი ნაბიჯითაც ვერ წავიწიეთ წინ. გულახდილად გეუბნებით, მიკვირს. რატომ არ უნდათ ამ მამაკაცებს, ვითომ ძალიან ევროპულებს, ცოლებად ისეთი ქალები ჰყავდეთ, საკუთარი ქალობა ბოლომდე რომ აქვთ გაცნობიერებული?! მგონი, საერთოდ ვერ აცნობიერებენ, რამხელა ბედნიერებაა ასეთი ქალის გვერდით ცხოვრება.

**– თქვენ ფიქრობთ, ვისთანაც კაცები საკუთარ ცოლებს ღალატობენ, ისინი ინტიმურად განათლებული ქალები არიან და არაჩვეულებრივად ესმით საკუთარი სხეულის ენა?**

– მე ამას ვერ ვიტყვი. მეეჭვება, ასეთი დონის მეძავები ჩვენთან ბევრნი იყვნენ. ჩემს ყურადღებასა და ინტერესს იწვევს ქალის სხეულის ის ნაწილები, რომლებიც მამაკაცების უმრავლესობისთვის შეუმჩნეველი რჩება.

**– ეს პროფესიულია?**

– თითქმის. მამაკაცების ინტერესს ვულგარულად ჩაცმული ქალები იწვევენ. ძირითადად – გრძელი ფეხები უნდა ჰქონდეთ, თუნდაც დაგრეხილი. ასევე, მნიშვნელოვანია დეკოლტე და უგემოვნო, გამომწვევი მაკიაჟი. მე კი ქალში ქალს ვხედავ. მიხვდით, რასაც ვგულისხმობ? თანაც, ვხედავ ქალს, რომელსაც „სძინავს“, შებოჭილია და „აწყვეტას“ ლამობს.

**– უფრო კონკრეტულად?**

– კი, ბატონო, გეტყვით. როცა ქალი თვითრეალიზებას ვერ ახდენს, ის ფეთქებადსაშიში ხდება, სულერთია, რომელ საკითხში. ჩაკეტავ სახლში და მუშაობის საშუალებას არ მისცემ?! – ერთხელაც იქნება, ამოხეთქავს და გააცამტვერებს ყველაფერს. ინტიმურ შესაძლებლობებს შეუკვეცავ და ამ სფეროში ბოლომდე გახსნის საშუალებას არ მისცემ?! – მომენტი ჩაუვარდება და ამ საშუალებას სხვასთან გახსნის. თქვენ არ იცით, რომ ბოლომდე პატიოსანი ქალები არ არსებობენ? რამდენიმე ფაქტორის, ანუ გარემოებათა თანხვედრაა საჭირო და, ყველაზე პატიოსანი ქალიც კი მზად არის ღალატისთვის. სიტუაცია, შესაფერისი „ობიექტი“ და განწყობა – სულ ეს არის... ჩემთან ჩემი კლიენტები ძალიან თავისუფლები არიან ხოლმე, და ფაქტობრივად, აღარ არსებობს ტაბუდადებული თემები. ყველაფერზე ვლაპარაკობთ. მე ვიცი მათი პრობლემების, ფარული სურვილების შესახებ.

**– ინტიმური სიახლე არ შემოუთავაზებიათ?**

– ეგეთიც ყოფილა, მაგრამ, მე ჟიგოლო არ ვარ. არაფერში მჭირდება ასეთი ურთიერთობები. საკმარისი შემოსავალი მაქვს და მყოფნის. იყო შემთხვევა, ერთმა საკმაოდ ახალგაზრდა და მიმზიდველი გარეგნობის ქალბატონმა, ინტიმური სიახლოვე შემომთავაზა. ნამდვილად არ ვიტყოდი უარს, დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი, ეს მართლა უნდოდა.

**– ეჭვი რატომ შეგეპარათ?**

– იმიტომ, რომ, როგორც გითხარით, მე უკვე ძალიან კარგად ვიცნობ ქალურ ფსიქოლოგიას. ის იმ მომენტში ჩემთან „გაიხსნა“, ჩემთან შეიგრძნო საკუთარი ქალობა და გადაწყვიტა, რომ ჩემთან სიახლოვეც უნდოდა. თუმცა, ზუსტად ვიცი, რომ მერე ინანებდა ამას – სინ-

# როგორ იპოვეს დაკარგულმა დებმა ერთმანეთი საახალწლოდ და ვინ ეძებდა დედმამიშვილს რუსეთიდან საქართველოში

*49 წლის ლარისა ივანეს ასული ვანიუკოვა ეძებდა: 45 წლის ირინა აზერაშვილს.*

**ისტორია**: ვეძებ ჩემს დას, 45 წლის ირინა აზერაშვილს (მეუღლის გვარია, გვარის სისწორეში დარწმუნებული არ ვარ). მე და ირინას შორის კავშირი ბოლოს 1985 წელს შეწყდა, როდესაც მან წერილი გამოგვიგზავნა. ძალიან გთხოვთ, მაპოვნინოთ. ვგზავნი მის ფოტოს (უფრო გვიან გადაღებული სურათი არ გამაჩნია). თქვენი რუბრიკის დიდი იმედი გვაქვს.

**ჟურნალისტის შენიშვნა**: *ეს ისტორია დაიბეჭდა რუბრიკა „დაკარგულებში," ჟურნალ „თბილისელების" 47-ე ნომერში. დაკარგული ირინა სწორედ ახალი წლის წინა დღეს, 31 დეკემბერს დამიკავშირდა. ლარისა ირინას კოჯორში ეძებდა, ის კი თბილისში ცხოვრობს. საბედნიეროდ, დებს შორის 1985 წელს შეწყვეტილი კავშირი აღდგენილია.*

**– ქალბატონო ლარისა, რა რეაქცია გქონდათ, როდესაც შეგატყობინეთ, რომ ირინა ნაპოვნია?**

– ძალიან გამიხარდა და ვერ ვიჯერებდი, რომ ჩემს დას დავუკავშირდებოდი. 1985 წლიდან ჩვენ შორის კავშირი არ ყოფილა. მე ირინა კოჯორში მეგონა, ის კი, როგორც თქვენ მითხარით, თბილისში ცხოვრობს. ტერიტორიული სიშორის გამო ჩვენ ერთმანეთი წლების განმავლობაში არ გვინახავს. იმედია, ახლა ყველაფერი გამოსწორდება. დიდი მადლობა თქვენ და თქვენს რედაქციას ასეთი სასწაულისთვის. ამ ახალ წელს ბედნიერი შევხვდები *(ინტერვიუ ჩაწერილია 31 დეკემბერს – ავტორი).* არც მეგონა, რომ საქართველოდან ვინმე ასეთ მოკლე დროში დამიკავშირდებოდა და ჩემს ისტორიას გულთან ახლოს მიიტანდა.



**– თქვენს დასაც გაუხარდა თქვენი, ასე ვთქვათ, გამოჩენა. მაინც, რა იყო იმის მიზეზი, რომ თქვენ ერთმანეთს ამდენ ხანს არ დაკავშირებიხართ?**

– მოგეხსენებათ, რა რთულია, იყო შორს შენი დედმამიშვილისგან; თანაც, მე ირინას სხვა მისამართი ვიცოდი. ის კი, თურმე, წლებია, თბილისში ცხოვრობს. თქვენი დახმარების გარეშე მას ვერ ვიპოვიდი. თავიდან მე განვათავსე განაცხადი სამძებრო საიტზე, მაგრამ, ვიცოდი, რომ ამ ყველაფერს დიდი დრო უნდოდა, რადგან, ამ საიტზე ჩემი ისტორიის გარდა ათასი ისტორიაა. ასე სწრაფად პოვნის იმედი, რა თქმა უნდა, არ მქონდა. ეს სასწაულია და მეც და ჩემი დაც თქვენი დიდი მადლობლები ვართ. მით უმეტეს, როგორც გავიგე, თქვენ მარტო მუშაობთ ამ საკითხზე, სამძებრო საიტს კი ასეთი ადამიანების მთელი ჯგუფი ჰყავს.

**– აპირებთ თუ არა ერთმანეთის ნახვას, ანუ, შეხვედრას თუ გეგმავთ?**

– დიახ, ძალიან მინდა, რომ 2013 წელს ვნახო ირინა, მანამდე კი ჩვენ ინტერნეტითაც გვექნება ერთმანეთის ნახვის საშუალება და ტელეფონითაც დავუკავშირდებით ხოლმე ერთმანეთს. ირინამ მითხრა, რომ მას ძალიან გაუკვირდა და გაუხარდა, როდესაც თქვენს რუბრიკაში თავისი ისტორია წაიკითხა. ეს მისთვის დიდი სასწაული იყო, თან, ყველაფერი საახალწლოდ დაემთხვა, მართლაც, სასწაულებით დაიწყო 2013 წელი. მინდა, თქვენც და თქვენს მკითხველსაც ასეთი სასწაული ვუსურვო ამ ახალ წელს.

*თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნატალია მახარაშვილი**

---

დისი აუცილებლად შეაწუხებდა. მე კი ჩემი კლიენტების სულიერ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ძალიან ვუფრთხილდები და ამიტომაც მოდიან ისინი ჩემთან. უმრავლესობა, როგორც გითხარით, ამით ღალატისგან თავის დაცვას ახერხებს. ისეთ სიამოვნებას იღებენ იმ პროცედურებით, რომლებსაც ვუკეთებ, რომ ბედნიერების განცდა უბრუნდებათ, რადიკალურად იცვლებიან და ხალისიანები ხდებიან. მზერაც კი სხვანაირი უხდებათ. ძალიან ბევრს ქმართანაც ეცვლება ურთიერთობა – სექსუალურ ურთიერთობას ვგულისხმობ, რაც მერე ბუნებრივად აგვარებს სხვა დანარჩენ პრობლემებსაც.

> **ის, რომ ქალს სექსუალური სიამოვნების მიღება სურს, სექსუალურ დაუკმაყოფილებლობას არ ნიშნავს**

**– ამას თავად გეუბნებიან?**

– დიახ. როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემთან ყველაფერზე ლაპარაკობენ. რამდენჯერმე მქონდა შემთხვევა, როცა ქმარი მოვიდა მადლობის სათქმელად.

**– თუ, ეჭვიანობამ მოიყვანა თქვენთან?**

– არა, არა, ეჭვი არაფერ შუაშია. მე ეროტიკულ მასაჟს არ ვაკეთებ. თუმცა, ესეც შეიძლია. ჩემი მასაჟი სულისა და სხეულის თანაბრად გაჯანსაღებას ემსახურება. პაციენტები ლამის ხელის გულზე მატარებენ და ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა.

**– პირადი ცხოვრება გაქვთ?**

– ანუ, გაინტერესებთ, მყავს თუ არა საყვარელი ადამიანი?! ჯერ არა. ოღონდ იმიტომ არა, რომ რამე განსაკუთრებული მოთხოვნები მაქვს პარტნიორის მიმართ, ან, ამდენ ქალთან ურთიერთობამ მათ მიმართ ინტერესი გამიქრო. არანაირად. უბრალოდ, ჯერ ჩემი გონება პროფესიული წინსვლით არის დაკავებული. ჩემი ცოლისთვის მე ყველაფერი ვიქნები, სხვანაირად ვერც წარმომიდგენია.

**– ანუ, ბედნიერებისთვის მასაჟები არ დასჭირდება?**

– რატომაც არა. მასაჟი არაჩვეულებრივი სარელაქსაციო და გამაჯანსაღებელი საშუალებაა და ყველამ უნდა გაიკეთოს. მას მხოლოდ სარგებელი მოაქვს და არაფერს ვნებს და ჩემი პაციენტების მაგალითზე ეს უკვე დავამტკიცე. არანაირი სასიყვარულო და ამურული ინტრიგები – ამისგან შორს ვარ თუმცა, დიდი სიამოვნებით ჩავუტარებდი ქმრებს „ტრენინგებს" და ვასწავლიდი, როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ცოლებთან. ქალი არც ლამაზი თოჯინაა, რომ მორთო და უყურო, არც უფასო მომვლელ-დამლაგებელი. ქალი არის ძალიან საინტერესო, მრავალფეროვანი არსება, რომელიც უნდა შეიცნო და საკუთარი თავის შეცნობაშიც დაეხმარო. მაშინ თავადაც ბედნიერი და დაკმაყოფილებული იქნები და არც შენს ცოლს დასჭირდება „ღალატის ალტერნატივის" მოძებნა.

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ძალიან კარგი ქმარი მყავს: ყურადღებიანი, მზრუნველი, გამგები, ალერსიანი... საჩუქრებითაც მანებივრებს, მაგრამ, პრობლემა ის არის, რომ არაფრით არ სჯერა ჩემი სიყვარულის. სულ მეუბნება, შენი ნდობა არ მაქვს, არ გიყვარვარ, რადგან, უკეთესი მამაკაცი შეგეფერება და ერთხელაც მიღალატებო... ძალიან განვიცდი ამ ყველაფერს და ვკომპლექსდები. გარეთ რომ გავდივარ, გვერდზე არ ვიყურები – მეშინია, რომ იეჭვიანებს. ასე როდემდე უნდა ვიყო?!**

**გამოხმაურება:** სხვათა შორის, საკმაოდ რთული სიტუაციაა და ფეთქებადსაშიშიც. თქვენს ქმარს კომპლექსი აქვს და ეს კომპლექსი სერიოზულ ეჭვებს ბადებს. როგორმე უნდა დაელაპარაკოთ და აუხსნათ. უნდა გააგებინოთ, რომ სანერვიულო არაფერი აქვს. იქნებ ნელ-ნელა დაიჯეროს თქვენი ერთგულება. შრომა კი საკმარისზე მეტი მოგიწევთ.

**ფსიქოლოგი მაგდა როზაქიძე**

**პოპულარული სერიალის – „ჩემი ცოლის დაქალების" კინოვერსია – „ჩემი ცოლის დაქალის ქორწილის" პრემიერა ქართველმა მაყურებელმა უკვე იხილა. ფილმში მოსკოვში „გადახვეწილი" მამაც გამოჩნდა, რომელსაც მომღერალი ნუგზარ ერგემლიძე ასრულებს. ნუგზარ ერგემლიძისთვის ფილმში გადაღება დებიუტი იყო, თუმცა ცხოვრებაში იმდენი როლი აქვს მორგებული, როგორც თავად ამბობს, არც გოგი კირვალიძეობა გასჭირვებია.**

# როგორ გაჩნდა ნუგზარ ერგემლიძის ცხოვრებაში ფიდელ კასტრო და რა კავშირი აქვს მას ოქროყანაში „გახსნილ" წყაროსთან



**4 წლის ვიყავი, როცა ფიდელ კასტრო დავხატე. ისე, წვერიანი კაცის დახატვას ბევრი არც არაფერი უნდოდა**

**– როგორ შედგა თქვენი კინოდებიუტი და როგორ მოხვდით ამ როლზე?**

– როგორც ხდება ხოლმე: როცა ფილმის სცენარი დაიწერა, გავახსენდი რეჟისორს, პროდიუსერს და დამიძახეს. ეძებდნენ ისეთ ტიპაჟს, როგორიც ჩემი პერსონაჟი – გოგი კირვალიძეა. მე ბევრი სერია არ მინახავს, მაგრამ, ვიცი, რომ შვილები ხშირად ახსენებდნენ მამას, რომელიც მოსკოვში იმყოფება. დედა ამერიკაშია, მამა – მოსკოვში. კარგად მოფიქრებული პარადოქსული სიტუაციაა პოლიტიკური ნიშნებით: ქორწილში დედა ამერიკიდან ჩამოდის, მამა – მოსკოვიდან. კინო მაინც კინოა – მარტივი არაა, გახვიდე, პირდაპირ პირი დააღო და ისე ითამაშო. ტექსტს ისეთივე წაკითხვა უნდა, როგორც მუსიკალურ ნოტებს. გიორგი ლიფონავა მასწავლიდა, რა როგორ უნდა მეთქვა, როგორ უნდა მეთამაშა.

**– გაგიჭირდათ როლის მორგება?**

– როლის მორგება არა, მაგრამ, გადაღებები იოლი არ იყო. ათი დღე გვქონდა გადაღებები, დილიდან გვიან ღამემდე. ყველაზე ძნელი ისაა, ტექსტი არ უნდა შეგეშალოს. დიდ მსახიობებს ემართებათ ეს. როცა ოთხი-ხუთი ადამიანია გადაღებაში, ეს სხვაა და, როცა ხუთი დღე იღებ ქორწილს და ტექსტი მაინც გეშლება, ჩათვალე, რომ მთელი ქორწილი გაგინებს, ხმამაღლა თუ არა, გულში მაინც ***(იცინის).*** ეს არის სტრესი, რომელსაც ყველა განიცდის გადაღების დროს.

**– გაქვთ საერთო გოგი კირვალიძესთან?**

– როგორ არ მაქვს! გოგი კირვალიძე ყველა ქართველი კაცის „კრებულია", თითქმის ყველა ეგეთია – „შემყვანი". იმ ქალს „აბამს," ვინც გვერდით ჰყავს, მაშინ, როცა ლუდა შორს არის. როგორც ტექსტიდან ჩანს, ლუდას დედაც-მეთქი, ვამბობ, ისე გოგი კირვალიძე „სპასობნია," ნანას რომ დაშორდება, „ნანას დედაცო," თქვას ***(იცინის).*** გოგი ქარიზმატული კაცია, მასში ძველი სიყვარული ღვიძებს, მით უფრო, ცოტას რომ დალევს. თან, სიძეც რომ მდიდარია, ამაშია მთელი „ხიბლი". როცა ლიკუნა გათხოვდა, გოგი კირვალიძე არ ჩამოვიდა თბილისში, აი, კატოს ქორწილი კი სხვაა – სიძე ძალიან შეძლებულია და გოგი ჩამოდის, რომ სიძეს დაუახლოვდეს – გაუჩნდა ახალი ბიზნესპერსპექტივა, ისე უბრალოდ კი არაა საქმე!

**– არა მგონია, თქვენი პერსონაჟის მსგავსად, ყველა ქალაქში შვილი გყავდეთ.**

– არა, როგორ გეკადრებათ. ან, იქნებ, მყავს და არ ვიცი?! გერმანიაში მყავს პირველი ცოლშვილი. ჩემი შვილი, ირაკლი ერგემლიძე, რეჟისორია, ჩემს პირველ ცოლსაც ნანა ერქვა. ერთი ქვეყანა არ დაემთხვა, თორემ, სახელი – კი. კიდევ ორი ბიჭი მყავს – გიორგი და ნიკა, გოგისგან განსხვავებით, მე სამი ბიჭის მამა ვარ.

**– კინო ისე მოგწონებიათ, სერიალშიც ხომ არ გააგრძელებთ გადაღებას?**

– არ ვიცი, თუ შემომთავაზებენ, ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე, რატომაც არა, მივიღებ მონაწილეობას სერიალში; თუმცა, არჩევანზე რომ იყოს, კინო მირჩევნია. სერიალს ადამიანი სხვაგან „მიჰყავს", გინდა-არგინდა, როცა გიღებენ, სერიალით უნდა იცხოვრო. მე ბევრ რამეში ვარ ჩართული – იცით, რომ ვხატავ და ახლა გამოფენისთვის ვემზადები. მესამე რომანი დავწერე, დავიტრაბახებ, რომ ჩემი სამივე რომანი ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული. ახლა მინდა, რომ მესამე რომანის – „არმაგედონის მათრახის" პრეზენტაცია მოვაწყო. რომანი ეძღვნება ახალგაზრდა კაცს, რომელიც ეძებს თავის ბედს და ამაში სასწაულებიც ეხმარება. სადაც ჩავიდა, ყველგან არეული დახვდა ქვეყანა – ეგვიპტეში, ლონდონში, მოკლედ, არმაგედონი თავის მათრახს იქნევს. რომანში ვითარდება ასეთი თეორია და თქვენც გეტყვით. ვცდილობ, როგორმე ჩავწვდე ეზოთერიკულ საიდუმლოებებს. მე ვნახე, როგორ იქცევა წყალი სხვადასხვა ბგერებზე – სიმღერაზე, მოფერებაზე, გაბრაზებაზე. ანკარა წყაროს წვეთს მიკროსკოპში დადებენ და მტკიცდება, რომ წყალი არის ცოცხალი არსება: კარგ მუსიკაზე ფიფქივით იშლება, ცეკვავს; როცა დაუძახებენ „ჰიტლერი!" – შავდება და ჰიტლერის ფორმას იღებს. ქართველმა უძველეს დროს იგრძნო, რომ წყალი ცოცხალი არსებაა, ამიტომაცაა

> **ჩემი სამივე რომანი ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული**

ჩვენს ლექსიკონში ამდენი სიტყვა, რომლის ძირიც „წყალია:" შემიწყალე, საწყალი, უმოწყალო, მოწყალე. ჩვენ ყველა წყლისგან ვართ შექმნილები – ჩვენში 80 პროცენტი წყალია. ადამიანს ცუდი სიტყვა არ უნდა უთხრა, რადგან, ასეთ დროს მისი წყალი იჭრება და ადამიანი ცუდად ხდება. როცა ქართველები ვილოცებით ღვინით, ის ღვინოც წყალია, დადებითად დამუხტული, რომლის ყოველი წვეთი ცეკვას იწყებს; ამიტომაც, როცა ღვინოს დალევ, კეთილშობილი ხდები – აი, ეს საიდუმლოა ქართულ სადღეგრძელოში.

**– წყლის თეორიაზე ამდენი გიშრომიათ, ამიტომ გაჩნდა სოციალურ ქსელებში ვიდეო, ოქროყანაში თქვენი სახელობის წყარო რომ გახსნეს?**

– ეს ვიდეო ბოროტი ხუმრობაა, ჩემთან შეხება არ აქვს. ვიღაცამ „იღადავა", მეც ვნახე ეს ვიდეო ინტერნეტში, მაგრამ, დიდი ყურადღება არ მიმიქცევია და არც მაინტერესებს.

**– თქვენი კიდევ ერთი როლი უნდა გაგახსენოთ – როცა წინა მოწვევის პარლამენტის წევრი იყავით.**

– ეს როლი არ იყო. პარლამენტი წარმომადგენლობითი ორგანოა და იქ ყველა პროფესიის ადამიანი უნდა იყოს ოთხი წლით. დამთავრდა ის დრო, ახლა სხვას აირჩევენ, მერე სხვას და ასე იქნება სულ. მე ჩემს გამოცდილებას აუცილებლად გამოვიყენებ რომანში, რადგან, იმ ოთხ წელიწადში ბევრი ისეთი რამ გავიგე, რაც რეალობასთან არის დაკავშირებული; ის, რაც არის ცხოვრება, რა პრობლემები აქვთ ადამიანებს. მე პოლიტიკურ წიგნებს ბავშვობიდან ვკითხულობდი, ფილოსოფიასა და დიამატში „ხუთიანები" მყავდა.

**– ეგ სხვაა და პოლიტიკოსობა – სხვა. ტრიბუნასთან ამ ოთხ წელიწადში რამდენჯერ იდექით?**

– არაა სხვა, რატომ ფიქრობთ ასე? დეპუტატობა მარტო ტრიბუნასთან ლაპარაკი კი არ არის. შიგნით იმდენი სხვა საქმეა მოსაგვარებელი, სწორედ ესაა საქმის კეთება. ყველაფერი ხომ არ ჩანს, მაგრამ, მე ბევრი ვიმუშავე. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტში ვიყავი და ვხვდებოდი დელეგაციებს. ეს მსოფლმხედველობრივი მომენტია ჩემთვის, ძალიან ბევრი საინტერესო რამ მოხდა ამ ოთხ წელიწადში. მე უმცირესობაში ვიყავი, რასაც ესენი ხელს მიაჭერდნენ, მეც ვეთანხმებოდი. როცა ხარ ფრაქციაში, მარტო ერთი კაცის პასუხისმგებლობა არ გაქვს. მე აქტიური ვიყავი ხელოვნების საკითხებში, რაც ეხებოდა ფილმების ტიტრებით გახმოვანებას, მხატვართა კავშირის პრობლემებს. ძალიან არ მომწონდა ხელოვანების დაყოფა, ვინ რომელ ბანაკში იყო. მე ვიყავი საქართველოს ბანაკში და არავისტი არ გავმხდარვარ, არც ერთი პოლიტიკური ძალისთვის არ მიმღერია დითირამბები – ეს საშინელ ტენდენციად მიმაჩნია.

**– სამაგიეროდ, პენსია გაქვთ გარანტირებული სიცოცხლის ბოლომდე.**

– მერე რა მოხდა? ამდენი წელია, ბატონი ბიძინა ყველა მსახიობს უხდის პენსიას და ჩემი 560 ლარი თუ გენანებათ, შემიძლია დაგითმოთ, ეგ ფული მაინც ბევრში არაფერში მყოფნის.

**– თქვენი თაობის მომღერლები ძირითადად რესტორნებსა და კლუბებში მღერიან, თქვენ არა?**

– ყოველდღე არ ვმღერი, მაგრამ, როცა მიწვევენ, მივდივარ. ვმღერი ყველგან – რესტორანში, მოხუცთა თავშესაფარში, სუფრაზე და ეს დამამცირებლად არ მიმაჩნია, ბოლოს და ბოლოს, რეი ჩარლზი მღეროდა რესტორანში. ეს კარგი შემოსავლის წყაროა, თან გსიამოვნებს, ძალიან სასიამოვნოა, როცა იმ საქმეში იღებ ფულს, რომელიც გიყვარს.

**– თქვენი ერთი სიმღერა რა ღირს?**

– ასე არასდროს განმისაზღვრავს ფასი, რასაც შემომთავაზებენ სიყვარულით, იმ თანხას ვიღებ. მე ლექსებსაც ვწერ სიმღერებისთვის, იქაც ვიღებ ფულს და არცთუ ცუდად. ეს ყველაფერი სიამოვნებას მანიჭებს და უარი რატომ უნდა ვთქვა? ხელოვნებას არც მაშინ ჩამოვშორებივარ, როცა დეპუტატი ვიყავი – იქაც შეიძლება, დაწერო ლექსები შესვენებაზე, თუ მუზა მოგივა. მე ლექსი დამიწერია ტროლეიბუსშიც, ვაგონშიც და ამაზე განგებამ იზრუნა. რომ დავიბადე, ხელი გამექცა წერისკენ და მას შემდეგ ასე მოვდივარ. მამა მყავდა კარგი წამხალისებელი: რომ ნახა, რაღაც დავხატე, საღებავი და ტილოები მიყიდა. 4 წლის ვიყავი, როცა ფიდელ კასტრო დავხატე, მაშინ მოდაში იყო კუბის ლიდერი. ჩემი შვილი ხუთი წლის წინ კუბაში წავიდა. მე ვუთხარი: მამა, ეგ ფიდელ კასტრო, იქ რომ დაგხვდება, ბავშვობაში მყავს დახატული-მეთქი, ისე, წვერიანი კაცის დახატვას ბევრი არც არაფერი უნდოდა ***(იცინის).***

**თამუნა ნიჟარაძე**

# თბილისის რომელ ქუჩაზე გადაიხადა ქორწილი იოსებ ჯუღაშვილმა და რომელ თბილისელ გამომცემელთან ჩერდებოდა სახლში აკაკი წერეთელი

*რუსთაველის გამზირზე არაერთი ისტორიული ნაგებობა არსებობდა, რომელთა კვალი ამჟამად გამქრალია, თუმცა, მათი უმეტესობა ძველ ფოტოებზეა შემონახული. დღევანდელ ნომერში გაგაცნობთ ბევრისთვის ნაცნობი მუხრან-ბატონის სასახლის, სოსიკო მერკვილაძის წიგნების მაღაზიისა და კრუზენშტერნის ქუჩის ისტორიებს ფოტომასალის თანხლებით.*

## მუხრან-ბატონის სასახლე

რუსთაველის გამზირზე, იქ, სადაც ახლა ყოფილი კავშირგაბმულობის სახლია, მეცხრამეტე საუკუნეში ივანე მუხრან-ბატონის სამსართულიანი სახლი იდგა. შენობა 1853-1854 წლებში იყო აგებული მაშინდელი გოლოვინის პროსპექტის და გიმნაზიის (ამჟამინდელი ლესია უკრაინკას) ქუჩის კუთხეში. მეცხრამეტე საუკუნის თბილისში ეს შენობა პოპულარობით სარგებლობდა: აქ იყო განთავსებული თბილისის თავადაზნაურობის საკრებულო („დომ დვორიანსკოგო სობრანია"); შენობის ნაწილი, ასევე, ეკავა სასტუმროს – „მუხრანსკიე ნომერა", 1863 წლიდან კი მუხრან-ბატონის სახლში გაიხსნა პირველი ქართული ჟურნალის – „საქართველოს მოამბის" რედაქცია, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. 1877 წელს მუხრან-ბატონის ინიციატივით არქიტექტორმა ა. ფონ სკოიანმა შენობის რეკონსტრუქცია განახორციელა და გოლოვინის პროსპექტზე სხვა შენობებისგან გამორჩეული ნაგებობა კიდევ უფრო გაალამაზა მდიდრული ფასადითა და მუხრანბატონთა საგვარეულო გერბით, რომელიც მესამე სართულზე ცენტრალური ფანჯრის თავზე იყო გამოსახული. ივანე მუხრან-ბატონის გარდაცვალების შემდეგ 1895 წელს შენობა მისი შვილის, კონსტანტინე მუხრან-ბატონის საკუთრებაში გადავიდა, თუმცა, ამ უკანასკნელმა მამის დატოვებული ქონების განიავება დაიწყო და 1900 წელს შენობა თბილისში მცხოვრებ ცნობილ მეწარმეს, ალექსანდრე მანთაშევს, გავრცელებული ვერსიის თანახმად, 240 ათას მანეთად მიჰყიდა. მანთაშევს არ შეუცვლია შენობის პროფილი და სასტუმროს ამუშავებდა, რომელსაც რამდენჯერმე შეეცვალა სახელწოდება („მუხრანი," „უნივერსალი" და სხვა). 1921 წლის ზაფხულში ხანძრის შედეგად, მუხრან-ბატონის სახლი მთლიანად დაიწვა და მის ადგილზე, 1928 წელს, საქალაქო საბჭომ კავშირგაბმულობის დაწესებულების შენობის ასაგებად თანხა გამოყო. მოსკოვში, არქიტექტორ კონსტანტინე სოლომონოვის მიერ, შემუშავდა ხუთსართულიანი შენობის პროექტი, რომლის დამტკიცების შემდეგ, 1930 წელს, დაიწყო მშენებლობა, რომელიც 1934 წელს დასრულდა, თუმცა, შენობა ვერ აკმაყოფილებდა რუსთაველის გამზირზე არსებული შენობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და მთლიანად ამახინჯებდა თბილისის მთავარი გამზირის ჰარმონიულ ხედს. 1934 წლის ნოემბერში საქალაქო საბჭომ კავშირგაბმულობის შენობის ფასადის საფუძვლიანი რეკონსტრუქციის დაწყების დადგენილება მიიღო, მაგრამ, სამუშაოების დაწყება ხანგრძლივი ვადით გაჭიანურდა. ფასადის რეკონსტრუქცია ცნობილი არქიტექტორის, ივანე ჩხენკელის პროექტით განხორციელდა და 1954 წლის ნოემბერში დასრულდა. ფასადის მოპირკეთებისას გამოყენებული იყო მეთორმეტე საუკუნის ცნობილი ქართველი ხუროთმოძღვრის ბექა ოპიზრის ორნამენტების ელემენტები. ამჟამად ამ შენობაში რამდენიმე ორგანიზაციაა განთავსებული.



მუხრან-ბატონის სასახლე – თბილისის თავადაზნაურობის საკრებულო (1900-იანი წლები)



მუხრან-ბატონის სასახლე და გოლოვინის გამზირი (1910-იანი წლები)



ყოფილი კავშირგაბმულობის სამინისტრო (თანამედროვე ხედი)



სასტუმრო „მუხრანი" და მუხრან-ბატონის საგვარეულო გერბი (1900-იანი წლები)

## სოსიკო მერკვილაძის წიგნის მაღაზია

სოსიკო მერკვილაძეს რევოლუციამდელ თბილისში საკუთარი ფართლეულის მაღაზია ჰქონდა გახსნილი ალექსანდრეს ბაღთან, წმინდა გიორგის (საბჭოთა დროს ჯორჯიაშვილის, ამჟამად – ჭანტურიას) ქუჩაზე. სოსიკო ძმასთან ერთად იყო ჩართული მაღაზიის საქმეებში. ისინი იაპონური ქსოვილებით ვაჭრობდნენ, ხოლო სოსიკოს მეუღლე ტფილისელ გოგონებს ქრა-კერვას ასწავლიდა. ცნობილია, რომ 1897 წელს აკაკი წერეთელმა დააარსა ჟურნალი „აკაკის ყოველთვიური კრებული", რომლის მიზანი და დანიშნულება იყო, საკუთარი ნაწერების დაბეჭდვასთან ერთად, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მოძიება, შეკრება და გამოქვეყნება. აკაკის უამრავი ადამიანი ჰყავდა ჩართული ამ საქმეში და მათ შორის იყო სოსიკო მერკვილაძეც. ის აგროვებდა სხვადასხვა თემატიკის მასალას და ჟურნალში აქვეყნებდა. ამის შემდეგ იგი დაუახლოვდა აკაკის, ფართლეულის მაღაზია წიგნების მაღაზიად გადააკეთა და გამომცემელი გახდა. თავის მაღაზიას სოსიკომ „ცოდნა" უწოდა და ეს იყო იმ პერიოდის თბილისში ერთ-ერთი ყველაზე




სოსიკო მერკვილაძის წიგნების მაღაზია „ცოდნა" (მეოცე საუკუნის დასაწყისი)




შეშის გამყიდველი გაზეთ „ტიფლისსკი ლისტოკის" რედაქციასთან, კრუზენშტერნის ქუჩაზე (1900-იანი წლები)

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)



**ქრისტიანი ყოველთვის განისჯება არა პასპორტით, საბუთში ჩაწერილი სამი ექვსიანით, არამედ, საკუთარი ცხოვრებით – როგორი ქრისტიანია, როგორ იცავდა მართლმადიდებლობას, როგორ ცხოვრობდა**

**დღეს ბევრი გამოთქვამს შიშს მეორედ მოსვლის, ანტიქრისტეს ნიშნებისა და განსაკუთრებით სამი ექვსიანის მიმართ, რომელსაც ყველგან და ყველაფერში ეძებენ. რა უნდა ვიცოდეთ ამ საკითხთან დაკავშირებით და როგორია სწავლება სამი ექვსიანის შესახებ, ამაზე გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# რატომ უნდა ფიქრობდეს ადამიანი მუდმივად საკუთარ აღსასრულზე და როდის არის საშიში სამი ექვსიანი

– დღეს, როცა ადამიანები სადმე, საკუთარ საბუთებში ან მაღაზიაში ნაყიდ ნივთებში პოულობენ ჩაწერილ სამ ექვსიანს, ეშინიათ – ფიქრობენ, რომ ანტიქრისტეს ნიშანი მიიღეს. არადა, სამი ექვსიანი იქნება ჩაწერილი სადმე თუ სხვა ციფრები, ამას არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს მორწმუნე ადამიანისთვის. ქრისტიანი ყოველთვის განისჯება არა პასპორტით, საბუთში ჩაწერილი სამი ექვსიანით, არამედ, საკუთარი ცხოვრებით: როგორი ქრისტიანია, როგორ იცავდა მართლმადიდებლობას, ამით განიკითხება და არა იმით, რომ მის პასპორტში სამი ოთხიანი ან სამი ექვსიანი ეწერა. თუმცა, ნათქვამია, რომ, ბოლო ჟამს, როდესაც მოხდება სახელმწიფოების ერთი ადამიანის, ერთი სტრუქტურის ქვეშ დაქვემდებარება, რა თქმა უნდა, თუ ადამიანი არ იმუშავებს ღვთის წინააღმდეგ მებრძოლთა პარტიაში, მას გაუჭირდება დაპურება, თავის რჩენა და მოუწევს ტყეში, მთაში გასვლა, მწირი საკვების მიღება თავის გასატანად. ამ დროს დადგება ადამიანი არჩევნის წინაშე – თუ ის კეთილდღეობის გამო საკუთარ სულს დაკარგავს, დაიღუპება, მაგრამ, თუ მწირობას არჩევს, აუცილებლად ცხონდება.

**– დღეს იმასაც ფიქრობენ, რომ ჩაუდგამენ ჩიპებს, რაც დაუკარგავთ თავისუფალ ნებას, მოუწევთ სარწმუნოებაზე უარის თქმა.**

– რა თქმა უნდა, ეს წმინდა წყლის სისულელეა. აქ არ იგულისხმება პირდაპირი გაგებით ჩიპების ჩადგმა, აქ საუბარია იმაზე, თუ საით არის მიმართული ჩვენი გონება, ფიქრები: მიწისკენ თუ ღმერთისკენ. ხელი – ეს არის ადამიანის მოღვაწეობის, შრომის სიმბოლო, ამით აღასრულებს ის თავის საქმეებს და ამაზეა საუბარი. და არა იმაზე, რომ მე ჩამიდგამენ ჩიპს და ველარ ვიწამებ ქრისტეს – ეს აბსურდულია სულიერი თვალსაზრისით. ადამიანების დიდი ნაწილი გაუცხოებულია ეკლესიურ სწავლებასთან, ისინი მხოლოდ მატერიალურ საკითხებზე ფიქრობენ: უნდათ კარგი სამსახური, მაღალი ხელფასი, გართობა და არ ფიქრობენ მომავალ, ბედნიერ ცხოვრებაზე, რომელიც ქრისტეს გარეშე არ დადგება. ჩვენ არ გვაინტერესებს სულიერი საკითხები; არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ცხოვრების დასასრული ნებისმიერი ადამიანისთვის შეიძლება მოულოდნელად, ძალიან მალე დადგეს, ანუ, შესაძლოა, ყველაფერი გაცილებით ადრე დამთავრდეს. ამიტომ, უნდა ვფიქრობდეთ: „მე ოდესმე აუცილებლად მოვკვდები, ჩემი პირადი სამსჯავრო, შეიძლება, 5 წუთში დადგეს.“ მაგრამ, ხშირად, რადგან მატერიალურ პრობლემებზე უფრო ბევრს ვფიქრობთ, ამიტომ სხვა რაღაცეებზე გადაგვაქვს ყურადღება და მთავარი – საკუთარ სულზე ზრუნვა, სულიერებაზე ფიქრი გვავიწყდება.

**– ხშირად ცრუ სწავლებასაც ავრცელებენ, რომ თითქოს მეორედ მოსვლის ჟამს ივერია გაბრწყინდება; სხვა ქვეყნები დაიღუპებიან და მხოლოდ საქართველო გადარჩება.**

– ეს ცრუ წინასწარმეტყველება დიდი ხანია გავრცელებულია და, სამწუხაროდ, ყველას ილუზიური, ცრუ წინასწარმეტყველება გვაწუხებს, რომელიც არსად წერია, არავის უთქვამს და, არ ვიცი, სად წაიკითხეს, თითქოს საქართველო უნდა გაბრწყინდეს, დაიღუპებიან სხვა ქვეყნები, ჩაიძირება ათონის მთა და მხოლოდ ჩვენ, ქართველები დავრჩებით – ასეთი რამ არსად წერია. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველებმა ავიტაცეთ, რადგან ეს ყველაფერი გულს, ყურს ესალბუნება, არადა, ქრისტიანულ სწავლებასთან კავშირში საერთოდ არ არის. ის, რომ ჩვენ გავბრწყინდებით და სხვები დაიჩრდილებიან – ეს არასწორია. რუსები ფიქრობენ, რომ რუსეთი გაბრწყინდება, ბულგარელები – ბულგარეთი გაბრწყინდებაო და ასე შემდეგ. ადამიანი არ უნდა ფიქრობდეს იმაზე, რომ გარეგნულად მოხდება გაბრწყინება, მეფეების დანიშვნა, მირონცხებული მეფე ჩვენ წინ წაგვიყვანს. წმიდა მამების აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით ერთსულოვანია: არ გვეყოლება მეფე და თუ მეფე იქნება, ის იქნება ანტიქრისტე და არა ის მეფე, რომელიც ხალხს სწორ სარწმუნოებას მისცემს, მართლმადიდებლობის, ქრისტიანობის დამცველი იქნება. გამორიცხული არ არის, რომ პირველი უკვდავი ადამიანი სწორედ ანტიქრისტე იყოს, ჩაისახოს უბიწოდ, არა წმიდა ქალწულისგან, არამედ, გარყვნილი ქალწულისგან. არც ის არის პრობლემა, რომ ბეთლემში დაიბადოს და არც ის, რომ უკვდავი იქნება: მაგრამ, იქნება ცრუ მესია, ანტიპოდი ქრისტესი; იქნება უსიყვარულობის, ამპარტავნების მაგალითი, მაგრამ, მოჩვენებითად და ის ყველაფერს გააკეთებს ხალხისთვის.

**გამორიცხული არ არის, რომ პირველი უკვდავი ადამიანი სწორედ ანტიქრისტე იყოს; ჩაისახოს უბიწოდ, არა წმიდა ქალწულისგან, არამედ, გარყვნილი ქალწულისგან. არც ის არის პრობლემა, რომ ბეთლემში დაიბადოს და არც ის, რომ უკვდავი იქნება**

რაში მდგომარეობს ცოდვა: როცა ადამიანი შეგნებულად სცოდავს თავისუფალი ნებით, გაცნობიერებულად ირჩევს ცოდვას, აი, ეს არის ცოდვა. მაგრამ თუ ადამიანი შეუგნებლად, გაუცნობიერებლად სცოდავს, ეს არ არის ცოდვა. სამი ექვსიანი – ეს არის სიმბოლო მამონისა, სიმდიდრისა, ამქვეყნიური კეთილდღეობისა. თუ ადამიანს მისგან დამოუკიდებლად ვიღაცამ პირადობის მოწმობაში ან პასპორტში ჩაუწერა სამი ექვსიანი, ან, რაღაც პროდუქტი იყიდა და იქაც წერია ეს ციფრები, მაგრამ, არ იცის და იღებს, ხმარობს, ჩვენ ვამბობთ, რომ ის უკვე ეშმაკსაა დამონებული, მის მსახურებაშია – რა თქმა უნდა, ეს არ არის სიმართლე. ცოდვის აქტი ის არის, როდესაც ადამიანი თავისი ნებით ირჩევს ცუდს, ცოდვას. ანუ თუ ჩვენი ნებით ვირჩევთ ცოდვას, ცოდვილ ცხოვრებას, ანტიქრისტეს, ჩვენ 666-იანის კი არ უნდა გვეშინოდეს, არამედ, მისი დატვირთვის, – მე რას ვირჩევ ასეთ დროს: ამქვეყნიურ ავლადიდებას, მატერიალურ სიმდიდრეს, კეთილდღეობას, ჩემი გული, გონება მიჯაჭვულია ამქვეყნიურ კეთილდღეობაზე, არ მაინტერესებს ცხონება: რა უნდა გავაკეთო ხვალ, როგორ უნდა წარვდგე შემოქმედის წინაშე. პროტესტანტული დოქტრინა ასეთია: ქრისტე იწამე და ახლანდელი, წარსული და მომავალი ცოდვები გეპატიებაო. ასე რომ, ჩვენ მხოლოდ ამქვეყნიურ კეთილდღეობაზე ვფიქრობთ, სულიერზე კი – არა. ამიტომაც, ჩვენი ზედაპირული ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ნიშნებზე. სოლომონი ბეგრის სახით ხალხისგან წელიწადში იღებდა 666 ტალანტ ოქროს. ერთ ტალანტში შედიოდა 42 კილოგრამზე მეტი, შესაბამისად, ეს კოლოსალური თანხა იყო და ებრაელი მოსახლეობისთვის ძალიან მძიმე გადასახდელი. ანუ, ებრაელისთვის რიცხვი 666 ყოველთვის იყო განსახიერება ამქვეყნიური დოვლათის, სიმდიდრის, ძლევამოსილების და მათთვის დღესაც ასეა. ძველი არამეული დამწერლობით, ზოგჯერ ციფრს ანაცვლებდა ასო, ან – პირიქით. ასე რომ, რაღაც ციფრებით ჩვენ ვიღებდით გარკვეულ აზრს. ამის მიხედვით, თუ სიტყვასიტყვით გადავთარგმნით, 666 ქართულად ნიშნავს: „მეფე ისრაელისა“. ანუ, იმ მეფეზე, ცრუ მესიაზეა საუბარი, რომელიც მოვა ანტიქრისტეს სახით. აპოკალიფსის განმარტებისას წმიდა მამები წერენ: ბეჭედი შუბლზე, ეს არის ჩვენი აზრი, გონება, სულიერება, ყველაფერი, რითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ, და არა ის, რომ ვიღაც მოვა და 666-ს დაგვაწერს შუბლზე. ასევე, სახარებაში მარჯვენა ხელზეა ყურადღება გამახვილებული, რომელიც ყოველთვის შრომის, წვალების სიმბოლოა. როდესაც ადამიანის მარჯვენა დატვირთულია, შრომობს, ცდილობს, დააგროვოს დოვლათი ამქვეყნად, წუთისოფელში იყოს კარგად, რასაც საბოლოოდ მამონასკენ მივყევართ. ასე რომ, თუ ადამიანი ამ ყველაფერს დღესვე, აქვე აკეთებს, ეს ნიშნავს იმას, რომ მან უკვე მიიღო ეს ნიშანი. ასე რომ, თუ ადამიანი სამ ექვსიანს მიიღებს არა თავისი სინდისით, არამედ, მისგან დამოუკიდებლად, მერე კი შეუგნებლად გამოიყენებს და ჩვენ ვამბობთ მან უკვე სული მიჰყიდა ეშმაკს – ეს არის საშინელება. მაგრამ, თუ ადამიანი შეგნებულად იღებს 666-ს, რა თქმა უნდა, ის ქრისტეს უარყოფს. მაგრამ, ყოველივე ეს სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ცხოვრების წესი: ყურადღება უნდა მიექცეს იმას, როგორც ცხოვრობს, რით არის დაკავებული, რა უნდა მას და არა ციფრებს. სწორედ ის არის ცოდვის არსი, თუ როგორ ჩაიდენს მას ადამიანი: საკუთარი ნებით თუ გაუაზრებლად, ანუ, ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს არჩევანზე. ამიტომ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენი ცხოვრების წესს და არა ნიშნებს.

**ნათია უტიაშვილი**

# როგორ დაიცვა ღვთისმშობელმა მონასტერი მეკობრეებისგან

იდგა 807 წლის ზამთარი. ვინმე ალჟირელი მეკობრე, სახელად ვარდუხანი, რომელიც კუნძულ მილონზე დაბანაკდა, თავისი 15 საბრძოლო გემით თავს ესხმოდა, ძარცვავდა და აოხრებდა ეგეოსის ზღვის კუნძულებს, თრაკიისა და მცირე აზიის სანაპიროებზე არსებულ ქალაქებს.

იმ წელს, იანვარში, ერთმა ყაჩაღმა გადაწყვიტა, თავს დასხმოდა წმიდა მთას. მოამზადა ათი გემი, ორასი მეკობრე იახლა თან და გაეშურა ვათოპედის მონასტრის დასაძლევად. 21 იანვარს, გარიჟრაჟზე, ყაჩაღები გადმოსხდნენ ზღვის ყურეში, მონასტრის მახლობლად საბრძოლოდ დაეწყვნენ და სულგანაბულებმა დაუწყეს ლოდინი კარიბჭის გაღებას.

იმ დროისთვის ბერებმა ცისკრის ლოცვა დაასრულეს და თავიანთ სენაკებში მიდიოდნენ მცირე ხნით დასასვენებლად. ტაძარში მხოლოდ წინამძღვარი დარჩა, რომელიც კვლავ განაგრძობდა ლოცვას. უეცრად ბერს მოესმა ხმა, რომელიც ღვთისმშობლის ხატისგან მოდიოდა:

– დღეს კარიბჭე არ გააღოთ, გალავანზე ადით და მეკობრეები გარეკეთ!

გაოგნებული ბერი შემობრუნდა, ღვთისმშობლის ხატს შეაცქერდა და მისმა თვალებმა იხილეს კიდევ უფრო განსაცვიფრებელი სასწაული: ღვთისმშობლისა და ღვთაებრივი ყრმის სახეები გაცოცხლდა! ყრმა იესომ ხელი გაიწოდა, რათა თავისი ყოვლადწმიდა დედის ბაგეები დაეფარა, სახე მისკენ მიაბრუნა და უთხრა:

– არა, დედა, ნუ ეუბნები ამას! თავი დაადნებე, დაე, იწვნიონ ის სასჯელი, რომელიც დაიმსახურეს!

მაგრამ ღვთისმშობელმა ხელი მოჰკიდა ღვთაებრივი ყრმის ხელს, თავი ოდნავ მარჯვნივ შეაბრუნა და ისევ გაიმეორა:

– არ გახსნათ დღეს მონასტრის ბჭენი!

მთელი არსებით შეძრულმა წინამძღვარმა სასწრაფოდ მოიხმო ბერები და ყველას უამბო, რაც ნახა და მოისმინა. მათაც იხილეს, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატზე წმიდა სახეებმა შეიცვალეს მდებარეობა და გამომეტყველება. შიშითა და მოწიწებით აღვსილებმა, მადლი აღუვლინეს დედაღვთისას მფარველობისთვის და სასწრაფოდ მიაშურეს გალავანს.

ბერებმა ზუსტად დროზე მოასწრეს გალავანზე ასვლა და კიბეებითა და ნაჯახებით ავაზაკებთან მიახლოება, შემდეგ ზეღმართეს პატიოსანი ჯვარი და მისცეს შეტევის მოგერიების ნიშანი. გაჩაღდა ბრძოლა. ერთ საათში ათი თავდამსხმელი დაიღუპა, ბევრი დაიჭრა, დანარჩენებმა კი ხომალდებს მიაშურეს, რომ სასწრაფოდ შორს გასცლოდნენ წმიდა მთას.

აცრემლებული ბერები ტაძარში დაბრუნდნენ და კიდევ ერთხელ მთელი გულით აღუვლინეს მადლი ღვთისმშობელს. იმ დღიდან ხატს ეწოდა „პარამიფია" ანუ „ნუგეშინისმცემელი".

ხატზე სამუდამოდ დარჩა ის საოცარი ცვლილებები, რომელიც 807 წლის 21 იანვარს იხილა მასზე ვათოპედის მონასტრის წინამძღვარმა, სახსოვრად იმ შემწეობისა, რომელიც აღმოუჩინა დედაღვთისამ მონასტერს.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: როგორ უნდა შევაფასოთ მცირედი ცოდვა, რომელიც ხშირად განმეორებადია?**

**პასუხი:** ასეთი ცოდვა ახლოა სასიკვდინე ცოდვასთან. შევადაროთ დიდი ცოდვა დიდ ქვას, ხოლო პატარა – ქვიშის ნამცეცს. თუ ბევრია ქვიშა, შესაძლოა, მან დიდი ქვაც კი გადაწონოს. მაგალითად, ერთი შეხედვით სიცრუე არ არის სასიკვდინე ცოდვა, მაგრამ მისი ხშირი განმეორების შემთხვევაში ის უფლის მადლს განაქარვებს და სასჯელს მოიწევს: „წარსწყმიდნე შენ ყოველნი, რომელნი იტყვიან სიცრუვესა; კაცი მოსისხლე და მზაკუვარი სძაგს უფალსა".

**კითხვა: როგორ დავძლიოთ განკითხვის ცოდვა?**

**პასუხი:** როდესაც ვინმეს განიკითხავთ, ასეთი წესი დაადგინეთ: იმ დღეს სულ მცირე, სამი მეტანია მაინც უნდა შეასრულოთ მისთვის, ვინც განიკითხეთ, შემდეგი ლოცვით: „შეიწყალე, უფალო, მონა ღვთისა (სახელი) და მისი წმიდითა ლოცვით შემიწყალე მეც ცოდვილი". თუ ასე მოიქცევით, ღმერთი დაგეხმარებათ, რომ თანდათანობით განეშოროთ ამ ცოდვიან ჩვევას.

**კითხვა: არის თუ არა ცოდვა, ადამიანს თავისი სიმართლის დასამტკიცებლად მოსთხოვოთ, რომ დაიფიცოს?**

**პასუხი:** ეს უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე თვითონ დაიფიცო. გახსოვდეთ, რომ მაცხოვარი მოგვიწოდებს: „არამედ იყოს თქვენი სიტყვა: ჰო – ჰო, არა – არა"...



**კითხვა: გვცილდება თუ არა ჩვენი ანგელოზი, როდესაც ცოდვას ჩავდივართ?**

**პასუხი:** ამ კითხვაზე ათონელი ღირსი მამა პაისი ასე პასუხობდა: „ანგელოზი რომ ასე იოლად გვტოვებდეს, სამყარო, ალბათ, დიდი ხნის წინ დაიღუპებოდა. ის არ გვტოვებს, რჩება ჩვენთან, ოღონდ იტანჯება და ცარიელი ხელებით ბრუნდება ღმერთთან".

# მამათა შეგონებანი

**პაისი მთაწმინდელი:** ადამიანი, რომელიც აკვირდება საღვთო ქველმოქმედებას, საღვთო განგებულების მიმართ თავის დამოკიდებულებას სწავლობს. შემდეგ იგი უკვე თავს ისე გრძნობს, როგორც ჩვილი აკვანში, რომელიც, როგორც კი დედა დატოვებს, ტირილს იწყებს და არ ჩუმდება, ვიდრე იგი ისევ არ მიირბენს მასთან. უდიდესი საქმეა – საკუთარი თავის უფლისადმი მინდობა!

**მიტროპოლიტი ანტონი:** თუ გვინდა, შევხედოთ ადამიანს და დავინახოთ ისეთი, როგორიც არის, უნდა მივუახლოვდეთ მას ღია გულით, ღია გონებით, მისი ისეთის მიღების მზაობით, როგორიც არის, ისე რომ, არც საკუთარ თავს ვუშიშობდეთ და არც გამორჩენისა და სარგებლის თვალით ვუცქერდეთ ადამიანებს. უბრალოდ შევხედოთ მას, როგორც შევხედავდით ხელოვნების ნიმუშს, ან ისე, როგორც შეიძლება, უსმინო მუსიკას და აღიქვა ის მთელი შენი არსებით, არა მხოლოდ იმისთვის, რომ ამ ბგერის მიღმა დაიჭირო იმის გამოცდილება, ვინც ეს მუსიკა დაწერა, არამედ შეიძლება დაიჭირო კომპოზიტორის სული და გაიგო ის, რაც ადრე ჩვენ არანაირად არ გვესმოდა.

**ეპისკოპოსი პეტრე:** ადამიანს ბუნებით თან დაჰყვება სურვილი, ანუ მისწრაფება განავითაროს, სრულყოს თავისი ძალები, გაუთანაბრდეს სხვებს, მოიპოვოს კეთილი სახელი, პატივისცემა, დიდება, სხვათა კეთილგანწყობა. ეს მისწრაფება სასარგებლოა მაშინ, თუ იგი საკუთარი გონებრივი და ზნეობრივი სრულყოფისთვის აღძრავს ადამიანს, ასევე კეთილი სახელიც სასარგებლოა ჩვენი და სხვათა სრულყოფისა და ბედნიერებისთვის, როდესაც ის პატიოსანი გზით მოიპოვება და სწორედ გამოიყენება. მაგრამ პირველქმნილი ცოდვით დაზიანებული ჩვენი ბუნება, ჩვენი თავმოყვარეობა ბოროტად იყენებს ამ მისწრაფებას, რის შედეგადაც საკუთარი უპირატესობისა და პატივისადმი არასწორი სიყვარული შობს ამპარტავნებას, რაც სხვადასხვა სახით და ქმედებით ვლინდება.

**სახარება მათესი:** ხოლო, როცა შენ გასცემ მოწყალებას, დაე, ნუ ეცოდინება შენს მარცხენა ხელს, რას აკეთებს მარჯვენა, რათა შენი მოწყალება დაფარული დარჩეს და მამამ შენმა, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგაგოს შენ ცხადად.

**გაბრიელ ეპისკოპოსი:** უკეთუ ვინმე გულში ამგვარ მწუხარებას იგრძნობს და თავისი მდგომარეობის გარკვევას არ შეეცდება, საფრთხეში აღმოჩნდება და ქრისტეს მადლს სრულიად დაკარგავს, რადგან შური და მადლი ქრისტესი, შური და სიყვარული ერთ გულში ერთად ვერ გაჩერდებიან. ესაა პირველი მიზეზი, რომლის გამოც ამ საშინელ ვნებას უნდა ვუფრთხილდეთ. მეორე მიზეზი, რომელიც ამ ცოდვას ჩვენი სულის უსაშინლეს მტრად აქცევს, ისაა, რომ შურს სხვა მრავალნი ცოდვანიც მოჰყვებიან.

# NBA-ს ყველაზე ცნობილი და დაუმხობელი რეკორდები

*NBA-ში მრავალი რეკორდია დამყარებული, რომელთა დამხობა, ან თუნდაც, გამეორება, კალათბურთის ექსპერტების აზრით, „შეუსრულებელი მისიის" ტოლფასია. მიუხედავად იმისა, რომ ლიგაში ამჟამად მრავალი ვარსკვლავი ასპარეზობს, იმ რეკორდების მოხსნა, რომელთაც ტოპ-ათეულის სახით წარმოგიდგენთ, ძნელად წარმოსადგენია.*

### „ჩიკაგო ბულზის" სეზონი (1995-1996)

1995-1996 წლების სეზონის დაწყებამდე „ჩიკაგო ბულზს," სადაც მაიკლ ჯორდანი და სკოტი პიპენი ლიდერობდნენ, დენის როდმანი შეუერთდა და ფილ ჯექსონის გაწვრთნილი გუნდი დაუმარცხებელი გახდა. იმ სეზონის „ბულზის" მაჩვენებელი NBA-ს ისტორიაში დღემდე საუკეთესოდ ითვლება: 72 მოგება 10 მარცხი. მსგავსი შედეგი ჯერაც არ დაფიქსირებულა და როდესაც გასულ სეზონზე „მაიამი ჰიტს", სადაც ლებრონ ჯეიმსი ბრწყინავს, ამ სარეკორდო შედეგის განმეორებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაიამურმა კლუბმა ჩიკაგოელების შედეგთან მიახლოებაც კი ვერ მოახერხა – მხოლოდ 58 მატჩის მოგება შეძლო სეზონის ბოლომდე.



### ხოსე კალდერონის საჯარიმო ტყორცნები

„ტორონტო რეპტორზის" გამთამაშებელმა ხოსე კალდერონმა 2008-2009 წლების სეზონზე 154 საჯარიმო ტყორცნა განახორციელა და აქედან მხოლოდ სამის ჩაგდება ვერ მოახერხა. ეს მიღწევა, იმ მოთამაშეებისთვისაც კი, რომელთა საერთო მაჩვენებელი სეზონში 88 პროცენტს შეადგენს, ფანტასტიკის დონეს წარმოადგენს. 98,1 პროცენტი – ასეთია კალდერონის ჩაგდებული საჯარიმოების შედეგი, რითაც მან 1980-1981 წლებში კელვინ მერფის 95,8-პროცენტიანი საჯარიმოების შესრულებით დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა. კალდერონის რეკორდის მოსახსნელად მოთამაშემ სეზონში ყველა საჯარიმო იდეალურად ზუსტად უნდა შეასრულოს, რაც საკმაოდ რთული საქმეა.

### უილტ ჩემბერლენის ერთ სეზონზე ჩაგდებული 50,4 ქულა

NBA-ს მოთამაშისთვის საშუალოდ ერთ მატჩში 50 ქულის მოხვეჭა დიდი იშვიათობაა. გამონაკლისი იყო ლეგენდარული უილტ ჩემბერლენი, რომელმაც 1961-1962 წლების სეზონზე 42 მატჩში 50-ზე მეტი (50,4) ქულის ჩაგდება მოახერხა. ყველაზე ახლოს ჩემბერლენის რეკორდთან თვით მაიკლ ჯორდანი იყო, მაგრამ, ისიც მხოლოდ 1987-1988 წლების სეზონზე, როცა საშუალო 37,8 ქულით შემოიფარგლა.



### რაშიდ უოლესის 41 ტექნიკური ფოლი ერთი სეზონის განმავლობაში

2001-2002 წლების სეზონზე უოლესმა 80 მატჩში 41 ტექნიკური გაფრთხილება მიიღო. მსგავსი მაჩვენებელი NBA ისტორიას არ ახსოვს. იგივე შეიძლება ითქვას უოლესის მიერ დაგროვილ ტექნიკურ ფოლებზე კარიერის განმავლობაში, რომელთა რაოდენობა 304-ია და, იმის გათვალისწინებით, რომ ლიგის ახალი წესდების თანახმად, მე-16 ტექნიკური ფოლის შემდეგ მოთამაშეს დისკვალიფიკაცია ემლევა, უოლესის მიღწევის თუნდაც განმეორება შეუძლებელია.

### ბილ რასელის 11 საჩემპიონო ბეჭედი

რასელი და „ბოსტონ სელტიქსი" 1957-1969 წლებში დომინირებდნენ საკალათბურთო ასოციაციაში და 13 სეზონიდან 11-ში ჩემპიონები გახდნენ. დროის იმ მონაკვეთში ლიგის კლუბების რაოდენობა 8-დან 14-მდე გაიზარდა, ამჟამად კი ლიგაში სულ 30 კლუბია და ამ შედეგის განმეორება პრაქტიკულად შეუძლებელია. რასელის რეკორდთან მიახლოებულთა შორის ვერც მაიკლ ჯორდანს და ვერც კობი ბრაიანტს ნახავთ, შვიდი საჩემპიონო ბეჭედის მფლობელია, რობერტ ორია, რომელიც შვიდჯერ გახდა ჩემპიონი შემდეგი კლუბების შემადგენლობაში: „ჰიუსტონ როკიტსი", „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" და „სან-ანტონიო სპურზი".



### ქარიმ აბდულ-ჯაბარის 38 387 ქულა კარიერის განმავლობაში

გაბარიტების, ათლეტური აღნაგობისა და ოსტატობის ხარჯზე, ლეგენდარული ქარიმ აბდულ-ჯაბარი თავისი კარიერის განმავლობაში მაღალი შედეგით გამოირჩეოდა. „სქაიჰუკის" დახმარებით კი, რომლის დაფარება შეუძლებელი იყო, ქარიმი 40 წლის ასაკშიც ახერხებდა ქულების მოხვეჭას. NBA-ში გატარებული 20 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი ქულის მოხვეჭა მოახერხა კალათბურთელებს შორის. მასთან ყველაზე ახლოს დგას კარლ მელოუნი 36 928 ქულით, თუმცა, უკვე რამდენიმე წელია, რაც ის დიდი სპორტიდან წავიდა. ლებრონ ჯეიმსი და კობი ბრაიანტი მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან აბდულ-ჯაბარს და, ძნელად სავარაუდოა, რომ ოდესმე მოახერხონ ამ შედეგის მიღწევა.



### ეი სი გრინის ზედიზედ ჩატარებული 1 192 მატჩი

14 სეზონზე ეი სი გრინმა ზედიზედ 1 192 მატჩი ისე ითამაშა, რომ მოედნიდანაც კი იშვიათად გადიოდა. მძიმე ფორვარდის პოზიციაზე მოთამაშე ეი სი გრინი იმითაც არის ცნობილი, რომ, მისი თქმით, კარიერის განმავლობაში მას არასდროს ჰქონია სექსი და ვაჟწულობა მხოლოდ მაშინ დაკარგა, როდესაც ბოლო მატჩი ითამაშა საკალათბურთო ასოციაციაში.

### „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" 33-მატჩიანი მოგებათა სერია

1971-1972 წლების სეზონზე „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა" ზედიზედ 33 მატჩის მოგება მოახერხა. ორ თვეზე მეტხანს ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა „ლეიკერსის" დამარცხებას. საგულისხმოა, რომ მოგებების სერია გუნდმა მაშინ დაიწყო, როცა კლუბიდან ელჯინ ბეილორი – იმ დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე წავიდა. თუმცა, კლუბში კვლავ რჩებოდნენ გეილ გუდრიჩი, უილ ჩემბერლენი და ჯერი უესტი. ხანგრძლივობით მეორე მოგებების სერია „ჰიუსტონ როკიტსის" ანგარიშზეა, რომელიც 22 მატჩი გაგრძელდა 2007-2008 წლების სეზონზე.

### ჯონ სტოქტონის 15 806 შედეგიანი გადაცემა

ჯონ სტოქტონი NBA-ის ისტორიაში უდიადესი გამთამაშებლის სახელით არის შესული. მისი და კარლ მელოუნის დუეტი 19 სეზონის განმავლობაში აწიოკებდა „იუტა ჯაზის" მეტოქე გუნდებს. სტოქტონის მიღწევის გამეორება პრაქტიკულად მიუღწეველია. ამ ლეგენდარულ შედეგთან ყველაზე ახლოს მყოფი ჯეისონ კიდი 4 000 „პასით" ჩამორჩება ლიდერს. მესამეა სტივ ნეში, რომელსაც 6 ათასი ჩაწოდებით ნაკლები აქვს, კრის პოლს კი – 11 ათასით. გარდა შედეგიანი გადაცემებისა, სტოქტონის რეკორდი ჩაჭრების მხრივაც „მიუღწეველთა კატეგორიას" განეკუთვნება – სულ 3 265 ჩაჭრა.

### უილტ ჩემბერლენის 100 ქულა ერთ მატჩში

უილტ ჩემბერლენის ამ ლეგენდარული მიღწევის შესახებ კალათბურთის საერთოდ არმცოდნე ადამიანებმაც კი იციან: 1962 წლის 11 მარტს ლეგენდარულმა კალათბურთელმა „ნიუ-იორკ ნიქსთან" მატჩში 100 ქულის მოხვეჭა მოახერხა და ეს შედეგი დღემდე რეკორდად ითვლება, მხოლოდ ერთხელ, კობი ბრაიანტმა შეძლო, მიახლოებოდა ამ ციფრს, თუმცა, თამაში 81 ქულით დაასრულა.

## მესის მაისური – მიულერს

„ბარსელონის” არგენტინელმა სუპერვარსკვლავმა ლიონელ მესიმ, რომელიც რამდენიმე ხნის წინ „ფიფამ,” ზედიზედ მეოთხედ, მსოფლიოს 2012 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა, გერმანელი ფეხბურთის ლეგენდას, გერდ მიულერს, საკუთარი მაისური ავტოგრაფით საჩუქრად გაუგზავნა. „გერდ მიულერს, პატივისცემითა და აღტაცებით – ლიონელ მესი.” დაუწერა მაისურზე არგენტინელმა ფეხბურთელმა მიულერს, რომლის 40-წლიანი რეკორდი დაამხო და ერთ კალენდარულ წელს 91 გოლის გატანა მოახერხა, მაშინ, როცა 1972 წელს მიულერს 85 გოლი ჰქონდა ანგარიშზე. „თუკი ფეხბურთელი წელწადში ასამდე გოლის გატანას ახერხებს, იგი ნამდვილად საუკეთესოა,” – უპასუხა მესის საჩუქარს მიულერმა.



## ბოლტის სისწრაფის საიდუმლო

მსოფლიოს ყველაზე სწრაფმა ადამიანმა, იამაიკელმა სპრინტერმა უსაინ ბოლტმა თავისი სისწრაფის საიდუმლოს ახადა ფარდა. აღმოჩნდა, რომ ბოლტის მასტიმულირებელი მისი ყოფილი „გერლფრენდის“ მეგან ედვარდსის უკანალი ყოფილა. ლონდონის ოლიმპიადაზე 100 მეტრზე შეჯიბრების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ბოლტის მობილურზე მეგანისგან რამდენიმე შეტყობინება გაიგზავნა, ფოტოებზე კი მეგანს თავისი უკანალი ჰქონდა აღბეჭდილი და მიწერილი: „როდესაც გადაკვეთ ფინიშის ხაზს, იფიქრე ჩემს უკანალზე”. ცნობილია, რომ რამდენიმე ხნის წინ მეგანი და უსაინი დაშორდნენ და ჯერჯერობით უცნობია, თუ ვისი უკანალი გახდება ბოლტისთვის სტიმულად შემდგომ შეჯიბრებებზე.

## მსოფლიოს საკლუბო მწვრთნელებში მაურინიო ლიდერობს

მსოფლიო ფეხბურთის სტატისტიკისა და ისტორიის საერთაშორისო ფედერაციის მიერ მსოფლიოს 2012 წლის საუკეთესო საკლუბო მწვრთნელად მადრიდის „რეალის” თავკაცი ჟოზე მაურინიო დასახელდა, რომელმაც ეს ჯილდო კარიერაში მეოთხედ მოიპოვა. მაურინიოს გარდა, ტოპ-ათეულში შემდეგი ცნობილი სპეციალისტები მოხვდნენ: რობერტო დი მატეო, დიეგო სიმეონე, ჟოზეპ გვარდიოლა, ტიტე, იუპ ჰაინკესი, ალექს ფერგიუსონი, იურგენ კლოპი, მარსელო ბიელსა და რობერტო მანჩინი.

## შარაპოვას ახალი რომანი



ევროპულ ტაბლოიდებში ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუს ჩოგბურთელ მარია შარაპოვას ახალი რომანი აქვს. ვარსკვლავის რჩეულია 21 წლის ბულგარელი ჩოგბურთელი გრიგორ დიმიტროვი. წყვილი უკვე შენიშნეს მილანში ერთად სეირნობის დროს და ინტერნეტში გავრცელდა რამდენიმე პაპარაცული ფოტოგრაფია. 2012 წლის დასაწყისში მარია თავის საქმროს კალათბურთელ საშა ვუიჩიჩს დაშორდა და დიმიტროვის გაცნობამდე მარტო იყო. ბულგარელ ჩოგბურთელს „პატარა ფედერერს” უწოდებენ ჩოგბურთის სამყაროში, რადგან მისი თამაშის სტილი წააგავს შვეიცარიელი სუპერვარსკვლავის თამაშის სტილს.

## დები უილიამსები „აიფონს” არეკლამირებენ

მსოფლიოში განთქმულმა კომპანია „ეფლმა” თავისი ახალი პროდუქტის – „აიფონ 5”-ის რეკლამირებისთვის დები სერენა და ვენუს უილიამსები მიიწვია. სარეკლამო რგოლის სცენარის თანახმად, ჩოგბურთის ვარსკვლავები „აიფონის” მფლობელს მაგიდის ჩოგბურთს ეთამაშებიან და, იმის მიუხედავად, რომ ორნი არიან, მაინც მარცხდებიან.

## რამოსის და პიკეს „ასასინ კრიდი”

დებ უილიამსებს არ ჩამორჩნენ და კომპიუტერული თამაშის – „ასასინ კრიდის” სარეკლამო რგოლში მონაწილეობა მიიღეს ესპანეთის ნაკრების ვარსკვლავებმა, ხერარდ პიკემ და სერხიო რამოსმა. „ბარსელონისა” და „რეალის” ვარსკვლავურმა ტანდემმა „ექშენ” სცენებით თამაში გააცოცხლა და, როგორც ჩანს, გეიმერებს შორის ამ რგოლმა მოწონება დაიმსახურა. თამაში დიდი პოპულარობით სარგებლობს, ის 2012 წლის ოქტომბრიდან გამოვიდა და დღემდე ინარჩუნებს წამყვან პოზიციებს კომპიუტერული თამაშების ბაზარზე.



## პრობლემები სოციალური ქსელის გამო

ინგლისური „ბოლტონის” ფეხბურთელს მარვინ სორდელს, კლუბის ხელძღვანელობამ მობილური ტელეფონი ჩამოართვა და სხვა მსგავსი ტექნიკური საშუალებების ხმარებაც აუკრძალა. საქმე ისაა, სორდელი იმდენად გაიტაცა „ტვიტერმა”, რომ ბლოგში წერის გარდა ის არაფერზე აღარ ფიქრობდა და ვარჯიშების დროსაც კი ხელიდან არ უშვებდა ტელეფონს. კლუბის ხელმძღვანელობის თქმით, „ტვიტერის” გამო სორდელს პრობლემები შეექმნა გარშემო მყოფებთან, იგი არავის აღარ ეკონტაქტებოდა, სოციალურ ქსელზე ნარკომანივით იყო დამოკიდებული. სწორედ ამ ფაქტით ახსნეს მისთვის ტელეფონის წართმევა.

## ბაჯო მწვრთნელობისთვის ემზადება



ლეგენდარული იტალიელი ფეხბურთელი რობერტო ბაჯო ახლო მომავალში შესაძლოა სამწვრთნელო საქმიანობას შეუდგეს. ბევრისთვის საყვარელ ფეხბურთელს „ბრეშას” პრეზიდენტი ჯინო კორიონი მთავარი მწვრთნელის თანამდებობას სთავაზობს კლუბში. თავისი ვარსკვლავური კარიერის ბოლო წლები ბაჯომ სწორედ „ბრეშაში” გაატარა და იქაურ ქომაგებს თავი შეაყვარა; გარდა ამისა, მას აქვს მწვრთნელისთვის საჭირო ლიცენზია, რომ იტალიის ჩემპიონატში იმუშაოს.

## აგუერო – მარადონას ექსსიძე

„მანჩესტერ სიტისა” და არგენტინის ნაკრების თავდამსხმელი სერხიო აგუერო დიეგო მარადონას ექსსიძეა. სერხიომ და მარადონას ქალიშვილმა ჯანინამ დაშორება გადაწყვიტეს და ამის შესახებ პირველმა საკუთარ „ტვიტერში” ჯანინამ გააკეთა განცხადება. უკვე ცნობილია, რომ ჯანინა და დიეგოს შვილიშვილი ბენჟამინი მანჩესტერიდან მადრიდში დაბრუნდნენ; სერხიოსთან დაკავშირებით კი ვრცელდება ცნობა, რომ დაშორების მიზეზი არგენტინელი მომღერალი კარინა ტეიდია, რომელთანაც ფეხბურთელს დიდი ხანია რომანი აქვს. ჯანინა ჯერჯერობით თავს იკავებს სერხიოს კრიტიკისგან, ხოლო დიდ დიეგოს არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია სერხიოსთან დაკავშირებით, რომელიც მისი ფორმაციის არგენტინის ნაკრებში საკვანძო ფეხბურთელი გახლდათ.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## ბრონქიტის დროს პიტნა გიშველით

ბრონქიტის დროს პიტნას დაასხით მდუღარე წყალი. მოთუთქული ფოთლები დააქუცმაცეთ, დააფინეთ დოლბანდზე და დაიდეთ გულმკერდზე, ზემოდან დაიფარეთ პერგამენტის ქაღალდი ან პოლიეთილენის ნაჭერი და კარგად შეიკარით შალის ქსოვილით.

გაციების დროს ნაძვისა და ფიჭვის წიწვები გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. მიღებულ მასას დაუმატეთ 2 სადილის კოვზი ნატურალური თაფლი, კარგად აურიეთ, მოათავსეთ ქილაში და შეინახეთ გრილ ადგილას. ამ მასით შეგიძლიათ, გულმკერდზე კომპრესი დაიდოთ ან ინჰალაცია გაიკეთოთ.

## გაიწმინდეთ ნაწლავები ტოქსინებისგან

იმ შემთხვევაში, თუ ნაწლავები არარეგულარულად და არასათანადოდ იცლება, ტოქსინები სისხლში გაედინება, რაც ცუდად აისახება კანის მდგომარეობასა და ადამიანის ხასიათზე.

თუ გსურთ, ახალგაზრდობა გაიხანგრძლივოთ, გქონდეთ ლამაზი კანი და თავიც კარგად იგრძნოთ, მაშინ ნაწლავები ტოქსინებისგან უნდა გაისუფთაოთ. თუ ნაწლავები პრობლემებს არ გიქმნით, გასუფთავების პროცედურა სამ თვეში ერთხელ უნდა ჩაიტაროთ, სხვა შემთხვევაში კი – თვეში ერთხელ.

დასვენების დღეებში აადუღეთ ორასი მილილიტრი წყალი, ჩაუმატეთ ნახევარი ჩაის კოვზი მარილი. ეს ფიზიოლოგიური ხსნარია, რომელსაც ორგანიზმი არ შეიწოვს. ის ნაწლავებს გარეცხავს და მავნე ნივთიერებებს გარეთ გამოიტანს. ამ ხსნარის დალევის შემდეგ, დაახლოებით, ნახევარ საათში უნდა ჭამოთ წინასწარ მომზადებული საუზმე. კერძოდ, ერთი მუჭა ბრინჯი მოხარშეთ უმარილო და უშაქრო წყალში, დაამატეთ ცოტა კარაქი და საუზმეც მზად იქნება. მას შეგიძლიათ, ოდნავ დამტკბარი ჩაიც მიაყოლოთ. ბრინჯის ჭამიდან ორი საათის შემდეგ, შეგიძლიათ, მიირთვათ, რაც გსურთ.

ასეთი წესით ნაწლავების განმენდა, ძალიან ეფექტურია და არ არღვევს ნაწლავების მიკროფლორას. იმ შემთხვევაში, თუ შეშუპებისკენ ხართ მიდრეკილნი, უმჯობესია, ფიზიოლოგიური ხსნარი აფთიაქში შეიძინოთ.

ხანდახან ადამიანი მსხვილი ნაწლავის პათოლოგიური სიგრძით იბადება, რაც ადვილი გამოსავლენია მსხვილი ნაწლავის რენტგენოლოგიური საშუალებით. ასეთ ადამიანებს ნაწლავების დაცლის პრობლემა ბავშვობიდანვე აწუხებთ.

ნაწლავების დაცლის რეგულირება ყველაფერი როდია. დაცლა შვებას უნდა ჰგვრიდეს ადამიანს და ეს იოლად უნდა ხდებოდეს. თუ ასე არ არის, ეს უკვე პათოლოგიაა.

დეფეკაციის დროს არსებული ტკივილები, ბუასილის გამწვავების შემთხვევაში რომ იჩენს თავს, ბლოკავს ნაწლავების დაცლის პროცესს და საშინელ დისკომფორტს იწვევს. ასეთმა ადამიანებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ სპეციალური რჩევები. კერძოდ:

* გაღვიძებისთანავე დალიეთ ოთახის ტემპერატურის მქონე ერთი ჭიქა წყალი;
* სანამ ადგებით, საწოლში გაიკეთეთ მუცლის მასაჟი. თითებით შეასრულეთ წრიული მოძრაობები საათის ისრის მიმართულებით;
* დილას მუცლის პრესისთვის გააკეთეთ ვარჯიშები;
* დილას, უზმოზე მიირთვით: დააქუცმაცეთ გარგარის, შავი ქლიავისა და ლეღვის ჩირი. ორას გრამ ნარევს შეურიეთ ერთი ჩაის კოვზი ნატურალური თაფლი და ერთი ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი. მიიღეთ ერთი სუფრის კოვზი. ამას შეგიძლიათ, ერთი ჩაის ჭიქა წყალიც მიაყოლოთ;
* ხშირად მიირთვით ზღვის კომბოსტო, უმი ბოსტნეულის სალათები, მაგალითად, კომბოსტოს, სტაფილოს, ჭარხლისა და ვაშლის მცენარეული ზეთით შეზავებული სალათა. ასევე, კიტრის, სალათის ფურცლების, პომიდვრის, ბოლოკისა და მწვანილების სალათები;
* მიირთვით ღერღილი. ის B ვიტამინის საბადოა და ნაღვლის ბუშტში კენჭების წარმოქმნისგან იცავს ადამიანს.

## აუცილებელია, ისწავლოთ სწორად კვება

საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე მხოლოდ ერთი ჯგუფის პროდუქტები უნდა მიირთვათ, მაგალითად, ცომეული ან ტკბილეული. პროტეინების ზედმეტი რაოდენობა ორგანიზმში შარდოვანას მომატებულ გამომუშავებას იწვევს, რომლის მიზეზითაც ვითარდება რევმატიზმი და პოდაგრა. შეგიძლიათ, ჭამოთ ხორცი ან თევზი, ხორცი ან ნიგოზი, კვერცხი ან შებოლილი ხორცი. არ შეიძლება, ომლეტისა და ყველის, ომლეტისა და შებოლილი ხორცის შეთავსება.

არ შეიძლება პურეული და პროტეინის შემცველი პროდუქტების, მაგალითად, ყველის, რძის, ხორცის, კვერცხის, თევზის ერთად ჭამა. ამ დროს გადამუშავება სხვადასხვა შემადგენლობის კუჭის წვენით მიმდინარეობს. პროტეინები გადამუშავდება მაღალი სიმჟავის კუჭის წვენით, რომელშიც პურეული ნაწარმი დუღილს იწყებს. ამ პროდუქტების ერთმანეთში არევა საჭმლის მომნელებელი პროცესის დისბალანსს იწვევს. არ შეიძლება, შეათავსოთ ერთმანეთთან ქათმის ხორცი და კარტოფილი ფრი, თევზი და ყველი, ბიფშტექსი და მაკარონი.

ერთ ჯერ ჭამაზე მიიღეთ მხოლოდ ერთი სახის პურეული ნაწარმი. ყველა ადამიანისთვის და განსაკუთრებით მათთვის, ვინც ნაკლებს მოძრაობს, ზედმეტად კალორიული საკვების მიღება მავნეა და საშიში. ამიტომ, ერთ ჭამაზე ერთი სახის პურეულ საკვებს დასჯერდით. ჭამეთ პური ან მაკარონი, კარტოფილი ან ბრინჯი.

უპირატესობა მიანიჭეთ მცენარეულ ცხიმს. ასეთი ცხიმი შეიცავს ძირითად ცხიმოვან მჟავებს, რაც ხელს უშლის ქოლესტერინის წარმოქმნას. ის კარგად ესადაგება როგორც პურეულს, ასევე, პროტეინშემცველ პროდუქტებს.

იოგურტი, რძე, მაწონი, ნაღები ცუდად ეგუება სხვა პროდუქტებს. ამიტომ, ისინი ცალკე მიირთვით. რძე და რძის ნაწარმი პროტეინის შემცველი პროდუქტებია, რომლებიც ცუდად უთავსდება პურეულ და სხვა ასევე პროტეინის შემცველ პროდუქტებს. ნუ მიირთმევთ ერთად რძეს და კარტოფილს, რძეს და ბრინჯს, რძეს და თევზს.

ასევე, არ შეიძლება, პურეული პროდუქტებისა და მჟავე ხილის შეთავსება. აღნიშნულ ხილს ორგანიზმი მაღალმჟავიანი კუჭის წვენით ამუშავებს. ამ დროს პურეული ნაწარმი იწყებს დუღილს. ამიტომ, არ გირჩევთ, მიირთვათ ვაშლის, მარწყვის, ჭერმის და ასე შემდეგ, ხილისგან დამზადებული ღვეზელები.

## მარილიანი ყავა, ნაბახუსევზე გულისრევის შეგრძნებას კლავს

დღესასწაულის შემდეგ ყველას უჩნდება ერთი პრობლემა, კერძოდ, როგორ ვუწამლოთ ნაბახუსევს.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომლებიც იმ შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ, თუ სუფრასთან გიწევთ დროსტარება და შესაბამისად, სასმლის დალევაც.

სუფრამდე რამდენიმე საათით ადრე დალიეთ დაახლოებით 50 გრამი არაყი, რომელიც წინასწარ მოამზადებს თქვენს ორგანიზმს დიდი რაოდენობით ალკოჰოლური სასმლის მისაღებად.

ასევე, მიირთვით მაგარი ჩაი პიტნით ან ყავა ლიმონით. მიირთვით რამე ცხიმიანი კერძი, კარაქი ან თოხლოდ მოხარშული კვერცხი. ეს ხელს შეუშლის ალკოჰოლის ზემოქმედებას ორგანიზმზე.

ფაფები ხელს უშლის ალკოჰოლის სისხლში გაწოვას, რაც სიმთვრალის დონეს ამცირებს. ამიტომ, სასურველია, ის სუფრასთან დაჯდომამდე რამდენიმე ხნით ადრე მიირთვათ.

ეცადეთ, ქეიფისას ერთი სახეობის ალკოჰოლური სასმელი დალიოთ. არ არის რეკომენდებული, სუსტი და მაგარი სასმელების ერთმანეთში გაზავება და ისე დალევა. თუ აპირებთ, დიდი რაოდენობით ალკოჰოლური სასმელი დალიოთ, ნუ დაიწყებთ შამპანურით. გაითვალისწინეთ, რომ რაც უფრო ტკბილია სასმელი, მით უფრო რთულია მისი მონელება.

თუ სვამთ სპირტიან სასმელს, ყოველი ჭიქის დაცლის შემდეგ, აუცილებლად მიაყოლეთ საჭმელი. ეს ხელს უშლის ორგანიზმზე ალკოჰოლის ზემოქმედებას.

დალევიდან მეორე დღეს სასურველია, მიირთვათ ლიმონიანი და პიტნიანი ჩაი ან ყავა.

ზოგიერთი ადამიანი გულისრევის შემდეგ გამოდის მძიმე მდგომარეობიდან. ამისთვის საუკეთესო საშუალებაა ერთი ფინჯანი მარილიანი ყავა.

მიირთვით მინერალური წყალი, ლიმონიანი ცივი წყალი, კომბოსტოს ან კიტრის მწნილი. ასევე, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ცხელი, წვნიანი კერძები.

გირჩევთ, ყოველივე ზემოთქმული სუფრასთან დაჯდომის წინ გაიაზროთ.

## ალერგიული საკვების შემდეგ, კალენდულას ნაყენი დალიეთ

ზოგ ადამიანს ნიგვზიანი კერძის, შოკოლადის ან ფორთოხლის ჭამის შემდეგ ალერგია ეწყება. ალერგენებისგან თავის დაღწევა კი, ძალიან ძნელია. მით უმეტეს, ახალი წლის დღეებში. თუ გამონაყარი გაგიჩნდათ, გექავებათ კანი და დისკომფორტს გრძნობთ, შემდეგი რეცეპტი დაგეხმარებათ:

ერთი სუფრის კოვზ კალენდულას ხმელ ყვავილს, რომელიც აფთიაქში იყიდება, დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში ნახევარი საათით. შემდეგ გადაწურეთ და მეოთხედი ჭიქა სითხე მიიღეთ დღეში სამჯერ ჭამამდე.

თუ ალერგია გამწვავებულია და გამონაყარი გაჩნდა კანზე, ამ შემთხვევაში ნაყენის საფენებიც დაგეხმარებათ. მისი მეშვეობით ქავილი აღარ შეგაწუხებთ და ალერგიაც უკან დაიხევს.

გაფრთხილებთ, რომ ალერგიის საწინააღმდეგო წამლები ორგანიზმს ასუსტებს, რის გამოც, შემდეგ მასთან ბრძოლაც ხანგრძლივად გიწევთ. ამიტომ, არ შეიძლება მსგავსი პრეპარატის ექიმის გარეშე, თვითნებურად სმა.

კალენდულა ისე მოქმედებს ორგანიზმზე, რომ არ ვნებს და ეფექტსაც სულ მალე მიიღებთ.

## თუ კუჭი გტკივათ, დილა ჰერკულესის ფაფით დაიწყეთ

თუ ჭამის შემდეგ კუჭის არეში ტკივილსა და სიმძიმეს გრძნობთ, პერიოდულად გაწუხებთ გულისრევის შეგრძნება, გულძმარვა, ესე იგი გასტრიტი გაქვთ. ამის მიზეზი კი, შესაძლოა, იყოს არასწორი კვების რეჟიმი, სტრესი, ალკოჰოლი, ნიკოტინი, მედიკამენტები.

ეცადეთ, გასტრიტი არ გამწვავდეს და რთულ ფორმაში არ გადაიზარდოს. ამისთვის, მოერიდეთ მშრალ საკვებს, მწარე და ცხარე პროდუქტებს, ალკოჰოლს. დღის განმავლობაში რეგულარულად მიირთვით საკვები 3-ჯერ, მცირე ულუფებით და ლუკმები კარგად დაღეჭეთ.

დილით, უზმოზე, მიირთვით ჰერკულესის ფაფა. მისი ლორწოვანი კონსისტენცია კუჭის კედლებს იცავს მავნე ზემოქმედებისგან. თუ კუჭის არეში ტკივილი და სიმძიმე გაწუხებთ, დაიცავით დიეტა. გამორიცხეთ ალკოჰოლი, ამოიღეთ მენიუდან ხორცის ნახარში, ძეხვეული, ცხიმიანი ყველი, შემწვარი ხორცი, მოხარშული კვერცხი და შებოლილი პროდუქტი.



# ექიმის რჩევები

**კითხვა: შარშან შემოდგომაზე მკვეთრად მოვიმატე წონაში – 8 კილოგრამი. იანვრიდან ვცდილობ გახდომას, ვარ დიეტაზე, მაგრამ, არაფერი გამომდის. დაემატა სისუსტე, ადვილად დაღლა. მაქვს მომატებული ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონი TSH (7.3), T4 – ნორმაა (15.4). შეიძლება თუ არა ეს დარღვევები დიეტებს გამოეწვია?**

**პასუხი:** დიეტა არ მოქმედებს ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებზე. თქვენი ანალიზები მეტყველებს ჰიპოთირეოზზე (ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება), რომელსაც ახასიათებს წონის მატება. თქვენს შემთხვევაში, უმჯობესია, გაიმეოროთ ანალიზები ორი თვის შემდეგ და მიმართოთ ენდოკრინოლოგს. ის დაგინიშნავთ შესაბამის მკურნალობას.

**კითხვა: ვარ 1 თვის ორსული. შეიძლება თუ არა პირველ ტრიმესტრში პრესის ვარჯიშები და თბილი აბაზანები რელაქსაციისთვის?**

**პასუხი:** ვარჯიში შეიძლება, აბაზანებისგან კი თავი შეიკავეთ.

**კითხვა: ვარ 25 წლის, ფარისებრ ჯირკვალში 1-სანტიმეტრიანი კვანძი მაქვს. მითხრეს, რომ კლიმატის გამოცვლა და მზეზე ყოფნა ჩემთვის აკრძალულია. მართალია?**

**პასუხი:** ფარისებრი ჯირკვლის კვანძოვანი წარმონაქმნები მოითხოვს სრულ გამოკვლევას (სისხლის ანალიზი ჰორმონებზე, კვანძის ბიოფსია) და აქტიურ დაკვირვებას (ექოსკოპია და ჰორმონების ანალიზი 6 თვეში ერთხელ). თუ ჰორმონები ნორმაშია და კვანძი არ იზრდება, შეზღუდვები საჭირო არ არის.

**კითხვა: მოქმედებს თუ არა ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები სარძევე ჯირკვლების ზომებზე?**

**პასუხი:** ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, შეიძლება, მასტოპათიის მიზეზი გახდეს, მაგრამ, ჯირკვლების ზომებზე არ მოქმედებს.

**კითხვა: გასტროსკოპიის დროს აღმოჩნდა, რომ საყლაპავის ვენები 3 მილიმეტრამდე მაქვს გაგანიერებული. ბიოქიმია კარგია, ღვიძლის ექო – ნორმალური. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? იქნებ ეს დროებითი მოვლენაა?**

**პასუხი:** საყლაპავის ვენების გაგანიერებას უფრო ხშირად იწვევს ღვიძლის დაავადებები. თუ ეს არ დასტურდება, შეიძლება, კონსტიტუციონალური თავისებურება ვივარაუდოთ. ყველა შემთხვევაში საჭიროა 6 თვეში ერთხელ ენდოსკოპიური კონტროლი, შემდგომში – წელიწადში ერთხელ.

**კითხვა: ორი კვირის წინ გავიკეთე ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია. ამჟამად მაქვს გულძმარვა და კუჭის შეკრულობა. წამლებს არ ვიღებ, მხოლოდ დიეტაზე ვარ. რისი ბრალი უნდა იყოს?**

**პასუხი:** ქოლეცისტექტომიის შემდეგ პირველ ხანებში კუჭ-ნაწლავის მხრივ დარღვევები საკმაოდ ხშირი მოვლენაა: ორგანიზმი უნდა მიეჩვიოს ახალ პირობებში არსებობას. უნდა დაიცვათ მკაცრი დიეტა, კვება – დღეში 4-5-ჯერ, მცირე რაოდენობით. რაც ეხება პრეპარატებს, გირჩევთ, ექიმის დანიშნულებით, მიიღოთ პროკინეტიკები კუჭ-ნაწლავის მოტორიკის აღსადგენად (მაგალითად, მოტილიუმი) ჭამის წინ, გეპაბენე-ნაღვლის გადინების გასაუმჯობესებლად, 1 თვის განმავლობაში. დიეტის გაფართოებისას და დიდ კვებით დატვირთვებზე რეკომენდებულია ფერმენტების მიღება (მეზიმ-ფორტე). ეფექტის არარსებობის შემთხვევაში, უნდა მიმართოთ გასტროენტეროლოგს.

**კითხვა: ფილტვების ანთების გამო 3 კვირაა, ვმკურნალობ. ექიმები ამბობენ, რომ გაუმჯობესება არის, მაგრამ, სულ გულმკერდის რენტგენზე მგზავნიან. მაინტერესებს, რამდენად ავნებს ეს ჩემს ორგანიზმს?**

**პასუხი:** რენტგენოგრაფია თქვენს ჯანმრთელობას არ ავნებს, რადგან, ყოველი კვლევისას რენტგენოლოგი ითვლის რადიაციულ დატვირთვას.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

# ვინ სცადა ორჯერ კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორის მოკვლა და რა ბედი ეწია მის ანტიკვარულ ოქროსა და ვერცხლის მონეტებს და კოლექციებს

*საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქებს შორის ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი კირიონ მეორეს (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი) უჭირავს, რომლის ცხოვრება განსაკუთრებულად მძიმე იყო. ის მეცხრამეტე საუკუნის 80-90-წლების ქართული ინტელექტუალური საზოგადოების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. ის ხშირად აქვეყნებდა ქართული პერიოდიკის ფურცლებზე ივერიელის, ნიქოზელისა და ლიახველის ფსევდონიმებით საინტერესო წერილებს, გამოკვლევებს ძალიან ბევრ საკითხზე. აქტიურად ეწეოდა მეცნიერულ საქმიანობას. კირიონ მეორე დაუღალავად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. ამიტომაც, არსებული ხელისუფლების მიერ მუდმივად დევნას განიცდიდა. 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ კირიონ მეორე, სასულიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გამო, წმიდანად შერაცხა. მისი მოღვაწეობის შესახებ არაერთხელ დაიწერა. ბევრი რამ უკვე ცნობილია, მაგრამ დღეს ჩვენ, მის შთამომავალს, ქალბატონ* **დოდო საძაგლიშვილს** *ვესაუბრებით და შევეცდებით, კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე სულ სხვა თვალით დაგანახვოთ.*



ის ხის სახლის პატარა ოთახში მოათავსეს, ზამთარსა და სიცივეში. როდესაც ოთახში შეიყვანეს, იმ ტახტს, სადაც კირიონი უნდა დაწოლილიყო, წყალი ჰქონდა გადასხმული

## კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორის წინაპრები და შთამომავლები

**დოდო საძაგლიშვილი**: „ჩვენი გენეალოგიური შტო ასეთია: მღვდელი მოსე საძაგლიშვილი, მისიონერი მთიულეთში, დიდოელთა და ინგუშთა გამქრისტიანებელი. მისი შთამომავლები იყვნენ: იერონიმე და გიორგი, სწორედ იერონიმე იყო კირიონის მამა, რომელსაც ჰყავდა მეორე შვილი ნიკოლოზი. კირიონი დაიბადა ნიქოზში, 1855 წელს. ბავშვობის პირველი წლები მლეთა-ანანურში გაატარა. ანანურის სამრევლო სკოლაში მიიღო პირველდაწყებითი სასულიერო განათლება. 1862 წლიდან სწავლა გააგრძელა გორის სასულიერო სასწავლებელში. 1876 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. ამის შემდეგ სახელმწიფოს ხარჯზე სასწავლებლად გაიგზავნა კიევის სასულიერო აკადემიაში, სადაც სალვთისმეტყველო საგნებთან ერთად, სათანადო ცოდნა მიიღო მსოფლიო ისტორიაში, გეოგრაფიაში, არქეოლოგიაში. ნიკოლოზმაც დაამთავრა სასულიერო სემინარია, სწავლობდა პეტერბურგში და შემდეგ ჩინოვნიკად გაამწესეს განჯაში, სადაც ქართველი ქალი შეირთო ცოლად. თუმცა, მალე მას მოუკვდა ცოლიც, შვილიც და მერე თავადაც მალე გარდაიცვალა. კირიონსაც ჰქონდა ოჯახი, მაგრამ ჯერ მისი ერთადერთი შვილი გარდაიცვალა და შემდეგ, სამ თვეში, ცოლიც მიჰყვა. ამდენად, კირიონს და კოლას, ანუ ნიკოლოზს, შთამომავალი არ დარჩენიათ. კირიონის ბიძას, გიორგის ჰყავდა ერთადერთი ვაჟი, შაქრო, რომელიც ასევე სასულიერო პირი გახლდათ და მისი შთამომავლები ვართ ჩვენ. კირიონმა მთელი თავისი სიყვარული შაქროსა და მის შვილებზე გადმოიტანა. შაქროს ჰყავდა: გიორგი, ვახტანგი, სარდიონი, კოლა, თამარი და ქეთო. მე და ჩემი და, თამარი ვახტანგის შთამომავლები ვართ. შემდეგ მოდის ჩემი შვილი გია და მისი შვილები: კობა და ვახტანგი. როდესაც კირიონი გადასახლებაში იმყოფებოდა, მან შაქროს ფული გამოუგზავნა და სთხოვა: ააშენე ორსართულიანი სახლი, ჩემთვის დატოვე ერთი ოთახი, სადაც, რომ ჩამოვალ, ვიცხოვრებო. ის სახლი კი, სადაც თავად კირიონი დაიბადა, როდესაც მას ცოლ-შვილი გარდაეცვალა და ბერად აღიკვეცა, შაქროს დას ანას უმზითვა. შემდეგ მათ ეს სახლი გაყიდეს, ახალმა პატრონმა კი დაანგრია. სამაგიეროდ, კირიონმა ნიქოზში, შაქროს ნაყიდ სახლში მოიწყო ოთახი და გადასახლებაში ყოფნისას, ვენიდან გამოიწერა ყველაფერი: რბილი ავეჯი, საწოლები, მისაღების გარნიტური, ჭურჭელი. როდესაც 1924 წელს ჩვენი სახლი დაარბიეს, მეორე სართულიდან ყრიდნენ ჭურჭელს, ნივთებს. კირიონს ძალიან ბევრი წიგნი ჰქონდა – გამოიტანეს, ხვიმრაზე დაყარეს წიგნები, გრაგნილები, ხელნაწერები, გადაასხეს ნავთი და დაწვეს. ყველაფერი წაიღეს სახლიდან. მოგვიანებით, მამა გორის თეატრში იყო და იქიდან დამწუხრებული დაბრუნდა: გორის თეატრში ვნახე ჩვენი, კირიონისეული ფარდაგი, რომელიც ტახტზე ჰქონდა გადაფარებულიო. სახლის ჩხრეკისას ყავის საფქვავი იპოვეს, ვერ მიხვდნენ, რა იყო: წისქვილი ეგონათ: აი, ხალხო, ამ წურბელებს თურმე სახლში წისქვილი ჰქონიათო... როგორც მამაჩემისგან ვიცი, კირიონი არაჩვეულებრივი ადამიანი იყო: ძალიან თბილი, ქველმოქმედი, ყურადღებიანი. გადასახლებაში რომ იყო, იქიდან აგზავნიდა წერილებს, სადაც იხსენებდა ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეზობლებს. აგზავნიდა ამანათებს, ჩასაცმელს ბავშვებისთვის. წერილში ეწერა: შაქრო, ძალიან გთხოვ, ყველაზე მეტად ვისაც უჭირს ეს იმას მიეცი. ჩაიწერე მერე, ვის მისცემ. კიდევ რომ გამოვაგზავნი, ისევ მას არ მისცე და სხვა ამანათის გარეშე არ დაგრჩეს. ყველას უნდა შეხვდესო. როდესაც საქართველოში დაბრუნდა, თავის ოთახში სულ მუშაობდა, მისი ჩამოსვლა მთელ რაიონს უხაროდა. ახლა ერთი საოცარი ამბავი მინდა, მოგიყვეთ: როდესაც კირიონი აკურთხეს კათოლიკოს-პატრიარქად, გორში დიდი დახვედრა მოუწყეს. ნიქოზში რომ ჩამოსულიყო, ცხინვალი უნდა გაევლო. ცხინავალის შემოსასვლელში კი უნდა გაევლო ცერაანთ უბანში, სადაც დედაჩემი, ნადია ცერაძე ცხოვრობდა. ერგნეთიდან ნიქოზამდე სულ ხალიჩები იყო დაგებული. ჩვენს უბანში, რუზე იყო ბოგირი, რომელზეც გააკეთეს ფანჩატურა და დადგეს პატარა მაგიდა. როდესაც კირიონი იმ ადგილას მივიდა, დედაჩემს, რომელიც პატარა იყო და თან, ძალიან ლამაზი – დღესაც კი „ცხინვალსკაია მადონას" ეძახიან, ჭიქით უნდა მიერთმია მისთვის ღვინო. კირიონმა თავზე ხელი დაადო, ეამბორა, დალოცა და პირჯვარი გადაწერა. დედაჩემი რომ გაიზარდა, მისი რძალი გახდა... ჩვენს სახლში პატრიარქზე საუბარი დიდი ხნის განმავლობაში აკრძალული იყო. მამა 59 წლის ასაკში გარდაიცვალა და სიკვდილის წინა წლებში ცოტას უკვე მიყვებოდა კირიონსა და თავის მამაზე. შაქროც, ანუ მღვდელი ზაქარია, 1924 წელს დახვრიტეს. ნიქოზიდან ჩამოვიდა პაპა, მღვდელი ციცქიშვილი და ამილახვრის ოფიცერი, რომელიც გლეხის ტანსაცმელში იყო გადაცმული. როგორც ჩანს, ვიღაცამ გასცა ისინი. ფეხით წაიყვანეს ნიქოზიდან გორში და როგორც შემდეგ გავიგეთ, გზაში დახოცეს: ახლა ესენი ათრიე ფეხითო და რუისში მოკლეს სამივე. თავად კირიონს საოცრად ტრაგიკული ცხოვრება ჰქონდა. გარდა იმისა, რომ ცოლ-შვილი დაეხოცა, ხშირად განიცდიდა შევიწროებას, რადგან მუდმივად იბრძოდა ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად"...



კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი ერისკაცობაში



ანანურის ტაძრის მოძღვარი იერონიმე საძაგლიშვილი და მისი ვაჟი გიორგი, 1862 წელი



ეპისკოპოსი კირიონი და არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, პეტერბურგი, 1910 წელი

კათოლიკოს-პატრიარქი 1896 წელს ცოლ-შვილის სიკვდილის შემდეგ ბერად აღიკვეცა, 1898 წლის აგვისტოში კი ალავერდის ეპისკოპოსად აკურთხეს. წმიდა კირიონმა საკუთარი ხარჯებით დაიწყო განადგურების პირას მისული ალავერდის ტაძრის შეკეთება, ხელი მიჰყო კახეთის ეკლესია-მონასტრებში დაცული სიძველეების შესწავლას. მან საქართველოს საეკლესიო მუზეუმს, სხვა ხელნაწერებთან ერთად, გადასცა ბაგრატ მეოთხის დროინდელი, 1089 წელს გადაწერილი სახარება, რომლის შესახებაც ქართულმა მეცნიერებამ მანამდე არაფერი იცოდა. ამავე დროს კირიონმა ხმა აღიმაღლა სომხების მიერ ქართული ტაძრების მიტაცების წინააღმდეგ. მან ვრცელი დასაბუთებული ბარათით მიმართა საქართველოს ეგზარქოსს და მოითხოვა ამ ტაძრების საქართველოს ეკლესიისთვის დაბრუნება. 1901 წლიდან კირიონი გორის ეპისკოპოსი გახდა. ამ დროისთვის საქართველოს ეგზარქოსმა შენიშნა, რომ წმიდა მღვდელმთავრის ირგვლივ თავს იყრიდა განათლებული სამღვდელოება, რომელიც აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გამო. ამიტომაც მთავრობა ეპისკოპოსს ხშირად უცვლიდა ეპარქიებს: 1903 წელს ის გაამწესეს ხერსონში, 1904 წელს – ორიოლში, 1906 წელს – სოხუმში, 1907 წელს კოფნოს ეპარქიაში გადაიყვანეს, სექტემბერში კი წმიდანს უფლება არ მისცეს, საქართველოში ჩამოსულიყო და უკანასკნელი პატივი მიეგო წმიდა ილია მართლის ცხედრისთვის. 1908 წელს, მთავრობის დადგენილებით, კირიონს ჩამოერთვა ეპისკოპოსის წოდება და დააპატიმრ-



კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი

ეს. მთავრობის ამგვარი სიმკაცრის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო კირიონის დაუცხრომელი ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის. კირიონის დევნა-შევიწროება სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. 1908 წლის 28 მაისს თბილისში მოკლეს ეგზარქოსი ნიკონი და მისი მკვლელობის ორგანიზება დევნილ მღვდელმთავარს დააბრალეს. ამგვარმა ცილისწამებამ აღაშფოთა როგორც საქართველო, ისე რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილი. ევროპაში კირიონის დაცვის საზოგადოებაც კი შექმნეს და დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება მისი გათავისუფლების მოთხოვნით. ცნობილია, რომ ბელგიიდან ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ, ჯორჯ ლორანმა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს, ხომიაკოვს სთხოვა კირიონის უფლებების დაცვა. მართალია, გამოძიებამ არ დაადასტურა კირიონის მონაწილეობა ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში, მაგრამ მას საქართველოში დაბრუნების ნება არ დართეს და ფართო მასშტაბით დაიწყეს მისი დევნა-შევიწროება. ხელისუფლებისგან დევნილ კირიონ მეორეს მღვდელმთავრის მოვალეობის აღსრულების უფლება ჩამოერთვა და ერთხანს შორეულ სანაქსარის მონასტერში იყო გამოკეტილი. 1912 წლიდან კი ხერსონში გადაიყვანეს. 1914 წელს კირიონ მეორემ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს მიმართვა გაუგზავნა და სთხოვა, მკაცრი მეთვალყურეობისგან გაეთავისუფლებინათ და სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მიეცათ. ამ თხოვნის საფუძველზე მას მხოლოდ მკაცრი მეთვალყურეობა მოუხსნეს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს. თუმცა, დააბრუნეს ისევ მღვდელმთავრის პატივში და პოლოცკისა და ვიტებსკის ეპარქიის მმართველობა ჩააბარეს, სადაც 1917 წლის შუა რიცხვებამდე მოღვაწეობდა.



ლეონიდე ოქროპირიძე და კირიონ საძაგლიშვილი, 1906 წელი, პეტერბურგი

**დოდო საძაგლიშვილი**: „კირიონი დიდხანს იყო გადასახლებაში, მუდმივად უცვლიდნენ ადგილს. ბოლოს ხერსონის უდაბნოში გადაასახლეს, სადაც ჭაობიანი ადგილი იყო. ის ხის სახლის პატარა ოთახში მოათავსეს, ზამთარსა და სიცივეში. როდესაც ოთახში შეიყვანეს, იმ ტახტს, სადაც კირიონი უნდა დაწოლილიყო, წყალი ჰქონდა გადასხმული. ამან, რა თქმა უნდა, მის ჯანმრთელობაზე იმოქმედა. კირიონი საშინელ დევნა-შევიწროებას განიცდიდა, მაგრამ ბრძოლის ჟინი არასდროს დაუკარგავს. პირიქით, გადასახლებაში ყოფნისას, რუსეთში მოღვაწეობის დროსაც სულ მუშაობდა. როგორც ჩვენ ვიცით და მამამ მათი გვარებიც იცოდა, კირიონს 67 საკუთარი სტიპენდიანტი ჰყავდა, რომლებიც რუსეთსა და სხვა ქვეყნებში სწავლობდნენ. კირიონი მათ ფულს უხდიდა. თავად კორნელი კეკელიძე პაპას სტიპენდიანტი იყო, მისი პირველი ნამუშევარი სწორედ მან დააფინანსა. ნუმიზმატიკითაც იყო დაინტერესებული. კირიონმა გადაწყვიტა, თავისი კოლექციები თბილისში არსებული საეკლესიო მუზეუმისთვის გადაეცა. ამისთვის კი დახმარება სთხოვა საქართველოში დარჩენილ მეგობრებს. მათ გადაწყვიტეს, კოლექციები საზოგადოებრივი მუზეუმისთვის შეეწირათ და არა საეკლესიო მუზეუმისთვის, რადგანაც არსებობდა საშიშროება, ნივთები საეკლესიო მუზეუმიდან პეტრეს ქალაქში აღმოჩენილიყო. კირიონის შინაური მუზეუმი და მის კოლექციაში არსებული მასალები 1911 წელს, 20 ენკენისთვეს თბილისში ჩამოვიდა და მუზეუმში დააბინავეს. კირიონის ნუმიზმატიკური კოლექცია კი მოგვიანებით, პახამოვმა მოაწესრიგა. 1914 წელს ის ტარასი კანდელაკს სთხოვდა: ჩემი ვერცხლის ფულების სია გამომიგზავნეთ, ერთნაირი ფული, რომ აღარ ვიყიდოო: „დღეს პროსპექტზე შემხვდა რუსული კაპიკიანი, რომელიც 800 მანეთი ფასობს. იქვე იყო ოქროს მანეთიანი თითო 1 200 მანეთი ღირდა. ჩემს კოლექციაში უკვე არის 2 ოქროს მანეთიანი და ეს აღარ ვიყიდე". კირიონის კოლექციაში რუსული ფულის გარდა, იყო ოქროს სხვა მონეტები, ბიზანტიური ფულები, ბევრი ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყო გამოშვებული".



ოდესის სასულიერო სემინარიაში მსახურების დროს

## ეკლესიის ავტოკეფალია და პატრიარქის იდუმალებით მოცული სიკვდილი

ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ, ქართველ საერო და სასულიერო პირთა დიდი ნაწილი მოითხოვდა, რომ რუსეთიდან ჩამოეყვანათ საქართველოს ეკლესიის თავისუფლებისთვის თავდადებული მებრძოლი კირიონ მეორე და ის აერჩიათ მწყემსმთავრად. თავის მხრივ, რუსეთის სინოდშიც კარგად იცოდნენ კირიონის ფასი და ამიტომ გადაწყვიტეს, დაეწინაურებინათ და დაენიშნათ პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტად, რაზეც თვით კირიონმა განაცხადა სასტიკი უარი. მრავალტანჯული ქართველი მღვდელთმთავარი 1917 წლის ზაფხულში საქართველოში დაბრუნდა, ხოლო იმავე წლის 17 სექტემბერს ხმათა უმრავლესობით, ავტოკეფალიააღდგენილი საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს. გარეშე თუ შინაური მტრები ათას ინტრიგას აწყობდნენ ახლად დადგენილი მწყემსმთავრის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, მან ბევრი რამ მოასწრო. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის მიზნით, მიმართვები დაუგზავნა მსოფლიოს სხვადასხვა მართლმადიდებლურ და არამართლმადიდებლურ ეკლესიის მეთაურებს. სხვა ბევრი რამის გაკეთებაც სურდა, მაგრამ არ დასცალდა. 1918 წლის 27 ივნისს ის თბილისთან ახლომდებარე, მარტყოფის საპატრიარქო რეზიდენციაში დღემდე უცნობმა პიროვნებამ მოკლა.

დეკანოზი თალაკვაძე იგონებს: „ხმა დაუყარეს, რომ „თავი მოიკლაო!" 68 წლის მოხუცმა, რომელსაც დამბლის გამო პირამდე ჭიქა ვერ მიჰქონდა დასალევად, ასეთი ხელით, მწოლიარემ რევოლვერი დაირტყა და თავი მოიკლაო! რევოლვერი იქვე ეგდო, ცხედართან. რევოლვერი დაკეტილი იყო. როგორ, თავი მოიკლა და რევოლვერი დაკეტა? გვერდზე დაიგდო?!" ასეთი დასკვნა გამოუტანა „გამოძიებამ". კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორის მკვლელობის შემდეგ მოკლეს მირიან ბერი (კირიონის დამცველი) და ქუთათელი ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე.

**დოდო საძაგლიშვილი**: „ლუციფერის მოციქულები ისევ დავლურს უვლიდნენ. კირიონის მოკვლა მის შინა კაცს არქიმანდრიტ ტარასის დააბრალეს". ტარასი კანდელაკი 20 წელი ემსახურებოდა კირიონ მეორეს. როგორც მერე თქვეს, დავიდოვმა მოისყიდა – 500 თუმანი მისცაო. „იმასაც იტყვიან ამ 500 თუმნით ტარასიმ კავკაზში ძროხები იყიდა და თბილისში ფერმა ააშენაო. მოკლული კათალიკოზის მიერ შეკრებული ხალხური ლექსებიც ტარასიმ მიითვისა, რომელიც მერე ლიტერატურულ მუზეუმს შესწირა და თავმომწონეთ იტყვის: „ჩემი შეკრებილია". დავიდოვი, (დავით დავითაშვილი) ეგზარქოსის ჯაშუში იყო და ყოველივე ქართულის მტერი. მან ორჯერ სცადა პატრიარქის მოკვლა და ამიტომაც მიიტანეს ეჭვი, თუმცა გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება"...

**ნათია უტიაშვილი**

(ოცდამესამე გვერდიდან)

ცნობილი წიგნის მაღაზია. სოსიკო მერკვილაძის გამომცემლობამ უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურის ისტორიაში: მასთან იბეჭდებოდა და იყიდებოდა აკაკის, ილიას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკო ლომოურისა და სხვათა ნაწარმოებები. გარდა ამისა, სოსიკო აკაკისთან ახლობლობდა და თბილისში ყოფნის დროს მწერალი მერკვილაძეებთან ჩერდებოდა, სადაც მას საკუთარი ოთახი ჰქონდა გამოყოფილი.

## თბილისის რომელ ქუჩაზე გადაიხადა ქორწილი იოსებ ჯუღაშვილმა და რომელ თბილისელ გამომცემელთან ჩერდებოდა სახლში აკაკი წერეთელი

## კრუზენშტერნის ქუჩა – გაზეთი „ტიფლისსკი ლისტოკ"

„ტიფლისსკი ლისტოკი" ყოველდღიური ილუსტრირებული რუსულენოვანი გაზეთი იყო, რომელიც ლიტერატურულ-პოლიტიკურ თემატიკაზე ბეჭდავდა სტატიებს. ასევე, გაზეთში იბეჭდებოდა სარეკლამო სახის მასალები, ქრონიკა და ახალი ამბები. ამ გაზეთის საშუალებით არაერთი ცნობილი ფაქტი თუ მოვლენა გაშუქებულა. „ტიფლისსკი ლისტოკი" 1886-1919 წლებში გამოდიოდა და გაზეთის რედაქცია კრუზენშტერნის ქუჩა №4-ში მდებარეობდა (ამჟამინდელ ლაღიძის ქუჩაზე). გაზეთის ერთ-ერთი პირველი გამომცემელი და რედაქტორი ხ. ხაჩატუროვი იყო. სწორედ „ტიფლისსკი ლისტოკში" დაიბეჭდა პირველად, 1902 წელს, ცნობილი რუსი პოეტის, ნიკოლაი გუმილიოვის ლექსები. კრუზენშტერნის ქუჩა იმ ფაქტითაც არის ცნობილი, რომ სწორედ ამ ქუჩაზე, 1906 წლის ივლისში, გადაიხადა ქორწილი იოსებ ჯუღაშვილმა, მისი რჩეული ეკატერინე (კატო) სვანიძე გახლდათ. წყვილმა ჯვარი მამადავითზე დაიწერა, ხოლო საქორწილო სუფრა კრუზენშტერნის ქუჩაზე, ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში გადაუხდიათ. ქორწილს რამდენიმე სტუმართან ერთად სიმონ ტერ-პეტროსიანი, იგივე კამო ესწრებოდა.



კრუზენშტერნის (ლაღიძის) ქუჩა (ძველი და ახალი ხედები)

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ფრაგმენტები წიგნიდან: გ. ბეჟანიშვილი „რუსთაველის პროსპექტი" (თბილისი, 1956 წ.)**

**ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში არსებობს დაღმავალი პერიოდები. მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს ეტაპები, როცა მოჭარბებული ენერგია და იღბლიანობა მეტად შეიგრძნობა. სწორედ ამიტომ, უნდა დააკვირდეს ადამიანი – ცხოვრების რომელ ეტაპს გადის, როდის უნდა იყოს ფრთხილი და წინდახედული, როდის შედარებით გაუმართლებს და რა უნდა გაითვალისწინოს, რომ იღბლიანი იყოს. ასევე, გველის წელიწადი დადგა და ბევრ ადამიანს მის მიმართ ერთგვარი შიში აქვს. არადა, ამბობენ, ის ოჯახის მფარველია, თუ სახლის საძირკველში დაიბუდაო. ამ თემებთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ეზოთერიკოს, ქალბატონ დალის, რომელმაც მეტად საგულისყურო ინფორმაცია მოგვაწოდა.**

# როდის უნდა აკონტროლოთ სიტყვები და აზრები განსაკუთრებულად და რა უნდა ატარონ გასათხოვარმა გოგონებმა ბედის გასახსნელად



**დალი**: ყველას ცხოვრებაში დგება ჩავარდნისა და აღმავლობის პერიოდები. სწორედ ამ დროს უნდა გაიაზროთ ყოველი ქცევა და სიტყვა, რომ პროგრამაში უარყოფითი კოდი არ ჩადოთ – არ დააპროგრამოთ ცუდისკენ საკუთარი ბედი და იღბალი. ჩავარდნის პერიოდში ადამიანს უჩნდება სურვილი, გამუდმებით იწუწუნოს ბედზე, საკუთარი დაბადების დღე წყევლოს, ინატროს სიკვდილი და ასე შემდეგ. ეს გაუაზრებლად ხდება და ადამიანი აზრზეც ვერ მოდის, რომ ასეთი საქციელით თავს ვნებს, ქვეცნობიერ დონეზე თარსავს საკუთარ ბედიღბალს. მართალია, როცა ადამიანისთვის წარუმატებელი დღეები დგას, ამ დროს ძნელია, აკონტროლო სიტყვა, აზრი თუ ქცევა, მაგრამ თუ იცი, რომ ამ გაუაზრებელ ქმედებებს არასასიამოვნო შედეგები მოჰყვება, მაშინ თავს შეიკავებ. ხომ იცით, დაუფიქრებელი ნათქვამი უფრო ხშირად გვიხდება, ვიდრე გააზრებული. ამიტომ, სურვილებიც უნდა ვაკონტროლოთ, თუნდაც ქვეცნობიერ დონეზე.

**– თუ არსებობს რაიმე მეთოდი, რომელიც ამ პერიოდში, ცუდისგან გვიცავს და ჩვენზე დადებითად მოქმედებს?**

– მაგალითად, ჩვეულებრივი „ბულავკა" ჩავარდნის პერიოდში კარგი და საიმედო დამცავია ავი თვალისგან. ამ დროს ადამიანის ენერგეტიკულობა დასუსტებულია და შესაბამისად, ადვილად ხდება არასასურველი შედეგის მსხვერპლი. ის ასევე, კარგი თილისმაა წარმატებისა და ბარაქის მოსაპოვებლად. ოღონდ, ყურადღება უნდა მიაქციოთ, რომ არ გაიხსნას და სულ შეკრული ატაროთ. თუ გასათხოვარი ხართ, ის კაბის კალთაზე მიამაგრეთ, ისე რომ, არ ჩანდეს. პლატინის ქინძისთავის ტარება კარგია თანამდებობის პირის ან ბიზნესმენისთვის. ის მათ ყოველთვის ეხმარება გონიერი გადაწყვეტილებები მიიღონ, იყვნენ ფრთხილი და წინდახედული პარტნიორებთან და სწორი, სასარგებლო არჩევანი გააკეთონ საქმეში. პლატინის ქინძისთავის ტარება მეექვსე გრძნობას ავითარებს და ადამიანს ექსტრემალური სიტუაციებისგან იცავს. დღეს მოდაშია ტანსაცმელზე ათასგვარი ბროშის, ქინძისთავისა და თვლებით მოჭედილი გულსაბნევის ტარება. გეტყვით, რომ მაგალითად, ოქროს ქინძისთავი თუ გულსაბნევი, ადამიანს ჭორებისა და მითქმა-მოთქმისგან იცავს. ვერცხლისფერი ქინძისთავი, თუ მას მისაღებ ოთახში, ფარდაზე მიამაგრებთ, თქვენს საცხოვრებელს ხანძრისა და გაქურდვისგან დაიცავს. ის ასევე, კაპიტალის მოზიდვას უწყობს ხელს. თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები გაქვთ, მაშინ გირჩევთ, მელქიორის გულსაბნევი ატაროთ.

**– ამ დროს იმასაც აქვს მნიშვნელობა, რა ქვებითაა გულსაბნევი მოჭედილი?**

– რაც შეეხება თილისმურ ქვებს, გეტყვით, რომ ბრილიანტებით მოჭედილი გულსაბნევი ბიზნესმენი ქალბატონისთვის, უბრალოდ, აუცილებელია. ნებისმიერი საქმიანი მოლაპარაკების დროს ის ხელს უწყობს, ქალბატონის აზრი გაითვალისწინონ და გადაწყვეტილებაც მის სასარგებლოდ მიიღონ. ზურმუხტისთვლიანი გულსაბნევის ტარება ჯანმრთელობისთვისაა ძალიან კარგი, რადგან დაავადებებისგან დაგიცავთ. ოპალისთვლიანი გულსაბნევი მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ. მარგალიტისთვლიანი სამკაული კი კარგია მათთვის, ვისაც ქორწინებასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. საერთოდ, გირჩევთ, ყვავილის ან პეპლის ფორმის, თქვენთვის მისაღები თვლებით მოჭედილი გულსაბნევები ატაროთ, რათა საქმეში შედეგს ადვილად მიაღწიოთ.

**– ქალბატონო დალი, ზოგადად, ამოუცნობი ფენომენის ბევრს არ სჯერა. წელს გველის წელიწადია და ბევრისგან გავიგე, როგორც ისაა საშიში ადამიანისთვის, ასეთი მოვლენებით სავსე წელიწადი გველისო. ამაზე რას გვეტყვით?**

**გირჩევთ, ყვავილის ან პეპლის ფორმის, თქვენთვის მისაღები თვლებით მოჭედილი გულსაბნევები ატაროთ და საქმეში შედეგს ადვილად მიაღწევთ**

– მართალია, ბევრს არ სჯერა ამოუცნობი ფენომენის და ეზოთერიკულ მეცნიერებასაც ცალი თვალით უყურებს, თუმცა, როცა თავად ეჯახება მსგავს მოვლენებს, მერე დაფიქრდება და იჯერებს იმას, რისი წყალობითაც უბედურებას აარიდა თავი. ამიტომ, საჭიროა, ნებისმიერ დეტალს, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში ხდება, გულისყურით დავაკვირდეთ, თითოეული ფაქტი კარგად გავაანალიზოთ და იმ აუხსნელ წესებს დავემორჩილოთ, რომელიც უძველესი დროიდან იღებს სათავეს. რაც შეეხება გველს, ერთი შეხედვით საშიში ქვეწარმავალი, ადამიანს შესაძლოა, მფარველადაც კი მოევლინოს. ამბობენ, თუ მის გარშემო მიმდინარე პროცესებს და მოვლენებს გულისყურით დააკვირდები, ბევრ უბედურებას აიცილებ თავიდანო. ეს სიმართლეა და ამაზე ყველა უნდა დაფიქრდეს. ზოგჯერ გაფრთხილებასაც ამა თუ იმ ფორმით ვიღებთ და ყურადღებასაც არ ვაქცევთ. არ ვითვალისწინებთ, რომ რაიმე ცუდის მანიშნებელი შეიძლება იყოს ეს ყოველივე. შემდეგ კი, როცა მომხდარზე ვფიქრობთ, მას სასწაულს ვაწერთ ან თუნდაც – ბედისწერას. კი ბატონო, ამბობენ, ცხოვრებაში უამრავი ფაქტი ხდება და ამ ყველაფერს თუ ადამიანმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და ყველაფერი გულთან მიიტანა, ნერვიულ აშლილობამდე მივაო. მაგრამ, არც იმის იგნორირება შეიძლება, რომ ყველაფერი შემთხვევითობა არ არის. განსაკუთრებით წელს, როცა გველის წელიწადი დადგა, ქვეწარმავლის მოკვლა ან მისი აუგად ხსენება, გვეკრძალება. ადამიანები დიდ ცოდვას ჩავდივართ, როცა ქვეწარმავალს ვკლავთ, გვეშინია მისი, გვეზიზღება და არც მის „უთქმელ" გაფრთხილებას ვაქცევთ ყურადღებას. გველს მოვლენების წინასწარი განჭვრეტისა და ოჯახის მფარველობის უნარი აქვს. ამიტომ, თუ ეზოში ან სახლის სარდაფში გველი დაიბუდებს, ის ოჯახის მფარველია და მისი მოკვლა არ შეიძლება.

**– და, მაინც თუ მოკლა ის სახლის პატრონმა?**

– თუ მასზე ვინმე ხელს აღმართავს, ოჯახს უბედურება არ ასცდება. მართალია, ქვეწარმავალს ლაპარაკი არ შეუძლია, მაგრამ ქცევებით გვამცნობს მოსალოდნელ უბედურებას და თუ არ გააბრაზე, მასზე არ გაიწიე და რამე არ დაუშავე თავადაც არაფერს გავნებს. პირიქით, შეიძლება, თქვენი მფარველობა იკისროს და მოსალოდნელი საფრთხეებიც კი აგაცილოთ თავიდან. ადამიანების მიმართ მათ განსაკუთრებული გრძნობა აქვთ – თუ გველმა ის მიიღო და შეიყვარა, ისე ეხმარება და ისეთ უბედურებებს აცილებს თავიდან, რომ ვერც წარმოგიდგენიათ. მაგალითად, გამიგია, ძველ დროში, აკვანზე შემოეხვეოდა გველი და ასე იცავდა ჩვილს ცხოველების თავდასხმისგან, როცა მისი მშობლები ყანაში მუშაობდნენ. დღეს, არაერთ ადამიანს ჰყავს გველი ბინაში, როგორც შინაური ცხოველი და თუ ჰკითხავთ, ის ძაღლზე დიდ ერთგულებას უწევს მათ. ასე რომ, თუ ქვეწარმავალს უერთგულებთ, მისი არ შეგეშინდებათ და ისე მიუდგებით, როგორც საჭიროა, მაშინ მისგან მხოლოდ სიკეთეს ელოდეთ და არა საფრთხეს.

**ნონა დათეშიძე**

## ბორკილები ნებაყოფლობით

მოკრძალება და თავმდაბლობა ქალის მთავარი სამკაულია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი წინა თაობა აბსოლუტურად დარწმუნებული იყო ამაში. პრინციპში, ქალებმა ბევრი წავაგეთ, როცა იმაზე მეტი პასუხისმგებლობა და ტვირთი ავიკიდეთ საკუთარ მხრებზე, ვიდრე ეს საჭირო იყო. რა გვრჩიდა? – გამოუვალი მდგომარეობა! ანუ, ჩვენ მერე ვიწყებთ მტკიცებას, რომ სხვა გამოსავალი არ გვაქვს, რომ საქმე ვიღაცამ უნდა გააკეთოს, თორემ, გაცილებით გვირჩევნია, ჩვენზე ზრუნავდნენ... შესაძლოა, ეს მართლაც ასეა, მაგრამ, რა გამოდის? – ბორკილები ნებაყოფლობით გავიკეთეთ მაჯებზე, მამაკაცების უმრავლესობა კი დიდი სიამოვნებით ნებივრდება. რატომაც არა, თუკი მათ გასაკეთებელს მათ გარეშეც და, თანაც, კარგად გააკეთებენ?!

ერთი სიტყვით, საქმე თითქოს მარტივადაა მაგრამ, ამავდროულად, სულაც არ არის მარტივად. ძნელია, იპოვო ოქროს შუალედი, მით უმეტეს, როცა ქალი ძლიერია, აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა და შეუძლია საქმის კეთება. იქნებ, მთავარი დამნაშავე ცხოვრებაა? იქნებ, მან ხელახლა გადაანაწილა როლები და ქალებს ცოტათი შეგვიცვალა ფუნქციები?! ნუ გაგიკვირდებათ, თუკი, ერთ დღესაც, მამაკაცი ფეხს ფეხზე გადაიდებს და გეტყვით: „ძვირფასო, ყველაფერში გენდობი, ასე განაგრძე. გააკეთე, რაც გინდა!“ სანამ აუყვირდებოდეთ, გაიხსენეთ, რომ ბორკილები საკუთარი ნებით დაიდეთ. რას იზამთ, ემანსიპაცია მსხვერპლად ჩვენს სისუსტეს ითხოვს!

## ყველაზე მნიშვნელოვანი...

ოჯახური ურთიერთობები ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ვიყოთ გულახდილები და ვაღიაროთ, რომ, სიყვარულის თუ არა, მარტოდ დარჩენის შიშის გამო მაინც ვდგამთ ამ ნაბიჯს. კარგი იქნებოდა, თუკი ოჯახური ცხოვრების ზოგიერთ ნიუანსს თავიდანვე კარგად გავიაზრებთ.

ქორწინება საკმაოდ გრძელვადიანი პროექტია, დამყარებული ირაციონალურ ოპტიმიზმსა და ბედნიერი მომავლის რწმენაზე. თუ ამ ყველაფერს კარგად არ გააცნობიერებთ, გაგიჭირდებათ ერთი კონკრეტული არსების გვერდით ხუთი, ათი, თხუთმეტი და მეტი წელი ცხოვრება. არ არის ეს ადვილი და გზა „ბედნიერი მომავლისკენ“ ია-ვარდით მოფენილი ნამდვილად არ იქნება. წარმოგიდგენიათ?! ზოგიერთი წყვილი მაინც ახერხებს და ერთად ორმოცდაათ წელსაც კი ცხოვრობს. რა იციან მათ ისეთი განსაკუთრებული, რა საიდუმლოს ფლობენ, რომ ასეთი სასწაული ხელეწიფებათ? ჩნდება კითხვა: რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ქორწინებაში – სიყვარული თუ კიდევ რაღაც, რასაც მხოლოდ ერთეულები აღწევენ? ყველა ქორწინებაში დგება მომენტი, როცა მეუღლეებიდან ორივეს ყველაფერი ყელში ამოსდის. სწორედ ამ დროს არის საშიში კონფლიქტები და კრიზისის გამწვავება. აჯობებს, იყოთ რეალისტები და დაკმაყოფილდეთ იმით, რაც გაქვთ.

იქორწინო, ნიშნავს, მთლიანად შეცვალო შენი ცხოვრების წესი. ეს ახალი სარწმუნოების მიღებასავით არის. მაგრამ, თუ გულს გაუხსნი ამ „რწმენას“ და მზადყოფნაში შეხვდები, სიხარული და ბედნიერება არ დააყოვნებს... ანუ, ყველაზე მნიშვნელოვანი სურვილია – იცხოვრო იმ ადამიანის გვერდით, რომელიც შენს ყოფას გაცილებით ასატანსა და სასიამოვნოს ხდის.

## შეგიძლიათ, არც დაიჯეროთ!

თუმცა, ცდად, ალბათ, მაინც ღირს. ვინ-ვინ და, ამერიკელებმა ოჯახური ურთიერთობის ფასი ნამდვილად იციან. ამერიკელმა ფსიქოლოგმა ოტმანმა წარმატებული ქორწინების „სიმპტომები“ დაასახელა. თუ 60 პროცენტს მაინც ეთანხმებით, ესე იგი, გაგიმართლათ:

1. არასდროს გიფიქრიათ, რომ თქვენი მეუღლის ცუდი გუნება-განწყობის მიზეზი თავად ხართ.
2. დარწმუნებული ხართ, რომ სავსებით იმსახურებთ იმ ყურადღებას, რომლითაც მეუღლე განებივრებთ.
3. ჩხუბის დროს ორივე აღიარებთ თქვენს წილ დანაშაულს და პასუხისმგებლობასაც თანაბრად ინაწილებთ.
4. მიგაჩნიათ, რომ ოჯახში მოვალეობა-ვალდებულებები სამართლიანად არის გადანაწილებული.
5. მშვიდად შეგიძლიათ ერთმანეთთან საუბარი ნებისმიერ თემაზე (მათ შორის ინტიმურზეც).
6. თქვენს თავს სხვა წყვილებს არ ადარებთ და მათი ურთიერთობების არ გშურთ.
7. ისევ ერთად გეგმავთ „უიქენდებს“ და თავისუფალ დროს. არ გაღიზიანებთ ერთმანეთის ჰობი.

## ენდეთ ჭეშმარიტებას!

ნათქვამია – ოჯახი ცვლის ყველაფერს. ამიტომ, სანამ ოჯახს მოეკიდებით, კარგად დაფიქრდით, რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის – ოჯახი თუ ყველაფერი. ეს უბრალო სიტყვები და ფრაზები კი არ გახლავთ, არამედ, განსაზღვრავს თქვენი ცხოვრების ბედნიერების ხარისხს. არ არის ადვილი, ყოველი დღე ერთი ადამიანის გვერდით გაატარო, მაგრამ, სწორედ ეს არის ნორმალური და ბუნებრივი. ანდო შენი ცხოვრება საიმედო ხელს – რა შეიძლება იყოს ამაზე უკეთესი! რამ უნდა მოგგვაროს სიმშვიდის განცდა, თუ არა სიყვარულმა, რომელსაც მისგან მიიღებ?! სიმშვიდის გარეშე კი შეუძლებელია სრულფასოვანი სიხარული, მით უმეტეს – ბედნიერება.

გაცნობიერება იმისა, რომ ვიღაცაზე ხარ დამოკიდებული, ყველაფერს აფუჭებს, თუკი მაშინვე არ „გაგახსენდება“, რომ ის „ვიღაც“ კი არა, საყვარელი და ახლობელი ადამიანია, რომელსაც, შეგიძლია, ნებისმიერ დროს, ყველაზე მძიმე და ყველაზე სასიხარულო წუთებში დაეყრდნო. ბედნიერია ის, ვისი სახლის ფანჯრებშიც შუქი ანთია მაშინ, როცა თავად სახლში არ არის და იცის, რომ იქ ელოდებიან. უბრალოდ, უნდა მიხვდეთ, რა გირჩევნიათ: ის, რომ ვერასოდეს იპოვით ბედნიერებას მარტოობაში თუ ეს – არ გყავდეთ წყლის მომწოდებელიც კი, სამაგიეროდ, არ დათმოთ პირადი თავისუფლება. არჩევანი თქვენზეა, მაგრამ, ფრთხილად იყავით, ბოლოს „პირადი თავისუფლების“ პირისპირ მარტოდ დარჩენილმა არ ინანოთ!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძე

# რის გამო უთხრა უარი მთავარ როლზე მელ გიბსონმა დენიელ დეი-ლუისს გახმაურებულ ფილმში „ქრისტეს ვნებანი" და რა აკავშირებდა მას სექს-სიმბოლო იზაბელ აჯანისთან

*2013 წლის „ოსკარის" ნომინაციების გამოცხადებამდე ვარაუდობდნენ, რომ სტივენ სპილბერგის ახალ ეპიკურ ბლოკბასტერს – „ლინკოლნს" რამდენიმე ნომინაცია ერგებოდა, მათ შორის – მამაკაცის მთავარი როლის შემსრულებლისთვის. ამერიკელების რამდენიმე თაობისთვის უსაყვარლესი პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი დიდ ეკრანზე სახელოვანმა დენიელ დეი-ლუისმა გააცოცხლა და სწორედ მას უწინასწარმეტყველებენ ამერიკული კინოაკადემიის უმთავრესი ჯილდოს მიღებას „ოსკარების" ცერემონიალზე.*

* დენიელ მაიკლ ბლეიკ დეი-ლუისი 1957 წლის 29 აპრილს დაიბადა ლონდონში. მისი მამა – სესილ დეი-ლუისი, ირლანდიელი იყო, ხოლო დედა – ჯილ ბელკონი – ბალტიისპირელი ებრაელი. ისინი ლონდონის მაღალი წრის საზოგადოებას განეკუთვნებოდნენ. მამა ნაციონალური პრემიის ლაურეატი პოეტი გახლდათ, დედა კი მსახიობი და მსოფლიოს უძველესი კინოსტუდიის მმართველის შვილი.



* დენიელ დეი-ლუისს მწვანე ფერის თვალები აქვს და მისი სიმაღლე 187 სანტიმეტრია.

* 13 წლის ასაკში დენიელი სკოლიდან გარიცხეს გაკვეთილების ხშირი გაცდენის გამო. იმ პერიოდში მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მსახიობობა და შექსპირის სამეფო დასს შეუერთდა. 1975 წელს დენიელი ნაციონალური ახალგაზრდული თეატრის დასის წევრი გახდა, 1978 წელს კი მან ბრისტოლის თეატრალურ ინსტიტუტში დაიწყო სწავლა, სადაც მხოლოდ სამი კურსი დაასრულა.

* დენიელის უფროსი და – ტამასინ დეი-ლუისი – დოკუმენტური ფილმების რეჟისორია.

* 1980-იან წლების დასაწყისში დენიელ დეი-ლუისი „ბიბისიში" მუშაობდა და სხვადასხვა სატელევიზიო პროექტში იღებდა მონაწილეობას, მათ შორის პირველი მსოფლიო ომის თემატიკაზე გადაღებულ მრავალსერიან ფილმში. 1982 წელს კი, მისი სრულფასოვანი დებიუტი შედგა მხატვრულ ფილმში. ეს იყო სერ რიჩარდ ატენბოროს მიერ გადაღებული ოსკაროსანი დრამა – „განდი", სადაც მან დასამახსოვრებელი პერსონაჟი განასახიერა.

* 1989-1994 წლებში დენიელ დეი-ლუისი სამოქალაქო ქორწინებაში ცხოვრობდა სექს-სიმბოლო იზაბელ აჯანისთან. ამ კავშირიდან მას ჰყავს ვაჟი – გებრიელ კეინ დეი-ლუისი.

* 1990 წელს ჟურნალმა „ფიფლმა" დენიელ დეი-ლუისი პლანეტის 50 ყველაზე ლამაზ ადამიანს შორის მოიხსენია, ხოლო ჟურნალმა „ემფაირმა" 1995 წელს იგი მსოფლიო კინოისტორიის 100 ყველაზე სექსუალური ვარსკვლავის რეიტინგში შეიყვანა.

* დენიელ დეი-ლუისი იესო ქრისტეს როლზე განიხილებოდა მელ გიბსონის გახმაურებულ ფილმში – „ქრისტეს ვნებანი", თუმცა, მელ გიბსონმა მისი სახე ზედმეტად ევროპულად მიიჩნია და საბოლოოდ როლი ჯეიმს კევიზელს არგუნა.

* დენიელ დეი-ლუისის ვარსკვლავური საათი 1989 წელს დადგა, როდესაც კინოეკრანებზე გამოვიდა დრამა – „ჩემი მარცხენა ფეხი", სადაც მან ცერებრალური დამბლით დაავადებული პერსონაჟი განასახიერა. ამ როლისთვის ლუისმა მიიღო ბრიტანული და ამერიკული უმთავრესი კინოჯილდოები – „ბაფტა" და „ოსკარი". აღსანიშნავია, რომ გადაღებების დროს დეი-ლუისი იმდენად იყო შესული თავის როლში, რომ მარცხენა ფეხის თითებით ისწავლა ხატვა და წერა. თავისი მეორე „ოსკარი" დეი-ლუისმა 2007 წელს პოლ ანდერსონის ფილმ „ნავთობში" შესრულებული როლისთვის მიიღო.

* დენიელ დეი-ლუისი იმ რვა მსახიობიდან ერთ-ერთია, ვისაც ერთი როლის შესრულებისთვის მიღებული აქვს „ოსკარის," „ბაფტას", „ოქროს გლობუსისა" და ამერიკელი მსახიობების გილდიის მთავარი პრემიები. დანარჩენი შვიდი მსახიობია: ჯეფრი რაში, ბენისიო დელ ტორო, ჯეიმი ფოქსი, ფილიპ სეიმურ-ჰოფმანი, ფორესტ უიტაკერი, ხავიერ ბარდემი და ჰით ლეჯერი.

* თავდაპირველად რეჟისორი პიტერ ჯექსონი დენიელ დეი-ლუისს განიხილავდა არაგორნის როლზე „ბეჭდების მბრძანებლის" ტრილოგიაში.

* „ნიუ-იორკის ბანდების" გადაღებების დროს დენიელ დეი-ლუისი თავისი გმირის, უილიამ კატინგის როლიდან შესვენებების დროსაც კი არ გამოდიოდა და დანებს ლესავდა. იგი, ასევე, არ იხდიდა ტანსაცმელს და მსახიობ ჯონ სი რეილის თქმით, მაშინაც კი, როცა ძალიან ციოდა და წვიმდა, დენიელი არ იხდიდა მეცხრამეტე საუკუნის დროინდელ ლაბადას და უარს აცხადებდა ანტიბიოტიკების მიღებაზე გაციების დროს. ამ როლისთვის დენიელი საქონლის ხორცის დამუშავებას ლონდონელ ყასბებთან ორი თვის განმავლობაში სწავლობდა.



* დენიელ დეი-ლუისს მთავარი როლი უნდა ეთამაშა ჯონათან დემეს დრამაში „ფილადელფია", თუმცა, მან სხვა ფილმზე გააკეთა არჩევანი. მის ნაცვლად მოყვანილი ტომ ჰენქსი კი შიდსით დაავადებული გეის – ენდრიუ ბეკეტის როლის შესრულებისთვის „ოსკარის" მფლობელი გახდა.

* 1992 წელს, „უკანასკნელი მოჰიკანის" გადაღებების დროს, დენიელ დეი-ლუისმა საკუთარი ხელით გააკეთა კანოე, შეისწავლა ცხოველების დაკვლისა და გასუფთავების ინდიელების მეთოდი, პროფესიულ დონეზე აითვისა მეცხრამეტე საუკუნის თოფების გამოყენება და გადაღებების დასრულების შემდეგაც კი არ იხსნიდა ზურგიდან ამ თოფს.

* „ნიუ-იორკის ბანდების" გადაღებების დაწყებამდე დენიელ დეი-ლუისი ხუთი წლის განმავლობაში ჩამოშორებული იყო კინემატოგრაფს, იტალიაში ცხოვრობდა და მეწაღედ მუშაობდა. ამბობენ, რომ მასთან მოსალაპარაკებლად იტალიაში ჩასულები იყვნენ ფილმის რეჟისორი მარტინ სკორსეზე, პროდიუსერი ჰარვი ვაინშტაინი და ლეონარდო დიკაპრიო. ვაინშტაინის თქმით, ხუთი წელი დეი-ლუისის გარეშე კინოეკრანისთვის მეტისმეტი იყო.

* სხვადასხვა მიზეზის გამო, დენიელ დეი-ლუისს უარი აქვს ნათქვამი მთავარი როლების შესრულებაზე შემდეგ ფილმებში: „სოლარისი", „წმინდანი", „ტერმინატორი 4", „თავზეხელაღებულთა კუნძული", „ინგლისელი პაციენტი".

* კარიერის დასაწყისში დენიელ დეი-ლუისს „ინგლისელ რობერტ დე ნიროს" უწოდებდნენ.

* დენიელ დეი-ლუისი ერთადერთი მსახიობია კინემატოგრაფის ისტორიაში, რომელსაც „ოსკარი" მამაკაცის საუკეთესო როლისთვის ორ სხვადასხვა საუკუნეში აქვს აღებული.

* თავისი მეუღლის, რებეკა მილერის ფილმის – „ბალადა ჯეკზე და როუზზე" გადაღებების დროს, დენიელი განცალკავებით ცხოვრობდა კანადაში, პრინც ედუარდის კუნძულზე, სანაპიროზე აგებულ ხის ბარაკში.

* დენიელის მეუღლე, რებეკა მილერი, არტურ მილერის შვილია. მათ ორი შვილი ჰყავთ: რონან კელ დეი-ლუისი და კესელ ბლეიკ დეი-ლუისი.

* 1993 წლიდან დენიელ დეი-ლუისი ირლანდიის მოქალაქეა, დროის უმეტეს ნაწილს ის კაუნტი უიკლოუში ატარებს ოჯახთან ერთად.

* თავის საყვარელ რეჟისორებად დენიელ დეი-ლუისი მარტინ სკორსეზესა და ჯიმ შერიდანს ასახელებს.

* დენიელ დეი-ლუისის თქმით, ბავშვობაში მას თანაკლასელები ხშირად იგდებდნენ მასხრად იმის გამო, რომ ებრაელი დედა ჰყავდა.

* დენიელ დეი-ლუისს დიდი სურვილი ჰქონდა, ვინსენტ ვეგას როლი შეესრულებინა კვენტინ ტარანტინოს ფილმში „კრიმინალური საკითხავი", თუმცა, რეჟისორმა მას ჯონ ტრავოლტა ამჯობინა.

* დენიელ დეი-ლუისი საფეხბურთო კლუბ „მილუოლის" ქომაგია. ეს კლუბი ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის დაბალი რანგის ლიგებში ასპარეზობს.

* სტივენ სპილბერგმა აღიარა, რომ ათი წელი დასჭირდა, რათა დენიელი აბრაამ ლინკოლნის როლის შესრულებაზე დაეთანხმებინა. რამდენიმე უარის შემდგომ სპილბერგს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ როლი ლაიამ ნისონისთვის გადაეცა, თუმცა, ამ უკანასკნელმა ასაკის გამო თქვა უარი. საბოლოოდ, დენიელ დეი-ლუისის დათანხმება მაინც სპილბერგმა მოახერხა, როდესაც ფილმის სცენარის საბოლოო ვარიანტი მსახიობს პირადად გააცნო.

**უშანგი რუხაძე**

**ჩვენი რესპონდენტია სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების" პერსონაჟი ავთო, იგივე ᲑᲔᲡᲝ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, რომლის სამსახიობო კარიერა 30 წლის წინ დაიწყო და მას შემდეგ არაერთი საინტერესო როლი ფიქსირდება მის შემოქმედებაში. ბატონი ბესო საკმაოდ საინტერესო რესპონდენტია, რომლის მონათხრობიდან მისი ცხოვრების ბევრ დეტალს შეიტყობთ.**

# ᲠᲐᲢᲝᲛ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲑᲔᲡᲝ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲪᲝᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲢᲝᲕᲔᲑᲘᲐ ᲛᲐᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲪᲝᲚᲘ



**ფულიც კარგი რამე ყოფილა. ზღაპრებში რომ გვზრდიდნენ კომუნისტები – ფული ხელის ჭუჭყიაო, არაფერი ხელის ჭუჭყი არ არის, გააჩნია, როგორ გამოიყენებ**

**– საიდან აღმოჩნდით სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები"?**

– ეკა მჟავანაძის ინიციატივით, რომელიც ჩემი მეგობარი და ამ სერიალის ქასთინგ-მენეჯერია. გიორგი ლიფონავასთან სხვა სერიალებშიც მიმუშავია, „კლინიკაშიც" ვთამაშობდი ერთ-ერთ მთავარ როლს.

**– თქვენი გმირის შესახებ რა იცოდით?**

– ვიცოდი, რომ პიანისტი უნდა მეთამაშა. პიანინოსთან ცოტა ჭაკად ვარ, თუმცა, დედის ხათრით შვიდწლედი მაქვს დამთავრებული. დედა პიანისტი მყავს, 51-ე სკოლაში მუშაობდა, მეც იქ ვსწავლობდი და დედიკოს ხათრით დამამთავრებინეს შვიდწლედიც. ბავშვობაში 14 წელი ვცეკვავდი კიდეც და მერე თავი დავანებე, რადგან, არტისტობა მოვინდომე.

**– 30 წლის სამსახიობო სტაჟი როდის დაიწყო?**

– 18 წლიდან, როცა პირველად ვითამაშე ინსტიტუტში ქალბატონ ლილი იოსელიანთან, შემდეგ – მოზარდ მაყურებელთა თეატრში შალვა გაწერელიასთან. ამის მერე ათი წელი ახმეტელის თეატრის მსახიობი ვიყავი. მინდა გითხრათ, რომ ეს ათი წელი ჩემთვის ძალიან ნაყოფიერი იყო. „ლაბირინთში" ბაბილას ვთამაშობდი. ჩემი როლი სახელმწიფო პრემიითაც აღინიშნა. ასევე, „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებში" ვთამაშობდი მთავარ როლს. მერე ოპერაცია გავიკეთე – ფილტვზე და ღვიძლზე ექინოკოკი მქონდა. ორი წლის წინ მეორედ გავიკეთე ღვიძლზე და ვარ ასე გაჭრა-გამოჭრაში.

**– ამ პაუზის შემდეგ რომელ თეატრში განაგრძეთ მუშაობა?**

– პაუზის შემდეგ იყო თეატრალური სარდაფი, სამეფო უბნის თეატრი, თავისუფალი თეატრი, მარჯანიშვილის თეატრი. შემდეგ ისევ მოზარდ მაყურებელთა თეატრში ვიყავი, მაგრამ, ყველამ იცის, რაც მოხდა იქ – პრემირებული მსახიობები, სახალხო და დამსახურებული არტისტები მოგვხვეტეს და გამოგვიშვეს თეატრიდან. თუკი ვინმეს რამის გაკეთება შეეძლო, ყველა გამოგვიშვეს. ახლა დიმა ღვთისიაშვილი მივიდა თეატრში და, როგორც ვიცი, მას ძალიან კარგი გეგმები აქვს.

**– როგორც ვხვდები, თქვენს ცხოვრებაში სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები" დროულად გამოჩნდა.**

– ეს სერიალი მართლა კარგ დროს გამოჩნდა. თავისი სტაფიანად, ყველა ძალიან კარგი და თბილი ადამიანი მუშაობს ამ სერიალზე. მე ძირითადად ბაია დვალიშვილთან მიწევს მუშაობა, რომელიც შესანიშნავი და ძალიან განათლებული ადამიანია და მასთან საუბარი სასიამოვნოა. მაკა ძაგანიას (თინას) რაც შეეხება, სარდაფში მაქვს მასთან ერთად ნათამაშები. სერიალში თუ ჩემი გერია, იქ ჩემი შვილი იყო. მაკა ძალიან კარგი გოგოა, ჩემი დის თანაკლასელია, ქორეოგრაფიულში სწავლობდნენ ერთად. მართლა ძალიან კმაყოფილი ვარ ამ სერიალით, რომელიც ჩემი სამსახიობო პაუზის დროს გამოჩნდა და მართლა დიდი სიამოვნება მივიღე იქ მუშაობითა და ურთიერთობით.

**– ხალხის ყურადღება როგორ მოქმედებს თქვენზე?**

– რომ გითხრათ, ხალხის ყურადღება ძალიან მსიამოვნებს-მეთქი, ტყუილი იქნება – უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები. ყველა „ავთოთი" მომმართავს. ზოგს საშინლად არ მოვწონვარ, რადგან, უარყოფითი პიროვნება ჰგონიათ ავთო, ზოგს – პირიქით. ბოლო სერიებში ავთო გამოსწორდა: მუშაობა დაიწყო და უფრო დაფასებული გახდა ოჯახში. შეიძლება ჩემი ნაკლია, როგორც მსახიობის, მაგრამ, ყურადღების ცენტრში ყოფნა არ მიყვარს. ყველაზე მეტად მიჭირს, მიძნელდება და მერიდება „პაკლონზე" გამოსვლა.

**– რამე თუ გაქვთ საერთო ავთოსთან, თუნდაც ხასიათში?**

– ბევრი რამ გვაქვს საერთო: მეც ცოტა ფიცხი ვარ, ახალგაზრდობაში მეც მოჩხუბარი ვიყავი, თუმცა, არც ახლა დავიხევ უკან. გული არ ბერდებაო, რომ ამბობენ, მართალია – კიდევ პატარა ბიჭი მგონია ჩემი თავი. ხასიათში ბევრი გვაქვს მე და ავთოს საერთო, მაგრამ მე პირადად შოთიკოს სურათს არ გავაჩერებინებდი კედელზე ჩამოკიდებულს. ავთო თბილი ადამიანია და ჩემზეც ასე ამბობენ. ორივეს გვიყვარს ხელოვნება, ბავშვები... კიდევ რა გვაქვს საერთო?.. სმა. თუმცა, ბოლო დროს ვერიდები, თან, ორჯერ ნაოპერაციები ღვიძლი მაქვს.

**– თქვენი ოჯახის წევრებიდან თუ იყო ვინმე მსახიობი თქვენ გარდა?**

– ხელოვანების ოჯახში ვარ გაზრდილი: დედა – პიანისტი, მამა – მხატვარი. მამაჩემის მამა „ვგიკში" სწავლობდა, სარეჟისორო ფაკულტეტზე. სამწუხაროდ, ის 27 წლის გარდაიცვალა. მამაჩემის მამინაცვალი იყო არჩილ გომიაშვილი. მამაჩემის დედაც მსახიობობდა – ცოტა ხანს მოზარდში იყო.

> **ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲠᲘᲡᲙᲘᲐᲜᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔ-ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲕᲮᲢᲔᲑᲝᲓᲘ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲓᲠᲔᲜᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲠ**

**– მსახიობის პროფესიის არჩევაში თუ გეთანხმებოდნენ ოჯახში?**

– წინააღმდეგობის მცდელობა იყო ოჯახის მხრიდან. სიმართლე გითხრათ, არც ვიცოდი რა იყო მსახიობობა. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ, მეგონა, როგორ ადვილადაც გამომდიოდა ცეკვა, ისევე გამომივიდოდა მსახიობობაც. პირველ წელს რომ არ ჩამებარებინა, ნამდვილად აღარ ვცდიდი მეორედ. ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ქალბატონ ლილი იოსელიანთან მოვხვდი, რომელსაც ჩემი ცუღლუტობით სისხლი გავუშრე – ხან ვაცდენდი, ხან მეზარებოდა რეპეტიციაზე მისვლა. ქალბატონი ლილი სულ გვეუბნებოდა, მე კი არ გაყვარებთ, არამედ გაძულებთ პროფესიას და თუ გაუძლებთ, მაშინ კარგიაო. პირველივე ლექციაზე დავეჭვდი ჩემს არჩევანში – ვიფიქრე, აქ რა მინდოდა, წავსულიყავი და ისტორიულზე ჩამებარებინა-მეთქი. რაღაც პერიოდის გადალახვა გამიჭირდა, დღე და ღამე რეპეტიციები გვქონდა ინსტიტუტში. გამზრდელი პაპა, რომელიც გარდაცვლილი მეწვა სახლში, მის პანაშვიდზე არ ვყოფილვარ, დღე და ღამე რეპეტიციაზე ვიყავი. მხოლოდ გასვენების დღეს დავესწარი.

**– თავად თუ გაქვთ სურვილი, რომ შვილებმა თქვენი პროფესია გააგრძელონ?**

– მათ არჩევანი თავისუფალი აქვთ. უფროსი გოგო 30 წლის არის, რომელმაც არ აირჩია ეს გზა; ბიჭი 14 წლისაა და ჯერჯერობით არც მას უნდა მსახიობობა; პატარა გოგონა ერთი წლის არის და ამაზე საუბარი ადრეა. თუმცა, ჩემი ბიჭი სტუდენტურ ფილმში გადაიღეს. მისი ძმა, ჩემი გერი, რეჟისორია, რომელიც ჩემს ხელშია გაზრდილი და მისმა მეგობარმა გადაიღო სადიპლომო ფილმში.

**– მკაცრი მამა ხართ?**

– შვილების მიმართ მკაცრი ნამდვილად ვერ ვარ, თუმცა, მეგონა, რომ ძალიან მკაცრი ვიქნებოდი და სპორტულად გავზრდიდი მათ, როგორც მე ვიყავი გაზრდილი. საშინელი რისკიანი ვიყავი – მეორე-მესამე სართულიდან ვხტებოდი. სხვათა შორის, დღემდე ადრენალინის მოყვარული ადამიანი ვარ.

**– საკმაოდ ადრეულ ასაკში გამხდარხართ მამა.**

– აკვანში მოვიყვანე ცოლი. პირველი ქორწინებიდან გოგო მყავს, მეორედან ბიჭი, მესამედან – ისევ გოგო.

**– თქვენი მეუღლეები მსახიობები არიან?**

– პირველი ცოლი ექიმი მყავდა, მეორე – თეატრმცოდნე, ხოლო მესამე – მსახიობია.

**– როგორი მეუღლე ხართ?**

– გადასარევი-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ არც ცუდი. ეს იმათ ჰკითხეთ.

**– ყოფილ მეუღლეებთან თუ გაქვთ ურთიერთობა?**

– ჩემს ყოფილ მეუღლეებთან ნამდვილად ვმეგობრობ. მარტო მე კი არა ჩემი მეუღლეებიც მშვენივრად მეგობრობენ ერთმანეთთან. ასეც უნდა იყოს, რადგან, არც ერთხელ, არავის გამო არ წავსულვარ სახლიდან და ერთი მეორის და მეორე – მესამის გამო არ მიმიტოვებია. იყო პერიოდები, როცა მარტო ვიყავი და მერე თავისთავად მოდიოდა სიყვარული. ასე რომ, მათ ერთმანეთში გასაყოფი არაფერი აქვთ. სამი შვილი მყავს, რომელთა შორის 15-15 წელია განსხვავება. 15 წლის შემდეგ კიდევ თუ მექნება ბავშვის გაკეთების თავი, დიდი სიამოვნებით, არც ამაზე ვიტყოდი უარს. სხვათა შორის ორი შვილიშვილის ბაბუა ვარ, 11 და 9 წლის ბიჭები არიან. მშვენიერია, ყველაფერს ვასწრებ. ერთი, სიკვდილი არ მინდა, თორემ, დანარჩენი ყველაფერი კარგია ნაადრევი.

**– რაზე არ იტყვით არასდროს უარს?**

– სიხარულზე, შვილებზე; სხვათა შორის, არც ფულზე. ფულიც კარგი რამე ყოფილა, ზღაპრებში რომ გვზრდიდნენ კომუნისტები – ფული ხელის ჭუჭყიაო, არაფერი ხელის ჭუჭყი არ არის, გააჩნია, როგორ გამოიყენებ მას და რას გააკეთებ.

**– სამომავლო გეგმები თეატრს არ უკავშირდება?**

– წინასწარ არ მინდა ვთქვა, რადგან, არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები. თეატრში ძალიან საინტერესო როლზე მაქვს შემოთავაზება, რომლის თამაშიც ყოველთვის ძალიან მინდოდა. იმის მეშინია, როცა ადამიანს რაღაცის გაკეთება ძალიან უნდა, შეიძლება არ გამოუვიდეს. ძალიან საფრთხილო როლია, რომელსაც სულ კონტროლი უნდა. შემოთავაზება სულ ახლახან მივიღე და, ვნახოთ, წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

**ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲮᲘᲓᲣᲠᲔᲚᲘ**

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

22 იანვარი, **სამშაბათი** 19.45 - **„სულიერი არსებები"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, მარინა კახიანი, გელა ოთარაშვილი, ნინო მითაიშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, ნინო თარხან-მოურავი. კომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

23 იანვარი, **ოთხშაბათი** 19.45 - **„მტრის ნიღაბი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ბესო ზანგური, გაგი სვანიძე, ზაალ ბარათაშვილი, გელა ლეჟავა, მამუკა ლორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

24 იანვარი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„შეშლილი სამყარო"** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორი: ნინო ლიპარტიანი. მონაწილეობენ: ნანუკა ხუსკივაძე, თათული დოლიძე, მანანა აბრამიშვილი, დარეჯან ხარშილაძე, რუსუდან მაყაშვილი, ზურა ინგოროყვა. ტრაგიკული ფარსი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.15 წუთი;***

25 იანვარი, **პარასკევი** 19.45 - **„მაგრიტის შემდეგ"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი: გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, გელა თავბერიძე, ნინო კასრაძე, ირაკლი სანაია, ბექა სონღულაშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, ლევან ხურცია; კომიკური დეტექტივი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

26 იანვარი, **შაბათი** 19.45 - **„პრინცი ჰომბურგი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი: გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ირაკლი მაჭარაშვილი, მარინა ჯანაშია, ია სუხიტაშვილი, ზურა ინგოროყვა, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, დავით უფლისაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ბაჩი ლეჟავა, ბექა სონღულაშვილი, მანანა აბრამიშვილი; დრამა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

27 იანვარი, **კვირა** 12.00 - **„პატარა უფლისწული"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი: გიორგი თოდაძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, ლელა ახალაია, ირაკლი გრძელიშვილი, ბაჩი ლეჟავა, მამუკა ლორია, რუსუდან მაყაშვილი, ეკა მოლოდინაშვილი, ირაკლი სანაია, ტრისტან სარალიძე; ფილოსოფიური ზღაპარი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

27 იანვარი, **კვირა** 19.45 - **„ნადირობის სეზონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი; ტრაგიკომიკური ფანტასმაგორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

22, 26 იანვარი, **სამშაბათი, შაბათი** 20.00 - **„სევილიელი დალაქი"** - თოჯინების საოპერო თეატრი „აწკალა" - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მალხაზ გაბუნია, ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, ელენე ფირცხალავა, გიორგი მებაღიშვილი, მარიამ ავალიშვილი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

22 იანვარი, **სამშაბათი** 20.00 - **„ქალები"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

23 იანვარი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ტანგო ნაბიჭვართან"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორები: ქეთევან ხარშილაძე, გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: კოტე თოლორდავა, ია შუღლიაშვილი, ეკა ნიჟარაძე, ლილე ფილფანი, ნინო გომართელი, ნინო დუმბაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკუშა ჩიქოვანი, ლევან გელბახიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

23 იანვარი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** - (დიდი სცენა)- (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მებურიშვილი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. ***ხანგრძლივობა: 3სთ.;***

24 იანვარი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„გუშინდელნი"** - (თეატრი სხვენში) - სოხუმის დრამატული თეატრის სპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: ნუგზარ ჩიქოვანი, ლორინა პაპუაშვილი-ელერდაშვილი, ქეთი ჩაჩუა, ვანო დუგლაძე, ჯიბო კვანტრიშვილი, პაატა კიკვაძე, მერაბ ბრეკაშვილი, ჯულიეტა პაკელიანი, თეონა გურამიშვილი, ნუგზარ წერედიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

24 იანვარი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„პიგმალიონი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, აკაკი ხიდაშელი, გივი ჩუგუაშვილი, გივი ბერიკაშვილი, მანანა კოზაკოვა, ნინო დუმბაძე, თეონა ქოქრაშვილი. კომედია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

25 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„ზვავი"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: დავით ჩხარტიშვილი. მონაწილეობენ: თამარ სხირტლაძე, ლეო ანთაძე, მაია ფაჩუაშვილი, თემურ კილაძე, როლანდ ოქროპირიძე, თეონა ქოქრაშვილი, ლილე ფილფანი, აკაკი მესაბლიშვილი, ზაზა სალია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

25 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 იანვარი, **კვირა** 20.00 - **„კრეპის უკანასკნელი ფირი"** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), ლევან წულაძის ჯგუფი - რეჟისორი: ნიკა ლუარსაბიშვილი. მონაწილეობს: მარლენ ეგუტია; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

22 იანვარი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 12 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

23 იანვარი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„საძაღლე"** - (ბილეთის ფასი - 5, 8, 10 ლარი), რეჟისორი - ვანო ხუციშვილი. მონაწილეობს: სლავა ნათენაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

24 იანვარი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ვიზიტი ფსიქოლოგთან"** - (ბილეთის ფასი - 5, 8, 10 ლარი), რეჟისორები: ეკა შარიქაძე, მაია დობორჯგინიძე, თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: მაია ხორნაული, გიორგი ჯიქია, ნათია კვაშალი, შაკო მირიანაშვილი, სალომე ჭულუხაძე, გიორგი მარშანია, მარიამ ნადირაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

25 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

26 იანვარი, **შაბათი** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 იანვარი, **კვირა** 19.00 - **„კავკასიური ცარცის წრე"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, მარიშა კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, თიკო კორძაძე, მარიამ ჯოლოგუა, გიორგი ჯიქია, თამუნა ნიკოლაძე, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 4სთ.;***

## მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

24 იანვარი, **ხუთშაბათი**, 19.00 – **„სერობა"** (ბილეთის ფასი – 10 ლარი). რეჟისორი: ქეთი დოლიძე. როლებში – გია აბესალაშვილი, მზია არაბული, რამაზ იოსელიანი. ჟანრი – რელიგიური. ***ხანგრძლივობა – 1სთ. 40 წთ.***

25 იანვარი, **პარასკევი**, 19.00 – **„იკაროსი"** (ბილეთის ფასი – 10 ლარი). რეჟისორი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი. მთავარ როლებში – ანრი ბიბინეიშვილი, რეზო თავართქილაძე, ნატალია შენგელია. ჟანრი – ცხოვრებისეული. ***ხანგრძლივობა 1 სთ. 10 წთ.***

26 იანვარი, **შაბათი**, 19.00 – **„ზვავი"** (ბილეთის ფასი – 10 ლარი). რეჟისორი: რუსუდან ბოლქვაძე. მთავარ როლებში – გიორგი ყიფშიძე, ქეთი ასათიანი. ჟანრი – დრამა. ***ხანგრძლივობა 1 სთ. 30 წთ.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

24 იანვარი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„პანთეონი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

25 იანვარი, **პარასკევი** 19.00 - **„ნათელი ბნელში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ნინო შოთაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

26 იანვარი, **შაბათი** 19.00 - **„ვაჟა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

27 იანვარი, **კვირა** 19.00 - **„ჭურში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

24-25 იანვარი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.00 - **„გაყრა"** - ვოდევილი - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. ***სპექტაკლის ხანგრძლივობა: 2სთ;***

26-27 იანვარი, **შაბათი-კვირა** 19.00 - **„(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი"** - (ბილეთის ფასი - 15 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი
**ჭავჭავაძის გამზირი №32. ტელ.: 229-47-15.**

25 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„არიქა და ვარიქა"** თეატრალიზებული კონცერტი - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორები: ოთარ ეგაძე, თიკო ლუტიძე. ***სპექტაკლის ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

26-27 იანვარი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„ევრიდიკე"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორები: ოთარ ეგაძე, მილენა ეგიაზაროვა. ***სპექტაკლის ხანგრძლივობა: 2 მოქმედებად. ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

25 იანვარი, **პარასკევი** 18.00 - **„დოსტოევსკი.რუ"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ანდრო ენუქიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

26 იანვარი, **შაბათი** 18.00 - **„ჩვენი ოჯახის მცველები"** - ჯადოსნური ზღაპარი დიდებისთვის (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი***

27 იანვარი, **კვირა** 12.00, 14.00, 16.00 - **„ალისფერი იალქნები"** - მუსიკალური ზღაპარი - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი***

## გაბრიაძის თეატრი
**შავთელის ქუჩა №13, ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

25-26-27 იანვარი, **პარასკევი-შაბათი-კვირა** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 21 იანვარი

**06.30** დ/ფ "სუფრაჟისტები" **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30** "მოამბე" **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ "**როსელა**" (U) **17.00** "სპიკერი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**საიდუმლო გამოძიებანი**" (U) **21.00** ტ/სერ "**კიარა და ფრანჩესკო**" (U) **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **00.00** "საფარი" **01.00** მხ/ფ "**შემოჭრა**" (ნ. კიდმანი) (**15**) **02.40** ტ/სერ "**სპირალი**" (U).

**07.30, 09.10** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **10.00** სერ. "**იღბლიანი მოახლე**" **11.30** სერ. "**უკვდავი ამბავი**" **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. "**გაქცევა – 3**" **14.45** სერ. "**24 – 4**" **15.45** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.40** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** სერ. "**ღვინის გზა**" **6** სერ. **00.15** მხ/ფ. "**ვან ჰელსინგი**" (ჰ. ჯეკმენი) **02.35** მხ/ფ. "**სიბრმავე**" (ჯ. მური) **04.35** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** შერეკილები **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**მგზნებარე გული**" **19.50, 20.05** სერ. "**ღირსება და ამბიცია**" **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** შიშის ფაქტორი **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ახალი ამბები **11.30** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 22.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.05, 0.30** თოქ-შოუ "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.15** ყოველდღიური აბები **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30, 02.00** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** მუსიკა **10.00** სერ. "**ფანტაზიების კუნძული**" (გან.) **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" (გან.) **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **11.40** სერ. (გან.) **13.50** გადაცემა "**1 000** წვრილმანი" (გან) **15.00** სერ. "**ფანტაზიების კუნძული**" **16.00** "მუსიკალური საღამოები" **16.30** "დროის ვექტორი" **17.10, 19.00** მუსიკა **18.00** დ/ფ"ჰ ოლივუდის წყვილები" **19.35** სერ. **19.30** ანონსი **21.00** სერ. **23.00** "სახლი ბათუმში" **23.30** "მუსიკალური საღამოები" **00.20** მხ/ფ "**ხელი**".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.55** მხ/ფ "**დაგვიანებული სასიძო**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "მზე შემოდგომისა" **13.30** კონცერტი-ტონი ბენეტი **14.50, 18.20, 22.35, 23.50** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმრები **15.30** სპექტაკლი "**დარისპანის გასაჭირი**" **17.05** კონცერტი - "აპირებს გათენებას" **18.10** ტელეზღაპარი **18.25** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.15** მხ/ფ "**აქედანა და შენამდე**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.20** წმინდანთა ცხოვრება-აბო თბილელი **22.40** დოკ/ფ "წმინდა მოწამენი ქართლისანი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დრო და ტრადიციები "ქართულ-ებრაული ურთიერთობები" **00.35** განთიადის სტუმრები **01.00** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები.

## სამშაბათი 22 იანვარი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30** "მოამბე" **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ "**როსელა**" (U) **17.00** "საფარი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**საიდუმლო გამოძიებანი**" (U) **20.00** "მოამბე" **21.00** ტ/სერ "**კიარა და ფრანჩესკო**" (U) **22.00** "აქცენტები" **23.30** მხ/ფ "**იღბლიანი**" (ე. ბრანა"დ. ბერიმორი) (U) **01.50** მხ/ფ "**სულელების ოქრო**" (ტიტ.) (მ.მაკკონახი) (U).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**იღბლიანი მოახლე**" **11.30** სერ. "**უკვდავი ამბავი**" **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. "**გაქცევა – 4**" **1** სერ. **14.45** სერ. "**24 – 4**" **15.45** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.40** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** სერ. "**ღვინის გზა**" **00.15** ახალი ქართული ხმა (გ/ჩ) **02.15** მხ/ფ. "**ცეცხლოვანი ველი**" (შ.ტერონი) **04.00** მხ/ფ. "**ვან ჰელსინგი**" (კ.ბეკინსეილი) **05.55** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**მგზნებარე გული**" **19.50, 20.05** სერ. "**ღირსება და ამბიცია**" **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია - დაწყება **23.00** "ნანუკას შოუ" - დაწყება **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ახალი ამბები **11.30** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 22.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.05, 0.30** თოქ-შოუ "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.15** ყოველდღიური აბები **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30, 02.00** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** მუსიკა **10.00** სერ. "**ფანტაზიების კუნძული**" (გან.) **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" (გან.) **11.30, 14.30, 17.30, 20.30** "დრო" **11.40** სერ. (გან.) **13.20** "ერთი დღე სოფელში" (გან.) **14.00** მუსიკა **15.00** სერ. "**ფანტაზიების კუნძული**" **16.00** "მუსიკალური საღამოები" **16.30** "დროის ვექტორი" **17.10, 19.00** მუსიკა. **18.00** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" **19.30** ანონსი **19.35** სერ. **21.00** სერ. **22.30** "მთავარი დღეს" **23.30** "მუსიკალური საღამოები" **00.20** მხ/ფ "**დიდი**".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.20** სპექტაკლი "დარისპანის გასაჭირი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** წმინდანთა ცხოვრება-აბო თბილელი **10.55** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** დრო და ტრადიციები **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ "**აქედანა და შენამდე**" **13.35** კონცერტი-მანანა დოიჯაშვილი **14.50, 18.20, 23.15** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** მხ/ფ "**ლესი**" **17.35** აქტუალური თემა **18.10** ტელეზღაპარი **18.25** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** შარავანდედი (გად. **4**) **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.20** დოკ/ფ "ღალიის ღვთისმშობელი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.45** კარაბადინი.

გაგრძელება 44-ე გვერდზე

# კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი“
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**21 – 27 იანვარი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00 - **„ცელქი ბავშვები“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

16.00, 18.00, 20.00, 22.30 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

*დარბაზი 2*

12.15, 20.00, 22.15 - **„კაცების კინო“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

14.15, 16.15, 18.15 - **„ცელქი ბავშვები“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

*დარბაზი 3*

12.00, 14.15, 16.15 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

18.30, 22.30 - **„ჰობიტი“** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი.*

*დარბაზი 4*

12.00, 14.20, 20.30, 22.30 - **„იღბლიანი ჯენტლმენები“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი.*

16.30, 18.30 - **„ცელქი ბავშვები“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

*დარბაზი 5*

12.00, 14.00 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

16.00, 18.00, 20.00, 22.00 - **„ცელქი ბავშვები“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი“
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.30, 14.30, 18.30, 20.30, 22.30 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

16.30 - **„ცელქი ბავშვები“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

*მცირე დარბაზი*

12.00, 14.15, 18.15 - **„ცელქი ბავშვები“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

16.15 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

20.15 - **„ზღაპრული სამყარო“** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

22.15 - **„იღბლიანი ჯენტლმენები“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

### კინოთეატრი „საქართველო“
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00, 14.00, 16.00, 20.00, 22.00 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

18.00 - **„იღბლიანი ჯენტლმენები“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 5 - 8 ლარი).

**ქართველი დები – ტყუპები, ირინა და თინა წიქარიძეები ბომბეიში, ბოლივუდის 3D ანიმატორებად მუშაობენ. მათ არაერთი საინტერესო პერსონაჟი ჰყავთ შექმნილი. მუშაობენ როგორც ინდურ, ასევე, ჰოლივუდის მულტიპლიკაციაზე. არც მეტი, არც ნაკლები, „მადაგასკარის“ პინგვინები, რომლებიც ჩვენს პატარებს ასე უყვართ, სწორედ მათი შექმნილია. ანიმატორ დებს ბომბეიში დავუკავშირდით.**

# თინა და ირინა წიქარიძეების „არჯუნი“ „ოსკარის“ ნომინანტობის კანდიდატების სიაში

**თინა წიქარიძე:** უკვე რვა წელია, ინდოეთში, ბომბეიში ვცხოვრობ. ჩვენ ვმუშაობდით „აჯუბაში“, მანამდე კი ინდური კინოს ფესტივალებზე მოსკოვში, თარჯიმნებად. უბრალოდ, მოგვინდა აქ ჩამოსვლა. პირველად სამი თვით წამოვედით ინდოეთში. საოცრად მოგვეწონა აქაურობა. გარკვეული ხნის შემდეგ თბილისში დავბრუნდით, თუმცა მერე ისევ ჩამოვედით ინდოეთში. ჩემი და, ირინა, დარჩა და „დრიმვორქ ფიქჩერზში“ საკმაოდ მაღალ, საპასუხისმგებლო პოსტს იკავებს. მოკლედ, ძალიან ბედნიერია ამით ***(იცინის).*** ინდური კულტურით ძალიან პატარა ასაკიდან ვიყავით დაინტერესებულები, 17 წლის ასაკში ჰინდის შესწავლა დავიწყეთ. სხვათა შორის, ფილმებსა და წიგნებში ნანახი ინდოეთი რეალურს არ დაემთხვა. ირინა 19 წელია აქაა, მე – 8. კინოში ყველაფერი ლამაზად არის ნაჩვენები, მაგრამ, დიდი სიღარიბეც არის ამ ქვეყანაში, თუმცა, ძალიან კარგი და კომუნიკაბელური ხალხია. უკვე კარგად ვიცით აქაური მენტალიტეტი და ტრადიციები.

**– რა დაემთხვა თქვენს წარმოდგენას?**

– ქორწილები ***(იცინის).*** ზუსტად ისეთია, როგორც ფილმებში. ამას წინათ ვიყავით ერთი ძალიან ცნობილი ინდოელის ქორწილში. გოგო იყო ინდოელი, ბიჭი – ამერიკელი. ბევრი უცხოელი იყო ჩამოსული, მაგარი დრო ვატარეთ. ტრადიციული ტანსაცმელი – სავარკამიზი გვეცვა. ასე ქუჩაში არ ცეკვავენ და მღერიან ***(იცინის).*** ძალიან კარგად მიგვიღეს. კარგად ვართ, მაგრამ ქართული საჭმელი გვენატრება – ლავაში, სულგუნი, აჭარული ხაჭაპური, ლაღიძის წყლები, მწვადები. ჩვენ თვითონ მზადებისთვის მაინცდამაინც დრო არ გვრჩება. ხორცს მაინცდამაინც არ ჭამენ ინდოეთში და, სადაც ჭამენ, იმასაც სხვანაირი გემო აქვს. უკვე მივეჩვიეთ აქაურ საჭმელებს და ისე ცხარედაც აღარ გვეჩვენება.

**– მოსკოვში ინდური კინოს ფესტივალებზე რა ხდებოდა?**

– თარჯიმნებად ვმუშაობდით ლეილასთან ერთად. აქ რომ ჩამოვედით, შევხვდით და გავიცანით ამიტაბჰ ბაჩანი და ვეხმარებოდით ასისტენტების რანგში. მერე შაში კაპურს შევხვდით 1987 წელს. „აჯუბა ფილმი“ – ბოლივუდის უდიდესი სტუდია იღებდა იალტაში ფილმს და წავყევით თარჯიმნებად, მერე ბიშკეკშიც... კარგი დრო ვატარეთ. „პერესტროიკა“ იყო დაწყებული და უცხოეთში წასვლა ისეთ პრობლემას აღარ წარმოადგენდა. ბევრი ხალხი გავიცანით – მწერლები, მსახიობები, მხატვრები...

**– უშუალოდ ანიმაციით როგორ და როდის დაინტერესდით?**

– ირინა ჯერ კიდევ თბილისში დადიოდა მულტიპლიკაციის კურსებზე – მოსკოვიდან იყვნენ ჩამოსულები სპეციალისტები და ისინი ასწავლიდნენ. ინდოეთში რომ ჩამოვედით, ვნახეთ, რომ აქ თითქმის არ იყო განვითარებული ეს სფერო – ინდური მულტფილმები თითქმის არ არსებობდა. მერე, ნელ-ნელა, 1996 წლიდან, კომპიუტერული ანიმაცია წამოვიდა და ირინა მიიწვიეს მულტიპლიკაციის პედაგოგად სტუდიაში ჰაიდარაბადში და იქ ასწავლიდა ანიმაციის ხელოვნებას. მერე, 3D ანიმაცია რომ შემოვიდა, მეც ჩამოვედი, დავინტერესდი და ირინამ შემასწავლა პროგრამები, რითაც მულტიპლიკაციურ პერსონაჟებს ვქმნით. მერე ერთი წელი მეც ვიყავი პედაგოგი – ინსტიტუტში ვასწავლიდი. ამჟამად ჩვენ ვართ ბანგალორში. ამერიკულ „დრიმვორქ ფიქჩერზში“ ვმუშაობდით, მე ამჟამად კონტრაქტი დამიმთავრდა და ამერიკიდან და ჩინეთიდან საკმაოდ სერიოზულ დაკვეთებს ველოდები. ბანგალორში ხუთი უდიდესი ამერიკული კინოსტუდიაა. ირინა ბომბეიში ერთ-ერთ მსხვილ კომპანიაში დირექტორია. სხვათა შორის, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული „მადაგასკარის“ პინგვინები ჩემი შექმნილია; ასევე, ვმუშაობდი „დრიმვორქის“ დაკვეთით „დრაკონების“ ცნობილ მულტიპლიკაციურ სერიალზე. დაინტერესება ამ სფეროთი ინდოეთში ძალიან გაიზარდა, ბევრი უნივერსიტეტი და კოლეჯია, სადაც ანიმაციას ასწავლიან. მიყვარს ახალგაზრდებთან მუშაობა, თან, კარგადაც გვიხდიდნენ.

**– კრიტიკულად აფასებთ საკუთარ ნამუშევრებს?**

– რა თქმა უნდა, ძალიან! სცენებს გვაძლევენ შესასრულებლად და, ერთ სცენას რომ ვაბარებთ და მეორეს ვიწყებთ, უკვე პირველი აღარ მოგვწონს ხოლმე. ისე, ტელევიზორში არ გვინახავს, რადგან, სახლში არ გვაქვს ტელევიზორი. ვფიქრობთ, რომ შეგვეძლო, უკეთესად გაგვეკეთებინა. ანიმაცია ისეთი საქმეა, ტექნიკურად სულ



უკვე რვა წელია, ინდოეთში, ბომბეიში ვცხოვრობ. ჩვენ ვმუშაობდით „აჯუბაში“, მანამდე კი ინდური კინოს ფესტივალებზე მოსკოვში, თარჯიმნებად

ვითარდება და სულ უნდა ისწავლო. მე გამიმართლა, იმიტომ, რომ ჩემი და მუშაობდა, ვუყურებდი და ვსწავლობდი. მერე ვისწავლე სოფტვეა, რომელშიც კეთდება მულტფილმები. შეგიძლიათ, ნახოთ, ადრე როგორი მულტფილმები იქმნებოდა და ახლა როგორია. სამწუხაროდ, მე ხატვა არ ვიცი, ამიტომ, 3D ანიმაცია მირჩევნია, ხელით არ მიცდია ხატვა.

**– როგორია თქვენი ჩვეულებრივი ინდური ცხოვრება?**

– ძირითადად ბოულინგის ან ბილიარდის სათამაშოდ დავდივართ. შაბათ-კვირას მივდივართ ნაციონალურ პარკში, სადაც არიან ვეფხვები და სპილოები ვოლიერების გარეშე, საშიში არ არის არანაირად, გაძლევენ დახურულ მანქანას და იმით მოძრაობ პარკში, ძალიან მაგარია.

**– ბოლივუდურ მულტფილმებზეც გვითხარით ორიოდე სიტყვით.**

– სხვათა შორის, ერთ საინტერესო ფაქტს გეტყვით: ირინა მუშაობდა ძალიან პოპულარულ ინდურ მულტფილმზე „არჯუნი“, როგორც ანიმაციის დირექტორი. ეს არის ინდური მითოლოგიის ძალიან ცნობილი გმირი. კარგი გამოხმაურება ჰქონდა პრესაში, ხალხსაც ძალიან მოეწონა. ეს ხომ ინდოელი გმირია და უფრო კარგად გაიგეს ბავშვებმაც. საკმაოდ მაღალი დონის ანიმაციაა. „არჯუნი“ „ოსკარის“ ნომინანტობის კანდიდატების სიაშია.

**– ინდური კინო თუ მოგწონთ?**

– არის კარგი კინოებიც, მაგრამ, უმეტესობაში ძალიან დაეცა ხარისხი. ისინი აკეთებენ იმას, რასაც მოელის ხალხი – სიმღერებით, ცეკვებით, ანუ, გასართობ ფილმებს.

ისე ქართული კულტურა და ინდური კულტურა რაღაცით ჰგავს ერთმანეთს. სხვათა შორის, ინდურშიც ძალიან ბევრი სპარსული სიტყვაა, ისევე, როგორც ქართულში და, ამიტომ, არ გაგვჭირვებია სწავლა. ძალიან კარგად მიგვიღეს ინდოელებმა, სიხარულისგან გიჟდებოდნენ, უცხოელები ინდურად რომ ვლაპარაკობდით. ინდური კინოს ვარსკვლავებსაც ვიცნობთ. „არჯუნი“ ერთმა ცნობილმა ინდოელმა მსახიობმა გაახმოვანა; ასევე ახლა გამოვიდა ჩვენი შექმნილი ახალი მულტფილმი, რომელიც კარინა კაპურმა გაახმოვანა. 3D ანიმაციის მთავარი სირთულე ისაა, რომ, მოახერხო და გმირი გააცოცხლო – პერსონაჟი უნდა იყოს ცოცხალი და დამაჯერებელი. ამიტომ, ანიმატორი მსახიობიც უნდა იყოს. ჩემი საყვარელი პერსონაჟია ჯულიანი; ასევე, რიკო-ჯულიანი, რომელიც თამამი და უსინდისო ვინმეა ***(იცინის).*** საინტერესო საქმეა მულტპერსონაჟების შექმნა.

**– ალბათ, სიამაყის გრძნობაც გაქვთ, რომ ასეთი ცნობილი მულტფილმების შემქმნელები ხართ.**

– რა გითხრათ... დიდად არა, რადგან, ჩვენს შექმნილ პროდუქციას ძირითადად ბავშვები უყურებენ და ბავშვებთან ხომ არ დავიწყებთ თავის მოწონებას ***(იცინის).*** ისე, სასიამოვნოა, როცა მთელი მსოფლიოს პატარებს მოსწონთ ჩვენი პერსონაჟები.

**– ტრადიციული სამოსი გაცვიათ?**

– სარი აქ არავის აცვია, უფრო სავარკამიზი, რომელიც ჩვენც გვაქვს. აქ ძალიან ჭრელად აცვიათ, თბილისში რომ ჩამოვედით, ყველაფერი გადაშავებული მოგვეჩვენა. აქ ხალხს ფერადი ტანსაცმელი უყვარს და უფრო ბედნიერი სახეები აქვთ, ხშირად იღიმებიან, თბილისში კი ყველა შეწუხებული და დაღვრემილი სახით დადის. მესმის, რომ არ არის კარგი სიტუაცია, მაგრამ, აქ უარესად ცხოვრობს ხალხი, ამიტომაც, აქ უფრო კარგად ვგრძნობთ თავს. ისინი მუშაობენ საკუთარ თავზე, ძალიან მიზანდასახული ხალხია. სიმართლე გითხრათ, ქართული ანიმაციის ბედიც მადარდებს, არც ვიცი, მანდ რა ხდება.

**– ესე იგი, ახალ შემოთავაზებებს ელოდებით.**



მსოფლიოში სახელგანთქმული „მადაგასკარის“ პინგვინები ჩემი შექმნილია; ასევე, ვმუშაობდი „დრიმვორქის“ დაკვეთით „დრაკონების“ ცნობილ მულტიპლიკაციურ სერიალზე

– რუსეთიდან და ჩინეთიდან მქონდა ძალიან სერიოზული შეკვეთები და სახლში ვმუშაობდი, ახლა კიდევ ველოდები. ჩინეთიდან იყო ორი 40-წუთიანი ფილმი, რუსეთშიც მალე გამოვა ეკრანზე ჩემი ნამუშევარი – დაახლოებით მაისის ბოლოს. სტუდიაში უფრო რთულია მუშაობა, ვიდრე სახლში – სტუდიაში მაინც დიდი კონკურენციაა, მოსწრებაზეა საქმე.

**– თქვენი გარეგნობა, ალბათ, ძალიან ხვდებოდათ თვალში.**

– არც ისე. ბევრი თეთრია აქ, ევროპული გარეგნობის.

**– თქვენი შვილი არ გაჰყვა თქვენს გზას?**

– არა, არ აინტერესებს, ინდოელი მეუღლე ჰყავს და ბომბეიში ცხოვრობს, ძალიან კარგი რძალი მყავს. ჩემი ვაჟი ერთი უმსხვილესი ფირმის ით-ჰედია. მყავს პატარა შვილიშვილი, რომელსაც ძალიან მოსწონს ჩემი მულტფილმები.

**ქეთი დიდებულიძე**

# ქათამი სოკოთი













**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი ქათამი (ამ კერძის მომზადება შეიძლება იხვითაც და, თუ გარისკავთ, ძალიან მოგეწონებათ), 300 გრამი ქამა სოკო, 1 კილოგრამი ხახვი, 6 კბილი ნიორი, ზეთი, აჯიკა, მარილი, შავი პილპილი – გემოვნებით. 5-6 ცალი კარტოფილი, კამა.

**მომზადების წესი:** დაჭერით ქათამი ულუფებად და მოათავსეთ თასში. მოასხით აჯიკა, კარგად ამოურიეთ და გააჩერეთ რამდენიმე საათით.

ამ პერიოდში მოამზადეთ სოკო: ზეთში მოშუშეთ ფირფიტებად დაჭრილი ნიორი. როგორც კი მოტკბო არომატს შეიგრძნობთ, ნიორი მზად არის და გადმოდგით. ხახვი დაჭერით მსხვილ რგოლებად, ასევე მსხვილად დაჭერით სოკო. შეურიეთ ერთმანეთში ხახვი, სოკო და ნიორი და ერთად მოხრაკეთ. უყავით მარილი და პილპილი.

ქათამი აჯიკიანად კარგად ჩაშუშეთ. მოზრდილი თასის შუაგულში მოათავსეთ მოხარშული კარტოფილი (კამამოყრილი), გარშემო შემოუწყვეთ ჯერ მოშუშული სოკო, მერე კი ქათმის მოშუშული ნაჭრები და ეს საზეიმო, უგემრიელესი კერძი მზად არის.

გურმანთა მეგზური

# „სალიანკა“ სოსისით














**საჭირო ინგრედიენტები:** 2 კილოგრამი კომბოსტო, 300 გრამი სტაფილო, 4 თავი ხახვი, 2-3 ცალი ბულგარული წიწაკა, 700 გრამი სოსისი, 2 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 1 სადილის კოვზი შაქარი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით, 3 ცალი დაფნის ფოთოლი, 200 გრამი წყალი, ზეთი.

**მომზადების წესი:** კომბოსტო დაჭერით კვადრატებად (1,5X1,5 სანტიმეტრი უნდა იყოს), ხახვი – წვრილ კუბიკებად. სტაფილო მსხვილკბილა სახეხზე გახეხეთ. სოსისი დაჭერით რგოლებად. ბულგარული წიწაკა – წვრილ ჩხირებად. კომბოსტო მოშუშეთ ცხელ ტაფაზე, ზეთში, ფერის შეცვლამდე. ცალკე მოშუშეთ ხახვი. ქვაბში ერთმანეთს შეურიეთ ხახვი, კომბოსტო, ბულგარული წიწაკა და სტაფილო. დაასხით წყალი, ჩაუმატეთ დაფნის ფოთოლი და შუშეთ 5 წუთი. ცოტა ზეთში მოხრაკეთ სოსისი. მოასხით ტომატ-პასტა და სოსისი და ტომატი შუშეთ ერთად 3 წუთის განმავლობაში.

ბოსტნეულს ჩაუმატეთ მზა სოსისი. უყავით მარილი, პილპილი, შაქარი და შუშეთ კიდევ 5 წუთი. შემდეგ გამორთეთ გაზქურა, ქვაბს დაახურეთ თავსახური და გააჩერეთ 20 წუთი. ძალიან გემრიელია. შეგიძლიათ, ზემოდან მწვანილიც მოაყაროთ.

# გამომცხვარი ფარში










**საჭირო ინგრედიენტები:** 0,5 კილოგრამი ნებისმიერი ხორცის ფარში, 1 თავი ხახვი, 3 კბილი ნიორი, თითო ცალი ყვითელი და მწვანე ბულგარული წიწაკა, 1 სადილის კოვზი კეტჩუპი, 0,5 ჭიქა არაჟანი, ოხრახუში, ცოტა უცხო სუნელი, 200 გრამი მაგარი ყველი, 150 გრამი საფანელი, ზეთი, მარილი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** ძალიან წვრილად დაჭრილი ხახვი და ნიორი ერთად მოშუშეთ (ზეთი ბევრი არ დაასხათ). ფარშში ჩაუმატეთ წვრილად დაჭრილი ბულგარული წიწაკა, წვრილად დაჭრილი ოხრახუში, კეტჩუპი, სუნელი, დაფხვნილი ყველი, არაჟანი, საფანელი, მოშუშული ხახვი და ნიორი, მარილი, შავი პილპილი და ყველაფერი კარგად აურიეთ. წაუსვით ფორმას ზეთი. მოათავსეთ მასზე ფარში და ზედაპირზე გადაუსვით კეტჩუპი. გამოაცხვეთ 160 გრადუსზე გაცხელებულ აირღუმელში, 45 წუთის განმავლობაში.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# ხაჭოს ნამცხვარი ლიმონით

**საჭირო ინგრედიენტები:** 250 გრამი უცხიმო ხაჭო, 1 ცალი ლიმონი, 2/3 ჩაის ჭიქა შაქარი, 0.5 ჭიქა ფქვილი, 1 ჩაის კოვზი გამაფხვიერებელი ფხვნილი ან 0.5 ჩაის კოვზი სოდა, 3 ცალი კვერცხი, 1 სადილის კოვზი კარაქი, შაქრის პუდრი – ზემოდან მოსაყრელად.

**მომზადების წესი:** კვერცხი და შაქარი ძალიან კარგად ათქვიფეთ მიქსერით. ლიმონის ცედრასა და გამოწურულ წვენში შეურიეთ ხაჭო და კარაქი, ათქვიფეთ და დაუმატეთ კვერცხის მასა, ფქვილში შერეული გამაფხვიერებელი, მოათავსეთ ქაღალდჩაფენილ და კარაქწასმულ ფორმაში და გამოაცხვეთ 25-30 წუთის განმავლობაში 180 გრადუსზე. რომ შეგრილდება, მოაყარეთ შაქრის პუდრი.



# ხორცის „რულეტი“

**საჭირო ინგრედიენტები:** 1,5 კილოგრამი საქონლის რბილი ხორცი, 800 გრამი ფენოვანი ცომი, 10 ნაჭერი ლორი, 500 გრამი ქამა სოკო, 1 ცალი კვერცხი, 50 გრამი კარაქი, 2 ძირი პრასი, 1 კბილი ნიორი, ზეთი – შესაწვავად, მარილი და წიწაკა.

**სოუსისთვის:** 500 მილილიტრი ხორცის ბულიონი, 200 გრამი საქონლის ხორცი, 50 მილილიტრი მშრალი წითელი ღვინო, 1 ცალი სტაფილო, 1 თავი ხახვი, 1 ძირი პრასი.

**მომზადების წესი:** საქონლის ხორცს წაუსვით მარილი და წიწაკა. პრასი, ნიორი და სოკო წვრილად დაჭერით და ერთად მოშუშეთ ზეთში. მოშუშული ბოსტნეული შეანელეთ მარილითა და წიწაკით. სოუსისთვის განკუთვნილი ხორცი დაჭერით პატარა ნაჭრებად და ზეთდასხმულ ტაფაზე მოშუშეთ წვრილად დაჭრილ სტაფილოსთან, პრასთან და ხახვთან ერთად, შემდეგ დაასხით ღვინო და მოურიეთ. დაბალ ცეცხლზე ადუღეთ, რომ შესქელდეს, დაამატეთ ბულიონი, ხარშეთ ერთი საათი, შემდეგ კი გადაწურეთ. ხორცის ნაჭერი დადეთ კარგად გახურებულ ზეთდასხმულ ტაფაზე და მაღალ ცეცხლზე ყველა მხრიდან შებრაწეთ, შემდეგ მოათავსეთ თუნუქის ფურცელზე და იქ განაგრძეთ მისი შეწვა. ცომი გააბრტყელეთ, დადეთ ხის დაფაზე და 15 წუთით შედგით მაცივარში. ცომზე მოათავსეთ ლორის ნაჭრები, მოშუშული სოკოს ნახევარი, ზედ დაადეთ ხორცის ნაჭერი, დააყარეთ დანარჩენი სოკო და ლორის ნაჭრები, შემდეგ ცომი რულეტივით შეკარით, წაუსვით გათქვეფილი კვერცხი და შედგით 250 გრადუსზე გახურებულ აირღუმელში გამოსაცხობად. 5 წუთში ტემპერატურას დაუწიეთ და აცხვეთ, სანამ ოქროსფერი გახდება. დაჭერით გამოცხობიდან 10-15 წუთის შემდეგ და მიიტანეთ სუფრაზე სოუსთან ერთად.



# ანანასი შამპანურში

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი ანანასი, 1 ბოთლი ნახევრად ტკბილი შამპანური ან თეთრი ნახევრად ტკბილი ღვინო.

**მომზადების წესი:** ანანასი გაასუფთავეთ და პატარა ნაჭრებად დაჭერით. დაასხით შამპანური ან ღვინო და 15 წუთით შედგით მაცივარში. შეგიძლიათ, გამოიყენოთ დაკონსერვებული ანანასი, მაგრამ, ამ შემთხვევაში, დასამატებლად მხოლოდ შამპანური გამოდგება.















37-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 23 იანვარი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.20** "მოამბე" **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ **"როსელა"** (U) **17.00** "გურმანია" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სისხლი და ვარდი"** (U) **21.00** ტ/სერ **"კიარა და ფრანჩესკო"** (U) **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "სი-ბემოლი" **23.40** მხ/ფ **"პოსეიდონი"** (კ.რასელი) (**12**) **01.40** მხ/ფ **"დაძაბე გონება"** (ტიტ.) (ე.ჰ ეტეუეი) (U).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. **"გაქცევა – 4"** **2** სერ. **14.45** სერ. **"24 – 4"** **15.45** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.40** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **23.00** სერ. **"ღვინის გზა"** **00.15** მხ/ფ. **"ფინალური თამაში"** (ჯ.ვუდსი) **01.55** მხ/ფ. **"ნედ კელი"** (ნ. უოტსი) (ტიტ.) **04.25** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** შერეკილები **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50, 20.05** სერ. **"ღირსება და ამბიცია"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** (ს.2) **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ახალი ამბები **11.30** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 22.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.05, 0.30** თოქ-შოუ "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.15** ყოველდღიური აბები **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30, 02.00** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** მუსიკა **10.00** სერ. **"ფანტაზიების კუნძული"** (გან.) **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" (გან.) **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **11.40** სერ. (გან.) **12.50** სერ. (გან.) **14.00** "გალერეა" (გან.) **15.00** სერ. **"ფანტაზიების კუნძული"** **16.00** "მუსიკალური საღამოები" **16.30** "დროის ვექტორი" **17.10, 19.00** მუსიკა **18.00** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" **19.30** ანონსი **19.35** სერ. **21.25** სერ. **23.00** "სცენა" **23.30** "მუსიკალური საღამოები" **00.20** მხ/ფ **"მილიონი წელი ჩვენს ერამდე"**.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.30** მხ/ფ **"ლესი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** შარავანდედი გად. **4** **11.00** დოკ/ფ "ღალიის ღვთისმშობელი" **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.20** კონცერტი-რუსუდან სებისკვერაძე **14.50, 23.15** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დოკ/ფ "ლადო ასათიანი" **16.45** კვირიაკე **18.05** ტელეზღაპარი **18.15** დეკორატიული ფლორა **18.25** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"გაზაფხული გადის"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** გზა, რომლითაც ვიარე **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.20** დოკ/ფ "სხვა რამ არ მწამდა სამშობლოზე წმინდათა წმინდა" ირაკლი აბაშიძე **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ხსოვნა"** I ნაწილი **02.05** ირაო.

## ხუთშაბათი 24 იანვარი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10** "მოამბე" **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ **"როსელა"** (U) **17.00** "ჩვენი ფერმა" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სისხლი და ვარდი"** (U) **21.00** ტ/სერ **"კიარა და ფრანჩესკო"** (U) **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** თოქ-შოუ: "არენა" **00.00** მხ/ფ **"ჩრდილოეთის ქვეყანა"** (შ.ტერონი ) (**15**) **02.30** ტ/სერ **"შინაგანი უსაფრთხოება"**.

**07.30, 09.10** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. **"გაქცევა – 4"** **3** სერ. **14.45** სერ. **"24 – 4"** **15.45** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.40** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **23.00** სერ. **"ღვინის გზა"** **00.15** მხ/ფ. **"განდგომილები"** (ჯ.ნიკოლსონი) **02.45** მხ/ფ. **"ფინალური თამაში"** (კ.გუდინგ უმცროსი) **04.20** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50, 20.05** სერ. **"ღირსება და ამბიცია"** **22.00** პროფილი **23.30** ტოპ გოგო **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ახალი ამბები **11.30** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 22.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.05, 0.30** თოქ-შოუ "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.15** ყოველდღიური აბები **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30, 02.00** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** მუსიკა **10.00** სერ. **"ფანტაზიების კუნძული"** (გან.) **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" (გან.) **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **11.40** სერ. (გან.) **12.50** სერ. (გან.) **13.50** "სცენა" (გან.) **15.00** სერ. **"ფანტაზიების კუნძული"** **16.00** "მუსიკალური საღამოები" **16.30** "დროის ვექტორი" **17.10, 19.00** მუსიკა **18.00** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" **19.30** ანონსი **19.35** სერ. **21.25** სერ. **23.00** "პროექცია" **23.30** "მუსიკალური საღამოები" **00.20** მხ/ფ **"სასიკვდილო ზონა"**.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.55** მხ/ფ **"ხსოვნა"** I ნაწილი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "სხვა რამ არ მწამდა სამშობლოზე წმინდათა წმინდა" ირაკლი აბაშიძე **11.20** ჩვენი ტრაპეზი **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ **"გაზაფხული გადის"** **13.20** კონცერტი-ქალაქური მელოდიები **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.00** მხ/ფ **"განძი"** **18.10** ტელეზღაპარი **18.20, 23.15** ფოტოგალერეა **18.25** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ვინ არის მეოთხე"** **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **22.20** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **23.00** საღამოს ლოცვა **23.20** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები (გაგრძელება) **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ხსოვნა"** II.

## პარასკევი 25 იანვარი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00** "მოამბე" **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ **"როსელა"** (U) **17.00** დ/ფ "ხელოვნების ინსტიტუტში გატარებული ერთი დღე" "დაძუს გამოქვაბულის ბარელიეფი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სისხლი და ვარდი"** (U) **21.00** კონცერტი: "ქართული ხმები" **22.00** "აქცენტები" **23.30** "წითელი ზონა" **00.30** ქართ. მხ/ფ **"სამანიშვილის დედინაცვალი"** (დრამა. რეჟ: ე. შენგელაია) (U) **02.20** ტ/სერ **"შინაგანი უსაფრთხოება"**.

**07.30, 09.10** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. **"გაქცევა – 4"** **14.45** სერ. **"24 – 4"** **15.45** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.40** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **23.00** სერ. **"ღვინის გზა"** **00.15** მხ/ფ. **"დაბრუნება"** (პ.კრუსი) **02.20** მხ/ფ. **"განდგომილები"** (ჯ.ნიკოლსონი) **04.45** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** პროფილი (გ/ჩ) **18.30** გათამაშება "ისი პარი" **19.50, 20.05** სერ. **"ღირსება და ამბიცია"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის

ამბები **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ახალი ამბები **11.30** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 22.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.30, 0.30** თოქ – შოუ - "კვირის არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.40** ყოველდღიური აბები **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30, 02.00** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** მუსიკა **10.00** სერ. "**ფანტაზიების კუნძული**" (გან.) **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" (გან.) **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **11.40** სერ. (გან.) **13.00** "იმპულსი" **13.30** "პროექცია" (გან.) **15.00** სერ. "**ფანტაზიების კუნძული**" **16.00** "მუსიკალური საღამოები" **16.30** "დროის ვექტორი" **17.10, 19.00** მუსიკა **18.00** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" **19.30** ანონსი **19.35** სერ. **21.25** სერ. **22.30** "მთავარი დღეს" **23.30** "მუსიკალური საღამოები" **00.20** მხ/ფ "**უცოდველი ცოდვილი**".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ "**ხსოვნა**" ll **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ "**ვინ არის მეოთხე**" **13.35** კონცერტი-რ. გალიანო **14.50, 18.20, 23.15** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დეკორატიული ფლორა **16.05** დოკ/ფ "დავით გარეჯი" **18.10** ტელეზღაპარი **18.25** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დოკ/ფ "ქართველების თვალით დანახული დაღესტანი" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.30** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.20** პატრიარქის საიუბილეო საღამო **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.15** ირაო.

## შაბათი 26 იანვარი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **09.30** ან/ფ "განძთა კუნძული" (U) **11.00** "ეთნოგრაფიული ნარკვევები" **11.15** "ვაკა-პედია" **11.30** საბ. ტ/სერ "**მე და ჩემი მონსტრები**" (U) **12.00, 14.00, 16.00, 20.00, 02.30** "მოამბე" **13.00** "ჩემი ოჯახი" **14.30** მხ/ფ "**მეხისმტყორცნელი და ვინეტუ**" (სათავგადასავლო. (U) **16.30** დ/ფ "ალექსანდრეს უდიდესი ბრძოლა" **17.30** "აღმოაჩინე საქართველო" **18.00** "ეტალონი" **19.00** "გურმანია" **21.00** კონცერტი: "ერისიონი" **23.00** "ახალი ქართული კინო" **23.30** დოკ/ფ "თეთრი არა - შავი" (რეჟ: მინდია ესაძე) **00.30** მხ/ფ "**300**" (სათავგადასავლო.) (**15**) **02.50** ტ/სერ "**შინაგანი უსაფრთხოება**".

**08.00** ან/ფ "მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები" **09.00** მხ/ფ. "**დიდი ბავშვი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან.ფ "ავატარი" **12.00** სერ. "**ტრიფიდების დღე**" **3** სერ. **13.00** სერ. "**აიქარლი**" **14.20** მხ/ფ. "**რა იქნებოდა**" **16.00** სერ. "**გმირები – 4**" **17.40** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** რომ გადახვალ"გააჩერე (გ/ჩ) **23.25** მხ/ფ. "**ადრენალინი**" (ჯ.სტეტჰემი) **01.05** მხ/ფ. "**დაბრუნება**" (პ.კრუსი) **03.05** მუსიკა.

**08.00** კურიერი დაიჯესტი **10.00** MTV TEEN CRIBS **11.00** სერ. "**კლუბი**" (ს1) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **15.30** შერეკილები **18.30** ?bwbkbc ზონა **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" (ს.2) **00.30** "Latin Angels" **01.00, 03.30** მხ/ფ.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 11.20, 12.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 17.05, 18.45, 19.10, 21.40, 0.30, 4.30, 5.25, 6.20** უცხოეთის ამბები **9.30** კვირის არგუმენტები (გამ) **11.00** ყოველდღიური აბები (გამ) (პარასკ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00** ამბები მოკლედ **13.05** ყოველდღიური აბები (გამ) (ორშ) **14.05** ყოველდღიური აბები (გამ) (სამშ) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.05** ყოველდღიური აბები (გამ) (ოთხშ) **16.35** ყოველდღიური აბები (გამ) (ხუთშ) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **20.10, 1.30** სტუდია "მონიტორის" ჟურნ. გამოძიება **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 2.00** "პრეს-პრესი" **23.00, 3.30** "ჩვენ" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება) **1.00** ახალი ამბების კოლაჟი.

**08.30, 02.00** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** ანიმაცია **10.00** "დილის ტალღა" **12.00** "ფერისცვალება" **12.30** სერ. "**იაზონი და არგონავტები**" (გან.) **13.30** გადაცემა "**1 000** წვრილმანი" **14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **15.00** დ/ს "იტალიელი შეფ-მზარეული" **15.30** "მუსიკალური საღამოები" **17.00** დოკ/ფ "დიადი მუსიკა" **18.00** ქართ. მხ/ფ "**სხვისი შვილები**" **21.25** სერ. **23.00** "ერთი ცეკვის ისტორია" **23.30** "მუსიკალური საღამოები" **00.10** მხ/ფ "**სტრიპტიზი**".

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ყველაზე,ყველაზე" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.15** დოკ/ფ "ქართველების თვალით დანახული დაღესტანი" **13.20** მოკ/ფ "ბავშვები" **13.50** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **15.10** ოპერა- "**სტეფალიო**" **17.20** პატრიარქის საიუბილეო საღამო **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.20** აქტუალური თემა **18.35** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** ერთსულოვნების სალონი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** "კარაბადინი" **22.25** დოკ/ფ "ნინო რამიშვილი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.30** ქართული კინოს ვარსკვლავები **01.15** მხ/ფ "**ნისლების სანაპირო**".

## კვირა 27 იანვარი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** საბ/ფ "**კიტი კიტრიჯი: ამერიკელი გოგონას ოცნება**" (U) **10.00** "ეტალონი" **11.00** "ჩვენი ექსპრესი" **11.30** საბ. ტ/სერ "**მე და ჩემი მონსტრები**" (U) **12.00, 14.00, 16.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** სატ თეატრის სპექტაკლი: "**გზაჯვარედინზე**" **16.30** "ჩვენი ეზო" **17.30** "ვაშინგტონი დღეს" **18.00** კალათბურთი. საქართველოს თასის ფინალი (პ/რ) **20.00** ანსამბლი "თბილისი" **21.00** "საჯარო პოლიტიკა" **22.00** "სპიკერი" **23.00** "აღმოაჩინე საქართველო" **23.30** "უცნობი მუსიკა" **00.30** კონცერტი **01.30** მხ/ფ "**ბენჯამინ ბატონის იდუმალი საქმე**" (ბ.პიტი, კ.ბლანშეტი) (**12**).

**08.30** ან/ფ "მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები"' **09.30** ან/ფ "მეფე არტურის თავგადასავალი" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **13.00** მხიარული სტარტები **14.20** ფორტ ბოიარი **15.00** ქ.მხ/ფ. "**ბელურების გადაფრენა**" **16.00** სერ. "**გმირები – 4**" **5** სერ. **17.40** იმედის გმირები **18.00** კონცერტი: ალექსანდრე ბასილაია **21.00** ღამის შოუ **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** რომ გადახვალ"გააჩერე (გ/ჩ) **23.25** მხ/ფ. "**კონტროლი**" (უ.დეფო) **01.15** მხ/ფ. "**ადრენალინი**" (ჯ.სტეტჰემი) **02.45** მუსიკა.

**08.00** კურიერი დაიჯესტი **10.00** MTV TEEN CRIBS **11.00** სერ. "**კლუბი**" (ს1) **12.00, 15.00, 18.00, 03.30** კურიერი **12.30** დოკ/ფ (ფრაგმენტი) **13.00** ეკი ვოკი **15.30** შერეკილები **17.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" (გ/ჩ) **18.30** სიცილის ზონა **21.00** P.S. **22.00** კომედი შოუ **00.00** კარდაშიანების ოჯახი (ს**2**) **01.00, 03.30** მხ/ფ.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 10.35, 12.30, 13.05, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 22.00, 0.25, 2.30, 3.25, 4.25, 5.25, 6.25** უცხოეთის ამბები **10.00** ღია კარის დღე (გამ. წინა კვირის) **10.55** "პრეს-პრესი" (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ამბები მოკლედ **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.05** "ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ) **17.05** მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00, 1.30** დისკუსია - სტუდია "რე" **20.10, 23.25** ღია კარის დღე **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **23.00, 0.00, 1.00** ახალი ამბების კოლაჟი.

**08.30, 02.00** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** ანიმაცია **09.30** "ფერისცვალება" (გან.) **10.00** "დილის ტალღა" **12.00** სერ. "**საიდუმლო აგენტები**" **12.00** სერ. "**იაზონი და არგონავტები**" **13.30** "ერთი ცეკვის ისტორია" (გან) **14.00** მუსიკა **14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **15.00** დ/ს "იტალიელი შეფ-მზარეული" **15.30** მუსიკალური შეხვედრები" **17.00** დოკ/ფ "დიადი მუსიკა" **17.50** მხ/ფ "**ასტერიქსი და ობელიქსი მისია კლეოპატრა**" **19.30** "ერთი დღე სოფელში" **19.00** მუსიკა **21.15** სერ. **23.00** "გალერეა" **23.30** "მუსიკალური საღამოები" **00.10** მხ/ფ "**კლუტი**".

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** შემეცნებით-დოკუმენტური ფილმი "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 22.55, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.35** გამოყენებითი ხელოვნება **10.45, 21.35** ლექსით ქებათა ქება **10.50** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.15** ერთსულოვნების სალონი **13.10** გუთნის-დედა **13.40** "ჩვენი ტრაპეზი" **13.50** ქართული მულტფილმი **14.05** ჟურნალისტის დღიური **14.35** კარაბადინი **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.25** მგზავრები წუთისოფლისა **15.50** გზა, რომლითაც ვიარე **16.10** ქართული კინოს ვარსკვლავები **17.00** დრო და ტრადიციები **17.25** საღვთისმეტყველო საუბრები **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.30** დროის ჩანაწერები **19.40** მხ/ფ "**თეთრი ქარავანი**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.40** "კვირიაკე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ფოტოგალერეა **23.20** დოკ/ფ "წმინდა მოციქულთა სწორი ნინო" **23.40** დრო და ადამიანები **00.10** პატრიარქის ქადაგება **00.30** კამერული მუსიკის ფესტივალის დასკვნითი კონცერტი **01.35** მხ/ფ "**რომაული არდადეგები**".

**ჩვენი რესპონდენტი, 15 წლის ნატა ბერაძე, Looc models-ის წარმატებული მოდელია. მისი უჩვეულო გარეგნობა ყურადღების მიღმა ნამდვილად არ დარჩენიათ და როცა ამ ინტერვიუს გაეცნობით, ნატა უკვე ტოკიოში იქნება. მისი სამთვიანი ვიზიტი ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სააგენტოს, „ემპაიერ ვუმენ მენეჯმენტს“ უკავშირდება. როგორ შედგა ეს კონტრაქტი და რა წარმატებისთვის ემზადება ამ ყველაფერს ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რას უკრძალავს ნატა ბერაძეს ახალი კონტრაქტი და ტოკიოს რომელ სააგენტოში გაატარებს 3 თვეს ქართველი მოდელი



აკრძალვით თითქმის არაფერი მეკრძალება, უბრალოდ, გასუქების უფლება არ მაქვს, რადგან საერთო სტანდარტებში უნდა ვიჯდე

**– რამდენი ხანია, რაც სააგენტო Looc models-ის მოდელი ხარ?**

– თავიდანვე, როცა გადავწყვიტე, ამ სფეროში მოღვაწეობა, პირდაპირ ნინო ცქიტიშვილთან მივედი. დაახლოებით, ერთი წელია, რაც ამ სააგენტოსთან ვთანამშრომლობ და ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან მართლა ძალიან მაგარი გოგოა ნინო ცქიტიშვილი.

**– ტოკიოში მიემგზავრები და ეს უცხოეთში შენი პირველი გასვლაა როგორც მოდელის?**

– კი, პირველი გასვლაა. ტოკიოში 3 თვით მივდივარ, ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და კარგ სამოდელო სააგენტოში სამუშაოდ. ეს არის „ემპაიერ ვუმენ მენეჯმენთი“.

**– როგორ ფიქრობ, არ გაგიჭირდება 3 თვე მარტო ყოფნა?**

– ალბათ, გამიჭირდება, რადგან მაინც რთულია უცხო გარემოში მოხვედრა. იქ, თავს აუცილებლად გავიმხნევებ, რადგან 15 წლის ასაკში ძალიან დიდი წარმატებაა ასეთ სააგენტოში მოხვედრა.

**– ეს კონტრაქტი როგორ შედგა?**

– ნინო ცქიტიშვილის დახმარებით. ჩვენი სააგენტო იმ სააგენტოსთან მეგობრობს, სადაც მივდივარ. ნინომ ჩემი ფოტოები გაგზავნა, მათ მოვეწონე და ამირჩიეს.

**– მოდელობამდე რით იყავი დაკავებული?**

– მოდელობა იმდენად პატარა ასაკში დავიწყე, რომ მანამდე მხოლოდ სკოლაში ვსწავლობდი. 13 წლისამ Looc models-თან გავაფორმე კონტრაქტი.

**– შენი ოჯახის წევრები როგორ ეგუებიან იმ ამბავს, რომ 15 წლის ასაკში 3 თვით მარტოს გიშვებენ იაპონიაში?**

– ოჯახის წევრებს ჩემი გამგზავრება ძალიან უხარიათ და არც ერთი წუთი არ ნერვიულობენ, რადგან იაპონელები ძალიან სანდო ხალხია, ასე ვთქვათ.

**– კონტრაქტის მიხედვით რა გეკრძალება?**

– აკრძალვით თითქმის არაფერი. უბრალოდ, გასუქების უფლება არ მაქვს, რადგან საერთო სტანდარტებში უნდა ვიჯდე. ასევე, არ უნდა დავიგვიანო ქასთინგებზე, უნდა ვიყო პუნქტუალური და ასე შემდეგ.

**– ანუ, საკმაოდ დიდი შრომა გელის წინ.**

– კი, ასეა და მიხარია კიდეც. რაც მთავარია, პუნქტუალური ვარ და არასდროს არსად ვაგვიანებ.

**– წონის პრობლემა თუ გაქვს? ანუ, თუ აკონტროლებ?**

– პრობლემა არ მაქვს, მაგრამ მაინც ვცდილობ, ჩვეულებრივი რეჟიმით არ ვჭამო. ისეთი კერძები მიყვარს, ყველაფერი რომ მივირთვა, აუცილებლად ამოვვარდები ფორმიდან. ვცდილობ, ნაკლებად ვჭამო ცომეული და ტკბილეული.

**– შენი პარამეტრები როგორია?**

– 90-70-90.

**– სიმაღლე?**

– 176 სანტიმეტრი.

**– გამორჩეული და იშვიათი გარეგნობა გაქვს, განსაკუთრებით თვალის ფერი.**

– ალბათ, ჩემმა ასეთმა გარეგნობამაც მოხიბლა „ემპაიერ ვუმენ მენეჯმენთის“ წარმომადგენლები. ასე რომ, ძალიან გამიმართლა.

**– კონტრაქტის მიხედვით, ალბათ, არც ვარცხნილობისა და თმის ფერის შეცვლის უფლება გაქვს.**

– ნამდვილად ასეა. როგორიც მოეწონე, ისეთი უნდა ჩახვიდე და არაფერი არ უნდა შეიცვალო გარეგნობაში. ამიტომ თმის ფერის შეცვლაზე, შეჭრასა და ასე შემდეგ, ზედმეტია ლაპარაკი.

**– ფოტოგადაღებებით იქნები ძირითადად დაკავებული?**

– კამერასთან მუშაობა ძალიან მიზიდავს და ალბათ, ამიტომაც ვარ დღეს აქ. ფოტოგადაღებები ბევრი მექნება და ამისთვის მზად ვარ.

**– ახლა კი შენს შესახებ მოგვიყევი რამე.**

– ძალიან საინტერესო ცხოვრება მაქვს, ბევრი თავგადასავალი გადამხდა იაპონიაში წასვლასთან ერთად. მყავს შეყვარებული.

## ნამდვილად არ ვფიქრობ გათხოვებაზე, ისედაც მშვენივრად ვართ და ძალიან გვიყვარს ერთმანეთი

**– მერე როგორ ეგუება შეყვარებული შენს იაპონიაში გამგზავრებას?**

– მისთვის ცოტა რთულია 3 თვე ჩემს გარეშე ყოფნა, მაგრამ ჩემი წარმატება უხარია და გაგებით შეხვდა ამ ამბავს. ორი წელია უკვე ერთად ვართ. ვფიქრობ, მართლა საინტერესო ცხოვრება მაქვს. მიხარია, რომ ღმერთის წყალობით, ბედმა გამიღიმა და ყველაფერი ისეა, რაზეც მთელი ბავშვობა ვოცნებობდი. მინდოდა, ვყოფილიყავი მოდელი, წავსულიყავი უცხოეთში, ჟურნალებში დაებეჭდათ შემ შესახებ და ასე შემდეგ.

**– მიუხედავად იმისა, რომ უკვე 2 წელია, შეყვარებული ხარ, იმედია, გათხოვებაზე ჯერ არ ფიქრობ.**

– ნამდვილად არ ვფიქრობ გათხოვებაზე, რადგან ჯერჯერობით არ მჭირდება ოჯახის შექმნა. ისედაც მშვენივრად ვართ და ძალიან გვიყვარს ერთმანეთი.

**– ეს იმიტომ გკითხე, რომ საწყენია წარმატებული კარიერის დასაწყისშივე მასზე უარის თქმა. ამის ფაქტები ქართველ მოდელებში არაერთი ყოფილა.**

– მინდა, კარიერას მივხედო, გათხოვებას ყოველთვის მოვასწრებ. ასე რომ, ჯერჯერობით მსგავსი არაფერი გვაქვს დაგეგმილი.

**– რაც შეეხება პროფესიას. არჩევანი თუ გაქვს უკვე გაკეთებული?**

– მინდა, ინტერიერის დიზაინზე ჩავაბარო, რომელიც მომავალში ჩემი პროფესია იქნება.

**– რაზე არ იტყვი არასდროს უარს?**

– ალბათ, უარს არასდროს ვიტყვი ნიუ-იორკში წასვლაზე, ისევე როგორც ყველა მოდელი.

**– დღეში რამდენი ხანი შეგიძლია კამერის წინ მუშაობა?**

– ჯერ არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, დროის პრობლემა არ უნდა მქონდეს. ამ ეტაპზე დილიდან საღამომდე გაუჩერებლად მიმუშავია. თუმცა, ტოკიოში რომ ჩავალ, შეიძლება, დილიდან მეორე დილამდე მომიწიოს მუშაობა. ამისთვის კი მზად ვარ. მოდელობა ისეთი იოლი პროფესია არ არის, ბევრს რომ ჰგონია და ზედაპირულად უყურებს მას. რთულია და მე მზად ვარ ყველაფრისთვის, რადგან ეს გზა ავირჩიე და გავყვები ბოლომდე.

**– ეთანხმები თუ არა აზრს, რომ საქართველოს პირობებში სამოდელო ბიზნესი არ ამართლებს.**

– ვერ დავეთანხმები, რადგან დამწყები მოდელისთვის თუ არა საქართველო, აბა, რომელი ქვეყანა უნდა იყოს უკეთესი? უბრალოდ, პერსპექტივაა უფრო ნაკლები, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მე საქართველოში გავხდი მოდელი და აქ დაიწყო ჩემთვის ყველაფერი. ჯერჯერობით, რაც კი წარმატება მქონია, ყველაფერი საქართველოს უკავშირდება.

**– 2013 წელი შენთვის კარგად დაიწყო.**

– ნამდვილად ასეა. 2013 წელი ჩემთვის ძალიან საინტერესოდ დაიწყო და იმედი მაქვს, ასე გაგრძელდება. კირჩხიბი ვარ ზოდიაქოთი და ძალიან გამიმართლა, რადგან ძალიან კარგი ზოდიაქოა ქალისთვის – გამტანია და ასე შემდეგ.

**– ანუ, დასახულ მიზანს ყოველთვის აღწევ?**

– ასე თუ ისე, კი.

**– ტოკიოდან დაბრუნების შემდეგ, რას გეგმავ?**

– ჯერჯერობით არ ვიცი, ვნახოთ. იმედი მაქვს, ტოკიოდან დაბრუნების შემდეგაც იქნება წინსვლა ჩემს ცხოვრებაში. ამ ეტაპზე ტოკიოში წასვლით ერთი დიდი ოცნება ავისრულე, 15 წლის ვარ და ჯერჯერობით უცხოეთში არ ვყოფილვარ. პირველი გასვლა ტოკიოში რომ გექნება, ჩემი აზრით, ეს უკვე ძალიან მაგარია, რადგან ის, რასაც ჰქვია, ქალაქის ქალაქია. შოკში ვარ.

**– ენის ბარიერი არ გექნება?**

– ინგლისური და გერმანული ენები ვიცი. გერმანულად, ალბათ, იქ არავინ ლაპარაკობს, მაგრამ ინგლისური ნამდვილად წამადგება.

**– კომუნიკაბელური ხარ?**

– ძალიან კომუნიკაბელური ვარ. არ არსებობს სიტუაცია, სადაც შეიძლება, ჩუმად ვიყო. თითქმის ყველასთან ვკონტაქტობ. ძალიან აქტიური ვარ.

**მარიკა ხიდურელი**

# ვარსკვლავური დიეტების არცთუ სასიამოვნო საიდუმლო

ვინ იცის, თითოეულ ჩვენგანს რამდენჯერ შეუხედავს შურის თვალით ცნობილი კინოვარსკვლავებისთვის მათი თხელი, დახვეწილი, ჰაეროვანი აღნაგობის გამო, მაგრამ, თურმე მათ არც მთლად შესაშურად აქვთ საქმე.



ნათქვამია, სილამაზე მსხვერპლს მოითხოვსო, მაგრამ, მსხვერპლსაც გააჩნია. კატეგორიულად არ შეიძლება, მომხიბვლელობას მსხვერპლად ჯანმრთელობა შევწიროთ, არადა, ეს ჩვენი მეგავარსკვლავები ამაზეც მიდიან.

დღეს შემოგთავაზებთ რამდენიმე უცნობილესი ქალბატონის სილამაზის საიდუმლოს და წინასწარ გაფრთხილებთ, რომ ასე მოქცევა საკმაოდ საშიშია ჯანმრთელობისთვის და, საბოლოო ჯამში – გარეგნობისთვისაც.

სუპერმოდელი **ჟიზელ ბიუნდჩენი** დეტოქს-დიეტის მიმდევარია, რომლის მიხედვითაც ნებადართულია თითქმის ყველა ხილისა და ბოსტნეულის მიღება, ოღონდ, წვენების ან თხელი პიურეს სახით, თანაც, დასაშვებია დღეში მხოლოდ 400 კილოკალორია. ამ დიეტის წყალობით, ორგანიზმი იწმინდება ტოქსინებისა და წიდებისგან, მაგრამ, მისი დიდხანს დაცვა, ანუ არაბალანსირებული კვება და ცილების დეფიციტი იწვევს კუნთოვანი მასის დაკარგვას, სისუსტეს, იმუნიტეტის დაქვეითებას, თავის ტკივილსა და სისხლის მიმოქცევის დარღვევას.

ხილი რომ მიელო, ჯესიკა შვარცმა გადაწყვიტა, ჰორმონული ინიექციით დაეკლო 6 კვირაში 8 კილოგრამი (არადა, ამ შედეგის მიღება უფრო მარტივადაც შეიძლებოდა. ეს მეთოდი ზღუდავს იმ ჰორმონებს (ინსულინი, ესტროგენი), რომელთა წყალობითაც ხდება ორგანიზმში ცხიმების დაგროვება.

ამ მეთოდის გვერდითი მოვლენებია: თავბრუხვევა, დაღლილობის შეგრძნება, მოთენთილობა, გულის პრობლემები, თავის ტკივილი, მენსტრუალური ციკლის დარღვევა და, დიეტის შეწყვეტის შემდეგ, დაკარგული წონის სწრაფი აღდგენა.

**ჯენიფერ ენისტონი** ბავშვთა კვების დიეტის ფანატია. ამ სისტემის ავტორი, ტრეისი ანდერსონი ამტკიცებს: ის, ვინც იცავს დიეტას ბავშვთა საკვებით (დღეში 8 პატარა ქილიდან 14 ქილამდე), კვირაში დაიკლებს 3,5 კილოგრამს. მენიუში შედის ყაბაყის, სტაფილოსა და ხორცის პიურე, ხილის მუსები. ტაბუდადებულია: მარილი, სანელებლები, მცენარეული ზეთი, რძის პროდუქტები და მარცვლეული.

შედეგი: რადგან კუჭი არ იღებს მშრალ საკვებს, დანაყრების შეგრძნება არ დგება. ამიტომ, ძალიან ადვილია ცდუნების აყოლა და დიეტის დარღვევა.

სიცოცხლისთვის აუცილებელი ამინომჟავების, უჯრედისის, კალციუმისა და D ვიტამინის დეფიციტი იწვევს კუნთებისა და კანის მოდუნებას, ჩნდება ცელულიტი. ამიტომ, უმჯობესია, მიირთვათ ცოცხალი ვაშლი ან სტაფილო, ვიდრე მათგან დამზადებული პიურე.

კემბრიჯის ჰერცოგინია **კეტრინის** აღნაგობის საიდუმლო დიუკანის დიეტაში მდგომარეობს, კერძოდ, ცილების მაღალი შემადგენლობის მქონე მენიუ ზედმეტი წონის მოშორებას მხოლოდ იმის ხარჯზე უწყობს ხელს, რომ ორგანიზმში გროვდება კეტონური სხეულები, რომლებიც იწვევს გულისრევასა და მადის დაქვეითებას.

ასეთ არაბალანსირებულ კვებას შეუძლია, გამოიწვიოს პოდაგრა.

ბრიტანეთის დიეტოლოგთა ასოციაციამ დიუკანის დიეტას პირველი ადგილი მიაკუთვნა ყველაზე მავნე VIP-დიეტებს შორის.

**ბიონსეს** „მაშველი რგოლი“ ჭარბ წონასთან ბრძოლაში – ლიმონათია. ის დილიდან საღამომდე (8-10 დღის განმავლობაში) სვამს მხოლოდ სპეციალურად დამზადებულ ლიმონათს (ლიმონის წვენი, ნეკერჩხლის სიროფი, კაიენური წიწაკა და მინერალური წყალი). დღის ნორმა 6-10 ჩაის ჭიქაა. დილით – 1 ჭიქა მარილიანი წყალი, საღამოს – მწვანე ჩაი მომადუნებელი ეფექტით.

გარდა იმისა, რომ ასეთი დიეტა იწვევს გულისრევას, ღებინებასა და სისუსტეს, შესაძლოა, დაარღვიოს ნაწლავური ფლორა, რომლის აღდგენა ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს.

ასე რომ, მთლად დალხენილი ცხოვრება არც ცნობილ ვარსკვლავებს ჰქონიათ.

თქვენ კი, ჩვენო ძვირფასო ქალბატონებო, გაითვალისწინეთ სხვათა შეცდომები და ჭკვიანურად და ჯანმრთელად დაიკელით წონაში.

წარმატებებს გისურვებთ!

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა:** **გთხოვთ, მასწავლოთ სკრაბის რეცეპტი სხეულისთვის.**

**პასუხი:** ნახევარ ჩაის ჭიქა ზეითუნის ზეთში ჩაამატეთ 1 ჩაის ჭიქა შაქარი და 1 სადილის კოვზი დარიჩინი და კარგად აურიეთ. წაისვით ეს მასა მთელ სხეულზე და კანის გათბობამდე იკეთეთ მასაჟი. სკრაბი ჩამოიბანეთ თბილი წყლით და წაისვით დამატენიანებელი კრემი.

**კითხვა:** **საინტერესოა, როგორი შემადგენლობის აბაზანებს იკეთებდნენ ჩვენი ბებიების ბებიები სხეულზე კანის გასაახალგაზრდავებლად და გასამკვრივებლად?**

**პასუხი:** გთავაზობთ, ერთ-ერთ თქვენთვის ყველაზე ხელმისაწვდომ ვარიანტს: 100 გრამი ზღვის მარილი დანაყეთ, შეურიეთ 5 წვეთი მიხაკის (სანელებლის) ზეთი, 200 მილილიტრი ნაღები და ურიეთ. მარილი ბოლომდე რომ გადნება, ხსნარი გახსენით აბაზანაში ჩასხმულ წყალში და ჩაწექით. 20 წუთის შემდეგ ამოდით წყლიდან (წყალი არ გადაივლოთ), შეიმშრალეთ პირსახოცით და კარგად გაეხვიეთ ხაოიან ხალათში ერთი საათის განმავლობაში.

**კითხვა:** **თუ შეიძლება, მასწავლეთ ლიფტინგის ეფექტის მქონე ნიღაბი, რომლის გაკეთებასაც სახლის პირობებში შევძლებ.**

**პასუხი:** 1 ჩაის კოვზ არაჟანში შეურიეთ ილის („კარდამონის“), ვარდისა და ნუშის ზეთების 5-5 წვეთი, კარგად აურიეთ და წაისვით სახეზე, ყელზე და დეკოლტეზე. 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით და გაიწმინდეთ ტონიკით.

**კითხვა:** **გავიგე, რომ არსებობს წიწაკა „ჩილის“ ზეთი. მართალია თუ არა ეს და რაში გამოიყენება?**

**პასუხი:** წიწაკა „ჩილის“ ზეთი ნამდვილად არსებობს. მას იყენებენ კუნთების გასახურებლად. ის კრემები კი, რომელთა შემადგენლობაში ეს ზეთები შედის, დაგეხმარებათ ცელულიტის მოშორებაში.

**კითხვა:** **როგორ უნდა წავისვა ფხვიერი, მბრწყინავი „ჩრდილი“?**

**პასუხი:** თავდაპირველად დაიტუშეთ წამწამები და მბრწყინავი „ჩრდილი“ მერე წაისვით. ზედა ქუთუთოზე თხელ ფენად. თუ ჩრდილის ნამცეცები დატუშულ წამწამებზე დაიყრება, არ ინერვიულოთ, პირიქით, ეს უკეთესიცაა, რადგან, მაკიაჟი გამოჩნდება უფრო ცოცხალი, და არა ხელოვნური და თეატრალური. მაგრამ, დაიმახსოვრეთ: თუ თვალებზე მბრწყინავ ჩრდილს წაისვამთ, ტუჩის საცხი სადა უნდა იყოს, ან – პირიქით. ანუ, უნდა ბრწყინავდეს, მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი – ან თვალები, ან ტუჩები.



მოამზადა
**თამრიკო ზამთარაძემ**

# როგორ აიყვანეს მოუხელთებელი ბანდა, რომელსაც 34 წლის ქალი მეთაურობდა

*გასული საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე საქართველოში კარგად ორგანიზებული შეიარაღებული ბანდა მოქმედებდა, რომელმაც ბევრი თავსატეხი გაუჩინა ქართულ მილიციას. ჩვენი დღევანდელი პუბლიკაცია, ქართველი ძალოვნების მიერ ჩატარებულ უნიკალურ ოპერაციაზე მოგითხრობთ, რომელიც ამ მოუხელთებელი ბანდიტების შესაპყრობად იყო შემუშავებული.*

***მასალა ექსკლუზიურია, პრესაში პირველად ქვეყნდება და რედაქციასთან შეთანხმების გარეშე მისი გადაბეჭდვა დაუშვებელია.***

### განრისხებული მინისტრი

1969 წლის 9 აპრილს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში საგანგებო თათბირი ჩატარდა, რომელსაც პირადად მინისტრი ედუარდ შევარდნაძე ატარებდა. კაბინეტში მას ყველა ძირითადი განყოფილების უფროსი ჰყავდა დაბარებული. გენერალმა, რომელიც მისთვის უჩვეულო, მაღალი ტონით საუბრობდა, ხელქვეითები საკმაოზე მეტად შეახურა და უბრძანა, რომ უმოკლეს დროში მოეღოთ ბოლო იმ მოუხელთებელი ბანდიტების თარეშისთვის, რომლებიც ამ უკანასკნელი რვა თვის განმავლობაში დაუსჯელად ძარცვავდნენ მოქალაქეებს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. თავისი გამოსვლის ბოლოს შევარდნაძემ კოლეგებს უთხრა:

– ამხანაგებო! ნუ გავიწყდებათ, რომ ახლა 1969 წელია და არა 1949. თუმცა, არც მაშინ, სამამულო ომის დასრულების პირველ წლებში ყოფილა ჩვენში ასეთი დაუსჯელობა და ბანდიტების თარეში და ახლა რა ღმერთი გაგვიწყრა? რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა შეშფოთებულია და სასწრაფოდ მოითხოვს ბოროტმოქმედების შეპყრობასა და დასჯას. საქმის კურსშია მოსკოვიც და ისინიც იმავეს ამბობენ. ახლა სიტყვა ჩვენზეა და, თუკი ჩვენი პარტიისა და მშრომელი ხალხის ნდობა ვერ გავამართლეთ, კაპიკია ჩვენი ფასი. გეძლევათ სამი დღე, რომ სრულყოფილი ოპერაცია შეიმუშავოთ და სასწრაფოდ განახორციელოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენც დაისჯებით და არც მე დავრჩები ამ თანამდებობაზე. ახლა თავისუფლები ხართ და სამ დღეში ოპერაციის სერიოზული გეგმით გელოდებით.



### მოუხელთებელნი

პირველი ცნობები ბანდის შესახებ, რომელზეც მინისტრი შევარდნაძე ლაპარაკობდა, 1968 წლის 1 სექტემბერს გაჩნდა. იმ დღეს ქალაქ ახმეტაში რამდენიმე შეიარაღებული ადამიანი შემნახველი სალაროს ინკასატორს, გოდერძი ცისკარიშვილს დაესხა თავს. მათ 57 ათასი მანეთი და ინკასატორის „ნაგანის“ სისტემის ტაბელური რევოლვერი გაიტაცეს და მიიმალნენ. თავდასხმის შედეგად არავინ დაშავებულა. გოდერძი ცისკარიშვილმა კი გამომძიებლებს უამბო, რომ თავდამსხმელები ნიღბებში იყვნენ და, ფაქტობრივად, ხმას არ იღებდნენ, ამიტომ, მათი ამოცნობა არც ხმით და არც აქცენტით არ შეეძლო. მისივე თქმით, მძარცველები ერთი „აკაესის“ სისტემის ავტომატითა და „ტეტეს“ პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულები. ცისკარიშვილისვე განცხადებით, მას ოთხი ნიღბიანი დაესხა თავს, თუმცა, ის ვარაუდობდა, რომ მეტნი იყვნენ.

**მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ მკაცრად უბრძანა ხელქვეითებს ბანდის უმოკლეს დროში აყვანა**

– რატომ ფიქრობ, რომ მძარცველები მეტნი იყვნენ? – ჰკითხა ცისკარიშვილს გამომძიებელმა.

– იმიტომ, ამხანაგო კაპიტანო, რომ როდესაც მე მანქანის იატაკზე დამაწვინეს და ფულით სავსე ჩანთა და „ნაგანი“ წამართვეს, უკნიდან მანქანის ხმა გავიგონე. მიბრძანეს, არ გავნძრეულიყავი და თავიც არ ამეწია ნახევარი საათის განმავლობაში. შემდეგ ისევ შემომესმა მანქანის ხმა და ისინი წავიდნენ. ჩემი აზრით, მათ, მინიმუმ, ერთი კაცი – იმ მანქანის შოფერიც ახლდათ, რომელმაც მოაკითხა.

ერთი თვის შემდეგ, ანალოგიური მეთოდით გაძარცვეს ინკასატორი ლანჩხუთში, რომელსაც 32 ათასი მანეთი წაართვეს და არც იქ დაზარალებულა ვინმე. ერთი კვირის შემდეგ კი, ნიღბიანი მძარცველები უკვე ქუთაისში, საღორიაზე, მოქალაქე ტატიანა ამაშუკელს ღამით მიადგნენ სახლში და, რაც კი ძვირფასეულობა ჰქონდა, ყველაფერი წაიღეს. ამაშუკელი აფთიაქის პროვიზორი იყო და უზარმაზარ სახლში მარტო ცხოვრობდა. ქუთაისის შემდეგ მძარცველები ახალ წლამდე არ გამოჩენილან, 30 დეკემბერს კი ისინი კვლავ ქუთაისში, ცენტრალური უნივერმაღის სალაროში შეიჭრნენ, სადაც მთელი დღის ნავაჭრს ითვლიდნენ და იმ დროისთვის ძალიან დიდი თანხა – 206 ათასი მანეთი გაიტაცეს და მიიმალნენ. ამჯერად ნიღბიანი ბანდიტები უკვე რვანი იყვნენ, თუმცა მათ მძღოლი ელოდებოდა „ერაზით“ და ისინი სწორედ ამ მიკროავტობუსით მიიმალნენ. მოგვიანებით დადგინდა, რომ „ერაზი“ წინა დღით №3 ავტოფარეხიდან იყო გატაცებული...

1969 წელს ნიღბიანმა ბოროტმოქმედებმა კიდევ ექვსი დანაშაული ჩაიდინეს და, როგორც ადრე, ერთი გასროლაც არ მოუხდენიათ. ბანდიტები მოქმედებდნენ კარგად შედგენილი გეგმის მიხედვით, შეთანხმებულად, თამამად და უშეცდომოდ. მათ შესახებ ხმები მთელ ქვეყანაში გავრცელდა და ხალხმა მათ „მოუხელთებელნი“ შეარქვა. მილიციას თითქმის არანაირი ხელჩასაჭიდი არ გააჩნდა. ზემოთ აღნიშნულის გარდა, იცოდნენ მხოლოდ ის, რომ ბოროტმოქმედებს კარგად ინფორმირებული საქმის მიმცემი ან მიმცემები ჰყავდათ, რაც მათი ქმედებების წარმატებას განაპირობებდა.

### გაქცევა

ბედის ირონიით, იმ დროს, ანუ, 1969 წლის 9 აპრილს, როდესაც მინისტრი ედუარდ შევარდნაძე თავის ხელქვეითებს ცეცხლს უნთებდა, ბათუმში ნიღბიანმა ბანდიტებმა ერთ-ერთი შემნახველი სალაროს ინკასატორი ასლან თურმანიძე გაძარცვეს – მას 61 ათასი მანეთი წაართვეს და „ვილისით“ გაიქცნენ. თუმცა, ერთ-ერთმა თვითმხილველმა „ვილისის“ მძღოლი, ვინმე კარლო ბალაძე ამოიცნო, რომელიც ქობულეთის მკვიდრი იყო. ბალაძე იმავე ღამეს დააპატიმრეს და ის სპეციალურად თბილისიდან ჩამოსულმა გამომძიებელმა დაკითხა. ბალაძემ აღიარა, რომ მძარცველები მართლა წაიყვანა „ვილისით“, მაგრამ, აცხადებდა, რომ არც მათი სახეები უნახავს და არც ბანდის წევრი იყო. მისივე თქმით, ბალაძე ამ საქმეში მისმა დეიდაშვილმა, მურაზ გოგიტიძემ ჩაითრია, რაშიც წინასწარ მისცა 500 მანეთი და კიდევ ხუთასს დაჰპირდა. გოგიტიძე ადრე წვრილმანი ქურდობისთვის იყო ნასამართლევი და კარლოს გვერდით სახლში ცხოვრობდა. თუმცა, მან გაქცევა მოასწრო და მილიციამ მისი დაკავება ვერ შეძლო. ბათუმური ძარცვის ამბავი იმავე საღამოს შეატყობინეს შევარდნაძეს, რომელმაც პოლკოვნიკი ჯამბულ კორძაია დაიბარა და უთხრა:

– როგორც ეტყობა, მძღოლი ბალაძე მართლაც ახალბედაა ამ საქმეში და ბანდიტებს მისი ჩათრევა უნდოდათ. მისი დეიდაშვილი გოგიტიძე კი, ჩემი აზრით, ბანდის სრულუფლებიანი წევრია და ბოროტმოქმედებზე სწორედ მისი მეშვეობით უნდა გავიდეთ. მართალია, მან მიმალვა მოასწრო, მაგრამ, შორს ვერ წაგვივა. მთავარია, რომ მისი პიროვნება გავშიფრეთ და, ადრე თუ გვიან, გამოჩნდება. ახლა კი აგენტი „დაშნა“ მოამზადეთ. რამდენიმე დღეში ის ჯერ თბილისის ციხეში უნდა მოათავსონ, შემდეგ კი რუსთავში გადაიყვანონ. როგორც მიმალული გოგიტიძე გამოჩნდება, დაშნა ციხიდან გაიქცევა, მას შეხვდება და მისი მეშვეობით შეაღწევს ბანდაში.

– გასაგებია, ამხანაგო მინისტრო. ნება მიბოძეთ, ვიმოქმედო! – გამოეჯგიმა შევარდნაძეს ჯამბულ კორძაია და, დასტური რომ მიიღო,

სწრაფი ნაბიჯებით დატოვა მინისტრის კაბინეტი.

ბანდის შეპყრობის ოპერაცია პირადად ედუარდ შევარდნაძის მიერ იყო მოფიქრებული და მისი განხორციელება სპეციალურ ოპერატიულ სამმართველოს დაევალა, რომელსაც პოლკოვნიკი კორძაია ხელმძღვანელობდა. იმავე სამმართველოს თანამშრომელი იყო აგენტი დაშნა, სინამდვილეში – კაპიტანი გივი ჩოხელი, რომელიც მძარცველი რეციდივისტის საფარქვეშ მუშაობდა. 1969 წლის 10 აპრილს დაშნა ვითომდა საიუველირო მაღაზიის ძარცვისთვის გაასამართლეს და ჯერ თბილისის ციხეში ჩასვეს, სადაც ორი კვირა გააჩერეს, შემდეგ კი რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაიყვანეს. ამის პარალელურად, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოს თანამშრომლები მიმალულ მურაზ გოგიტიძეს ეძებდნენ და ის 23 მაისს თბილისში, ვინმე ლეილა კოხრეიძის ბინაში აღმოაჩინეს. კოხრეიძე ექთანი იყო და ერთ-ერთ საავადმყოფოში მუშაობდა. ის საბურთალოზე, ერთ-ერთ კორპუსში ცხოვრობდა. მილიციამ მისი დამუშავება დაიწყო. ოპერებმა დეტალურად შეისწავლეს მისი მარშრუტი და მხოლოდ ამის შემდეგ შეადგინეს დაშნას გაქცევისა და მურაზ გოგიტიძესთან შეხვედრის გეგმა. კოხრეიძეს საკუთარი ავტომობილი „მოსკვიჩი" ჰყავდა და იმის მეშვეობით გადაადგილდებოდა ქალაქში. მილიციამ სწორედ ამის გამოყენება სცადა და 1969 წლის 2 ივნისს დაშნა რუსთავის კოლონიიდან გაიქცა. იმავე დღეს მისი სურათები ტელევიზიით უჩვენეს და მოსახლეობას საშიში ბოროტმოქმედის დაკავებაში დახმარება სთხოვეს. 8 ივნისს კი, სამსახურიდან სახლში მიმავალმა ლეილა კოხრეიძემ „მოსკვიჩი" დაქოქა და ადგილიდან დაძრა თუ არა, კეფაზე ლულის მიდება იგრძნო და ხმაც მოესმა:

– სადმე საიმედო ადგილზე მიმიყვანე და მაჭამე. იცოდე, პანიკა არ ატეხო, თორემ, მოგკლავ...

### ვერაგული ხაფანგი

ლეილა კოხრეიძეს „ტეტეს" პისტოლეტი დაშნამ მიადო. ლეილამ რომ შეხედა, მაშინ უმალვე ამოიცნო ციხიდან გაქცეული ბოროტმოქმედი, რომლის ფოტოებსაც ტელევიზიით უჩვენებდნენ.

– იარაღი გასწიე და ნუ გეშინია, საიმედო ადგილზე მიგიყვან და დაგაპურებ, – უთხრა ლეილამ დაშნას და თავის ბინაში მიიყვანა. შემდეგ ის გოგიტიძეს გააცნო და არც მურაზს შეჰპარვია ეჭვი მაშინ, რადგან დაშნას ფოტოები მასაც ჰქონდა ნანახი ტელევიზორში.

– ბოდიში, ძამიკო. არ ვიცოდი, რა მექნა, თანაც, ძალიან მშიოდა და მილიცია მეძებს. ცოტას შევჭამ, ცოტა საჭმელს თან წავიღებ და წავალ, – უთხრა დაშნამ მურაზსა და ლეილას.

– მეც პაზეგში ვარ. შენ აქ დარჩები და, თუ გინდა, დავპაძელნიკდეთ, – უპასუხა გოგიტიძემ.

– კარგი, მასე იყოს, – გაუღიმა დაშნამ მასპინძელს და ჭამას შეუდგა.

ლეილა კოხრეიძის ბინას მილიციის სპეციალური ოპერჯგუფი ოცდაოთხი საათის განმავლობაში უთვალთვალებდა და ფანჯრებზე მიკრული სპეციალური მიკროფონების მეშვეობით უსმენდა. ამიტომ, მილიციელებმა ზუსტად იცოდნენ, თუ რა ხდებოდა ბინაში.

ათდღიანი ერთად ყოფნის შემდეგ, გოგიტიძემ დაშნას „კარგი ხალხის" გაცნობა შესთავაზა. როდესაც თანხმობა მიიღო, იმავე საღამოს, ლოტკინის მთაზე ლეილას მანქანით წაიყვანა და ერთ-ერთ კერძო სახლში მიიყვანა, სადაც მოუხელთებელი ბანდა იკრიბებოდა. მილიციამ ის სახლიც მოსმენაზე აიყვანა და დაადგინა, რომ ბანდაში სულ თხუთმეტი წევრი იყო გაერთიანებული. ბანდიტებს დაშნაში იოტისოდენა ეჭვიც არ შეუტანიათ, რადგან მათაც ჰქონდათ მისი ფოტოები ნანახი ტელევიზორით და ის მძარცველი-რეციდივისტი ეგონათ. ბანდის მეთაური, მილიციელების გასაკვირად, 34 წლის ელენე სანებლიძე აღმოჩნდა, რომელიც თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობდა. მილიციას, რა თქმა უნდა, ბანდის აყვანა მათსავე სახლში შეეძლო, მაგრამ, მათ ფაქტზე დაჭერა ამჯობინეს და შევარდნაძის მიერ შემუშავებული ოპერაციის ბოლო ფაზაც დაიწყო...

1969 წლის 15 აგვისტოს, დაშნას „ნაკოლით," მოუხელთებელი ნიღბიანები თბილისის ლომბარდს მიადგნენ გასაძარცვავად, სადაც, მათი აზრით, 3 მილიონი მანეთის ძვირფასეულობა ინახებოდა. თუმცა, მოუხელთებლებს იქ კბილებამდე შეიარაღებული მილიციის რაზმი დახვდა. მათ მძარცველები ალყაში მოაქციეს და „სუფთად", ერთი გასროლის გარეშე აიყვანეს...

***P. S. ბანდიტები გაასამართლეს და ხანგრძლივი ვადით პატიმრობები მიუსაჯეს, ელენე სანებლიძეს კი 13 წლით აღეკვეთა თავისუფლება. თუმცა, ქალი 8 წელიწადში გათავისუფლდა, ერთ-ერთ მონასტერში მონაზვნად აღიკვეცა და დღემდე სულიერ მოღვაწეობას განაგრძობს.***

**ნიკა ლაშაური**

**ელენე სანებლიძე რვა წლის მერე გათავისუფლდა ციხიდან, ერთ-ერთ მონასტერში მონაზვნად აღიკვეცა და დღემდე მოღვაწეობს**

## რა მოხდა ამ დღეს

### 21 იანვარი

1506 – რომის პაპის – იულიუს მეორის ბრძანებით შეიქმნა ვატიკანის შვეიცარიელთა გვარდია. ის მსოფლიოში დღეს არსებულთაგან ყველაზე ძველ სამხედრო შენაერთად ითვლება.

1954 – ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსპლუატაციაში შევიდა მსოფლიოში პირველი ბირთვული წყალქვეშა ნავი „ნაუტილუსი".

1993 – ქალაქ უტიკაში (ამერიკის შეერთებულ შტატებში) გამოაცხვეს მსოფლიოში უდიდესი ფუნჩულა („პონჩიკი"), წონით 1,7 ტონა.

### 22 იანვარი

1964 – ზამბია გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1970 – დაიწყო თვითმფრინავ „ბოინგ 747-ის" რეგულარული ფრენები (დღეს ის ყველაზე უფრო გავრცელებული სამგზავრო თვითმფრინავია მსოფლიოში).

### 23 იანვარი

1556 – ჩინეთში მოხდა კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი მიწისძვრა (9 ბალი), რომლის მსხვერპლი გახდა 820 ათასი ადამიანი.

1960 – შვეიცარელმა მეცნიერმა ჟაკ პიკარმა და ამერიკელმა დონალდ უოლშმა ბატისკაფ, „ტირესტით", მიაღწიეს რეკორდულ სიღრმეს – 10 915 მეტრზე ჩაეშვნენ მარიანის ღრმულში.

### 24 იანვარი

41 – რომში შეთქმულებმა, კასიუს ხერეას მეთაურობით, მოკლეს იმპერატორი კალიგულა.

1848 – ჯეიმს მარშალმა კალიფორნიაში აღმოაჩინა ოქროს საბადო, რაც გახდა „ოქროს ციებ-ცხელების" დასაწყისი.

1922 – ამერიკელმა კრისტიან ნელსონმა დააპატენტა ნაყინი „ესკიმო".

### 25 იანვარი

1831 – პოლონეთის სეიმმა რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პირველი, პოლონეთის სამეფო ტახტიდან გადააყენა და პოლონეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1895 – შედგა პირველი საერთაშორისო მატჩი ბალახის ჰოკეიში. ირლანდიამ მოუგო უელსს, ანგარიშით – 3:0.

1924 – ფრანგულ ალპურ კურორტ შამონში გაიხსნა პირველი ზამთრის ოლიმპიური თამაშები.

1971 – უგანდის ხელისუფლებაში მოვიდა გენერალი იდი ამინი. 8 წლის განმავლობაში მის მმართველობას შეეწირა 300 ათასამდე ადამიანი.

### 26 იანვარი

1788 – ავსტრალიაში პირველად დასახლდნენ ინგლისელი კოლონისტები.

1875 – ამერიკელმა ჯორჯ გრინმა დააპატენტა კბილის საბურღი მანქანა.

1886 – გერმანელმა კონსტრუქტორმა, კარლ ბენცმა, აიღო პატენტი სამბორბლიან ავტომობილზე შიდაწვის ძრავით.

1905 – სამხრეთ აფრიკაში აღმოაჩინეს მსოფლიოში ყველაზე დიდი ალმასი – „კულინანი" (3 106 კარატი).

1924 – საბჭოთა ხელისუფლებამ ქალაქ პეტროგრადს სახელი შეუცვალა და დაარქვა ლენინგრადი.

2000 – კრემლში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც რუსეთი და ბელორუსია ერთიან სახელმწიფოს ქმნიდნენ.

### 27 იანვარი

1593 – ჯორდანო ბრუნო ინკვიზიციის ციხეში მოხვდა.

1895 – სანკტ-პეტერბურგში, მარინის თეატრში, შედგა პრემიერა პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტისა „გედების ტბა".

1918 – ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკრანებზე გამოვიდა პირველი ფილმი ტარზანის შესახებ. ამ პერსონაჟზე დღესდღეობით გადაღებულია 100-ზე მეტი ფილმი.

1926 – ლონდონში შოტლანდიელმა გამომგონებელმა ჯონ ბერდმა საზოგადოებას წარუდგინა პირველი ტელევიზორი.

# ქმარზე ექვიანობამ ცოლი ციხის კარამდე მიიყვანა



სამ პირთან ერთად ყაჩაღობისთვის ბრალდებული ელიზა ნ. გათავისუფლებიდან ზუსტად 9 დღეში ციხეში შებრუნდა. ახალგაზრდა ქალი, რომელმაც საპატიმროში სამ წელზე ცოტა მეტი გაატარა, მეორედ მეზობელი ქალის ცემისთვის დააკავეს. როგორც მან დაკითხვისას განაცხადა, ყველაფერი ციხიდან გამოსვლამდე ჰქონდა დაგეგმილი და მოსალოდნელი შედეგიც წინასწარ ჰქონდა გათვლილი.

30 წლის ელიზა ნ. ციხეში ყაჩაღობაში თანამონაწილეობისთვის იჯდა. მას ბრალი ედებოდა სამ პირთან ერთად ჩადენილ დანაშაულში, რომელთაგან ერთ-ერთი მისი ქმარი – გია ნ. იყო. ქმრისგან განსხვავებით, ცოლი ჩავარდა. გამოძიება ვარაუდობდა, რომ მეუღლის დანაშაულის შესამსუბუქებლად, ძებნილი ქმარი აუცილებლად ჩაბარდებოდა, მაგრამ, გია ნ-ს ცოლის დახმარება არც უცდია. არადა, ის რომ არა, მისი ცოლი საპატიმროში არ აღმოჩნდებოდა.

ელიზა ნ-ს დაპატიმრება კი, როგორც ოჯახისთვის, ასევე ახლობლებისთვის სრული შოკი იყო და მის დასახმარებლად ყველაფერი გააკეთეს. შედეგად, 9-წლიანი პატიმრობა 5 წელზე ჩამოუყვანეს. თუმცა, ასევე ადვოკატისა და ახლობლების ძალისხმევით, განსასჯელმა საპატიმრო 3 წლის შემდეგ დატოვა. ის ვადაზე ადრე გათავისუფლდა და, სწორედ ამიტომ, ცხრა დღეში მისი უკან შებრუნება უკვე ყველასთვის წარმოუდგენელი იყო...

## როგორ გახადა ქმარმა ცოლი პატიმარი

როდესაც ელიზა და გია დაქორწინდნენ, გია პირველ ცოლთან, რომელთანაც ერთი წელიც კი არ უცხოვრია, ახალი გაშორებული იყო და ყოფილი სიმამრი მოსაკლავად დასდევდა. ეს ამბავი ყველამ იცოდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ელიზას არც უფიქრია, რომ მის ცოლობაზე უარი ეთქვა. პირიქით, ქორწინების დასაჩქარებლად ყველაფერი იღონა. შეთანხმების თანახმად, მათი ქორწინება ელიზას მიერ სამედიცინო ინსტიტუტის დასრულების შემდეგ უნდა მომხდარიყო, მაგრამ, არ მოიცადა და გიას ცოლად ჩუმად გაჰყვა. თუმცა, საქმიდან ჩანს, რომ ელიზას გარდა, მათ შეუღლებას ხელი ერთმანეთთან დაახლოებულმა მათმა მშობლებმაც შეუწყვეს.

როგორც ჩანს, სწორედ ქორწინების შემდეგ იწყება კრიმინალისადმი ელიზას ინტერესი, რაც მას აშკარად ქმარმა გაუღვივა...

ელიზას ჩვენებით, რვა წლით უფროსი ქმარი იმდენად უყვარდა, რომ ყველაფერში უსიტყვოდ ემორჩილებოდა და სწორედ მის დამსახურებად მიიჩნევს, რომ ჯერ სიგარეტის, შემდეგ კი ეგრეთ წოდებული „პლანის" მოწევა დაიწყო. ქმარმა ნარკოტიკიც შემომთავაზა, მაგრამ, როგორც მომავალმა ექიმმა, ვიცოდი, რომ ჩვენს მომავალ შვილს, შესაძლოა, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შეჰქმნოდა და წამალზე უარი ვთქვიო, – წერს გოგონა ჩვენებაში და არ მალავს, რომ „აკრძალულ ხილს" გემო ერთხელ, მაგრამ, მაინც გაუსინჯა და ნარკოტიკით მიღებული სიამოვნება იმდენად დიდი აღმოჩნდა, მიხვდა, რომ შესაძლოა, ქმრის მსგავსად, უკან ველარ დაეხია. ამიტომ, გადაწყვეტილება მიიღო აღარასოდეს გაჰკარებოდა...

ელიზას ჩვენებით, სწორედ ასეთმა ცხოვრებამ და ქმრის კრიმინალურმა წრემ მიიყვანა ციხემდე, რასაც დაემატა მათი უფულობა – მშობლების მიერ მიცემული ფული, მისი ქმრის ნარკომანობის გამო, რამდენიმე დღე თუ ჰყოფნიდათ. ამიტომ, აუცილებელი გახდა, დამატებითი შემოსავალი ეშოვათ და იშოვეს კიდეც – გია ნ-ს ნათესავის სახლიდან 11 000 დოლარი და ძვირფასი ნივთები გაიტანეს. ძარცვაში კი, ქმრის თხოვნით, თავადაც მიიღო მონაწილეობა...

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ბოროტმოქმედებთან ერთად, ელიზა ნ. მისი მეუღლის ნათესავის ბინის ძარცვაში მონაწილეობდა. ნიღბებითა და იარაღებით აღჭურვილმა ოთხმა თავდამსხმელმა ოჯახის სამი წევრი, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვი, ჯერ დააბეს და სცემეს, შემდეგ კი გაქურდეს. პირველი ვერსიით, იარაღი ელიზასაც ჰქონდა და ის უშუალოდ ბავშვზე, მისი ქმარი და დანარჩენები კი ბავშვის მშობლების ცემა-წამებასა და ამ გზით ნადავლის მოპოვებაზე „ზრუნავდნენ". თუმცა, საბოლოოდ, ეს ვერსია შეიცვალა და გამოიკვეთა, რომ ელიზა ბინაში საერთოდ არ ყოფილა და, შესაბამისად, არც იარაღი ჰქონია. მართალია, ის საქმეში გადიოდა, მაგრამ, სხვა როლი ჰქონდა – მას სახლისთვის გარედან უნდა ედარაჯა და, საეჭვო ვითარების შექმნის შემთხვევაში, ქმრისთვის ავტომანქანის სამჯერ დასიგნალებით ეცნობებინა. რომელი ვერსია იყო სწორი, სადავოა. ითქვა, რომ პირველი ვერსია გამოძიებამ დაკავებულის ქმრის გამო შექმნა, რათა პოლიციას ჩაბარებოდა და ცოლის დანაშაულიც საკუთარ თავზე აეღო, მაგრამ, ამ ვარიანტმა არ გაჭრა. ამიტომ, ელიზა ნ-ს ბრალდება თანდათან ისე შემსუბუქდა, რომ ცხრაწლიანი პატიმრობა 5 წლამდე შეუმცირდა, საბოლოოდ კი დადგინდა, რომ ელიზა დანაშაულში მხოლოდ დამხმარე იყო. მეტიც, გამოძიებით ისიც დადგინდა, თითქოს ელიზამ არც კი იცოდა, რომ მისი ქმარი და ქმრის თანამზრახველები ბინაში საყაჩაღოდ შევიდნენ. რაც შეეხება თანხასა და ძვირფასეულობას, ბრალდებულმა განაცხადა, რომ ნივთები მისთვის არავის უჩვენებია...

## ყაჩაღი 8 წლის ბავშვმა ხმით ამოიცნო

არანაკლებ საინტერესოა, თუ როგორ გაიხსნა ყაჩაღობის საქმე. თავდამსხმელები, კერძოდ, გია ნ, 8 წლის ბავშვმა ხმით ამოიცნო. მშობლები სწორედ მან დაარწმუნა, რომ მათ ბინაში გია ნ. იმყოფებოდა. გარდა ამისა, ერთ-ერთ თავდამსხმელს შემთხვევის ადგილზე სანთებელა დარჩა, რომელზე აღებული თითის ანაბეჭდებითაც დადგინდა, რომ მისი მფლობელი წარსულში ნასამართლევი ზვიად თ. იყო. რაც შეეხება მესამე პიროვნებას, მისი ვინაობა ვერ დადგინდა. მართალია, ელიზა ნ-მ და ზვიად თ-მ გამოძიებასთან ითანამშრომლეს, მაგრამ, მათ განაცხადეს, რომ მესამის ვინაობა არ იცოდნენ.

საგულისხმოა, რომ, დაზარალებულთა ჩვენებებით, ბინაში ყოფნისას ყველაზე მეტად ძებნილი გია ნ. აქტიურობდა. მართალია, ის არ ლაპარაკობდა, მაგრამ აგრესიულობით გამოირჩეოდა. ოჯახის უფროსის თქმით, სწორედ მისი ბრძანებით, მეორე თავდამსხმელმა იარაღის კონდახით მას თავი გაუტეხა, შემდეგ კი მეორე ოთახში გაათრიეს და იქ სცემდნენ. დაზარალებული ამბობს, რომ მას მაშინაც არ დაანებეს თავი, როცა ფულისა და ძვირფასეულობის სამალავი გაუმხილა. თუმცა, ამბობს, რომ ყველაზე მეტად ცოლზე და მცირეწლოვან შვილზე ნერვიულობდა, რომლებიც ცალ-ცალკე ოთახებში ჰყავდათ და არ იცოდა, მათ როგორ ექცეოდნენ...

რაც შეეხება ბავშვის მიერ თავდამსხმელის ამოცნობას, მცირეწლოვანი ჩვენებაში ირწმუნება, რომ, მიუხედავად ნიღბისა, გია ნ. მან თვალებით იცნო და იფიქრა, რომ მას არაფერს დაუშავებდა. ამიტომ, გაქცევა დააპირა, მაგრამ, გია ნ-მ მოგუდული ხმით დაუძახა, რომ არ განძრეულიყო და მის ყველა ბრძანებას დამორჩილებოდა, რადგან, ასე თუ არ მოიქცეოდა, მის მშობლებს დახოცავდა. ბავშვი ამბობს, რომ ამით დარწმუნდა, რომ გია იყო, მაგრამ, თვალი აარიდა და მის რჩევას დაემორჩილა, რადგან, მუქარის შეეშინდა...

საბოლოოდ, ბავშვის ჩვენებისა და შემთხვევის ადგილზე დატოვებული მამხილებელი ნივთების წყალობით, საქმე უტყუარად გაიხსნა, მაგრამ, ციხეში მხოლოდ ელიზა ნ. და ზვიად თ. აღმოჩნდნენ, რომლებმაც დანაშაული აღიარეს, თუმცა, ფაქტობრივად, ყველაფერი ძებნილებს დააბრალეს, მაგრამ, ელიზასგან განსხვავებით, ზვიად თ-ს 11 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მას იმედი ჰქონდა, რომ გარეთ დარჩენილები დაეხმარებოდნენ, მაგრამ, სულ ტყუილად.

მომხდარის შემდეგ რა ურთიერთობა ჩამოყალიბდა ელიზასა და გიას მშობლებს შორის, ადვილი წარმოსადგენია. ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და ერთმანეთს აბრალებდნენ შვილების კრიმინალებად ჩამოყალიბებას. გიას მშობლებმა რძალს ქმრის ღალატიც კი დააბრალეს. ბრალდებებს ბოლო არ უჩანდა და, საბოლოოდ, მოხდა ის, რაც გარდაუვალი იყო: ელიზა ნ-ს არა მხოლოდ ოჯახი დაენგრა, ვერც სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და რაც მთავარია, ქმრის გამო პატიმარი გახდა. ყველაზე „საინტერესო" კი მისი ციხეში ყოფნის პერიოდში მოხდა: ქალმა შეიტყო, რომ მისმა ძებნილმა ქმარმა მეზობელი და მისი ახლო მეგობარი ნანა მ. გაიხადა საყვარლად, თუმცა, ვინაიდან გია საქართველოში ვერ ჩამოდიოდა, ნანა თავად ჩავიდა მასთან. რამდენიმე თვის შემდეგ კი ფეხმძიმე ქალი საქართველოში მარტო დაბრუნდა. აღმოჩნდა, რომ გია ნ-მ დანაშაული იქაც ჩაიდინა და დააპატიმრეს, რის გამოც ნანა მ. იძულებული გახდა, მშობლებთან დაბრუნებულიყო.

ციხიდან გამოსულმა ელიზა ნ-მ ქმრის ნაცვლად სწორედ მასზე იძია შური. როგორც ის ჩვენებაში უსვამს ხაზს, გათხოვებამდე სწორედ ნანა იყო მისი გულშემატკივარი. მისი თქმით, ის და გია ერთმანეთს სწორედ ნანასთან ხვდებოდნენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, ის მის ქმარს აეკიდა. მით უმეტეს, იცოდა, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ელიზას გია თავდავიწყებით უყვარდა.

ელიზა ნ-ს ჩვენებით, ამიტომ გადაწყვიტა მან ნანაზე შურისძიება და განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მას ყველასგან მალულად ესტუმრა. როგორც ჩვენებებიდან ირკვევა, ძველი მეგობრები და მეზობლები ერთმანეთს თავიდან თბილად შეხვდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, პატიმრობიდან ახალგამოსულს ნერვებმა უმტყუნა და მცირეწლოვანი ბავშვის თანდასწრებით ნანა მ-ს სასტიკად სცემა. რომ არა სახლში მყოფი ნანას ბებია, შესაძლოა, ტრაგედიაც დატრიალებულიყო...

ელიზა ნ. პოლიციამ გათავისუფლებიდან ზუსტად მეცხრე დღეს აიყვანა. დაუჯერებელია, მაგრამ, ცემის გამო მას მხოლოდ ჯარიმა შეუფარდეს, თუმცა, ვინაიდან ციხიდან ვადაზე ადრე იყო გათავისუფლებული, წარსულში მოუხდელი სასჯელი დაემატა და, საბოლოოდ, წელიწადი და 9 თვე პატიმრობა განესაზღვრა...

**ეკა ბარაბაძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი**
**მევლუდ მელაძე**

**კითხვა: მყავს 2000 წლის გამოშვება „გრანდ ჩეროკი“ 4.0 ძრავათი, რომელსაც აქვს ეგრეთ წოდებული კვადრო „რაზდატკა”. მაინტერესებს, შეიძლება თუ არა ამ მოდელს დავუყენო ერთი და იმავე ზომის, მაგრამ სხვადასხვა ბრენდის საბურავები.**

**პასუხი**: სხვადასხვა ბრენდის ერთი და იმავე ზომის საბურავების დაყენება შეიძლება, მაგრამ არა მხოლოდ ციფრებზე დაყრდნობით. ვიზუალურადაც კარგად გადაამოწმეთ და თუ საბურავებს შორის ცდომილება იქნება, სავალ სისტემას იოლად დააზიანებს. არადა, არსებობს პრეცენდენტები, როცა საბურავებს ერთნაირი ზომა აწერია, მაგრამ რეალურად სხვა ზომისაა. ამას, რიგ შემთხვევებში, მარკეტინგული ხრიკისთვის იყენებენ. უკვე დისკზე გადაცმული და გაბერილი საბურავები ერთმანეთს მიადეთ და ზუსტად შეადარეთ, რადგან ცდომილება მხოლოდ ამ დროს შეიძლება, გამოჩნდეს.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხა: მყავს ავტომობილი „ჰონდა”. ამ ბოლო დროს ჩემს ავტომობილს ყველა პრობლემა ერთად დაეწყო – დააკლდა სიმძლავრე და წვამ მოიმატა. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი**: ამ პრობლემას ძალიან მარტივად გადაჭრით, თუ ფილტრს შეცვლით. შეიძლება ბენზინის ფილტრი არ გაქვთ გამოცვლილი. ბენზინის წნევა შემდეგნაირად იქმნება – ჯერ ბენზინის ავზში, შემდეგ მილებით მიდის ფილტრთან და შედის საწვავის სისტემაში ძრავასთან. თუ ფილტრი გაჭედილია, მას გამტარობა არ ჰყოფნის და შესაბამისად, იყო წნევა, რასაც „ნასოსი” ქმნის, არ იქმნება ჩაფრქვევის სისტემაში. ანუ, ჩაფრქვევის მაგივრად, ხდება ჩაღვრა და შესაბამისად, ფეთქებაც ნაკლები აქვს, სიმძლავრეც და ნაკლებსაც წვავს. მაგრამ ხშირად არის ისეთი შემთხვევა, ბენზინის ფილტრს გამოვცვლით, მაგრამ პრობლემას აღარ შველის. ეს იმიტომ, რომ შესაძლოა, ფილტრის შეცვლაა დაგვიანებული, ან ჭუჭყი, წყალი მოხვდა ავზში, ან უბრალოდ ტუმბოს როგორც დეტალს თავისი ცვეთა და რესურსი აქვს, ანდა შესაძლოა, თავიდანვე არ იყო კარგი ხარისხის, თვითონ „ნასოსი” კი ვერ ქმნის სათანადო წნევას, ამის გადამოწმება ძალიან იოლია. ნებისმიერ ხელოსანს, რომელიც ინჟექტორებს წმენდს აქვს ხელსაწყო, რომლითაც გასინჯავს მოეწოდება თუ არა სისტემას ბენზინი სათანადო წნევით. თუ დაზიანებულია „ნასოსი,” აღდგენა შესაძლებელია და არც მისი გამოცვლა წარმოადგენს დიდ პრობლემას. სხვადასხვა მოდელის „ნასოსიც” მიდის ერთმანეთზე, მთავარია მიდიოდეს და წარმადობა ჰყოფნიდეს. ანუ, იგივენაირ წნევას ქმნიდეს და გამტარობაც იდენტური ჰქონდეს. როგორც ორიგინალ ტუმბოს, ისე ახალსაც აწერია ეს ყველაფერი.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „პასატი”, 1998 წლის. ამ ბოლო დროს ერთი პრობლემა შეექმნა. ავტომობილს გახურების შემდეგ გავაჩერებ, ის აღარ იქოქება. მხოლოდ ცივზე იქოქება. სიცხეში კი, სადმე ხუთი წუთითაც რომ გავჩერდე, მთელი საათი ველოდები ძრავას გაგრილებას. იქნებ ამიხსნათ, რის გამო ხდება ეს და როგორ გამოვასწორო სიტუაცია?**

**პასუხი**: ამის ძალიან ბევრი გამომწვევი მიზეზი არსებობს, მაგრამ ყველაზე მეტად შეიძლება, ეს რელეს ბრალი იყოს. გირჩევთ, რელეები გადაამოწმოთ, რომელიც სადმე ერთ ბუდეშია მოთავსებული მცველებთან ახლოს. ყველაზე კარგია გამორიცხვის მეთოდი. იპოვეთ მსგავსი მოდელი, გააცხელეთ თქვენი ავტომობილი და როდესაც იმ კონდიციამდე მიხვალთ, რომ აღარ იქოქება, რელეები სხვა ავტომობილიდან სათითაოდ გადმოიტანეთ და ეცადეთ, დაიქოქოს. ასე, იოლად მიაგნებთ იმ ერთს, რომელიც დაზიანებულია.

**კითხვა: მაინტერესებს, რომელი უფრო სწრაფი ავტომობილია, 2012 წლის „მერსედესი ცეელესი” 6.3 (ანუ „5.5 ბი ტურბო“) ძრავათი თუ „ბეემვე ემ 6”? დრაგის შეჯიბრებებზე, 400 მეტრზე ერთი მანქანა მეორეს ასწრებს, მაგრამ მაინტერესებს უფრო გრძელ მონაკვეთებზე, როცა სიჩქარეს უფრო და უფრო უმატებენ, მაშინ რა ხდება? „ფორუმებზე“ სულ ვკითხულობ და ხან რას წერენ, ხან – რას, ორივეს ჰყავს მომხრეები. მონაცემების მიხედვით, რეალურად რისი საშუალება აქვთ ამ მოდელებს?**

**პასუხი**: მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლა „მერსედესსა“ და „ბეემვეს“ შორის ათწლეულებია გრძელდება და „მერსედესი“ სიმძლავრისთვის ყოველთვის უფრო მეტ ფულს ხარჯავს ვიდრე „ბეემვე“. მაგრამ, მაქსიმუმი, რასაც მიაღწია, მხოლოდ ისაა, რომ სტარტიდან „მერსედესი” ოდნავ წინ წასვლას ახერხებს. ეს ხდება იდეალური აქსელერაციის ხარჯზე, ავტომობილი თითქმის არ ბუქსაობს, რასაც ვერ ვიტყვით „ემ 6-ზე“. თუმცა, როგორც კი „ემ 6” ბუქსაობას მორჩება, ტყვიასავით ვარდება წინ და რამდენი ათეულიც ემატება სიჩქარეს, იმდენად წინ მიიწევს. მაგრამ ორივეს, ჯამში, ის პრობლემა აქვს, რომ ქარხნულად სპეციალური დამცავი მექანიზმი უყენია და როგორც კი სიჩქარე 270-ს მიაღწევს, მექანიზმი სიჩქარეს თიშავს. თუ სპეციალური ჩიპით არ არის რომელიმე მოდელი აღჭურვილი, ამაზე მეტ სიჩქარეს ვერ განავითარებს.

**კითხვა: როგორ ხდება, რომ 3 000-4 500 დოლარის ფარგლებში ნაყიდი ავტომობილები ასწრებენ ისეთ ავტომობილებს როგორიცაა: ახალი „ემ 5”, „მერსედესი” „აემჯი”, „ფერარი იტალია” და სხვა. როგორ ხდება ეს, რას უკეთებენ ასეთს და თუ რაიმე ტიუნინგია შესაძლებელი, მაშინ ძვირიანი ავტომობილები რატომ არ აკეთებენ იგივეს?**

**პასუხი**: ნებისმიერი ავტომობილი შეიძლება ისე მოვაწყოთ, რომ უსაზღვროდ სწრაფი იყოს, მით უმეტეს, თუ მისი ძრავი ტურბირებულია ან ტურბინა დამატებით დამონტაჟდა. რა თქმა უნდა, თვითონ ტურბინებშიც არის ძალიან დიდი სხვაობა, მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა. ამისთვის, მხოლოდ საჭიროა, ავტომობილი აღჭურვოთ კომპიუტერით, რომელიც პროგრამირდება და შემდეგ მიმართოთ გიორგი გელაშვილს, რომელსაც აქვს ფირმა „გელაშვილი პერფორმანსი”. ეს ფირმა სწორედ ამ საქმიანობით არის დაკავებული. მაგრამ, მეორე საკითხია, თუ რატომ არ უკეთებენ იგივეს ძვირად ღირებულ ავტომობილებს. საქმე ისაა, თუ რა რესურსი შერჩება ჩვენ ავტომობილს ასეთი ტიუნინგის შემდეგ. როდესაც ადამიანი ძვირად ღირებულ ავტომობილს ყიდულობს, მას სჭირდება ქარხნული გარანტიები, რომ რაღაც პერიოდი ეს ავტომობილი მას მოემსახურება. ამ ავტომობილმა კარგად უნდა იგრძნოს თავი როგორც დაბალ, ისე მაღალ სიჩქარეზე. თუ ასეთი ძვირად ღირებული ავტომობილის პატრონს მოუნდება, რომ ჰყავდეს ზესწრაფი ავტომობილი, ამ მანქანისთვისაც არსებობს ძვირად ღირებული ტიუნინგი. მას იაფფასიანი ავტომობილი კონკურენციასაც ვერ გაუწევს, თუ მასაც იმავე ფასის ტიუნინგი არ აქვს გაკეთებული.

> **ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

გოგიტა კვერნაძის სოფელი
ხვიარა მცენარე
ცხენოსანი ჯარი
ძლიერი სურვილი
ქალის რუსული სახელი
შინაური პირუტყვი
ჩვენი ისტორიული ძეგლი – კლდეში ნაკვეთი ქალაქი
კარუზოს ერქვა
მეტისმეტი სიახლოვე
კამათი პოლემიკა
პერსონაჟ გოტიეს ჰქვია
უმარტივესი არსება
რომან „იზას“ ავტორი
თუშეთშია
ლეონარდო (......) კაპრიო
ასოთა ერთობლიობა
პატარა მარიამი
ძვ.მომღერალი სალვატორე
ცხელი სასმელი
ლექსს სჭირდება
უდანაშაულობის საბუთი
პირველი ამერიკელი ახლა
შთაგონება
გრამატიკული კავშირი
თბილისის მრგვალი შენობა
ბავშვის საჭმელი
რაიცენტრი იმერეთში
ჭამაში მოდის
ვილაც, ვისაც სახელით არ ვიცნობთ
ცხენს აკრავენ ფეხზე
ქინი
მწერალი (......) ანტონოვსკაია
ჩვენი ობსერვატორიის დაბა
საახალწლო პური ძვ.საქართველოში
დიდი მეტეორი
ცხენს უნდა უთხრა
ქალაქი ესპანეთში
სოფელი ცაგერის რაიონში
ათი მანეთი
უილიამი მოკლედ
დურგლის იარაღი
მცენარე, რომელსაც ვან გოგი გატაცებით ხატავდა
მსახიობი (......) ჟირარდო
ჩვენი ისტ. ძეგლი თურქეთში
სამეურნეო მუშაკი
ხელმოკლე
ჩვენთან ახლოს
პარიზის მუზეუმი
ლიტვის მდინარე
ღია ფერის თმა
(......) ევარი
არსაკიძე არის წარმოშობით
„(......) დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“



მდინარის განტოტება
ძველი გერმანელი ფეხბურთელი
შტრაუსის ცეკვა
(......) და 40 ყაჩაღი
გერმანელი მწერალი
დაკოდილი ცხენი
(......) ადამსი
ზვიადის ვარიანტი
მარცვლოვანი კულტურა
ფუტკრისებრი მწერი
შუააზიელი ბატონი
ყარყატისებრი ფრინველი
ლექსის ფორმა
მცირე სისველე
(......) ჯოხაძე
შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა
სითხის დიდი ჭურჭელი
მალის დედაქალაქი
ავტომობილის ნაწილი
რუსეთის მდინარე
სამეწარმეო წარმონაქმნი
მსახიობი კახა აბუაშვილი
ჩვენი მწერალი (......) ლორია
აზიის უძველესი ქვეყანა

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 2 | 2 | 2 | 2 | | | |
| 5 | 6 | 7 | 14 | | | | | | | | 1 | 3 | 6 | | 10 | 12 | 16 | 4 | 2 | | | | | | | 6 | 6 | 2 | 1 | 2 | 1 | 2 | 1 | 2 |
| 6 | 7 | 4 | 5 | 19 | 16 | 14 | 11 | 7 | 5 | 5 | 2 | 4 | 3 | 9 | 3 | 4 | 1 | 10 | 8 | 8 | 8 | 10 | 12 | 14 | 14 | 7 | 6 | 4 | 3 | 3 | 2 | 2 | 1 | 1 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | 1 |
| | | | 2 |
| | | | 2 |
| | | | 3 |
| | | 4 | 1 |
| | | 4 | 2 |
| | 1 | 4 | 2 |
| 2 | 5 | 2 | 1 |
| 3 | 5 | 2 | 3 |
| 4 | 6 | 2 | 3 |
| | 4 | 7 | 7 |
| | 4 | 9 | 7 |
| | | 4 | 15 |
| | | 4 | 14 |
| | | 5 | 11 |
| | | 5 | 9 |
| | | 5 | 10 |
| | 8 | 4 | 11 |
| 11 | 2 | 2 | 9 |
| | 14 | 4 | 7 |
| | | 13 | 6 |
| | | 11 | 6 |
| | | 10 | 8 |
| | 2 | 5 | 9 |
| | | 5 | 9 |
| | | | 5 |
| | | | 6 |
| | | | 5 |
| | | | 4 |
| | | | 3 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონ-ნებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 8 | | 6 | 2 | | 9 | |
| 6 | | 4 | | 9 | | 2 | 1 | 5 |
| 5 | | 9 | 4 | 1 | | | 6 | 8 |
| 4 | 5 | | 8 | | 9 | 6 | 7 | |
| 9 | | 6 | | 4 | | 3 | | 2 |
| | 7 | 2 | 3 | | 6 | | 8 | 4 |
| 2 | | 7 | | 8 | | 1 | | 9 |
| 3 | 9 | | 2 | | 1 | | 4 | 6 |
| | | 1 | 9 | 3 | 4 | | 2 | 7 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | 8 | | 5 | | | | 1 |
| 2 | | | 1 | | | | 3 | |
| | 1 | | | | | 5 | | 7 |
| | 9 | | | 2 | | | 6 | |
| | | 6 | | | | 1 | | 5 |
| 5 | | 4 | | | 1 | | 9 | |
| | 8 | | | | | 4 | | 9 |
| 4 | | 7 | | 9 | | | 1 | |
| | 3 | | 4 | | | | | 2 |

# ორი ძმა




## ჩაწერე ზღაპრის გმირების შესაბამისი რიცხვები

① 
○ კეთილი

② 
○ გულმოწყალე

③ 
○ ბოროტი

# ისწავლეთ ხატვა ზაალიკოსთან ერთად



1. სამკუთხედის ფორმით დაიწყეთ ჭინკას ხატვა



2. სამკუთხედის ზედა წვერზე მიახატეთ პომპონი



3. სამკუთხედის შუაში მიახატეთ წრე და ქვემოთ – მართკუთხედი



4. გვერდებზე მიახატეთ ფოთლის ფორმის ყურები, მერე – ქამარი



5. ჭინკას მიახატეთ თვალ-წარბი და ცხვირ-პირი



6. მიახატეთ ფეხები და ნაძვის ტოტი



7. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
ტელ.: 272 9191
თამარაშვილის №36

# იპოვეთ ათი განსხვავება



## რა გზით მიფრინდება პეპელა ცისარტყელასთან



## იპოვე ბაყაყის ზუსტი ასლი




# კურდღლები და ბაყაყები
## (იგავ-არაკი)

ერთხელ კურდღლები შეიყარნენ და თავიანთ ბედზე აწუწუნდნენ: მუდამ შიშსა და ვაებაში ვართ. ყველა გვერჩის: ძაღლი, კაცი და არწივი. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ჯობიაო. ადგნენ და თავის დასახრჩობად ტბას მიადგნენ. ნაპირზე ბაყაყები ისხდნენ. როგორც კი კურდღლების ნაბიჯები შემოესმათ, დამფრთხალნი წყალში ჩაცვივდნენ. ერთმა კურდღელმა, სხვებზე უფრო გაბედულმა, თავისიანებს მიაძახა:

– შეჩერდით, ძმებო, თავის მოკვლა აღარ ღირს, ამქვეყნად ჩვენზე დაჩაგრულნიც ყოფილანო!

ადამიანი თავისზე გაჭირვებულს რომ ნახავს, ამით ინუგეშებს ხოლმე თავს.

# რიცხვრებუსი

## ,10, 10,, ,10

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| მარცვლეული / სწრაფი, ყოჩაღი | | | | |
| | | მეტეო პრო-გნოზი / რიცხვი | | |
| მსახიობთა კოლექტივი | | | | გამხმარი ხილი |

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: თუ შეიძლება, მირჩიეთ, როგორ გამოვაზამთროთ 3 თვის კანე კორსო?**

**პასუხი:** 3 თვის კანე კორსო ზამთრის პერიოდში აუცილებლად სახლის პირობებში უნდა იყოს, რადგან, ამ ასაკში ძაღლი კბილების ცვლას იწყებს, ასევე, აცრების პერიოდი აქვს და ასე შემდეგ. ამიტომ ჯობს, რომ ის სახლის პირობებში იყოს. განსაკუთრებული სიცხე ოთახში არ სჭირდება, მაგრამ, რა ტემპერატურაც ქუჩაშია, იმაზე გაცილებით მაღალი ტემპერატურა აუცილებლად უნდა იყოს. გაზაფხულიდან შემოდგომამდე კი აკლიმატიზაციას გაივლის და მზად იქნება ზამთრისთვის.

**კითხვა: მაინტერესებს, ძაღლი აბაზანაში უნდა ვაბანაოთ თუ მისთვის სპეციალურად განკუთვნილ ადგილას?**

**პასუხი:** მაინცდამაინც თქვენს აბაზანაში და ჯაკუზში ნუ ჩასვამთ, რადგან, ეს არაჰიგიენურია. თუ სააბაზანოში ტრაპი გაქვთ, იქ აბანავეთ. როგორც ასეთი, ძაღლისთვის განკუთვნილი სპეციალური აბაზანები არ იყიდება, თუ თავად მოუწყობთ, ეს სხვაა. ყველაზე კარგი საშუალება ძაღლის დასაბანად მაინც ტრაპის ვარიანტია.

**კითხვა: ჩემმა ძაღლმა ახალი წლის დღეებში ბევრი ნიგვზიანი კერძი მიირთვა. მაინტერესებს, ხომ არ გაუღიზიანებს ნიგოზი რომელიმე ორგანოს?**

**პასუხი:** გამოდის, რომ თქვენს ძაღლს ცუდი ვეტექიმი ჰყავს, რადგან, საახალწლოდ არ გაგაფრთხილათ, რა ეჭმევა ძაღლს და რა – არა. ნიგოზი აღიზიანებს კუჭნაწლავის სისტემას, ნაღვლის ბუშტსა და ღვიძლს. გარდა ამისა, საერთოდ არ უნდა აჭამოთ ძაღლს არც ნიგვზიანი, არც შოკოლადი და არც გოჭის ხორცი.

**კითხვა: შესაძლებელია თუ არა თბილისში ძაღლის დაჩიპვა და რისთვის არის ეს საჭირო?**

**პასუხი:** ჩიპირება ხდება. ეს არის საიდენტიფიკაციო კოდი, ნომერი, რომლის საშუალებითაც კანქვეშ შედის ჩიპის ნომერი და იწერება პასპორტში, მაგრამ როგორც ვიცი თანამგზავრზე ჯერ კიდევ არ არის შეერთებული, ზუსტად არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, როცა თანამგზავრშია ჩართული, მაშინ დაკარგული ძაღლის ადგილმდებარეობა იოლად დგინდება და ეს პატრონისთვისაც ხელსაყრელია.

**კითხვა: შეიძლება თუ არა ძაღლს ქათმის ხორცი და ძვლები ვაჭამო?**

**პასუხი:** ქათმის ხორცი შეიძლება, ძვლები კი – არა. არ შეიძლება, ასევე, კანის ჭამა, რადგან ქათმის კანში დიდი რაოდენობით არის ქოლესტერინი, რაც არც ცხოველისთვის და არც ადამიანისთვის არ არის სასურველი. თუ მაინცდამაინც ქათმის ხორცის მიცემა გინდათ ძაღლისთვის, თეთრი ხორცი აჭამეთ.



რუბრიკას უძღვება ლექსო ამირანაშვილი

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.

**ჯეიმს დუგლასი**

მოამზადა
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბინაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუარო ზრდის პერიოდში კტენანტას?**

**პასუხი:** ზრდის დროს კტენანტას ნიადაგი ორ კვირაში ერთხელ სასუქით გაანოყიერეთ. მისთვის კარგია მაღალი ტენიანობა, ამიტომ, ზაფხულში ხშირად დანამეთ ან დადგით სველკენჭებიან ლანგარზე, სიცხეში ფოთლები რომ არ დაეწვას, ზამთარში დამატებითი კვება არ სჭირდება.

**კითხვა: რა ტემპერატურაა საჭირო დენდრობიუმისთვის?**

**პასუხი:** ეს ორქიდეა დაბალ ტემპერატურასაც იტანს და, სხვა ორქიდეებისგან განსხვავებით, ტროპიკული სიცხე აუცილებელი არ არის, თუმცა ტენი არ უნდა მოაკლდეს. ზაფხულობით მას 20-24 გრადუსი ტემპერატურა სჭირდება, ზამთრობით კი 10 – გრადუსი.

**კითხვა: როგორი რეჟიმით მოვრწყა ეპიპრემნუმი?**

**პასუხი:** ეს მცენარე გაზაფხულსა და ზაფხულში რეგულარულად მორწყეთ, მაგრამ, მორწყვიდან მორწყვამდე, ნიადაგს შეშრობა უნდა აცადოთ. ზრდის პერიოდში მისი მიწა სასუქით გაანოყიერეთ. ზამთარში შედარებით იშვიათად მორწყეთ. ამ დროს არც დამატებითი საკვები არ სჭირდება.

**კითხვა: ბეგონიას გახარება მინდა. ხომ ვერ მირჩევთ, როგორ მოვიქცე, რომ იოლად გავზარდო?**

**პასუხი:** 2,5-სანტიმეტრიანი ღეროს ფოთოლი მიწაში ისე ჩარგეთ, რომ ფოთოლი მიწის ზემოთ დარჩეს და ორ თვეში თქვენ ახალი მცენარე გექნებათ. საერთოდ, გამჭვირვალე ხუფი ხელს უწყობს ტენიანობის შენარჩუნებას, რაც ხელსაყრელია მცენარისთვის.

**კითხვა: როგორი განათება მოსწონს რეოს?**

**პასუხი:** რეოს უყვარს კაშკაშა სინათლე, მაგრამ, თუ თქვენს მცენარეს მზის გულზე დადგამთ, ფოთლები გაუხუნდება და ძველებურ ეფექტს დაკარგავს. ნათელი სასტუმრო ოთახი ამისთვის საუკეთესო ადგილია.

**კითხვა: რთულია თუ არა იზოლეპისის გაზრდა?**

**პასუხი:** მართალია, იზოლეპისი ბუნებაში წყლის პირას იზრდება, მაგრამ მას ოთახის პირობებშიც მშვენივრად გაახარებთ. ის ნესტის მოყვარული მცენარეა, ამიტომ, მიწა მუდამ სველი უნდა ჰქონდეს. მაღალი ტენიანობის შესანარჩუნებლად ქოთანი წყლიან ჭურჭელში ჩადგით. ეცადეთ, რბილი წყლით მორწყათ.

**კითხვა: მინდა, ჩინური ვარდი დავაბუჩქო. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** დიდ ქოთანში ის, შეიძლება, ორ მეტრამდე ან უფრო მაღალიც კი გაიზარდოს, მაგრამ, თუ თქვენ გსურთ, რომ მცენარემ ბუჩქის ფორმა მიიღოს, გაზაფხულზე კარგად უნდა გასხლათ და მცენარე სიმაღლეში ზრდას აუცილებლად შეწყვეტს. გასხვლა ყვავილობას არ ვნებს.

**კითხვა: ბინაში მადაგასკარული ჟასმინი მაქვს, რომელმაც ამ ბოლო დროს მოიწყინა. რის ბრალი შეიძლება იყოს ეს?**

**პასუხი:** ეს მცენარე ვერ იტანს ტემპერატურის ცვლილებას და დაბალ ტენიანობას. შეეცადეთ, რომ მუდმივად ერთნაირ პირობებში ამყოფოთ და შეამოწმეთ მისი ნიადაგი – შესაძლოა, უკვე გამომშრალია და მორწყვა სჭირდება.

მოამზადა
**თეონა გოზალიშვილმა**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №28(550)-3(629)

– კარიბის კრიზისზე, ალბათ, გაგონილი გექნება, – მკითხა შჩუკინმა და, როცა დადებითი პასუხი მიიღო, მითხრა – ჩვენ ახალი ოპერაცია უნდა ჩავატაროთ, ოღონდ, ამჯერად ყოველგვარი კრიზისის გარეშე.

– კონკრეტულად?

– კონკრეტულად ის, ჩემო კოკი, რომ კუბაში ატომური იარაღი უნდა განვათავსოთ, თან, ამჯერად, როგორც წეღან გითხარი, ყოველგვარი კრიზისის გარეშე, ძალიან საიდუმლო ვითარებაში.

– ბალისტიკური რაკეტები უნდა შევიტანოთ?

– არა. ამჯერად მხოლოდ ატომური ბომბები, რომლებიც ჩვეულებრივ ბომბდამშენებზე მაგრდება და, საჭიროების შემთხვევაში, ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე აღმოჩნდება. ამ ოპერაციას „ვოზლა" ვუწოდეთ და მას შენ გაუწევ კურატორობას.

სპეცოპერაცია „ვოზლა", რომლის შესახებაც თვით პოლიტბიუროსა და „კაგებეს" ძალიან ვიწრო წრემ იცოდა, ცივი ომის პიკში ჩატარდა და მის შესახებ მსოფლიო საზოგადოებრიობამ ახლახან შეიტყო.

– ჩვენ შოკში ვართ, – განაცხადა ერთ-ერთმა ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა – კორმა, როდესაც „ვოზლას" შესახებ შეიტყო, – კარიბის კრიზისის დასრულების შემდეგ დარწმუნებულები ვიყავით, რომ რუსული ატომური ბომბები სამუდამოდ მოვაშორეთ ამერიკის კონტინენტიდან. ისინი კი, თურმე, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ცხვირწინ გვქონდა და ჩვენს უშიშროებას ემუქრებოდა.

ამერიკელი კორი მართალი გახლდათ. საკმარისი იყო მხოლოდ სურვილი და, კუბაში ბაზირებული, იმ პერიოდისთვის ულტრათანამედროვე ბომბდამშენთა ესკადრილია, რომელსაც საბჭოთა „ასები" მართავდნენ, ამერიკის შეერთებული შტატების მერვედ ტერიტორიას თვალის დახამხამებაში გაახვევდნენ ატომურ ცეცხლში...

სპეცოპერაცია „ვოზლა" ოფიციალური, ხილული სახე იყო საბჭოთა სპეციალისტებისა და თევზის გადამამუშავებელი ქარხნის მოწყობილობების კუბაში გადატანა ექვსი სატვირთო გემით მოხდა. სინამდვილეში კი, ორი გემის საიდუმლო ტრიუმში ორმოცი ცალი ატომური ბომბი იყო დამონტაჟებული, რომლებმაც მშვიდობიანად ჩააღწიეს კუბაში. შემდეგ ორმოცივე მონსტრი საიდუმლო, ღრმა მიწისქვეშეთში განლაგებულ სპეციალურ საცავში დავაბინავეთ და, საჭიროების შემთხვევაში, მათი საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა ხუთ წუთში იყო შესაძლებელი. ამ ბომბების არსებობის ამბავი კუბაში მხოლოდ ფიდელ და რაულ კასტროებმა იცოდნენ. ნიშანდობლივია ის, რომ ამ ოპერაციის შესახებ არც ჩერნენკომ იცოდა, არც გორბაჩოვმა და, რუსეთის ახალ ხელმძღვანელს სპეციალური ბრძანება რომ არ გაეცა მათი დემონტაჟის შესახებ, ბომბები დღემდე იქ იქნებოდა.

– ჩვენ არავის ვემუქრებით და არც არავისი გვეშინია. რუსეთთან „რევოლუციობანას" თამაში არავის გაუვა, ეს ცეცხლთან თამაშია, – განაცხადა რუსეთის ახალმა ხელმძღვანელმა, როდესაც კუბიდან ბომბები გამოიტანეს, რითაც, საკუთარი სიტყვები დაადასტურა, რომ ერთი მხრივ, ამერიკას არ უფრთხის, მეორე მხრივ კი, მშვიდობიანი თანაარსებობისკენ გადადგა ნაბიჯი.

ამ ცნობილი ამბებიდან ორიოდე კვირის შემდეგ, შჩუკინს მოსკოვში შევხვდი. ვიქტორ იაკოვლევიჩმა ხუმრობით მითხრა:



– რა წყალში ჩაგიყარა რუსეთის პირველმა შენი ღვაწლი?!

– ბომბებს გულისხმობთ?

– ჰო, „ვოზლას" შედეგად კუბაში გადაზიდულ ბომბებს.

– სწორადაც მოიქცა.

– მეც ასე ვფიქრობ. რაში გვჭირდება კუბაში მოძველებული ატომური ბომბები?! მით უმეტეს, რომ ისინი, შესაძლოა, უგონო და უკონტროლო ხალხის ხელში ჩავარდნილიყო. მთავარი კი ისაა, რომ რუსეთის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი უსწრაფესი ტემპებით იკრებს ძალებს და არანაირი საჭიროება არ არსებობს, რომ ასეთი მეთოდები გამოვიყენოთ. ამერიკა ვერასდროს მოგვიგებს და, ვფიქრობ, არც დააპირებენ ჩვენთან ომს. შეიძლება, სხვა წაქეზონ, მაგრამ, თანამედროვე მსოფლიოში ძალიან მცირე ძალები თუ მოიძებნება, ვინც რუსეთთან გაბედავს შებრძოლებას. მგონი, ასეთი ქვეყანა დედამიწის ზურგზე არ არსებობს.

– არსებობს. საქართველო, – დაღონებულმა მივუგე შჩუკინს. მან კი სინანულით მითხრა:

– ეს იყო ნონსენსი. ისეთი რამ, რაც თითქმის არ ხდება და, რადგან მაინც მოხდა, რაც შეიძლება მალე უნდა გამოვასწოროთ მისი საშინელი შედეგები.

– როგორ?

– როგორ და, რუსეთმა ოკუპირებული ტერიტორიები უნდა გაათავისუფლოს და ქართველებმა საკუთარ სახლებში დაბრუნება უნდა შეძლონ. საქართველომ კი ამერიკის ჭკუაზე სიარულს თავი უნდა დაანებოს და კავკასიის ლიდერის როლი დაიბრუნოს.

– ეს ჩვენ ვფიქრობთ ასე, მაგრამ, ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელები თუ დადგებიან ამ ჭკუაზე?

– დადგებიან, აუცილებლად დადგებიან და, მერწმუნე, იმაზე ადრე, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგენია. აი, ნახავ, თუ ჩვენც არ მოვესწროთ ამას.

– თქვენს პირს შაქარი, ამხანაგო გენერალო!

შჩუკინის მსგავსად ბევრი რუსი ფიქრობს და, არა მარტო ძველი თაობის ადამიანი, არამედ, ახალგაზრდებიც.

– რუსებს, ჩემო კარგო, ქართველების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება გაგვაჩნია, მაგრამ ეს თქვენთვის, უცხოელებისთვის, ძალიან რთული გასაგებია, – მითხრა ერთხელ ერთმა საბჭოთა ბიოლოგმა პარიზში, სადაც საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია იმართებოდა და მეც ვესწრებოდი, როგორც ერთ-ერთი სკანდინავიური ქვეყნის ჟურნალისტი. ქართველებზე საუბარი კი ერთ-ერთი ემიგრანტი ქართველის მისასალმებელმა სიტყვამ გამოიწვია, რომლითაც ამ კაცმა მსოფლიო დონის მეცნიერებს მიმართა.

– მაინც, რა განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ ასეთი? როგორც მე, წარმოშობით სკანდინაველმა, ვიცი, საქართველო რუსეთმა დაიპყრო, დაარღვია რა მკაცრად რეგლამენტირებული საერთაშორისო ხელშეკრულება.

ბიოლოგს გაეცინა, თავი გააქნია და მითხრა:

– ეგ, ჩემო კარგო, ორასი წლის წინ იყო და, მოდი, ნუ გამოვეკიდებით. არც მეფის რუსეთში და, არც, მით უმეტეს, საბჭოეთში, ქართველები არავის დაუჩაგრავთ. პირიქით, – მეცნიერმა მიიხედ-მოიხედა და ხმადაბლა მითხრა – ოცდაათ წელზე მეტხანს საბჭოეთს ქართველი განაგებდა.

– სტალინს გულისხმობთ?

– დიახ, დიახ, სტალინს, – დამიდასტურა ბიოლოგმა, – მოდით, ამით დავასრულოთ ჩვენი პოლიტიკური დიალოგი. მხოლოდ ერთს დავამატებ: სტალინმა სახნისიანი რუსეთი ჩაიბარა და თერმობირთვული საბჭოეთი დაგვიტოვა. ის უდიდესი ადამიანი იყო და უდიდესი ერის წიაღში იშვა – აი, სულ ესაა. ისე კი, დაიხსომეთ, მე თქვენთვის მსგავსი არაფერი მითქვამს.

– გასაგებია, – გავუღიმე ბიოლოგს და ტუჩებზე თითი მივიდე.

პარიზში, რა თქმა უნდა, კაგებეს სპეცდავალებას ვასრულებდი. ჩემი ამოცანა იყო იმ ემიგრანტი ქართველის მოტაცება, ვისმა სიტყვამაც ასე აღაფრთოვანა რუსი საბჭოთა პროფესორი. ქართველი ემიგრანტი, თავისდაუნებურად, ძვირფასი ინფორმაციის მფლობელი იყო. ანუ, მხოლოდ მან იცოდა შვეიცარიის ერთ-ერთი ბანკის სეიფის ნომერი, სადაც, გარკვეულ თანხასთან და ძვირფასეულობასთან ერთად, ერთ-ერთი გარდაცვლილი ქართველის დღიურები ინახებოდა. იმ დღიურში კი რამდენიმე სამხედრო დამნაშავის სახელი იყო მოხსენიებული, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომის დროს ათეულ ათასობით ადამიანი ჰყავდათ დახოცილი. სწორედ ამ დღიურებზე ვნადირობდით. ჩემმა მისიამ წარმატებით ჩაიარა, ქართველი ემიგრანტი მოვიტაცეთ და, როდესაც ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაზე ყოველგვარი ძალადობის გარეშე დავკითხე, მან სრულიად გულწრფელად მითხრა:

– რომ გეთქვათ, მოტაცებისა და კონსპირაციის გარეშეც მოგცემდით იმ ჩანაწერებს.

ქართველმა ემიგრანტმა მართლაც ყოველგვარი გართულების გარეშე გამანდო საბანკო სეიფის ნომერი და მეც მხოლოდ დღიურები წამოვიღე იქიდან. კონსპირაციულ ბინაში რომ დავბრუნდი, ქართველს ვუთხარი:

– აი, მხოლოდ ეს დღიურები ავიღე, როგორც შეგპირდით, დანარჩენისთვის კი თითიც არ დამიკარებია. ბოდიშს გიხდით მიყენებული ზარალისთვის. შეგიძლიათ, წაბრძანდეთ, თავისუფალი ბრძანდებით.

– მეგობარო, თქვენ, ალბათ, „კაგებედან“ ხართ, არა?

– ალბათ, – გავუღიმე ემიგრანტს.

– ერთი თხოვნა მაქვს, თუ, რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია.

– ბრძანეთ.

– სამშობლოში მინდა დაბრუნება და, იქნებ დამეხმაროთ. თანახმა ვარ, რომ ამის სანაცვლოდ მთელი ჩემი ქონება, რომელიც ბანკში ინახება, საბჭოეთს გადავცე.



– შევეცდები, – მივუგე ქართველ ემიგრანტს. შემდეგ მას თვალები ავუხვიეთ და ჩემმა თანამშრომლებმა კონსპირაციული ბინიდან მანქანით წაიყვანეს.

ზუსტად ორი თვის შემდეგ ქართველი ემიგრანტი ცოლ-შვილთან ერთად საბჭოთა კავშირში დაბრუნდა. მას სახელმწიფომ თბილისში ბინა მისცა, სადაც დღეს მისი შთამომავლები ცხოვრობენ. თვად ის კი დიდუბის პანთეონში განისვენებს და მისი სახელი დიდადაა დაფასებული.

საერთოდ, საბჭოთა პერიოდი, მიუხედავად ყველა მინუსისა, საქართველოსთვის მაინც აღმავლობის ხანა იყო. ამის ხმამაღლა თქმის მე არ მეშინია და ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტი ადამიანი იზიარებს ამ მოსაზრებას.

თავისუფლების მოწინააღმდეგე მხოლოდ და მხოლოდ მონური სულისკვეთების ადამიანი შეიძლება იყოს და ქართველები არასოდეს ვყოფილვართ მონები. თუმცა, ჩვენ მეორე უკიდურესობა გვახასიათებს. კერძოდ კი ის, რომ, ზოგჯერ სიბრაზე და ცრუ კერპებისადმი თაყვანისცემა გონებას გვიბინდავს და ისეთ შეცდომებს ვუშვებთ, რომელთა გამოსწორებაც შემდგომ ძალიან ძნელია და ამით ჩვენს სამშობლოს ვაზარალებთ. ასე იყო მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი იშლებოდა და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის არასწორმა გაგებამ რუსეთთან უკიდურესად დაგვიძაბა ურთიერთობა, რამაც ძალიან დაგვაზარალა. ასეა ახლაც, როდესაც ამერიკელების ბრმად გაფეტიშებამ ისევ რუსეთთან დაგვაპირისპირა და ისევ უკიდურესად ვართ დაზარალებულები. ამიტომ, თავისუფლება და პოლიტიკა ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ და ისე მოვიქცეთ, როგორც ჩვენს ქვეყანას სჭირდება. საქართველოს კი, უპირველეს ყოვლისა, რუსეთთან ურთიერთობის დალაგება აძლევს ხელს და ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვაგვაროთ ეს პრობლემა.

ამას წინათ ლისაბონში ვიყავი ერთ დელიკატურ საქმეზე, სადაც ერთ თავგამოდებულ ქართველ პატრიოტს შევხვდი, რომელიც ეროვნული მთავრობის დამხობის შემდეგ ევროპაში ცხოვრობს და რუსების სიყვარულს ნამდვილად ვერავინ დააბრალებს, თუმცა, ჭკვიანი კაცია და ლოგიკურად აზროვნებს. მე მას დიდი ხანია, ვიცნობ. რომ დამინახა, ძალიან გაუხარდა, პატარა რესტორანში დამპატიჟა და საქართველოზე ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა.

– ეეჰ, რაც კანონიერი მთავრობა დაამხეს, მას მერე საქართველოში არ ვყოფილვარ. იცი, როგორ მენატრება თბილისი?!

– მერე, ჩამოდი და ნახე, ან, სულაც, დარჩი.

– არ შემიძლია. რამდენჯერაც დავაპირე, იმდენჯერ ხელი შემეშალა. თითქოს რაღაც ჯადო გამიკეთეს და მბოჭავს.




ერდო ჯგუფი

-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...

-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს კარგი სამსახური და თან ...

მაკლერი:

-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ... გადაგვიხადეთ 6%. 3 გამყიდველის და 3 მყიდველის მხრიდან.

მარიკა 599 24 28 31

– გზოჭავს, არა? – მივუგე მე, – არ გრცხვენია ამხელა კაცს, ჯადოებზე რომ ლაპარაკობ?

– ეეჰ, ჩემო კოკი, დანგრეული რუსთაველის გამზირი რომ მახსენდება, გული მიხმება. ჯადო იყო, აბა, რა ჯანდაბა, თორემ, მეოცე საუკუნის მიწურულს ვინ წარმოიდგენდა, რომ თბილისში და საქართველოში ასეთი უბედურება დატრიალდებოდა?

– ჩამოდი, ჩამოდი. რუსთაველის გამზირი კარგა ხანია, აღადგინეს და დაამშვენეს. ბევრი სხვა კარგიც გაკეთდა და შენისთანა პატრიოტები სჭირდება ქვეყანას. თუმცა, იმასაც გეტყვი, რომ თქვენც ბევრი შეცდომა დაუშვით.

– გეთანხმებით, ჩემო კოკი, რომ შეცდომები დავუშვით. ყველაზე დიდი და მთავარი შეცდომა კი ის იყო, რომ რუსეთს ასე რადიკალურად დავუპირისპირდით და მასთან დიპლომატიური ენა ვერ გამოვნახეთ.

– მართალი ხარ, გეთანხმები, – ვუთხარი პატრიოტს, მან კი თავი სინანულით გააქნია და მომიგო:

– იყო დრო, როდესაც რუსეთში ორ ყუთ სამვარსკვლავიან კონიაკს ჩაიტანდი, იქიდან კი ფერადი ლითონებით ან ხე-ტყით დატვირთული ორი ეშელონი ჩამოდიოდა.

– კი, იყო ასეთი დრო, რაც აღარასოდეს განმეორდება. მაგრამ, სულ ადვილი შესაძლებელია, რომ, თუ რუსეთთან საერთო ენას გამოვნახავთ, ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი რუსული ბაზარი გაიხსნას.

ქართველ პატრიოტთან ერთად კიდევ ორიოდე საათი გავატარე ლისაბონის პატარა რესტორანში, შემდეგ გამოვემშვიდობე და წავედი. სხვათა შორის, ის კაცი, ოჯახთან ერთად, ახლახან დაბრუნდა სამშობლოში და თბილისში დასახლდა. მე ჯერ არ მინახავს ის, მაგრამ ტელეფონით ველაპარაკე, თავისთან დამპატიჟა და როგორც კი მოვიცლი, აუცილებლად ვესტუმრები.

კარგია, როდესაც სამშობლოში ნამდვილი პატრიოტები ბრუნდებიან და საერთოდ, იმაზე კარგი რა იქნება, თუკი ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსება და თითო-ოროლა ხუშტურიანის ნება-სურვილზე არ იქნება დამოკიდებული პლანეტის ერთ-ერთი უძველესი ერის ბედი, მისი ყოფნა-არყოფნა...

ჯერ კიდევ „კაგებეშნიკობისას“, შუა „ზასტოის“ პერიოდში, ერთ ისტორიაში ამოვყავი თავი, რომლის გაანალიზებამაც ბევრ რამეზე ამიხილა თვალი და იძულებული გავხდი, ბევრად უფრო ფხიზელი ვყოფილიყავი ვიღაც-ვიღაცეების მიმართ. ერთ საღამოს შჩუკინმა თავის კაბინეტში მიხმო და მითხრა:

– კოკი, სულ რაღაც თორმეტი საათი გაქვს, რომ, აი, ამ კაცის როლი შეასრულო, – ვიქტორ იაკოვლევიჩმა ერთი საკმაოდ სიმპათიური მამაკაცის სურათები მიჩვენა, – ეს სუბიექტი ჩვენს „ოპერებს“ აყვანისას შემოაკვდათ. თორმეტ საათში კი მას მეკავშირე უნდა შეხვდეს და „სხოდკაზე“ წაიყვანოს, სადაც რაღაც გრანდიოზული ანტისაბჭოური ხდება. ჩვენ არც „სხოდკის“ ადგილი ვიცით, არც შემადგენლობა და არც დღის წესრიგი; მხოლოდ ამ სუბიექტს ვასხედით „კუდზე“ და მისი მეშვეობით უნდა გავსულიყავით ძირითად ბირთვზე. თუმცა, მან თვალთვალი შენიშნა და, რომ დაგვსხლტომოდა, სროლა ატეხა. ერთ-ერთმა კრეტინმა „ოპერმა“ კი მას საპასუხო ცეცხლი გაუხსნა და შუბლი გაუხვრიტა. მოკლედ, ასე უნდა ვქნათ: ის შენ ძალიან გგავს. პატარა მაკიაჟს გაგიკეთებთ და შეხვედრაზე წახვალ. სპეციალურ სამოსში კი სპეცმოწყობილობა გექნება ჩამონტაჟებული და მისი მეშვეობით ჩვენი ხალხი შენს კვალს გამოჰყვება, თან მოგისმენენ და, საჭიროების შემთხვევაში, დასახმარებლადაც მოვლენ.

ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიმეღო, ტრადიციულად, ძალიან სარისკო იყო, იმ შემთხვევაში კი რისკს შეზღუდული დრო ზრდიდა. ანუ, მე ყოველგვარი მომზადებისა და წინასწარ დამუშავებული გეგმის გარეშე უნდა ჩავბმულიყავი საქმეში. ასეთ რამეებზე არასდროს მითქვამს უარი და ამჯერადაც ვუთხარი შჩუკინს:

– მზად ვარ, შევასრულო ნებისმიერი დავალება!

– შეასრულებ კიდეც, – მომიგო ვიქტორ იაკოვლევიჩმა. შემდეგ სპეცსაგრიმიოროში მაკიაჟი გამიკეთეს, საგანგებოდ დამუშავებული სამოსი ჩამაცვეს და სპეცინსტრუქტაჟი ჩამიტარეს. შეხვედრამდე ერთი საათით ადრე კი, ლუბიანკიდან დახურული მანქანით გამომიყვანეს, ერთ-ერთ მეტროსადგურთან დამტოვეს და მოქმედება დავიწყე...



მიუხედავად იმისა, რომ მეთვალყურე, რომელიც „კუდზე“ მეჯდა, ძალიან ფრთხილად მითვალთვალებდა, მე ის თავიდანვე შევამჩნიე. შემდეგ მანევრი გავაკეთე და შეხვედრის ადგილზე დანიშნულ დროს მივედი.

– როგორ მოხვედით, „კუდი“ ხომ არ მოგყოლიათ? – მკითხა შუამავალმა, რომელსაც „სხოდკაზე“ უნდა მივეყვანე.

– არა, – მივუგე მას, რაზეც ჩაეცინა და მითხრა:

– კეთილი. წავედით.

ჩვენ მანქანაში ჩავსხედით და ორთაჭალის ცნობილ აბანოში მივედით. ერთ-ერთ ლუქსში რომ შევედით, მან მითხრა:

– გაშიშვლდით, – შემდეგ ტანსაცმელი გამომიგდო და დაამატა – აი, ამაში გამოეწყვეთ.

„აი, ფოკუსი! აბა, ვინ წარმოიდგენდა ამას? ეს ხომ კვალის დაკარგვას ნიშნავს“, – ვთქვი გუნებაში, თან ვცდილობდი, შუამავალს არაფერი შეემჩნია, რადგან, თვალს არ მაშორებდა და ჩემს თითოეულ მოძრაობას დიდი გულისყურით აკვირდებოდა.

– მე მზად ვარ, – გამოვუცხადე შუამავალს, როდესაც მისი მოცემული ტანსაცმელი მოვირგე.

– ძალიან კარგი. ახლა კი, აი, ამ კარში გადით, – თეთრი კარისკენ მიმანიშნა მოთვალთვალე შუამავალმა და როდესაც კარი გავაღე და ნაბიჯი გადავდგი, დახურული მანქანის ფურგონში ამოვყავი თავი. მოთვალთვალე გვერდით მომიჯდა, ფურგონის კარი ჩაკეტა და მანქანა ადგილიდან დაიძრა.

„როგორც ჩანს, გარემოების მიხედვით, ჩემი შეხედულებისამებრ უნდა ვიმოქმედო. ესენი არც ისე იოლად მოსახელთებლები ყოფილან“, – გავიფიქრე გუნებაში, შუამავალს კი ვკითხე:

– ტანსაცმლის გამოცვლა და ფურგონით მგზავრობა რას ნიშნავს?

– იმას, რომ ყველა შემთხვევითობა გამოირიცხოს.

– არ მენდობით?

– რომ არ გენდობოდეთ, ახლა უკვე გვამი იქნებოდით. ხომ გითხარით, ყველა შემთხვევითობა რომ გამოირიცხოს-მეთქი. ნუ ღელავთ, მალე მივალთ და ყველაფერი რიგზე იქნება.

ზუსტად საათ-ნახევარი ვიარეთ და ფურგონიდან რომ გადმოვედი, მწვანეში ჩაფლულ აგარაკზე ამოვყავი თავი. ირგვლივ ხშირი ტყე იყო და ვერ მიხვდებოდით, სად იმყოფებოდით. მაგრამ, ერთ დროს ძალიან ნაცნობი ცაცხვის სურნელი რომ ვიგრძენი, გავიფიქრე: „ნუთუ ბალაშიხაში ვარ? ცაცხვის ასეთი სურნელი ხომ მთელს პოდმოსკოვიეში მხოლოდ ბალაშიხაშია?! კი, ნამდვილად ბალაშიხაში ვარ“.

ბალაშიხაში მრავალი თვე მქონდა გატარებული, როდესაც ჩემი პირველი ოპერაციისთვის მამზადებდნენ და ცაცხვის ეს არომატი,

ეს განსაკუთრებული სურნელი სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში.

– მოვედით, გადმობრძანდით, – მითხრა შუამავალმა მეგზურმა და ორსართულიანი მწვანე შენობისკენ გამიძღვა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მწვანე აგარაკზე სულ თორმეტი ადამიანი იყო შეკრებილი, მე მეცამეტე ვიყავი. შეთქმულებს შორის სამი საკმაოდ ცნობილი ადამიანი იყო, დანარჩენები კი ამ ორგანიზაციის ფინანსური მხარდამჭერები იყვნენ.

– აი, მეგობრებო, იმ ადამიანების სია, ვინც უნდა განადგურდეს, სულ ცხრა კაცია, – თქვა ორგანიზაციის ლიდერმა, ძალიან ცნობილმა საბჭოთა, მაგრამ, არარუსმა მოღვაწემ და თაბახის ფურცელზე ხელით მიწერილი გვარები ამოიკითხა.

გავოგნდი, რადგან, ცხრავე ცნობილი ქართველი იყო. მათ შორის სამი მოსკოვში მოღვაწეობდა, ერთი – უკრაინაში, ხუთი კი – საქართველოში. ლიდერმა სიას კუსტარულად გადახატული საბჭოთა რუკა მოაყოლა და თქვა:

– ჩვენი საბოლოო მიზანი ამ რუკაზე აღნიშნული ტერიტორიების რეალობაში მოყვანაა, აქ მხოლოდ ჩვენი ჯიში და ჯილაგი უნდა სახლობდეს, დანარჩენი ერები კი უნდა განიდევნონ. საუკეთესო შემთხვევაში კი – განადგურდნენ, რომ ამ მიწებზე პრეტენზია აღარ ჰქონდეთ...

ორგანიზაცია უფრო ანტიქართული იყო, ვიდრე ანტისაბჭოური და კავკასიაში ერთი ერის გამეფებისკენ ისწრაფოდა, სხვა ერები კი უნდა განდევნილიყვნენ, უკეთეს შემთხვევაში კი საერთოდ აღგვილიყვნენ პირისაგან მიწისა. მე ახლა დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ, ვიტყვი, რომ, იმ გეგმის მიზანი ქართველების განადგურება იყო.



იმ დროს, როდესაც ორგანიზაციის საიდუმლო შეკრებას ვესწრებოდი, მე „კაგებეს“ დავალებას ვასრულებდი და ანტისაბჭოთა შეთქმულება უნდა გამომეაშკარავებინა. მაგრამ, იმ მომენტში ჩემში ქართველმა გაიღვიძა. ჩემში ჩემი წინაპრების მებრძოლმა, პატრიოტულმა სულმა ამოხეთქა და იმ ნაძირლების განადგურების დაუოკებელმა სურვილმა შემიპყრო. იმ წამს მივხვდი, რომ, თუ ამას არ გავაკეთებდი, მიუხედავად იმისა, რომ მათ „კაგებე“ დააპატიმრებდა და გაასამართლებდა, მათი მიმდევრები გამართლდებოდნენ და პროცესს ანტიქართული, კატასტროფული შედეგები მოჰყვებოდა. ამიტომ, ეს პროცესი იქვე უნდა შემეჩერებინა და, ცხოვრებაში პირველად, თვითნებური მოქმედება გადავწყვიტე. მუშნი ზარანდიასავით, მთლად ჩემი სამსახურებრივი ინტერესები არ დამიმთხვევია ეროვნული ინტერესებისთვის, მაგრამ, მათი შესაბამისობაში მოყვანა ვცადე. მარტივად რომ ვთქვათ, მე ის ნაძირლები ფიზიკურად უნდა გამენადგურებინა, ეს კი არცთუ ადვილი იყო, რადგან, ისეთი მიზეზი უნდა მქონოდა, რომ ჩემი უფროსობა არ შემომდავებოდა და ჩემს საქციელში მიზნიდან გადახვევა და ტენდენციურობა არ დაენახათ. პირველ ყოვლისა, ჩემი უფროსობა უნდა დარწმუნებულიყო, რომ შეთქმულები შეიარაღებულები იყვნენ და მე მხოლოდ და მხოლოდ თავს ვიცავდი. მე არ ვიცოდი, იყო თუ არა აგარაკზე იარაღი. ამიტომ, ჯერ ამის გაგება, შემდეგ კი სიტუაციის პროვოცირება დავაპირე და ორგანიზაციის ლიდერს ვუთხარი:

– ჩვენ ისეთ საქმეში ვართ, რომ, ოდესმე მაინც იარაღი დაგვჭირდება. მისი შოვნა კი არც ისე ადვილია. ამიტომ, ეს პრობლემა როგორმე უნდა მოვაგვაროთ.

– სწორედ ამ თემაზე გადასვლას ვაპირებდი, – მომიგო ლიდერმა. შემდეგ წიგნების კარადასთან მივიდა და, საიდუმლო ღილაკის მეშვეობით კარადა გვერდზე გასწია. შემდეგ კედლის ნიშაში ჩაწყობილი ცეცხლსასროლი იარაღებისკენ გაიშვირა ხელი და დაამატა: – ეს მომავალი არმიის მცირე შეიარაღებაა, მაგრამ, ერთი ჩვენი თანამემამულე პოლკოვნიკი შეგვპირდა, რომ კბილებამდე შეგვაიარაღებს და ეს პრობლემაც მოგვარდება.

ნიშაში ძირითადად პისტოლეტები და ორი „აკაემის“ სისტემის ავტომატი ელაგა. მე მათი ახლოდან დანახვა მომინდა და ლიდერს ვკითხე:

– შეიძლება, ახლოდან ვნახო?

– ნახე.

მე ნიშასთან მივედი და ჯერ პისტოლეტები გავსინჯე, შემდეგ კი ავტომატები და, როცა დავრწმუნდი, რომ ყველას მჭიდები სავსე იყო, ორი „აკაემი“ დავიჭირე ხელებში და ორგანიზაციის წევრებს დავუმიზნე, შემდეგ გავულიმე და ვუთხარი:

– ახლა კი ცეცხლი უნდა გავხსნა!

შეთქმულებს შეძრწუნებული სახეები ჰქონდათ... მე მათ ტყვიების წვიმა დავუშინე...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | თ | ო | ვ | ლ | ი | ს | | ბ | ა | ბ | უ | ა |
| | | | | ლ | | ი | | ა | თ | ო | ნ | ი | | ვ |
| | | | ა | ბ | ე | ტ | ა | მ | | რ | ი | ლ | კ | ე |
| | | | | ა | ლ | ა | | ზ | ა | უ | რ | ი | | |
| | | | ა | ნ | ა | ნ | კ | ე | | ს | ა | ნ | ტ | ა |
| ს | | | | ი | | ი | ა | რ | დ | ი | | ა | | ი |
| ა | რ | ბ | ა | | დ | ა | რ | ი | ნ | ა | | | ა | დ |
| რ | | ა | | კ | უ | | ე | | ო | | შ | ი | ნ | ა |
| ი | ო | ლ | ი | | რ | | ლ | ო | ბ | ი | ო | | ა | |
| დ | | ა | | ვ | ე | ლ | ი | | ა | | ბ | ა | გ | ე |
| ა | ქ | ს | ი | ო | მ | ა | | ი | | მ | ა | მ | ა | |
| ნ | | ტ | | ლ | ა | ვ | ა | ნ | დ | ა | | ფ | | ჩ |
| ი | | ი | ფ | ი | რ | ა | | დ | | რ | ი | ო | ნ | ი |
| | შ | | რ | ე | ი | | ს | ი | | ს | ა | რ | ა | ტ |
| ნ | ო | დ | ა | რ | | ი | | ა | მ | ი | რ | ა | ნ | ი |
| | ვ | | გ | ი | | ვ | ა | ნ | ო | | ა | | ტ | |
| ა | ი | ა | მ | | ბ | ა | ნ | ა | კ | ი | | კ | ი | ო |
| ხ | | დ | ე | ლ | ო | ნ | ი | | რ | ა | დ | ა | | თ |
| ა | ვ | ე | ნ | | რ | | რ | ა | ი | | ა | კ | ნ | ა |
| ლ | | ს | ტ | ა | ტ | ი | ა | | ვ | ე | ნ | ა | | ხ |
| ი | ფ | ა | ი | | ი | | მ | | ე | ლ | ი | ო | ტ | ი |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 1 | 4 | 3 | 5 | 9 | 7 | 2 | 8 |
| 5 | 8 | 7 | 6 | 2 | 4 | 9 | 1 | 3 |
| 3 | 9 | 2 | 7 | 1 | 8 | 6 | 5 | 4 |
| 7 | 3 | 8 | 4 | 9 | 2 | 5 | 6 | 1 |
| 2 | 4 | 5 | 1 | 7 | 6 | 8 | 3 | 9 |
| 1 | 6 | 9 | 8 | 3 | 5 | 2 | 4 | 7 |
| 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 8 | 2 |
| 8 | 2 | 3 | 9 | 6 | 1 | 4 | 7 | 5 |
| 4 | 5 | 1 | 2 | 8 | 7 | 3 | 9 | 6 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 7 | 9 | 5 | 3 | 1 | 2 | 6 |
| 2 | 3 | 5 | 6 | 1 | 7 | 8 | 9 | 4 |
| 1 | 6 | 9 | 4 | 2 | 8 | 3 | 7 | 5 |
| 3 | 9 | 8 | 1 | 4 | 5 | 2 | 6 | 7 |
| 7 | 2 | 4 | 3 | 8 | 6 | 9 | 5 | 1 |
| 6 | 5 | 1 | 2 | 7 | 9 | 4 | 8 | 3 |
| 9 | 7 | 3 | 8 | 6 | 1 | 5 | 4 | 2 |
| 5 | 1 | 2 | 7 | 9 | 4 | 6 | 3 | 8 |
| 8 | 4 | 6 | 5 | 3 | 2 | 7 | 1 | 9 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები:** 1. ჯერ მოკლა და ჯვარზე მერე გააკრა. 2. „ღვთაებრივი კომედია“ იტალიურად დაწერილი პირველი ნაწარმოები იყო, მანამდე ლათინურად წერდნენ. 3. უოლტ დისნეი – „დისნეილენდის“. 4. ჰარაკირი. 5. დედამიწის. 6. მიკი მაუსი. 7. ჩინურ ფაიფურს. 8. ინდულგენცია. 9. ბანანის. 10. ნაპოლეონის.

# რად დაუჯდათ სტალინის უზადო მეხსიერება მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს



**სტალინი სიმაღლით 161,8 სანტიმეტრი ყოფილა**

1902 წელს, მარტში ქალაქ ბათუმში დააპატიმრეს იოსებ სტალინი. მოგვიანებით, კერძოდ, 17 ივლისს ჟანდარმერიის პოდპოლკოვნიკმა შაბილსკიმ და ბათუმელმა ექიმმა ელიავამ პატიმრის სამედიცინო დათვალიერების საფუძველზე შეადგინეს ოქმი, რომელიც საინტერესო ცნობებს იძლევა სტალინის გარეგნობის შესახებ. ოქმის მიხედვით, საბჭოთა კავშირის მომავალი ერთპიროვნული მმართველი 161,8 სანტიმეტრი სიმაღლის ყოფილა. სტალინის სხეული, ფიზიკური ნიშნების მიხედვით, ჩვეულებრივად მიუჩნევია ექიმ ელიავას, თუმცა, ოქმში საგანგებოდ აღუნიშნავს, რომ ჯუღაშვილს მარცხენა ფეხზე მეორე და მესამე თითები ერთმანეთთან შეზრდილი (შეხორცებული) ჰქონია. ოქმში ვკითხულობთ იმასაც, რომ სტალინის უკან გადავარცხნილი სწორი თმა მუქი წაბლისფერი შეფერილობის ყოფილა, ხოლო ულვაშები და ბაკენბარდები – წაბლისფერი. იქვე ვკითხულობთ, რომ იოსებ ჯუღაშვილს მუქი ყავისფერი თვალების ჭრილი საშუალო სიდიდის ჰქონდა. ექიმმა ელიავამ სპეციალური შემოწმებით დაადგინა ისიც, რომ ჯუღაშვილს ნორმალური მხედველობა ჰქონდა და მას არასდროს უტარებია სათვალე.

ჟანდარმერიაში დადგენილი წესის მიხედვით, ექიმი სპეციალურად არკვევდა, თუ როგორ ეჭირა თავი პატიმარს, რის შედეგადაც აღნიშნულ ოქმში მითითებულია, რომ ჯუღაშვილს თავი ნორმალურად ეჭირა. იქვე წერია, რომ სტალინს ჰქონდა სწორი, საშუალო სიმაღლის შუბლი, ცხვირი – პირდაპირი და გრძელი, ხოლო ყურები – საშუალო ზომის. მარცხენა ყურზე ხალი ჰქონია. ბელადს სახე გრძელი, ჩოფურა (ნაყვავილარი) ჰქონდა, ნიკაპი კი – წვეტიანი. ექიმ ელიავას დათვალიერების შემდეგ ოქმში ისიც ჩაუწერია, რომ სტალინს ქვედა ყბაზე ერთი წინა კბილი აკლდა.

ჟანდარმერიაში არსებული წესის მიხედვით, დაფიქსირებულია ისიც, თუ როგორი ხმა და ტემბრი ჰქონდა პატიმარს. ელიავა აღნიშნავს, რომ სტალინი ლაპარაკობდა დაბალ ხმაზე, მეტყველებდა დახვეწილად და საუბრისას არანაირ განსაკუთრებულ ნიშნებს არ ამჟღავნებდა.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინი ხელმოკლე ოჯახში იზრდებოდა, არ ჰქონდა ნორმალური კვება, არც ბავშვობაში და არც თბილისში სწავლის პერიოდში, იგი ფიზიკურად მაინც ძლიერი გახლდათ. ბათუმში მის დაპატიმრებას (1902) მოჰყვა ხუთი გადასახლება. ბოლო გადასახლებიდან იგი 1917 წლის მარტში გათავისუფლდა. სტალინი რამდენჯერმე გაიქცა ციმბირის გადასახლებიდან, რაც ფიზიკურად სუსტი ადამიანისთვის შეუძლებელი იქნებოდა. ციხეებმა და გადასახლებებმა მის ჯანმრთელობას მაინც დაასვა დაღი. კერძოდ, ცემის დროს ჟანდარმებმა მას მკლავზე ნერვი დაუზიანეს, რის შემდეგაც სტალინი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ამ ხელს ნორმალურად ვეღარ ხმარობდა.

სტალინს განსაკუთრებული მეხსიერება ჰქონდა, რაც თბილისში სწავლის დროსაც არაერთხელ გამოავლინა. იმ პერიოდში მას წიგნის შესაძენი ფული არ გააჩნდა, თუმცა, სასურველი წიგნების წაკითხვას მაინც ახერხებდა: წიგნების მაღაზიაში შესული სტალინი დახლზე დადებულ წიგნს აიღებდა და ვითომ ათვალიერებდა, სინამდვილეში კი კითხულობდა. წიგნის ერთი ფურცლის წასაკითხად სტალინს სულ რამდენიმე წამი ჰქონდა, რადგან, მაღაზიაში დიდხანს შეყოვნების შემთხვევაში ნოქრები მას ეშმაკობას მიუხვდებოდნენ. კარგა ხნის განმავლობაში ის ასე კითხულობდა ახალ წიგნებს. ბოლოს ნოქრებმა შენიშნეს, რომ

**გარდა ქართულისა და რუსულისა, სტალინმა კარგად იცოდა ძველი ბერძნული და გერმანულ ენასაც ფლობდა**

გადათვალიერებულ წიგნს სტალინი აღარ ყიდულობდა და უკანვე აბრუნებდა. მას ეშმაკობას მიუხვდნენ და ამის შემდეგ სტალინს მაღაზიაში აღარ უშვებდნენ.

აქედან უნდა იღებდეს სათავეს გადმოცემა იმის შესახებ, თითქოს დიდი ბელადი დღეში 300 გვერდს კითხულობდა.

უნდა ითქვას, რომ სტალინის განსაკუთრებული მეხსიერება ბევრს დაუჯდა სიცოცხლის ფასად. თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ბელადს არაერთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა პოლემიკა. ამ ადამიანების ნაწილი 1937 წლისთვის უკვე დახოცილი იყო, ხოლო, ვინც ცოცხალი გადარჩა, ისინი საგანგებოდ მოაძებნინა სტალინმა შესაბამის სამსახურებს. საქმე ეხებოდა არა ერთ და ორ, არამედ, რამდენიმე ასეულ ადამიანს, რომელთა სახელები და გვარები საბჭოთა იმპერიის ერთპიროვნულ გამგებელს ზეპირად ახსოვდა, ყოველგვარი ჩანაწერების გარეშე. ცხადია, სტალინის გონებამ შემოინახა თავისი თანამებრძოლების სახელები და გვარებიც. მათი ნაწილი დიდმა ბელადმა 20-30 წლის შემდეგ მოაძებნინა და სათანადო პატივიც მიაგო. თანამებრძოლები აღნიშნავენ, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში ბელადი გვარ-სახელით იხსენიებდა არა მარტო ფრონტების სარდლებს, არამედ, არმიების სარდლებსა და დივიზიების მეთაურებსაც კი, რომელთა რიცხვი რამდენიმე ასეულს შეადგენდა.

სტალინი ერთნაირად გამართულად მეტყველებდა და წერდა ქართულ და რუსულ ენებზე. რუსულ ენას ჯუღაშვილი საფუძვლიანად გორის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში დაეუფლა. სასულიერო სემინარიაში არსებობდა უმკაცრესი მოთხოვნა – ძველი და ახალი აღთქმა მოწაფეს ძველ სლავურ ენაზე უნდა წაეკითხა და გადმოეცა. დიდი ბელადი, რუსულის ბრწყინვალედ ცოდნის მიუხედავად, მაინც ქართული აქცენტით ლაპარაკობდა. ჭორი დადიოდა, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებიც ჰბაძავდნენ მას და ცდილობდნენ რუსულად ქართული აქცენტით ელაპარაკათ. ეს მთლად ჭორიც არ უნდა ყოფილიყო, რადგან, ცნობილია, რომ 1941 წლის 22 ივნისს, საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ, 12 საათზე, გადაიცა საბჭოთა მთავრობის მიმართვის ტექსტი მოსახლეობისადმი. ტექსტი წაიკითხა ვიაჩესლავ მოლოტოვმა, მაგრამ მისი დიქცია და აქცენტი იმდენად ჰგავდა სტალინისას, რომ თანამედროვენი იხსენებენ, გვეგონა, სტალინს ვუსმენდითო. გარდა ქართულისა და რუსულისა, სტალინმა კარგად იცოდა ძველი ბერძნული და, როგორც ამბობდნენ, ფლობდა გერმანულსაცო.

თბილისის სასულიერო სემინარიაში სავალდებულო იყო რუსული და ქართული საეკლესიო გალობის შესწავლა. სტალინი შესანიშნავად გალობდა როგორც ქართულად, ასევე რუსულად და ამ ორ საგანში ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებდა. სემინარიის მგალობელთა გუნდის შედგენისას, მასწავლებლებმა საგანგებოდ შეამოწმეს მოწაფეების სმენა და ხმა, რის შემდეგაც გადაწყდა, რომ სტალინს სემინარიის მგალობელთა გუნდში მეორე ხმა უნდა ემღერა.

ბელადი სიცოცხლის ბოლო წლებამდე შესანიშნავად მღეროდა, განსაკუთრებით კი ორი სიმღერა უყვარდა: „ჰასანბეგურა" და „გაფრინდი, შავო მერცხალო".

სტალინი წერდა გაკრული, მაგრამ ადვილად წასაკითხი კალიგრაფიით. დღემდე შემორჩენილ მის ხელნაწერებში ვერ პოულობენ ვერც ერთ კორექტურას, სასვენი ნიშნებიც კი უშეცდომოდაა დასმული; უფრო მეტიც: იმ გაზეთებისთვის, რომლებიც არალეგალურად გამოდიოდა, ბელადი თავის საავტორო მასალას თვითონ აწყობდა სტამბაში; ასევე, საკუთარი ხელით აწყობდა პროკლამაციებისა და მოწოდებების ტექსტსაც. საგულისხმოა, რომ მის მიერ ანაწყობ ტექსტშიც ვერ ვხვდებით ვერც ერთ კორექტურულ შეცდომას. მაშინ, როცა არალეგალურად დაბეჭდილი გაზეთები და პროკლამაციები სავსეა შეცდომებით. რუსეთის ჟანდარმერია სტალინის პროკლამაციებს სწორედ ამით ცნობდა.

**ვახტანგ გურულის მასალების მიხედვით მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

## საღირაშვილი

**საღრიშვილების** ადრინდელი გვარი **საღირაშვილი** ყოფილა – ასე ჩაწერეს ამ გვარის წარმომადგენლები 1873 წლის აღწერამდე. **საღირა** საუკუნეების წინ მამაკაცის საკუთარ სახელად ფიქსირდება და ფართოდაც ყოფილა საქართველოში გავრცელებული. **საღირა საღირაშვილი** მოიხსენიება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ვაშლოვანში. **საღირა** ნასესხები და შემდგომში გავრცელებული სიტყვაა. გვარი **საღირაშვილი** ითარგმნება როგორც ყრუაშვილი. **საღირა** და გაბრიელ **საღირაშვილები** სოფელ ვაშლოვანში 1873 წლის აღწერისას არიან მოხსენიებულნი.

საქართველოში 170 **საღირაშვილი** ცხოვრობს: ქუთაისში – 70, ვანში – 44, თბილისში – 29. არიან სხვაგანაც.

## პაპელიშვილი

გვარის ფუძეა **პაპა**. ასევე, გვხვდება ამ სახელის ბევრი ვარიანტი: **პაპი, პაპო, პაპია, პეპია, პაპრუა, პაპალა, პაპალია, პაპანა, პაპელა, პაპოა, პაპუნა, პაპინა, პაპიტა, პაპუტა, პაპუფა, პაპუჩა, პაპუჩი, პაპუჩელა** და ასე შემდეგ.

ამ საკუთარი სახელებისგან წარმომდგარი გვარებია: **პაპალაშვილი, პაპანაშვილი, პაპავა, პაპავაძე, პაპასქირი, პაპასქუა, პაპაშვილი, პაპიძე, პაპიაშვილი, პაპუაშვილი, პაპალაშვილი, პაპელიშვილი, პაპინაშვილი, პაპიტაშვილი, პაპუკაშვილი, პაპულაშვილი, პაპუჩაშვილი** და სხვა.

**პაპაშვილიდან** მომდინარეობს გვარი გობრიშვილი.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, **პაპულაშვილები** არიან როგორც ქართველები, ასევე ამ გვარის მცირე ნაწილი ქართველი ებრაელია.

**პაპელიშვილები** ოდითგანვე იყვნენ ქართველი მართლმადიდებლები.

1685 წელს **პაპელაშვილები** როსტომ მეფემ ალხაზ მაჩაბელს უწყალობა, შემდეგ საბაწმინდის საყდრის „სადაყუდებელი შექმნილიყვნენ“. გიორგი მეფემ მათი წყალობა ისევ განუახლა ალხაზ მაჩაბელს.

1631 წელს სვერში **პაპელაშვილის** მამული როსტომ მეფემ მაჩაბელს უწყალობა.

საქართველოში 160 **პაპელიშვილი** ცხოვრობს: გორში – 88, თბილისში – 51, რუსთავში – 12. არიან სხვაგანაც.

## ბაგრატაშვილი-ბაგრატიშვილი

**ბაგრატი** ქართველ მეფეთა საგვარეულო სახელია, რომელიც, **ბაგრატიონთა** დინასტიის ფუძემდებელ **ბაგრატ** დიდისგან მოყოლებული, ბევრ მეფეს ერქვა. **ბაგრატი** სომეხ მეფეთა სახელიც გახლდათ. წარმოშობით ამ სახელს ძველ სპარსულს უკავშირებენ: **ბაგადათა** – „ღვთის ბოძებულს“, „ღვთის წყალობას“ ნიშნავს. არსებობს, ასევე, სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, **ბაგრატი** ქართული წარმოშობის სახელია.

პაატა **ბაგრატისშვილი** 1734 წლის სექტემბერს მოიხსენიება კიკულა ბაჯვაძის მიერ თავისი ბატონის, გიორგი **ბაგრატისშვილის** სახელზე გაცემული თავნასყიდობის წიგნში.

ზურაბა **ბაგრატიშვილი**, აზნაური, 1721 წლის აღწერით, ყაფლანიშვილების მემამულე იყო და ყმებიც ჰყავდა ქციაში. 1701-1711 წლებში ცხოვრობდა სოფელ დრიანეთში.

აღწერის მასალებში აზნაური გიორგი **ბაგრატიშვილი** მოიხსენიება სოფელ კოდაში 1823 წელს.

**ბაგრატაშვილები** იყვნენ ყმა გლეხები, **ბაგრატიშვილები** კი – აზნაურები.

საქართველოში 66 **ბაგრატაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 38, თელავში – 9, თეთრი წყაროში – 7. არიან სხვაგანაც.

41 – **ბაგრატიშვილი:** თბილისში – 24, გურჯაანში – 7, თელავში – 5. არიან სხვაგანაც.

## ბაჟიაშვილი

გვარის ფუძეა მეტსახელი **ბაჟია**.

გადმოცემით, გვარი **ბაჟიაშვილი** მიუღიათ




თავიანთი რძლის, გმირი ქალის – **ანა-ბაჟის** პატივსაცემად.

**ბაჟიაშვილები** სოფელ მუხათში მოიხსენიებიან 1847 წლის ერთ-ერთ კერძო სამართლებრივ აქტში. მათი გვარი ადრე ვარდუაშვილი ყოფილა, ხოლო 1840 წელს სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებას გვარის არქიტექტონიკა შეუცვლია. ამ პერიოდში გვარი ვართანაშვილი ქვემო ქართლის ბევრ სოფელში აქვს აღწერილი ვახუშტი კოტეტიშვილს.

საკუთარი სახელი ვარდუა გვხვდება ადრეული პერიოდის სამართლის ძეგლებში.

საქართველოში 104 **ბაჟიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 26, ბორჯომში – 5, გორში – 1. არიან სხვაგანაც.

## გურგენაშვილი-გურგენიშვილი-გურგენიძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გურგენი.** აქედანაა წარმოშობილი გვარები: **გურგენიძე, გურგენაძე, გურგენაშვილი, გურგენიშვილი.**

„თავადი **გურგენისძენი** ძველად იყვნენ თავადნი შილდისანნი, რომელნიცა ასწყდნენ და არვინლა დაშთა გვართა მათთაგანი, ხოლო უკანასკნელ მორდლის ძემან სოლომონ, რომელიც იყო აზნაურად ცალმოგად დიდად ემსახურა მეფესა ირაკლის. ოდეს ნადირშამ წაიყვანა მეფე ირაკლი ინდოეთსა შინა, თანა წარყვა მუნ სოლომონ და თავდადებითაც ემსახურა. ამისთვის მეფემან ირაკლიმ უბოძა თავადობა და უწოდა **გურგენისძეობა** და არიან ესენი წელსა 1744-სა წოდებულადვე თავადად, რომელნიც აწ მოსახლეობენ შილდასა შინა და იწოდებიან სოლომონის შვილებად თავადად **გურგენის** ძეებად ესენი და არიან სახლის კაცნი“.

**გურგენიძეები** სოფელ ასურეთში გადმოვიდნენ 1941 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ხოტევიდან.

საქართველოში 810 **გურგენაშვილი** ცხოვრობს: გორში – 324, თბილისში – 201, ყვარელში – 105. არიან სხვაგანაც.

481 – **გურგენიშვილი**.

5 110 – **გურგენიძე**.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**




## ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია

**ამზადებს სხვადასხვა პროფილის კადრებს:**

1. ტურიზმი, გიდი (I, II, III, IV საფეხური); 2. ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) (II, III, IV, V საფეხური); 3. კორესპონდენტი (III საფეხური); 4. მუსიკოს-რეპეტიტორი (V საფეხური).

**მიღების მოთხოვნები:**

ოთხივე სპეციალობისთვის აუცილებელია საბაზო, საშუალო ან არაფორმალური განათლების აღიარება, გასაუბრება უცხოურ ენაში; წინა საფეხურის დიპლომი; გიდისა და ინტერნეტტექნოლოგის IV და მუსიკოს-რეპეტიტორის V საფეხურზე ერთიანი ეროვნული გამოცდების სერტიფიკატი ზოგად უნარებში (2005 წლიდან დღემდე).

ყოველ საფეხურზე გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი.

სწავლა ახალი ნაკადისათვის დაიწყება ა/წ 4 თებერვალს.

**დირექტორი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი**

საბუთების მიღება ყოველდღე 10.00-17.00 საათამდე.

**საჭირო საბუთები:**

1. ატესტატი (დედანი); 2. ოთხი ფოტოსურათი 3/4; 3. პირადობის მოწმობა.

## თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი

*აცხადებს ლიცენზირებულ დაწესებულებებში 2010 წლის 1 სექტემბრამდე ჩარიცხულ პირთათვის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად მიღებას (მობილობის წესით), შემდეგ სპეციალობებზე:*

1. ფინანსები; 2. ტურიზმი; 3. ინგლისური ფილოლოგია; 4. სამართალმცოდნეობა;
5. ჟურნალისტიკა; 6. მასწავლებლის განათლება; 7. კომპიუტინგი (ინფორმატიკა).

**ორივე სასწავლებლის შესახებ ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა # 47. ტელ: 2-93-66-03; 599-18-89-24; 2-93-54-30; 2-99-96-26; 2-99-07-24.**

# როგორი მეუღლე ხართ?



*ოჯახურ ცხოვრებაში ადამიანები ძირითადად ერთნაირად იქცევიან და იყოფიან სამ ტიპად. თქვენ რომელ ტიპს მიეკუთვნებით? გულახდილად უპასუხეთ შეკითხვებს:*

**1. მეუღლე ხშირად ავადმყოფობს. წამლების დალევა კი მუდმივად ავიწყდება:**

ა) მობილურზე ვუყენებ საგანგებო ზარ-შეტყობინებას;

ბ) რეგულარულად ვახსენებ, რომ წამლის დალევა არ დაავიწყდეს;

გ) არაფერს ვაკეთებ, ეს მისი პრობლემაა.

**2. როგორც იქნა, დრო გამოგითავისუფლდათ. დაღლილი ხართ. როგორ გამოიყენებთ ამ დროს?**

ა) ყველა საშინაო საქმეს მოვამთავრებ;

ბ) სადმე გავისეირნებ;

გ) წამოვწვები დივანზე და კარგად დავისვენებ.

**3. საჭიროდ მიგაჩნიათ თუ არა მეუღლისთვის დაბადების დღეზე ძვირფასი საჩუქრის ყიდვა?**

ა) თუ მაქვს ფინანსური შესაძლებლობა, რატომაც არა?!

ბ) არა. არ არის საჭირო;

გ) მთავარია, საჩუქარი გულით იყოს მიძღვნილი – ეს მართლაც საჭიროა.

**4. როცა მეუღლეს მნიშვნელოვანი საქმე ან შეხვედრა აქვს, თქვენ...**

ა) მეც მობილიზებული და დაძაბული ვარ;

ბ) ვცდილობ, ხელი შევუწყო, რომ რამე პრობლემა არ შეექმნას;

გ) არაფერ განსაკუთრებულს არ ვაკეთებ.

**5. რას მიირთმევთ ოჯახში საღამოობით უფრო ხშირად:**

ა) გემრიელ ოჯახურ კერძებს;

ბ) ძირითადად ნახევარფაბრიკატებს;

გ) ჩაის ან ყავას და ორცხობილას.

**6. როგორი უნდა იყოს იდეალური მეუღლე?**

ა) მდიდარი შინაგანი სამყაროთი და გაგების უნარით;

ბ) სექსუალურად მიმზიდველი;

გ) მზრუნველი და მეოჯახე.

**7. ვინ იღებს თქვენს ოჯახში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს?**

ა) რა თქმა უნდა, მეუღლე. ასე უფრო მეადვილება;

ბ) მირჩევნია, პასუხისმგებლობა თავად ავიღო;

გ) ერთობლივად – ოჯახი ხომ ეს არის.

**8. მეუღლემ სოლიდური პრემია აიღო, როგორ დახარჯავთ?**

ა) სადმე დასასვენებლად წავალთ;

ბ) ორივეს გარდერობს განვაახლებთ;

გ) მისი პრემიაა და მანვე დახარჯოს.

**9. მეუღლე გამუდმებით ეძებს საკუთარ ნივთებს. მიგაჩნიათ, რომ...**

ა) ეს მისი პრობლემაა;

ბ) ვცდილობ, მოვეხმარო მოძებნაში;

გ) ვცდილობ, წესრიგს დავაჩვიო.

**10. ცუდად ხართ, მაგრამ, მეუღლე არ აპირებს მეგობართან ვიზიტის გადადებას:**

ა) წავიდეს და მალევე დავურეკავ. როცა ცუდად ვარ, მისი გვერდით ყოფნა მჭირდება;

ბ) წავიდეს, რა პრობლემაა, თვითონ მივხედავ თავს;

გ) მეწყინება, თუ წავა.

**ტესტის გასაღები**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 3 | 5 | 1 | 3 | 5 | 3 | 1 | 3 | 5 | 1 |
| ბ | 5 | 1 | 3 | 5 | 3 | 1 | 5 | 1 | 3 | 5 |
| გ | 1 | 3 | 5 | 1 | 1 | 5 | 3 | 5 | 1 | 3 |

**დაითვალეთ ქულები:**

*10-23 ქულა: მიგაჩნიათ, რომ თქვენი მისიაა, თავად გამოიყურებოდეთ კარგად. ზრუნავთ მხოლოდ საკუთარ თავზე. პრეტენზიულიც ხართ და მომთხოვნიც, თუმცა, მეუღლე მაინც კმაყოფილია თქვენით. როგორც ჩანს, უყვარხართ, მაგრამ, ზოგჯერ მაინც იზრუნეთ მასზე.*

*24-37 ქულა: თქვენს ოჯახში მკაცრი ბალანსია დაცული. ინტერესებიც – გამიჯნული. ზრუნავთ ერთმანეთზე. ორივემ იცით, რომ მარტო კი არ უნდა მოითხოვო, არამედ, უნდა გასცე კიდეც. ეს ბედნიერი ქორწინების გარანტია, ასე განაგრძეთ.*

*38-50 ქულა: მეოჯახე ხართ. გიყვართ სახლი და მყუდროება, მაგრამ, მეტისმეტსაც ნუ იზამთ. არ არის საჭირო ენის მოჩლექა და ყველაფრის პატიება. ორივე ზრდასრული ადამიანი ხართ და მეტი სერიოზულობით მოეკიდეთ საკუთარ ვალდებულებებს.*

## „ჭკვიანი" ჭიქები

*იქნებ, გგონიათ, რომ კონკრეტული სასმლისთვის სპეციალური ფორმის ჭიქები ახირების გამო მოიგონეს?! სულაც არა. ამა თუ იმ ფორმისა თუ ზომის ჭიქა სასმლის გემოსა და არომატის სრულად აღქმას უწყობს ხელს.*



* შამპანურის ფუჟერი საგანგებოდ არის ვიწრო და მაღალი. ასეთი ფორმა იმის გარანტიას იძლევა, რომ ქაფი დიდხანს არ გაიშლება და გაზის ბუშტუკებიც დასხმისთანავე არ გაქრება.

* ბოკალი წითელი ღვინისთვის ფორმით ბიდონს ჰგავს, ან – ფართოპირიან კასრს, რაც საშუალებას იძლევა, სასმლის გემო და არომატი სრულად „გაიხსნას".

* თეთრი ღვინის ბოკალი ზომით უფრო პატარაა, ვიდრე ბოკალი წითელი ღვინისთვის, თან, ნაკლებად „ღიპიანიც". ბოლომდე მისი შევსება არ შეიძლება – ის მხოლოდ ერთი მესამედით უნდა შეავსოთ, რათა ნელ-ნელა სმის დროს ღვინო არ გათბეს.

* ბოკალი „მარტინისთვის" – თავდაპირველად ამ სასმელს ყინულის გარეშე მიირთმევდნენ. ერთი შეხედვით ბოკალის მოუხერხებელი ფორმა – სამკუთხედი, სასმელს ხელისგულებში გათბობისგან იცავს, თანაც, ზეთისხილი მასში ძალიან ლამაზად დაცურავს.

* ბოკალი კონიაკისთვის აუცილებლად დაბალი, პატარა ფეხზე შემდგარი და მუცელგამობერილი უნდა იყოს. ასეთი ფორმის წყალობით, სასმელი სწრაფად გათბება და სასიამოვნო არომატს გამოსცემს. გინდა თუ არ გინდა, ამ ფორმის ბოკალი ხელისგულში უნდა მოიქციო. კონიაკის ჩვეულებრივ ჭიქაში ჩამოსხმა ლამის დანაშაულია.

* ბოკალს ლიქიორისთვის – ტიტას ფორმა აქვს. გამოიყენება ლიქიორზე დამზადებული კოქტეილებისთვისაც.

## დრო ყველაფერს ცვლის!

ტანკს დიდი ისტორია აქვს. მისი წინაპარი ჯერ კიდევ 1485 წელს იშვა, ავტორი კი დიდი ლეონარდო და ვინჩი გახლდათ. სწორედ და ვინჩიმ შექმნა პირველი ხის ტანკის ნახაზები. მისი ეკიპაჟი 8 ადამიანისგან უნდა შემდგარიყო, შიგნით კი ქვემეხი იდგებოდა. ვენეციის დოჟმა ტანკი კი ააგო, მაგრამ, არაფერში გამოუყენებია და გამოგონება მალე მიივიწყეს.

1916 წელს ინგლისში შეიქმნა ფოლადის ტანკი – „მ1". ის ჯავშნოსანი იყო რვაკაციანი ეკიპაჟით. ჰქონდა ორი 57-კალიბრიანი ქვემეხი და 4 ტყვიამფრქვევი.

1940 წელს საბჭოთა კავშირმა შექმნა ფოლადის ტანკი – „ტ34" ოთხკაციანი ეკიპაჟით, 76-მილიმეტრიანი ქვემეხითა და ორი ტყვიამფრქვევით.

2012 წელი – ამერიკის „უკანასკნელი პირმშო" – „აბრამსი", კომბინირებული ჯავშნით. გათვლილია 4-კაციან ეკიპაჟზე. აქვს ერთი 105-მილიმეტრიანი ქვემეხი და 2 ტყვიამფრქვევი.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# ორმაგი აფერა

## აგათა კრისტი



სანამ საუბარს დაიწყებდა, ქალიშვილმა რამდენჯერმე ამოიოხრა და უხერხულად ჩაახველა, თან შესამჩნევად გაწითლდა. მისტერ პარკერ პაინი მოთმინებით ელოდა, როდის ამოიღებდა ხმას მისი კლიენტი.

– იმედი მაქვს, ჩვენი საუბრის შესახებ ვერავინ გაიგებს. ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

– დიახ, მის, რა თქმა უნდა. ეს ჩემი ვალია.

– მისის... მე გათხოვლი ვარ და პრობლემაც ამაშია. იმის წარმოდგენაც არ მინდა, რომ ჩემი ქმარი ამ ყველაფრის შესახებ გაიგებს. დავიღუპები. წინდაუხედაობა გამოვიჩინე – მისგან დაფარულად კაზინოში ვითამაშე. ჯერალდს სძულს აზარტული თამაშები. სულ ცოტა იღბალი და ყველაფერი შესანიშნავად იქნებოდა, მაგრამ... მოკლედ, ვალები დამედო. რა უნდა მექნა? – ქალიშვილი გაჩუმდა, – არც კი ვიცი, ყველაფერი უნდა გითხრათ თუ არა...

– თუ არ მეტყვით, ვერ დაგეხმარებით. საიდუმლოს შენახვა ვიცი, ეს ჩემი პროფესიაა – გაამხნევა პაინმა.

– კარგი, – ქალიშვილმა მოსასხამის ჯიბიდან ხავერდის ძვირფასი ფუტლარი ამოიღო და გახსნა. ბრილიანტის ბრწყინვალებამ თვალი მოსჭრა დეტექტივს. მან ბეჭედი ფუტლარიდან ამოიღო და სინათლესთან ახლოს მიიტანა.

– შესანიშნავია, არაჩვეულებრივი! მისი ღირებულება რამდენიმე ათასი ფუნტია. იშვიათია ასეთი სუფთა ბრილიანტი.

– მართალი ბრძანდებით. ამიტომაც გავბედე და მოვიპარე, მერე კი დავაგირავე. მის ჭეშმარიტ პატრონს კი ყალბი ბრილიანტი – მისი ზუსტი ასლი გავუგზავნე. ადრე თუ გვიან, ჩემი მეგობარი ამ სიყალბეს აუცილებლად შეამჩნევს, მე კი ელენ დორტგეიმერის დაკარგვა არ მინდა. თანაც ის მაშინვე მიხვდება, რომ ეს მე გავაკეთე და აბსოლუტურად ყველა ნაცნობს მოუყვება. არ მინდა, ოჯახი დამენგრეს.

– რანაირად მიხვდება, რომ თქვენ შეუცვალეთ ბრილიანტი?

– მე ბონდ-სტრიტზე ვცხოვრობ. მისი იუველირიც იქ არის. მთხოვა, თვალი ცოტათი მოძრაობს და იქნებ გაამაგრებინოო. ახლა რა უნდა ვქნა? ვალები უკვე გავისტუმრე – სრულიად მოულოდნელად ბიძა გარდამეცვალა და მემკვიდრეობა დამიტოვა.

– მივხვდი: გინდათ, რომ ბეჭედი დააბრუნოთ, თანაც შეუმჩნევლად. ხომ მართალია?

– დიახ, მაგრამ, ამას ვერ შევძლებ, გამორიცხულია.

– არც ისე რთული იქნება ყალბი ბრილიანტის ორიგინალით შეცვლა. მით უმეტეს, თუ მეგობრობთ.

– არა, არა, არა! – ჯიუტად გააქნია თავი ქალიშვილმა – მისტერ პაინ, მე გადაგიხდით, კარგად გადაგიხდით. დამაბრუნებინეთ ბრილიანტი!

– კარგი, კარგი. ვიფიქროთ. თქვენ რამე გეგმა გაქვთ?

– ორ დღეში დორტგეიმერებთან მეჯლისია. მე ვერ მივდივარ – ჩემს ქმარს არ უყვარს მეჯლისები. ვიცი, რომ მოცეკვავეებს ეძებდნენ.

– ძალიან კარგი. იქნებ, ისიც მითხრათ, სად არის დორტგეიმერების სახლში სინათლის ამომრთველი?

– მგონი, პირველ სართულზე, ჰოლში გასასვლელთან. ერთხელ როგორღაც შევნიშნე.

– ძალიან კარგი. ბეჭედს უკვე დამიტოვებთ?

ქალიშვილი შეცბუნდა.

– ხომ არ გეწყინებათ, თუ ზეგ დილამდე ჩემთან დავიტოვებ? რატომღაც მგონია, რომ ჩემთან უფრო უსაფრთხოდ იქნება.

პარკერმა თავი დაუქნია.

... ელენ დორტგეიმერი მაშინვე მოხიბლა მოცეკვავის აღნაგობამ და ქათქათა, მომაჯადოებელმა ღიმილმა. ამიტომ, გამოწვევასაც დაუფიქრებლად დასთანხმდა. მამაკაცის ძლიერ მკლავს ბოლომდე მიენდო... მისი ნატიფი, არისტოკრატული თითები რომლებსაც ბრილიანტის ბრწყინვალება ჰფენდა სხივებს, მორჩილად მინებდა მოცეკვავის მბრძანებლურ ხელისგულს. მერე უცებ სინათლე გამოირთო, მაგრამ, ელენი ამას არ შეუშფოთებია, პირიქით, ესიამოვნა კიდეც. თითქოს წაიფორხილა და კაცს მხარზე მიეყრდნო...

– ბეჭედი დაგივარდათ, მისის, – ალერსიანად წასჩურჩულა მან. სინათლე აინთო და ბრილიანტმაც გაიბრწყინა. ელენმა თითი მორჩილად გაუწოდა და მოცეკვავემაც ბეჭედი წამოაცვა...

პარკერმა სიამოვნებით მოიფშვნიტა ხელები:

– როგორც ვხვდები, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, – გაუღიმა ქალიშვილმა, – ბეჭედი შეცვალეთ?

– დიახ, ჩემმა ასისტენტმა საქმეს თავი კარგად გაართვა. აი გამომართვით – პაინმა ქალიშვილს ფუტლარი გაუწოდა.

– ო, როგორი მადლობელი ვარ!.. რამდენი უნდა გადაგიხადოთ?

პაინმა ჩეკი გაუწოდა.

– მხოლოდ თექვსმეტი ფუნტი და თერთმეტი შილინგი?

– სულ ეს არის?

– დიახ, მისის ნაომი, ეს არის ის ხარჯები, რომლებიც კომპანიამ ამ საქმეში გასწია.

– კი მაგრამ, თქვენი ჰონორარი?

– ჰონორარი არ მინდა.

ქალიშვილი შეიჭმუხნა.

– არ გინდათ? ეს რას ნიშნავს?

– ფუტლარი გახსენით, მისის ნაომი. შიგნით ზუსტად ის ბეჭედი დევს, რომელიც პირველი ვიზიტისას მაჩვენეთ და არა ის, რომელიც მერე მომიტანეთ, – პაინმა დაჟინებული მზერა მიაპყრო ქალიშვილს, რომელიც ჯერ გაწითლდა, მერე კი ცარცივით გათეთრდა.

– რაო?! რისი თქმა გინდათ ამით? – წამოიყვირა და წამოხტა.

– დაბრძანდით ნაომი, თქვენ ჭკვიანი ქალიშვილი ბრძანდებით და ზუსტად ამოირჩიეთ ადამიანი, რომელიც თქვენი გენიალური ჩანაფიქრის, უფრო სწორად – აფერის განხორციელებაში შეგიწყობდათ ხელს. დიახ, დიახ, თქვენ არც გათხოვილი ბრძანდებით და არც არანაირი ვალები არ გქონიათ. ზოგადად, მომწონს ჭკვიანი და მოხერხებული ქალები, მაგრამ, საკუთარი რეპუტაცია ძალიან ძვირად მიღირს. არა, არა, ნუ გამაჩერებთ. თქვენ იმ ქალბატონთან მოახლედ მუშაობდით. მიხვდით, რომ ერთი ბრილიანტი მთელ თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლიდა. მთავარი ისეთი გეგმის მოფიქრება იყო, რომელიც მიზნამდეც მიგაღწევინებდათ და თქვენზეც არავინ მიიტანდა ეჭვს. ჩემ შესახებ საჭირო ინფორმაცია შეკრიბეთ, მშვენიერი სცენარი დაწერეთ და ხელსაყრელ მომენტს დაელოდეთ. მალე თქვენს ქალბატონს მოეჩვენა, რომ ბეჭდის თვალი ოდნავ მოძრაობდა და იუველირთან თქვენ გაგატანათ. როგორ იქცევით თქვენ? – ჯერ მოდიხართ ჩემთან და მაჩვენებთ ნამდვილ ბრილიანტს და თან გულისამაჩუყებელ ამბავს მიყვებით. მერე იუველირთან მიდიხართ და ყალბ ბრილიანტს უკვეთავთ, ხოლო ნამდვილს ქალბატონს უბრუნებთ. დანარჩენი უკვე ჩემზეა. ყალბი კი არ უნდა შევცვალოთ ნამდვილით, არამედ, პირიქით – ნამდვილი ყალბით და ამ დავალებას პირნათლად ვასრულებ. მაგრამ, ძვირფასო, მე ხომ პარკერ პაინი ვარ და ყველაფერს მივხვდი: ეს ის ყალბი ბრილიანტია, რომელიც წვეულების დილას მომიტანეთ და მე ჩემს დამხმარეს მივეცი. ცეკვისას მას უნდა შეეცვალა ბეჭდები, მაგრამ, ეს არ გააკეთა – ჩემი მითითებით, რა თქმა უნდა: ხომ გითხარით, ჩემი რეპუტაცია ძვირად მიღირს-მეთქი. წაიღეთ თქვენი ყალბი ბრილიანტი, მისის; საკმაოდ კარგი ნამუშევარია, ნებისმიერს შეიყვანს შეცდომაში, ოღონდ, მე არა – სიყალბეს პირველივე წუთიდან ვცნობ. ადრე თუ გვიან ქალბატონი სიყალბეს აღმოაჩენდა და გაახსენდებოდა წვეულებაზე თავაზიანი, მომხიბლავი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც თითიდან მომძვრალი ბრილიანტი მიაწოდა. ხოლო იმის დადგენას, რომ ეს კაცი ჩემთან კავშირშია, დიდი დრო სულაც არ სჭირდება...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძემ**

## ძველით ახალი წელი კოჯრის ტყეში

14 იანვარს, კოჯრის ტყეში, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სხვადასხვა სახლის აღსაზრდელებისთვის კომპანიამ – „მედჯგუფი საქართველომ" და მოზარდმაყურებელთა თეატრის მსახიობებმა დაუვიწყარი საახალწლო სპექტაკლი წარმოადგინეს. ტყის დევმა, ოჩოპინტრემ და ქართული ზღაპრების უამრავმა გმირმა ბავშვები გაამხიარულეს და გემრიელი საახალწლო ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ. ტკბილეული კი დავოსის მერმა, ჰანს პეტერ მიხელმა შვეიცარიიდან გამოუგზავნა ქართველ ბავშვებს. ჰანს პეტერი საქართველოში სულ ცოტა ხნის წინ იმყოფებოდა კოჯრისა და დავოსის ტყეების დამეგობრების მიზნით. კომპანიის წარმომადგენლები გვპირდებიან, რომ კოჯრის ულამაზეს ტყე-პარკში მსგავსი ღონისძიებები ხშირად გაიმართება და იქ შეკრებილი დამსვენებლები დროს არაჩვეულებრივად გაატარებენ.



# მგლები 5

## უკანასკნელი ქურდი



**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №26-3(629)**

მიღება „ალფა TV-ს” საპრეზენტაციო დარბაზში გაიმართა, სადაც უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. იქ იყვნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, სხვადასხვა ტელევიზიის ხელმძღვანელები, კინოსა და შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები. დარბაზში ლამაზ კოსტიუმებში გამოწყობილი ოფიციანტები მიმოდიოდნენ და სტუმრებს გამაგრილებელ და ალკოჰოლურ სასმელებს სთავაზობდნენ. კუთხეში მოწყობილ სცენაზე ანსამბლი იჯდა, რომელიც მსუბუქი ჯაზით ართობდა საზოგადოებას. სასიამოვნო გარემოს ოდნავ არღვევდა ათამდე ჟურნალისტი და ოპერატორი, რომლებიც დარბაზში სწრაფად მოძრაობდნენ, ინტერვიუებს იღებდნენ.

კაცუბა და გუსმანი, შეთანხმებისამებრ ერთად მივიდნენ პრეზენტაციაზე. ისინი დარბაზში გამოჩენისთანავე აღმოჩნდნენ ჟურნალისტების გარემოცვაში.

– კარგი, კარგი, თქვენთვისაც მოვიცლი, მაგრამ, მოცდა მოგიწევთ. ჯერჯერობით სერგეით შეიქციეთ თავი... – გუსმანმა ჩვეული ღიმილი მოირგო სახეზე, იქვე მდგარ ოფიციანტის სინიდან შამპანურით სავსე ბოკალი აიღო და მიღების ორგანიზატორებს მიაშურა.

ჟურნალისტები მაშინვე გარს შემოეხვივნენ კაცუბას და კითხვები დააყარეს.

– ყველას ერთად ვერ გიპასუხებთ, რიგრიგობით დამისვით კითხვები, – უთხრა მათ კაცუბამ.

– არსებობს ინფორმაცია თქვენი და სტეფანე გუსმანის დაპირისპირების შესახებ. რას იტყვით ამის შესახებ? – ჰკითხა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა.

– დაპირისპირების?! – გაიკვირვა სერგეიმ, – უცნაურია... მე რატომ არაფერი ვიცი ამის შესახებ?

– ესე იგი არ ადასტურებთ თქვენ შორის რაიმე სახის უთანხმოების არსებობას? – განაგრძო ჟურნალისტმა.

– რა თქმა უნდა, არა, – მშვიდად უპასუხა კაცუბამ, – სადმე გინახავთ, რომ ორი დაპირისპირებული ადამიანი ერთად მისულიყო მიღებაზე?

– პრეზენტაციაზე ერთად გამოჩენით უფრო გააძლიერეთ ჩვენი ეჭვი! – შენიშნა ჟურნალისტმა.

– მე მგონია, მკითხველებს ფაქტები უფრო აინტერესებთ, ვიდრე თქვენი ეჭვები, – კაცუბა მეორე ჟურნალისტს მიუბრუნდა, – გისმენთ.

– თქვენ ასევე უარყოფთ თქვენზე მომხდარ თავდასხმასა და დაჭრას? – ჰკითხა მან.

– რა სისულელეა! – აღშფოთდა კაცუბა, – მე არავისზე მაღლა არ ვაყენებ თავს, მაგრამ, შეგახსენებთ, რომ საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი ვარ და, რიგითი მოქალაქისგან განსხვავებით, ვსარგებლობ პირადი დაცვით. გარდა ამისა, შეგახსენებთ, რომ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და არა ტომში და, თავდასხმისას რომ დავჭრილიყავი, ამას თქვენგან კი არა, შინაგან საქმეთა პრესცენტრის განცხადებიდან შეიტყობდა ჩვენი მოსახლეობა!

– სტეფანე გუსმანის პირადი მცველების დაღუპვის შესახებ რას გვეტყვით? – სწრაფად ჩაურთო მესამე ჟურნალისტმა.

– ამის შესახებ შეგიძლიათ ბატონ გუსმანს ჰკითხოთ, – პირდაპირ პასუხს გაერიდა კაცუბა.

– მაგრამ, თქვენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობას კურირებთ. გამორიცხულია, რომ ზუსტი ინფორმაცია არ გაგაჩნდეთ ამ ფაქტის შესახებ! – არ მოეშვა ჟურნალისტი.

– თქვენ სწორად შენიშნეთ, მე შინაგან საქმეთა სამინისტროს კურატორი ვარ და არა პრესცენტრის წარმომადგენელი!

– ამით იმის თქმა გინდათ, რომ გუსმანის მცველები დაიღუპნენ, მაგრამ, ამ ფაქტის შესახებ არ გსურთ საუბარი? – ჩაეძია ჟურნალისტი.

– არა, მე იმის თქმა მინდა, ასეთი ფაქტი რომ მომხდარიყო, შესაბამის განცხადებას შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი გააკეთებდა. და თუ განცხადება არ გაკეთებულა, გამოდის, რომ ასეთი შემთხვევაც არ მომხდარა! – თქვა კაცუბამ და ჟურნალისტს ზურგი შეაქცია.

– ქართველ კრიმინალურ ავტორიტეტზე, გეგეშიძეზე რას გვეტყვით? – დაადევნა ჟურნალისტმა.

– ვისზე?! – მძიმედ მიუბრუნდა კაცუბა.

– ლუკა გეგეშიძეზე... ქართველ კანონიერ ქურდზე, რომელიც ეგრეთ წოდებულ „ხარკოვის დაჯგუფებას” ხელმძღვანელობს!

– როგორც ჩემთვის ცნობილია, ეს პიროვნება რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, – უპასუხა კაცუბამ.

– ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური პოზიციაა?

– თავისთავად.

კაცუბას პასუხმა ჟურნალისტების საერთო ღიმილი გამოიწვია.

– დროდადრო მეჩვენება, რომ ჩვენ სხვადასხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ, – ირონიით ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, – არავისთვის არ არის დაფარული, რომ გეგეშიძე ცოცხალია, უფრო მეტიც. ის აქტიურად იყო ჩართული „ნორდსტრიმის“ აქციების გასხვისების პროცესში.

– იქნებ, ისიც მითხრათ, საიდან გაქვთ ასეთი ინფორმაცია? – ჰკითხა კაცუბამ.

– მე არ ვარ ვალდებული, გავამჟღავნო ჩემი ინფორმაციის წყარო, მაგრამ, დახურულ სასამართლო პროცესზე სიამოვნებით დაგისახელებთ მას! – ხმა გაიმკაცრა ჟურნალისტმა.

– თქვენგან განსხვავებით, მე არ ვარ შეზღუდული და სასამართლოს გარეშე დაგისახელებთ ჩემი ინფორმაციის წყაროს, – სწრაფად თქვა კაცუბამ, – შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია გეგეშიძის დოსიე და მასში შავით თეთრზე წერია, რომ ის რამდენიმე წლის წინ დაიღუპა. სხვათა შორის, იმავე მოსაზრებებით რუსეთის პროკურატურამაც მოგვაბეზრა თავი. რუსი სამართალდამცველები დაჟინებით გვიმტკიცებენ, რომ ჩვენ თავშესაფარს ვაძლევთ გეგეშიძეს. ასე რომ, ახლა მე გკითხავთ: ვის დავალებას ასრულებთ, როდესაც გეგეშიძეზე იწყებთ საუბარს?

– ძალიან მარტივად წარმოგიდგენიათ პასუხისთვის თავის არიდება. დღეს მართლაც ახერხებთ ამას, მაგრამ, ამ საკითხზე ჩვენ უკვე ვაწარმოებთ ჟურნალისტურ გამოძიებას. როგორ მოიქცევით მაშინ, როდესაც კონკრეტული ფაქტებით დაგიწყებთ საუბარს?! მაშინაც შინაგან




საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ ყალბ დოსიეზე მიმითითებთ?! – ირონიით თქვა ჟურნალისტმა.

– გამოიძიეთ... იქნებ, მაშინ მაინც დარწმუნდეთ თქვენი მოსაზრების აბსურდულობაში, – უპასუხა კაცუბამ, მერე კი ზურგი შეაქცია ჟურნალისტებს და გუსმანს მიაშურა, რომელიც დარბაზის საპირისპირო მხარეს იმყოფებოდა.

– გამოგწურეს? – მიახლოებისთანავე ჰკითხა მან.

– ლიმონივით, – უხალისოდ უპასუხა კაცუბამ, – აბეზარი და თავხედი პუბლიკაა. ყველაფერზე წავლენ, ოღონდ რაიმე სკანდალური გამოჩხრიკონ და, თუ ვერ გამოჩხრიკეს – შეთხზავენ.

– ცოტაც მოითმინე და... – გუსმანმა სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო. სწორედ ამ დროს გვერდით მიმავალმა ქალმა შემთხვევით გაჰკრა ხელი.

– ფრთხილად!.. – უკმაყოფილოდ შესძახა სტეფანემ და ხელის მტევანი მოისინჯა, რომელიც ქალმა მსხვილთვლიანი ბეჭდით ოდნავ გაუკაწრა.

– მაპატიეთ, – მოიბოდიშა ქალმა, მერე ბეჭედი თითიდან მოიძრო, ხელჩანთაში შეინახა და სწრაფად გაეცალა.

– ვინაა? ადრე არასოდეს მინახავს? – გუსმანმა მზერა გააყოლა ქალს.

– წარმოდგენა არ მაქვს, – მხრები აიჩეჩა კაცუბამ, – ალბათ, აქაური თანამშრომელია.

ათიოდ წუთში გუსმანს განაკაწრი უჩვეულოდ აეწვა. ამასთან ერთად, შუბლზე ოფლის მსხვილმა წვეთებმა გამოჟონა. გაუხშირდა სუნთქვაც.

– ცუდად ხომ არ ხარ? – კაცუბამ ყურადღებით შეათვალიერა თანამოსაუბრე.

– საშინლად ცხელა, – ყრუდ ჩაილაპარაკა გუსმანმა და შუბლზე მომდგარი ოფლი ცხვირსახოცით შეიმშრალა.

– რამე ცივი დალიე, – შესთავაზა კაცუბამ.

– არა... არ მინდა... ჰაერზე გავალ, – თქვა გუსმანმა და გასასვლელისკენ წავიდა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ გუსმანი შედგა და მარჯვენა ხელი მკერდზე მიიჭირა. შემდეგ მოულოდნელად შებარბაცდა და წონასწორობის შესანარჩუნებლად გვერდით მდგომ ქალს ჩააფრინდა მხარში.

– რა გემართებათ? – დაბნეული სახით ჰკითხა ქალმა.

– ჰაერი... ჰაერი არ მყოფნის... – გაჭირვებით ჩაიხიხინა გუსმანმა, შემდეგ კი უეცრად მოეშვა და მძიმედ დაასკდა იატაკს.

* * *

შინაგან საქმეთა მინისტრმა ყურადღებით წაიკითხა სამედიცინო ექსპერტის დასკვნა და ზიბკოს მიუბრუნდა, რომელიც მოთმინებით ელოდა.

– და, რა გინდათ, ამით მითხრათ?

– თქვენ გუსმანის გარდაცვალების ზუსტი მიზეზი გაინტერესებდათ, – უპასუხა ზიბკომ.

– აქ წერია, რომ ის ინფარქტით გარდაიცვალა.

– სამწუხაროდ, არავინ ვართ ამისგან დაზღვეული. ბოლო დრო ძალიან დაძაბული გამოდგა მისთვის, – ამოიოხრა ზიბკომ, – ველარ გაუძლო.

– მე ერთ ადამიანს შეგახსენებ, რომელმაც ასევე „ველარ გაუძლო"! – მკაცრად თქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

– ვის გულისხმობთ?

– ტურჩენკოს...

– ხარკოვის ოლქის მილიციის ხელმძღვანელს?



– სწორედ მას... ამ ორის სიკვდილი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს. თავის დროზე ტურჩენკოც დაუპირისპირდა ჩვენს საერთო ნაცნობს – მას გეგეშიძის ხარკოვის ოლქიდან გაძევება სურდა. ამისთვის ჩამოვიდა კიევში. როგორც ჩემთვის ცნობილია, ტურჩენკო პროკურატურისთვის გარკვეული მონაცემების გადაცემას აპირებდა. ეს მონაცემები მთავრობის რამდენიმე წევრს უკავშირდებოდა, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ გეგეშიძესთან და მის დაჯგუფებასთან. მაგრამ, მან პროკურატურამდე ვერ მიაღწია – გზაში გარდაიცვალა. ამასთან, უკვალოდ გაქრა ხსენებული მასალებიც. მოგვიანებით ჩატარებულმა ექსპერტიზამ კი სიკვდილის მიზეზად ინფარქტი დაასახელა!

– თქვენ ფიქრობთ, რომ...

– კი არ ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს მკვლელობა იყო და ის გეგეშიძის მიერ იყო ორგანიზებული! – თქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

– არა მგონია, რომ გეგეშიძეს ასეთი ტიპის პრეპარატებზე მიუწვდებოდეს ხელი, – ჩაილაპარაკა ზიბკომ.

– მე კი მგონია, რომ ამ სამყაროში არაფერი არსებობს, რაზეც მას ხელი არ მიუწვდება! – ბრაზით შენიშნა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

– მაგრამ, საქმე მხოლოდ პრეპარატის მოპოვება არ არის, საჭიროა მისი ორგანიზმში მოხვედრაც. არა მგონია, რომ გუსმანს გეგეშიძისთვის მიახლოებისა და ინიექციის გაკეთების შესაძლებლობა მიეცა, – უპასუხა ზიბკომ, – თანაც, ის მიღებაზე იმყოფებოდა!

– სწორედ ეს გარემოება ადასტურებს, რომ მკვლელობა გეგეშიძის მიერაა ორგანიზებული. ეს გამოწვევაა. ეს პიროვნება არასოდეს ირჩევს იოლ გზას. გუსმანი სხვა ვითარებაში რომ დაღუპულიყო, შესაძლოა, მეფიქრა, რომ გეგეშიძეს არაფერი აკავშირებდა თავდასხმასთან – სტეფანეს მის გარეშეც ბევრი მტერი ჰყავდა. „ნორდსტრიმის" საქმემ კი მთელი რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურთან დააპირისპირა. მაგრამ, ასეთი დემონსტრაციული მკვლელობა გეგეშიძის სტილია. ეს უბრალოდ მკვლელობა არ არის, ესაა გაფრთხილება!.. მე კარგად ვიცნობ მის დოსიეს. თბილისში მან საიქიოში გაისტუმრა მოწმე, რომელსაც მის წინააღმდეგ უნდა მიეცა ჩვენება. იმ ადამიანს სასამართლოს წინ დემონსტრაციულად დაახალეს ტყვია! ახლა გაიხსენე „ეფესბეს" პოლკოვნიკის, რიჟკოვის მკვლელობა, რომელშიც რუსული მხარე გეგეშიძეს ადანაშაულებს. რიჟკოვი ასევე დემონსტრაციულად, რუსეთის პროკურატურის წინ მოკლეს. გესმის, რაზეა საუბარი?! რიჟკოვს მოსკოვის ცენტრში, ასობით თვითმხილველის თვალწინ, კეფაში დაახალეს ტყვია. შენ კი მიმტკიცებ, რომ გეგეშიძე ტელევიზიის პრეზენტაციაზე ვერ მოახერხებდა ამას!

– მაგრამ, ის იქ არ ყოფილა!

– კაცუბაზე რა აზრისა ხარ, ის ხომ გეგეშიძის ყურმოჭრილი მონაა?! დარწმუნებული ვარ, უარს ვერ შებედავდა. თანაც, მას მართლაც ექნებოდა სასმელში რაიმე პრეპარატის შერევის საშუალება, – ივარაუდა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

– გამორიცხულია, – თავი გაიქნია ზიბკომ, – თავად გეგეშიძე არ მოინდომებდა კაცუბას ასეთ საქმეში გამოყენებას – ის ხომ საშიშ მოწმედ იქცეოდა. გარდა ამისა, კაცუბაც ვერ გაბედავდა გუსმანის მოკვლას, რადგან, ამით საკუთარ თავსაც გამოუტანდა განაჩენს – ასეთი საქმის შემდეგ გეგეშიძე აღარ აცოცხლებდა.

– კარგი... ვთქვათ, კაცუბას არაფერი აკავშირებს მკვლელობასთან, მაგრამ, ამით არაფერი იცვლება. უბრალოდ, იქ იყო პიროვნება, რომლის შესახებაც ჩვენ არაფერი ვიცით.

– თავად კაცუბა რას ამბობს მომხდარის შესახებ? – ჰკითხა ზიბკომ.

– არაფერს, – უპასუხა შინაგან საქმეთა მინისტრმა, – რაიმე განსაკუთრებული ან უჩვეულო არაფერი შეუმჩნევია. მისი თქმით, გუსმანი მოულოდნელად გახდა ცუდად და დარბაზიდან გასვლა მოინდომა. ამ დროს წაიქცა და გარდაიცვალა.

– რა გადაწყვიტეთ? გეგეშიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს აღძრავთ?

შინაგან საქმეთა მინისტრი წამით ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

– ამ მასალებით საქმის აღძვრა შეუძლებელია და ეს არც შედის ჩვენს ინტერესებში. ასეთ შემთხვევაში, იმის აღიარება მოგვიწევს, რომ კიევი მართლაც მფარველობდა გეგეშიძეს. მაგრამ, ამ საქმის ასე დატოვებაც არ შეიძლება. ეს არნახული თავხედობაა. გეგეშიძემ ნათლად გვაგრძნობინა, რომ ის შეჩერებას არ აპირებს და ჩვენთვის მოცემული პირობა მისთვის მხოლოდ ჰაერია, მეტი არაფერი! – თქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

– როგორ აპირებთ ამას? – ჰკითხა ზიბკომ.

– გეგეშიძეს მხოლოდ მისივე მეთოდებით თუ შევაჩერებთ! – მზერა გაისწორა შინაგან საქმეთა მინისტრმა, – ამას პირადად შევათანხმებ ზემოთ!

– მე კი მგონია, რომ არ ღირს ამის გაკეთება. შეიძლება, უცნაურად მოგეჩვენოთ, რასაც ახლა გეტყვით, მაგრამ, ეს მართლაც ასეა... – ზიბკომ პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა – გეგეშიძემ კიდევ ერთხელ გაგვიწია სამსახური!

– რაა?! – გაოცებული მზერა მიაპყრო, შინაგან საქმეთა მინისტრმა, – გუსმანის მკვლელობა ჩვენთვის გაწეულ სამსახურად მიგაჩნია?!

– რა თქმა უნდა... ეს ყველასთვის მომგებიანი იყო. გუსმანი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გასულიყო საქმიდან. ჟურნალისტები ისედაც ცდილობენ მისი და კაცუბას დაპირისპირების მიზეზების გარკვევას. ასეთ ვითარებაში, გუსმანის თანამდებობიდან გადადგომა თავისთავად გააძლიერებდა არასასურველ მითქმა-მოთქმას. თანაც, ჩვენ არ ვიცით, რას მოიმოქმედებდა გუს-

მანი ერთი, სამი ან ექვსი თვის შემდეგ. მე კარგად ვიცნობდი მას და ვიცი, რომ ის შურისმაძიებელი ადამიანი იყო. მისი ამჟამინდელი მოდრეკა მხოლოდ დროებითი უკანდახევა იყო. დარწმუნებული ვარ, ის ძალას მოიკრებდა და მოულოდნელ დარტყმას მოგვაყენებდა. ყოველ შემთხვევაში, გეგეშიძისთვის სამაგიეროს გადახდას მაინც შეეცდებოდა. მერე, რა მოჰყვებოდა ამას? რა და, გეგეშიძის ამოქმედება და, სხვათა შორის, ჩვენ პირობა მივეცით, რომ გუსმანი მას არ შეეხებოდა. ასეთ ვითარებაში ჩვენ, უბრალოდ, იძულებული გავხდებოდით, შეგვეჩერებინა სტეფანე... რა მივიღეთ ახლა? – გუსმანი ყველას თვალწინ გარდაიცვალა. ექსპერტიზა უჩვენებს, რომ ამის მიზეზი იყო ინფარქტი. მისი ასაკის ადამიანისთვის ეს სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა. ჩვენ აღარ მოგვიწევს მისი თანამდებობიდან გადაყენება, ამით კი თავიდან ავიცილებთ არასასურველ მითქმა-მოთქმას და აბეზარი ჟურნალისტების მიერ ამ ჭუჭყიანი თეთრეულის ქექვას. თანაც გუსმანის დაღუპვას ვერავინ დაუკავშირებს გეგეშიძესა და „ნორდსტრიმის“ საქმეს.

– საინტერესო მოსაზრებაა, – ჩაფიქრდა შინაგან საქმეთა მინისტრი, – მაგრამ, საქმე მხოლოდ გუსმანსა და „ნორდსტრიმის“ ისტორიას არ ეხება. უბრალოდ, გეგეშიძე არ შეჩერდება. მომავალში ჩვენ მაინც მოგვიწევს მისი საკითხის მოგვარება.

– შეჩერდება! – უყოყმანოდ უპასუხა ზიბკომ.

– რატომ ხარ ასე დარწმუნებული?

– მე პირადად შევხვდი მას და დარწმუნებული ვარ, რომ ის გონიერი და საღად მოაზროვნე ადამიანია. მისი დოსიეს შესწავლით კი ერთი დასკვნა გამოვიტანე: გეგეშიძეს მხოლოდ ერთი რამ სურს – სიმშვიდე!.. მას უნდა, რომ ყველამ მიივიწყოს მისი არსებობა! ამიტომაც არავის ტოვებს ცოცხალს, ვისაც შავი სამყაროსთვის მისი სახელის შეხსენება შეუძლია! დარწმუნებული ვარ, რომ გუსმანი უკანასკნელი იყო მის სიაში. მას აღარ აქვს ვინმეზე თავდასხმის მიზეზი. მალიშევი და კლიმოვი დაიღუპნენ; პრაქტიკულად დაიშალა „კრემატიკის საძმო“ – კრიმინალური დაჯგუფება, რომელმაც თქვენც მრავალჯერ გაგიჩინათ თავსატეხი. გეგეშიძე შესანიშნავად ხვდება, იმავეს თუ განაგრძობს, თავისთავად დადგება მისი ლიკვიდაციის საკითხი. ის არ წავა ამაზე, რადგანაც, მასთან ერთად განადგურდება „ვერშინაც“, ის კი განსაკუთრებით უფრთხილდება ამ კომპანიას.

– ესე იგი, შენ მირჩევ, რომ ყველაფერი დავივიწყოთ და გეგეშიძე დაუსჯელი დავტოვოთ? – ჰკითხა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

– დიახ... – თავი დაუქნია ზიბკომ, – დაივიწყეთ ყველაფერი და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თუ ვინმემ არ აიძულა, ის აღარასოდეს შეგახსენებთ თავს!.. როგორც წესი, ის მხოლოდ მაშინ იწყებდა სისხლისღვრას, როდესაც არჩევანს აღარ უტოვებდნენ. ასე იყო ახლაც. „ნორდსტრიმის“ საქმეში კატალიზატორის როლი შეასრულა. ყურადღება მიაქციეთ რამდენიმე გარემოებას: რუსეთის „ეფესბეს“ გეგეშიძის თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენების გიჟური იდეა გაუჩნდა. რა მოჰყვა ამას? – დაიღუპნენ მალიშევი და კლიმოვი. მართალია, პირადად გეგეშიძეს არც ერთი მათგანი არ მოუკლავს, იმ ნაძირლებმა ერთმანეთი ამოხოცეს, მაგრამ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ასე რომც არ მომხდარიყო, გეგეშიძე მაინც არ აცოცხლებდა მათ. თუმცა, ამასთან ერთად, ის კლიმოვის შეგონებას ცდილობდა – სურდა, დაერწმუნებინა, რომ თავი დაენებებინა „ნორდსტრიმის“ საქმისთვის!.. იგივე შეცდომა გაიმეორა გუსმანმაც – მან გეგეშიძის მართვა სცადა. ეს კი შეუძლებელია, რადგან ის არავის მისცემს ამის საშუალებას. სწორედ ესაა მისი დაღუპვის მიზეზი. ამიტომაც გირჩევთ, ნუ გაიმეორებთ მის შეცდომას. ვინ მოგცემთ გარანტიას, რომ მასზე თავდასხმა წარმატებული იქნება?.. ჩვენ კი კარგად ვიცით, რით პასუხობს ეს პიროვნება მასზე თავდასხმის მოსურნეს!

– მაშინებ?! – მოიღრუბლა შინაგან საქმეთა მინისტრი.

– არა... უბრალოდ, არ მინდა თქვენ იქცეთ იმ დაპირისპირების მიზეზად, რომელსაც მრავალი ადამიანის, მათ შორის, ჩვენი დაღუპვაც შეუძლია!.. მერწმუნეთ, გეგეშიძეს აღარ აქვს ვინმესთან დაპირისპირების მიზეზი. მან ყველაფერი მიიღო, რაც სურდა: მალიშევი მკვდარია, მკვდარია კლიმოვიც და მათ გზას გაუდგა გუსმანიც. ამ მხრიდან გეგეშიძეს საფრთხე აღარ ემუქრება. ამასთან ერთად მან მიიღო იმ აქციათა პაკეტი, რომელიც „ნორდსტრიმის“ საქმეში ჩართვის სანაცვლოდ აღუთქვეს... ყოველივე ამის შემდეგ ის მშვიდად დაუბრუნდება თავის სამალავს და აღარასოდეს შეგვახსენებს თავს!.. მე არ ვიცი, რას გადაწყვეტთ თქვენ, მაგრამ, გაფრთხილებთ: ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ არ დავუშვა გეგეშიძის წინააღმდეგ თქვენი ამოქმედება!

– შენ გინდა თქვა, რომ ზემოთ შეათანხმებ ამას?

– შევეცდები, – უპასუხა ზიბკომ.

შინაგან საქმეთა მინისტრი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

– კეთილი, სცადე... არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. ყოველ შემთხვევაში, გეგეშიძემ თუ იგივე განაგრძო, ჩემ მიმართ არავის ექნება პრეტენზია..

* * *

გენერალური პროკურორი მანქანიდან გადავიდა, პროკურატურის მთავარ შესასვლელს მიაშურა და სწორედ ამ დროს შენიშნა შუა ხნის მამაკაცი, რომელიც მისკენ მოდიოდა. პროკურორს ნაცნობად მოეჩვენა მისი სახე, ამიტომ, შეჩერდა და ყურადღებით დააკვირდა. მისდა გასაოცრად ის ყოფილი განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი იგორ რიბკინი აღმოჩნდა, რომელსაც რუსი სამართალდამცველები უშედეგოდ ეძებდნენ.

ამასობაში რიბკინი მის პირისპირ შედგა და მიესალმა:

– გამარჯობა, კონსტანტინ მიხაილოვიჩ!..

– საიდან გაჩნდი აქ? – გაოცებით ჰკითხა პროკურორმა.

– ყველაფერს აგიხსნით. მე სწორედ თქვენთან შესახვედრად მოვედი.

– ახლა თათბირზე მელიან. ახსნა-განმარტებას სამსახურის უფროსს მისცემ და ის მომახსენებს, – უპასუხა პროკურორმა და გზის გაგრძელება სცადა, მაგრამ რიბკინმა ამის შესაძლებლობა არ მისცა – ის სწრაფად გადაუდგა წინ და ლაპარაკი განაგრძო:

– არ შემიძლია, კონსტანტინ მიხაილოვიჩ, თქვენ გარდა ვერავის ვენდობი. არა მგონია, სამსახურის უფროსთან საუბრის შემდეგ თქვენთან შეხვედრის შესაძლებლობა მომეცეს!

– რატომ? – გაუკვირდა პროკურორს.

– რამდენიმე გავლენიანი თანამდებობის პირი არასდროს დაუშვებს ამას!

– თქვენ რაიმე საფრთხე გემუქრებათ?

– დიახ, – უყოყმანოდ დაუდასტურა რიბკინმა, – აქ ყოფნითაც დიდ რისკზე მივდივარ!

– რას უკავშირდება ეს საშიშროება? – ჰკითხა პროკურორმა.

რიბკინმა ჩანთა უჩვენა, რომელიც მხარზე ჰქონდა ჩამოკიდებული.

– იმ მასალებს, რომლებიც ამ ჩანთაშია!

პროკურორი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ გადაწყვიტა:

– კეთილი, გამომყევით...

პროკურორი მოხერხებულად მოეწყო სავარძელში და რიბკინს ანიშნა, დაჯექიო. გამომძიებელმა სწრაფად შეასრულა განკარგულება – მაგიდას მიუჯდა და ჩანთა გახსნა, რომელშიც ნოუთბუქი და საშუალო ზომის საქაღალდე აღმოჩნდა.

– ეს ჟურნალისტ გრომოვის ნოუთბუქია, – წამოიწყო რიბკინმა, – ის სწორედ ამ ნოუთბუქის გამო მოკლეს.

– რა მასალებია მაგ კომპიუტერში? – ჰკითხა პროკურორმა.

– აქაა კრიმინალურ სამყაროში მოქმედი აგენტურის დოსიეები. ამ მასალების გაჟონვაში პროკურატურა მე მადანაშაულებს. მაგრამ, გარწმუნებთ, რომ მე არაფერი მაკავშირებს ამ მასალების გაჟონვასთან. ეს მხოლოდ ჩემ წინააღმდეგ მოწყობილი პროვოკაცია იყო, რის დამტკიცებასაც ვაპირებ, – უპასუხა რიბკინმა.

– ჩემთვის ცნობილია, რომ დოსიეების გაჟონვასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული!

– დიახ, საქმე აღძრულია, – დაუდასტურა რიბკინმა, – მაგრამ, რეალურად ძიება მხოლოდ ერთი მიმართულებით მუშაობს – ის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რეალური დამნაშავე არ დასახელდეს!

– მაგალითად ვინ? – ჰკითხა პროკურორმა.

– სამსახური, რომელმაც დაგეგმა და განახორციელა დოსიეების გაჟონვა და ჟურნალისტ გრომოვის მკვლელობა!

– სამსახურმა?! – გაოცებული მზერა მიაპყრო პროკურორმა.

– დიახ, სამსახურმა, – თავი დაუქნია რიბკინმა, – ძიება ცდილობს, დაამტკიცოს, რომ მე და გრომოვი უკრაინაში მცხოვრებ ქართველ



კანონიერ ქურდთან, ლუკა გეგეშიძესთან შეთანხმებით ვმოქმედებდით და სწორედ მას გადავეცით დოსიეები. რეალობა კი ისაა, რომ გეგეშიძეს არაფერი აკავშირებს ამ დოსიეებთან.

– თქვენი ვერსიით, რომელმა სამსახურმა განახორციელა ეს პროვოკაცია?

– „ეფესბემ"! – სწრაფად უპასუხა რიბკინმა, – მე შემიძლია უშუალოდ ორგანიზატორის ვინაობის დასახელებაც... აწ გარდაცვლილი პოლკოვნიკი მალიშევი, რომელიც უკრაინის მოქალაქემ, ვინმე ლეონიდ კლიმოვმა მოკლა!

– მოკლა?! – ეჭვით თქვა პროკურორმა, – რაღაც გეშლებათ. მალიშევი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მე თავად ვესწრებოდი მის დაკრძალვას!

– ეს „ეფესბეს" მორიგი ავანტიურაა, – ამ სიტყვებთან ერთად რიბკინმა მაგიდაზე „ფლეშკა" დადო, – აქ მალიშევის მკვლელობის დამადასტურებელი მონაცემებია!

პროკურორმა ჩაფიქრებულმა გახედა გამომძიებელს, შემდეგ კი კომპიუტერი ჩართო და შიგ „ფლეშკა" ჩადო...

„ფლეშკაში" ტიხონოვის დაკვეთით გაკეთებული ჩანაწერი იყო შენახული. მასზე აღბეჭდილი იყო კლიმის მკვლელობის დეტალები. უშუალოდ მკვლელობამდე კი კლიმოვი და მერკულოვი მალიშევის შესახებ საუბრობდნენ. კლიმოვი დაუფარავად აცხადებდა, რომ მან მოკლა მალიშევი, რომელიც შემდეგ მისმა მცველებმა იქვე, ტყეში დამარხეს. რამდენიმე ფოტოსურათზე კი უშუალოდ მისი საფლავი იყო აღბეჭდილი.

– გასაგებია – პროკურორმა უკმაყოფილო იერით შეაჩერა ჩანაწერი, – კეთილი... ვთქვათ, გენდე და დავიჯერე, რომ მალიშევი მართლაც კლიმოვმა მოკლა და ტყეში დამარხა. მაგრამ, სასამართლო ასეთ ჩანაწერს ნივთმტკიცებად არ მიიღებს და მეც და შენც ბრიყვების მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

– ეს ჩანაწერი სისხლის სამართლის საქმეს აღძვრის მიზეზად გამოდგება. შემდგომ კი ძიება დაამტკიცებს, რომ მალიშევი ავტოკატასტროფაში არ დაღუპულა, – სწრაფად უპასუხა რიბკინმა.

– როგორ? – ჰკითხა პროკურორმა.

– ძალიან მარტივად. ჩემთვის ცნობილია, სადაც მდებარეობს კლიმოვის აგარაკი. მაქვს საფლავის ფოტოსურათებიც. მალიშევის ცხედარი იმ საფლავიდან რამდენიმე დღის შემდეგ ამოიღეს, ეს სრულიად საკმარისია მიწიდან ბიოლოგიური ნიმუშების ასაღებად. ექსპერტიზა ძალიან მარტივად დაასკვნის, რომ მალიშევი სწორედ კლიმოვის აგარაკის სიახლოვეს ჩამარხეს. ასეთი დასკვნა კი სხვა ღირებულებას შესძენს ამ ჩანაწერს!

პროკურორი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ თქვა:

– რას მიაღწევ ამით?.. ვთქვათ, შენ დაამტკიცე, რომ მალიშევი სრულიად სხვა ვითარებაში დაიღუპა. სიმართლე რომ გითხრა, ამაში ვერაფერს ვხედავ განსაკუთრებულს. „ეფესბე" სპეცსამსახურია, ანუ, ესაა ორგანიზაცია, რომელიც ვერ ეტევა კანონმდებლობის ჩარჩოებში. ის ძალიან მარტივად ახსნის მალიშევის ავტოკატასტროფაში დაღუპულად გამოცხადების მიზეზს. მაგალითად, ისინი განაცხადებენ, რომ ოპერატიული საჭიროებიდან გამომდინარე მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება, რათა ხელი არ შეშლოდა რომელიმე ოპერაციას, რომელიც სახელმწიფოს ინტერესების დაცვას ისახავდა მიზნად!... მოკლედ, მიმიხვდი, რისი თქმაც მინდა?

– მესმის... მაგრამ, რომელ სახელმწიფო ინტერესს ემსახურებოდა ჟურნალისტ გრომოვის მკვლელობა?! – ჰკითხა რიბკინმა.



– შენ სწორედ ასე ესაუბრებოდი საგამოძიებო სამსახურის ყოფილ ხელმძღვანელს – კრილოვს?

– დიახ.

– და ამას მოჰყვა თქვენი დაპირისპირება? – განაგრძო პროკურორმა.

– დიახ!

– მაშინ, შენ ჟურნალისტებისთვის მასალების გადაცემით დაემუქრე!... როგორ მოიქცევი ახლა?! რას იზამ თუ მეც შეჩერება გირჩიე? ისევ ჟურნალისტებს მიმართავ დახმარებისთვის?! – პროკურორი გამომცდელად ჩააცქერდა სახეში.

– არა მგონია, ეს შევძლო. თუ თქვენ – „ეფესბეს" მოკავშირე ხართ და მასთან შეთანხმებით მოქმედებთ, მაშინ მე ამ შენობიდან გასვლას ველარ მოვახერხებ! – გულწრფელად უპასუხა რიბკინმა, – თქვენ ჩემი უკანასკნელი იმედი ხართ. მე საკუთარ თავზე გამოვცადე, რასაც წარმოადგენს სახელმწიფო მანქანა და ისიც კარგად ვიცი, რომ „ეფესბესთვის" რთული არ იქნება ჩემნაირი ადამიანის გასრესა!

– მაგრამ, შენ მაინც გაბედე აქ მოსვლა! – შენიშნა პროკურორმა.

– კრილოვის თანამდებობიდან გათავისუფლებამ მიმახვედრა, რომ თქვენ „ეფესბეს" მითითებით არ მოქმედებდით. „ეფესბე" ყველაფერს გააკეთებდა ამ ისტორიის გახმაურების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ, თქვენ სწორედ დოსიეების გაჟონვის მოტივით გაათავისუფლეთ კრილოვი!

– სხვათა შორის, თანამდებობიდან გათავისუფლებამდე კრილოვმა ბევრი რამ მიამბო თავისი და „ეფესბეს" ურთიერთობის დეტალებზე, – თქვა პროკურორმა.

– არა მგონია სიმართლე ეთქვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ მას სახლში კი არა, საგამოძიებო იზოლატორში გაგზავნიდით! – შენიშნა რიბკინმა.

– იზოლატორში გაგზავნა მისი ნაამბობის შემდეგაც შემეძლო, მაგრამ, მაინც გავითვალისწინე „ეფესბეს" ფაქტორი. კრილოვი „ეფესბესთან" ფარული თანამშრომლობისთვის არ დასჯილა. ის იმისთვის დაისაჯა, რომ ჩემს ზურგსუკან აკეთებდა ამას!

– როგორ აგიხსნათ კრილოვმა დოსიეების გრომოვთან აღმოჩენის ფაქტი? – ჰკითხა რიბკინმა.

– ამას მნიშვნელობა არა აქვს. შენ თვითონ როგორ ამიხსნი ამას? – ჰკითხა პროკურორმა.

– ჯერჯერობით ამის ახსნა არ შემიძლია. იმედი მაქვს, რომ ყველა გარემოება ძიებისას გაირკვევა. მთავარ კითხვაზე კი კრილოვს მოუწევს პასუხის გაცემა.

– ვერსიაც არ გაქვს?

– მაქვს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ვერსია არ არის, ესაა რეალობა, რომელიც დოკუმენტურად უნდა დადასტურდეს... – რიბკინმა პაუზა გააკეთა და შემდეგ განაგრძო – ჩემი და კრილოვის უთანხმოება მკვლელობაში ეჭვმიტანილის გვამის განადგურებას მოჰყვა. ჩემთვის აუხსნელი მიზეზების გამო, კრილოვმა ამ ფაქტის მიმართ მოკვლევის დაწყებაზე უარი მითხრა. არადა, მხოლოდ გვამის ექსპერტიზით იყო შესაძლებელი გეგეშიძის იდენტიფიკაცია. როდესაც პროტესტი განვაცხადე, კრილოვი საქმის ჩამორთმევით დამემუქრა. ამის პასუხად განვუცხადე, რომ ჩემს ხელთ არსებულ მონაცემებს ჟურნალისტებს გადავცემდი...

– პირადად მე რატომ არ მომმართე? – შეაწყვეტინა პროკურორმა.

– მარტივი მიზეზის გამო: მიმაჩნდა, რომ კრილოვი თქვენს დავალებას ასრულებდა, – გულწრფელად უპასუხა რიბკინმა.

– ჩემს დავალებას?! – გაუკვირდა პროკურორს, – შენ გგონია, რომ მე კანონდარღვევისკენ ვუბიძგებდი კრილოვს?!

– მე სრულიად სხვაგვარად აღვიქვამდი მოვლენებს. მეგონა, რომ გეგეშიძის მიმართ ძიების შეჩერება მხოლოდ ერთი სურვილით იყო ნაკარნახევი: მთავრობაში, უფრო კი „ეფესბეში," ვიღაცას ძალიან არ სურდა მასთან და აფხაზეთის საქმეებთან რიჟკოვის სახელის დაკავშირება. ასეთ შემთხვევაში, ჩემთვის იოლი წარმოსადგენი იყო სქემა, რომლითაც მოქმედებდა კრილოვი. –„ეფესბემ" ექსპერტიზაზე წარდგენილი გვამის განადგურებაზე იზრუნა. ამასთან ერთად, დაგიკავშირდნენ თქვენ და ძიების შეწყვეტა გთხოვეს, შესაძლოა, იმ პირობითაც, რომ „ეფესბეს" პოლკოვნიკის დაღუპვის გარემოებებს თავად გაარკვევდნენ. თქვენ კი არ მოისურვეთ სპეცსამსახურის საქმიანობაში ჩარევა და კრილოვს შესაბამისი განკარგულება მიეცით.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## ვასიკო ინაურის მოსაგონარი



ხუთი წელი შესრულდა იმ საშინელი, ტრაგიკული დღიდან, როდესაც შენ სამუდამოდ დაგვტოვე და სამარადჟამოდ შეუერთდი ზეციურ სავანეს. ისევ ძალიან გვიყვარხარ, ძალიან გვენატრები. შენი გარდაცვალება ჩვენი შეუხორცებელი ჭრილობაა. ვერა და ვერ შევეგუეთ იმ აზრს, რომ ველარასოდეს ვიხილავთ შენს კეთილ, სითბოთი აღსავსე თვალებს. მხოლოდ ის გვანუგეშებს, რომ უფალთან ხარ – ღმერთსაც ხომ რჩეულები უყვარს.

**შენი დედ-მამა, დები და დისშვილები**

**გასული წლის ბოლოსთვის საქართველოში სრულიად ახალი სატელევიზიო რეალობა მივიღეთ: არხებმა ფორმატები შეიცვალეს, ზოგი თანამშრომლების გარეშე დარჩა, ზოგიერთმა თვითონ დააცარიელა ტელევიზიის დერეფნები. არხები რეანიმაციის პერიოდს გადიან. „მაესტრო" ახალ სიხშირეზე ახალ არხს გვთავაზობს, სადაც ორ გადაცემაზე ნანიკო ხაზარაძე იმუშავებს. მისი „უმუშევრობის" პერიოდი სულ რამდენიმე დღე გაგრძელდა და ძალიან მალე ჩვეული ენერგიით დაუბრუნდება ეკრანს. ნანიკო და ნიკა ლომიძე მონატრებული წყვილია, რომელიც ყველას უყვარდა.**

# როდის იყო ნანიკო ხაზარაძე ტანჯვა-წამებაში და რა ოცნებები აუხდა მას ერთდროულად

**ნანიკო ხაზარაძე**: „ცეკვავენ ვარსკვლავების" რეპეტიციაზე ვიყავი, ვიტანჯებოდი, ჩემი გასაჭირი მქონდა, როცა ჩვენი გადაცემის პროდიუსერმა დამირეკა და მითხრა, შეგიძლია, სამსახურში აღარ მოხვიდეო. იმ წამს ვერ მოვასწარი იმის გაანალიზება, თუ რა მოხდა, ჩვეულებრივად განვაგრძე ვარჯიში და, ერთ ათ-თხუთმეტ წუთში გავაცნობიერე, რომ, მორჩა, სამსახური აღარ მაქვს. ცხადია, რეპეტიციიდან ეგრევე გამოვვარდი, ერთმანეთს შევხვდით ყველანი და იქაც ვერ მივხვდით, რეალურად რა მოხდა ჩვენს თავს. ვიცინეთ, ყავა დავლიეთ, სხვა თემებზე ვილაპარაკეთ და დავიშალეთ. პარასკევი იყო, შაბათ-კვირას ისედაც ვისვენებდი, აი, უკვე ორშაბათს კი მთელი სიცხადით მოვიდა ეს ინფორმაცია ჩემს გონებამდე და მივხვდი, აღარ დამრჩა აღარაფერი – სტაბილურობა, სიმშვიდე, ხელფასი, საქმე რომელიც მიყვარდა... საიდან დავიწყო, არც ვიცი. „იმედზე" მუშაობას ძალიან ბევრი პლუსი ჰქონდა.

– **არ აგიხსნეს მიზეზი?**

– მოგვიანებით დაგვიბარეს, რომელ შეხვედრაზეც, სამწუხაროდ, ვერ მივედი – იმ დღეს, თუ არ ვცდები, ვცეკვავდი. გვითხრეს, რომ პირადად თქვენი საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, დიდ ბოდიშს გიხდით, უბრალოდ, რომ დაგტოვოთ, ფიზიკურად ხელფასს ვერ გადაგიხდითო. ანუ, ფინანსები იყო ერთადერთი პრობლემა. პირველი ხმაური ჩვენი გადაცემის დახურვას მოჰყვა – ყოველდღიური „ლაივი" გვქონდა და ამიტომ. ბევრი გადაცემა წინსწრებით იყო ჩაწერილი და ნელნელა ყველა გაქრა ეთერიდან.



მე და ნიკა მივედით და მამუკამ მითხრა, მხოლოდ „შუადღე" არა, სოციალური თოქ-შოუც გააკეთეო. ასე დავიწყე „მაესტროში" მუშაობა

– **როგორც ამბობენ, ძალიან სევდიანი სიცარიელეა მთელ ტელევიზიაში.**

– ახლა ისე აღარ, მაგრამ, სულ ცოტა ხნის წინ მკვდარ ქალაქს ჰგავდა. რადიო „იმედში" დღემდე ვარ, რომელსაც ტელევიზიასთან საერთო ბუფეტი აქვს. პირველი რამდენიმე დღე ძალიან ცუდ ხასიათზე ვდგებოდი გამოკეტილი, ჩაბნელებული ოთახების დანახვაზე: არც ერთი თანამშრომელი; ვინც დარჩენილი იყო ისინიც – გაურკვევლობაში... ახლა, რაღა დაგიმალოთ, დიდი ხანია, არ ვყოფილვარ და არ ვიცი, რა სიტუაციაა.

– **და თავი მიეცი დეპრესიას...**

– არა, არა! ჯერ „ცეკვავენ ვარსკვლავები" იყო, მთელ ტანჯვა-წამებაში ვიყავი და ამაზე ფიქრისთვის არ მეცალა. იმასაც რომ გამოვეთიშე, ერთი-ორი დღე სახლში ვიჯექი და დამირეკა მამუკა ღლონტმა და სულ სხვადასხვა თემაზე მელაპარაკებოდა. პერიოდულად ვიწყებდი წუწუნს – რა გახდა, ერთი ვაკანსია როგორ არ გაქვს ჩემთვის-მეთქი. როგორ არ მაქვს, ბუფეტს ვხსნი და კარგი მზარეული მჭირდება, დამლაგებელიც მინდაო. საუბრის ბოლოს კი მეუბნება, მინდა, რომ შენ და ნიკა დაბრუნდეთო. გვიანი იყო, მაგრამ, სასწრაფოდ ნიკას გადავურეკე, მერე დედაჩემს დავურეკე, რომ ემოციები გამეზიარებინა. მე და ნიკა მივედით და მამუკამ გვითხრა, მხოლოდ „შუადღე" არა, სოციალური თოქ-შოუც გააკეთეო. ასე დავიწყე „მაესტროში" მუშაობა.

– **კონკრეტულად რას გააკეთებ?**

– „შუადღეს" სტანდარტული ფორმატი ექნება, ახალ ველოსიპედს არ გამოვიგონებთ. ორი წამყვანი ვიქნებით და დანარჩენს სიურპრიზად დავტოვებ. რაც შეეხება მეორე პროექტს, ის შეეხება ყველაფერს – იქნება სოციალური თემებიც, ყვითელი თემებიც... ანუ, „ნანიკოს შოუს" იდენტური. ამდაგვარი თოქ-შოუ მას შემდეგ არ გაკეთებულა. გადაცემა იქნება უფრო თემის, ვიდრე ადამიანის გარშემო. ჩემი მიმართულება არ იქნება, რომ შევძვრე სტუმრის გარდერობში და ძალიან პირადი რაღაცეები გავიგო. უფრო იქნება თემა და მოვლენა, მაგრამ, არ გამოვრიცხავ, რომ ოდესმე ადამიანზეც იყოს.

– **მახსოვს, „ნანიკოს შოუზე" ძალიან გწყდებოდა გული, ყოველთვის გენატრებოდა.**

– ასეა. რაღაც, ისე მოხდა, რომ ბევრი ოცნება ერთად ამისრულდა: სულ ვამბობდი, რომ „მაესტრო" იყო ჩემი ყველაზე კომფორტული სამსახური და – დავბრუნდი; ვამბობდი, „ნანიკოს შოუზე" გული ძალიან მწყდება მეთქი და ვაკეთებ... ნატურალური ტყავის შარვალი მინდოდა 13 წლის შემდეგ და – ისიც ვიყიდე *(იცინის).*

– **როგორ გრძნობ თავს „მაესტროზე"?**

– გადასარევად. ბირთვი იგივე მუშაობს, საინფორმაციოს გუნდს, პოლიტიკურ თემებზე მომუშავე ადამიანებს თუ არ ჩავთვლით. ტელეკომპანია უფრო დიდ შენობაშია, გრანდიოზული და ძალიან კარგი სტუდიებით. საოცარი სტუდია გვექნება, რომელზეც „რუმსმა" იმუშავა. ისე მომეწონა, გავგიჟდი. თვითონ თანამშრომლებს შორის დამოკიდებულებაც მაგარია. იმ დღეს, მივედი და, უცებ უზარმაზარი ტორტი შემოაქანეს. რა ხდება ვინმეს დაბადების დღეა-მეთქი? არაო. ცოტა ხანში საუკეთესო თანამშრომელი დაასახელეს და 5 000 ლარით დააჯილდოეს. რა მოხდება, რომ ეს ყველგან ხდებოდეს?! როგორი მოტივაციაა, წარმოიდგინე! ხომ ძალიან ბევრს გააკეთებ იმისთვის, რომ შემდეგზე ის საუკეთესო შენ იყო?! ისეთი სენტიმენტები მომაწვა... თან, საინტერესოა, რომ ბონუს-სისტემა აქვთ: რაც მეტი აქვს გადაცემას რეიტინგი, მასზე მომუშავე ადამიანების ხელფასებიც იმატებს. ჯანსაღი ურთიერთობები აქვთ, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია... და, კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ძალიან გამიადვილებს ამ არხზე მუშაობას: როდესაც მივედი, დავიწყე უკვე ნაჩვევი ბიუ-

**წინასწარ ვერ ილაპარაკებ იმაზე რა მომავალი აქვს ამა თუ იმ ურთიერთობას. ახლა უბრალოდ, ერთმანეთი მოგვწონს – სულ ესაა**

როკრატიული საფეხურებით მოქმედება, სუბორდინაციის დაცვა, აქ კი სრული თავისუფლება დამხვდა – არ უნდა დაწერო განცხადება რაიმეს მოთხოვნით, რომელზეც ორასმა კაცმა ხელი უნდა მოგიწეროს, კანცელარიებში არ უნდა ირბინო და ასე შემდეგ. არ არის კაბალური კონტრაქტი, სადაც წერია, რომ სამი წელი ვერსად წახვალ, ან თუ წახვალ, ორმოცდაათი ათასს გადაიხდი...

– **„ფეისბუქის" შენს გვერდზე გამოჩნდა სიახლე – ურთიერთობაშია გიორგი კეკელიძესთან... რა ხდება რეალურად? ამან ძალიან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქალაქში.**

– „ფეისბუქის" „რილეიშენშიპის" გაფორმებიდან იმდენი წერილი მოდის, ვერ აგიწერ. მწერენ მისი თაყვანისმცემლები: მისთვის არ მემეტები, რა ხერხები გამოიყენე მის „შესაბმელადო". მოკლედ, საშინლად მლანძღავენ. რეალურად კი, როგორც გიორგიმ თქვა, სპონტანური ურთიერთობა გვაქვს. ერთმანეთი საჯარო ბიბლიოთეკაში გავიცანით, მერე მოგვეწონა და ჯერჯერობით მოწონების ეტაპზე ვართ. ახლა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პატარა პრობლემები აქვს – კენჭი ჰქონდა და ლაზერული ოპერაცია გაიკეთა. ერთ კვირაში გავიგებთ, დაიშალა თუ არა. საშინლად ვინერვიულე. ორი კვირის წინ პირველი ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ, არ დაიძინა, ტკივილს ვერ გაუძლო და კენჭი ბოლომდე ვერ დაშალეს. ახლა კი დაიძინა.

– **შეიძლება, ეს ურთიერთობა სპონტანურობიდან სერიოზულ სიღრმეებში გადავიდეს?**

– არ ვიცი, წინასწარ ასეთ რაღაცეებზე ვერაფერს ვიტყვი. ახლა, უბრალოდ, ერთმანეთი მოგვწონს – სულ ესაა.

**სალომე გველესიანი**


## პრაქტიკული განათლების ცენტრი

გთავაზობთ მოსამზადებელ კურსს ეროვნული გამოცდებისთვის XII-კლასელებს ყველა საგანში და ოქტომბრის სასკოლო გამოცდებისთვის XI-კლასელებს (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და გეოგრაფია).

სასწავლო ჯგუფები შედგება 8-12 მსმენელისგან. სასწავლო პროცესი დაიწყება სკოლის გაკვეთილების შემდეგ. გაკვეთილის ხანგრძლივობა – 1 საათი და 30 წუთი.

სწავლა დაიწყება თებერვალში.

ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება – თვეში 30 ლარი.

სასკოლო გამოცდებისთვის მომზადება – თვეში 20 ლარი.

საატესტატო გამოცდებისთვის მომზადება შეწყდება ივნისის ბოლოს და სექტემბერში ჩატარდება სავარჯიშო ტესტირება 4-ჯერ, ტესტების გარჩევით.

***გაკვეთილები ჩატარდება მეტრო „მარჯანიშვილთან", უზნაძის ქუჩა №23-ში, სკოლაში.***

**Email: praqtikuliganatleba@yahoo.com**

**ტელ: 2 308-728, 599 74-94-25, 591 31-32-40.**

# როგორ გახდა მარიამ ალექსიძე პირველი ქართველი ქალი ქორეოგრაფი და რა ინციდენტი შეემთხვა მამამისს ცნობილ ქორეოგრაფს გიორგი ალექსიძეს მოსკოვში

***მარიამ ალექსიძე პირველი ქართველი ქალი-ქორეოგრაფია... იგი განაგრძობს სახელგანთქმული მამის, გოგი ალექსიძის შემოქმედებით გზას, რომელმაც ბევრი შედევრი შექმნა და სპექტაკლები დაუდგა ისეთ სახელგანთქმულ ბალეტის ვარსკვლავებს, როგორებიც იყვნენ: მიხეილ ბარიშნიკოვი, ნატალია მაკაროვა (რომელიც წელს ბარაკ ობამამ დააჯილდოვა ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის)...***

**მარიამ ალექსიძე**: ირმა ნიორაძემ მამას შესთავაზა, ჯორჯ ბალანჩინის 100 წლის საიუბილეო თარიღისთვის „საფირონი" დაედგა (რომლის დადგმაც ჯორჯ ბალანჩინს ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ, ვერ განახორციელა)... მამამ მენდელსონის „სავიოლინო კონცერტი" აარჩია და ბალანჩინის სტილში, ნეოკლასიკური, თეთრი ბალეტი დადგა – საფირონისფერი კოსტიუმებით... ირმა ნიორაძე მთავარ პარტიას ასრულებდა. პრემიერა მოსკოვში დაიგეგმა, ახალ თეატრში... მაგრამ, გენერალური რეპეტიციის შემდეგ მოსკოვში ინციდენტი მოხდა და მამა პრემიერას ვერ დაესწრო. დეტალები არ ვიცით, მაგრამ, ქუჩაში მას თავს დაესხნენ, რის შემდეგაც ჯამრთელობა ძალიან შეერყა და მხოლოდ ოთხი წელი იცოცხლა. მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად ოპერაციები სჭირდებოდა, შემოქმედებით მოღვაწეობას მაინც განაგრძობდა. ინციდენტის შემდეგ პირველი სპექტაკლი ტაშკენტში დადგა. ეს სპექტაკლი მისთვის ახალი ცხოვრების დასაწყისი იყო... სარეპეტიციო დარბაზში, თურმე, მოხუცი ადამიანივით ჯოხზე დაყრდნობილი შედიოდა, მაგრამ, მუშაობას რომ იწყებდა, ჯოხს მოისროდა, ყველაფერი ავიწყდებოდა და ენერგიით ივსებოდა... სწორედ ამ პერიოდში, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ცვლილებები მოხდა და მამა სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამ დროს კი შემოთავაზება მიიღო პეტერბურგიდან, იაკობსონის სახელობის დასიდან – ის დასის მთავარი ბალეტმაისტერის თანამდებობაზე მიიწვიეს... ძალიან სერიოზული, დიდი პროგრამა გააკეთა და, ვფიქრობ, მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესო პროგრამა სწორედ ბოლო პერიოდის იყო.

**– როგორ შეხვდა გოგი ალექსიძე თქვენს გადაწყვეტილებას? თუ არ ვცდები, ქორეოგრაფობა მის სიცოცხლეშივე დაიწყეთ...**

– დიახ, საბედნიეროდ, მოესწრო... მამა ძალიან ბედნიერი იყო, ახალ პროფესიაში რომ ვიპოვე ჩემი თავი. მის სიცოცხლეში დავდგი მინიატურები სტრავინსკისა და შტოკჰაუზენის მუსიკაზე. ეს დადგმები არ უნახავს, მაგრამ, იმ ფაქტმა, რომ ვდგამდი, ძალიან გაახარა. მან გზა დამილოცა, დამიტოვა თავის დადგმები და ჩანაწერები. რომ აღვადგინო და გავაცოცხლო. მისი სახელობის ფონდი დავაარსეთ მე და ჩემი ოჯახის წევრებმა.

**– ცნობილი ხელოვანების ოჯახში აღიზარდეთ... როგორი იყო თქვენი ბავშვობა?**

– ფაქტობრივად, დედაჩემის საგრიმიოროში ვიზრდებოდი. დედა, მარინა ალექსიძე, წამყვანი ბალერინა იყო. 9 წლის ასაკში ქორეოგრაფიულ სასწავლებელში შემიყვანეს, სადაც მამამ ორი ძალიან კარგი მეთოდისტი მოიწვია: მოსკოვიდან – ნატალია ზოლოტოვა, რომელიც ნინო ანანიაშვილის პედაგოგი იყო და პერმის ქორეოგრაფიული სასწავლებლიდან – ნინელ სილვანოვიჩი, რომელმაც თაობები აღზარდა და რომლის კლასშიც მე მოვხვდი. თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლისას ძალიან მაღალი დონის კლასიკური განათლება მივიღე. 16 წლის ასაკში ლოზანას საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის შემდეგ, ციურიჰის საბალეტო სკოლის დირექტორებმა მიმიწვიეს სწავლის გასაგრძელებლად. ციურიჰის საბალეტო სკოლაში მაღალი დონის განათლება მივიღე, უმეტესწილად, თანამედროვე ცეკვის განხრით. ვისწავლე მოდერნ-ბალეტი, ჯაზ-ბალეტი, კონტემპორეინ-ბალეტის სხვადასხვა მიმდინარეობა, ასევე, ნეოკლასიკური სტილი – ჯორჯ ბალანჩინის სკოლა, გავიარე „ფლამენკოს" მასტერ კლასები ცნობილ მოცეკვავესთან – ნინა კორტისთან. საბალეტო სკოლა რომ დავამთავრე, ციურიჰის ოპერისა და ბალეტის თეატრში მიმიწვიეს, სადაც ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო დასი იყო.

**– საქართველოში როდის დაბრუნდით?**

– 1900-იან წლებში საქართველოში დავბრუნდი. ოპერისა და ბალეტის თეატრში ათი წელი ვიყავი სოლისტი. თითქმის ყველა სპექტაკლში სოლო პარტიები მაქვს შესრულებული. პარალელურად, სხვა პროექტებშიც დავიწყე მონაწილეობა. ჩემი და, ანა ალექსიძე, მოსკოვში „რუსული ბალეტის გვირგვინის" საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელია. მათ პერიოდულად აქვთ პროექტები, რომლის ფარგლებშიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოგ-



ზაურობენ. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მუშაობის პერიოდში ამ დასთან ვთანამშრომლობდი როგორც მოცეკვავე... მერე დადგმებზე გადავერთე და ცეკვა და დადგმა ერთდროულად მიხდებოდა. წელს ერთ-ერთ პროექტს დამოუკიდებლად ვუძღვები ესპანეთსა და პორტუგალიაში და 40 კაციან დასს მე ვხელმძღვანელობ, რაც ძალიან კარგი გამოცდილება იქნება ჩემთვის. ცეკვის მხრივ ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი მაშინ მქონდა, როცა დადგმა დავიწყე. ძალიან შემართებით ვიყავი.

**სულ მეკითხებიან, შენს დადგმებში რატომ არ ცეკვავო, მაგრამ, ამისთვის ძალა აღარ მყოფნის. პროექტებისთვის ჯერჯერობით ყველა საორგანიზაციო და შემოქმედებით საკითხს მე თვითონ ვაგვარებ**

**– გვიამბეთ თქვენს მიღწევებზე ქორეოგრაფიაში...**

– თავიდან ათამდე მინიატურა დავდგი, მცირე ზომის ნომრები განვახორციელე „რუსეთის გვირგვინის დასისთვის", სხვადასხვა გალა-კონცერტისა და საერთაშორისო კონკურსებისთვის, თავადაც ვასრულებდი ჩემს ნომრებს... პირველი სრულფასოვანი დადგმა ერთმოქმედებიანი სპექტაკლი იყო გალაკტიონის ლექსებზე, რომელსაც ერქვა „დოვინ-დოვენ-დოვლი"...

გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარე" მამას ჰქონდა მინიატურის სახით დადგმული, რომელსაც მე თვითონ ვასრულებდი. რეჟისორ გელა კანდელაკს სურდა ამ მინიატურის თავის გადაღებულ ფილმში შეტანა. საგანგებოდ იყო ეს მინიატურა გადაღებული, სადაც მამაც მონაწილეობდა. მამას სურდა, მთლიანად სპექტაკლი დაედგა გალაკტიონის ლექსებზე. ლექსები ცოცხლად უნდა შესრულებულიყო, მუსიკის გარეშე, რადგან გალაკტიონის ლექსები ძალიან მუსიკალურია. სამწუხაროდ, ვერ მოასწრო... რადგან მამას უკანასკნელი დადგმა სწორედ ეს მინიატურა იყო, გადავწყვიტე, ჩემი პირველი დადგმა მისი სწორედ ამ იდეის განხორციელება ყოფილიყო. სპექტაკლს ბოლოს ვამთავრებდი მამას ქორეოგრაფიით – „მთაწმინდის მთვარე", რომელსაც მე თვითონ ვასრულებდი სცენაზე, უკანა ფონზე კი – მამას ცეკვების კადრები გადიოდა. ეს სპექტაკლი მისი გარდაცვალების ერთი წლისთავს მივუძღვენი. ბედნიერი ვარ, რომ მამას მეგობრები – გელა კანდელაკი, გოგი ალექსი-მესხიშვილი, გია ყანჩელი და სხვები ახლა ჩემ გვერდით დგანან.

**– ძალიან ახალგაზრდა ხართ... აღარ გიხილავთ სცენაზე, როგორც მოცეკვავეს?**

– რა თქმა უნდა, ჯერ ადრეა სცენიდან წასვლა, რადგან, 34 წლის ვარ; მაგრამ, იმდენად ვიპოვე ჩემი თავი ქორეოგრაფიაში, რომ, ეს ჩემი ძირითადი დღევანდელი და სამომავალო საქმეა. სულ მეკითხებიან, შენს დადგმებში რატომ არ ცეკვავო, მაგრამ, ამისთვის ძალა აღარ მყოფნის. პროექტებისთვის ჯერჯერობით ყველა საორგანიზაციო და შემოქმედებით საკითხს მე თვითონ ვაგვარებ.

**– ახლახან პოლონეთში იმყოფებოდით... გვიამბეთ ამის შესახებ.**

– პოლონეთში ძალიან მოულოდნელად აღმოვჩნდი. ინტერნეტში „იუთუბიზე" „აჭარპანის" ნაწყვეტები ნახეს და, მთხოვეს, გამეგზავნა ის მასალა, რითაც მივიღებდი კონკურსში მონაწილეობას. გავგზავნე ფრაგმენტი – არაჩვეულებრივი დუეტი იოსებ ბარდანაშვილის მუსიკაზე, რომელსაც ნინო გოგუა და ლაშა ხოზაშვილი ასრულებდნენ... მომწერეს, ფინალისტები ხართო და მიგვიწვიეს გალა-კონცერტზე ამ ფრაგმენტის შესასრულებლად. სამწუხაროდ, ლაშა ხოზაშვილი ვერ წავიდა, რადგან, ბოსტონში ცეკვავს და ნინო გოგუას პარტნიორობა დავით ანანიაშვილმა გაუწია (თბილისის საბალეტო დასის სოლისტმა)... ფინალში სულ 13 მონაწილე გავედით საერთაშორისო მასშტაბით და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ყველაფერს ახალი თაობა ერთად ვქმნით და, ძალიან ბედნიერები ვიყავით, რომ მოხდა ჩვენი გასვლა ევროპულ სივრცეში.

**– საქართველოში პირველი ქალი ქორეოგრაფი ხართ?**

– დიახ, საქართველოში, მგონი, ბალეტის ქალი ქორეოგრაფი არ გვყოლია. მარტა გრეჰემი, პინა ბაუში და ტრიშა ბრაუნი ლეგენდარული ქალი ქორეოგრაფები იყვნენ. დღეს უცხოეთში ბევრი ქალი ქორეოგრაფია.

**– თქვენს შვილზეც გვიამბეთ. ალბათ, ხელოვნებას გაჰყვება...**

– ჩემი შვილი, სანდრო ჯაფარიძე, 13 წლის ხდება. არტისტული ბავშვია, მაგრამ, რა პროფესიას აირჩევს, ჯერ არ ვიცით. მამის მხრიდან ბაბუა დირიჟორი ჰყავს – თამაზ ჯაფარიძე, ბებია ოპერის მომღერალია – თამარ გურგენიძე. სანდრო სამუსიკო სკოლაში სწავლობს – კლარნეტზე უკრავს; ცეკვავს, სპორტსაც მისდევს...

**მოამზადა**
**კატო ჟღენტმა**

# რას მალავს თითოეული ჩვენგანის დაბადების რიცხვი და როგორ გავიუმჯობესოთ ადამიანებთან ურთიერთობა მისი ცოდნით



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

*აღმოსავლური და დასავლური ასტროლოგიის მიხედვით, ადვილად გაიგებთ კონკრეტულ წელსა და თვეში დაბადებული ადამიანის ბუნებას, ნიშან-თვისებებს და მის ზოგად დახასიათებას. თუმცა, დაბადების რიცხვიც გარკვეულ მინიშნებებს გაძლევთ ადამიანზე და ეს აუცილებლად უნდა იცოდეთ. კერძოდ, ნებისმიერი ჩვენგანის დაბადების დღესა და რიცხვს უდიდესი გავლენა აქვს ჩვენს ხასიათსა და თვისებებზე. გთავაზობთ ხერხებს, თუ როგორ უნდა ამოიცნოთ ისეთი სახასიათო შტრიხები, რასაც ასტროლოგია გიმხელთ. ასე რომ, თუ გსურთ, ადამიანის ხასიათი შეიტყოთ, გაიგეთ მისი დაბადების რიცხვი და ასე გაარკვიეთ, რა კუთხით უნდა მიუდგეთ მას.*

**1, 10, 19, 28** რიცხვებში დაბადებული ადამიანი ინდივიდუალისტია, აქვს თავისი განსაკუთრებული შეხედულებები, არის ჯიუტი და მიზანსწრაფული; ასევე, შეუძლია, შემოქმედებითად მიუდგეს ყველა საქმეს, რითაც არ უნდა იყოს დაკავებული. ამ რიცხვებში დაბადებულები გამოირჩევიან დამოუკიდებლობით, ლიდერული თვისებებით, არტისტულობით, ორიგინალური აზროვნებით, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით.

**2, 11, 20, 29** რიცხვებში დაბადებულ ადამიანებს აქვთ მდიდარი წარმოსახვის უნარი, მაგრამ, აკლიათ საკუთარი თავის რწმენა. ამიტომ ისინი არც ისე შეუპოვრები არიან თავიანთი იდეების განხორციელებისას. ამ რიცხვებში დაბადებულები გამოირჩევიან მგრძნობიარობით, ემოციურობით, ექსტრასენსური უნარით, დიპლომატიურობით, მეოცნებეობით.

**3, 12, 21, 30** რიცხვებში დაბადებული ადამიანები ძალიან თავმოყვარეები არიან, არ ემორჩილებიან სხვებს. მიზანდასახულობის წყალობით, ხშირად აღწევენ მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას. ასევე, გამოირჩევიან განსაკუთრებული სიყვარულის უნარით, არტისტიზმით, ინტელექტუალური შესაძლებლობებით, იუმორის გრძნობით, მერყევი ხასიათით, მდიდარი წარმოსახვის უნარით, ინტუიციით.

**4, 13, 22, 31** რიცხვებში დაბადებული ადამიანები პრაქტიკულები და მგრძნობიარეები არიან. იშვიათად აღწევენ წარმატებებს, ხშირად ითრგუნებიან და მელანქოლიურობის გამო გამოირჩევიან წესრიგის სიყვარულით, პატიოსნებით, სიჯიუტით; არ ეშინიათ მძიმე სამუშაოს შესრულების. ასევე, არიან პესიმისტები, ემოციურები, ნერვიულები. აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა.

**5, 14, 23** რიცხვებში დაბადებული ადამიანები კარგი მოაზროვნეები და სამართლიანები არიან. ახასიათებთ იმპულსურობა მოქმედების დროს. აქვთ მისწრაფება, რომ იშოვონ ფული და გამოირჩევიან დამყოლი ხასიათით. ასევე, ამ რიცხვებში დაბადებული ადამიანები არიან გულმავიწყები, ინტელექტუალურები, ემოციურები, პროფესიონალები; გამოირჩევიან სხარტი აზროვნებით.

**6, 15, 24** რიცხვებში დაბადებული ადამიანები ადვილად იპყრობენ გარშემო მყოფთა ყურადღებას. არიან ჯიუტები და თავიანთი მიზნების მისაღწევად გადაწყვეტილებას არ ცვლიან. შეუძლიათ ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობა, საქმისთვის თავდადება, გარშემო მყოფებზე უანგაროდ ზრუნვა, თუმცა, ამავდროულად, არიან ამბიციურები და ადვილად ექცევიან სხვების გავლენის ქვეშ.

**7, 16, 25** რიცხვებში დაბადებული ადამიანები გამოირჩევიან მახვილი ინტუიციითა და მიმზიდველობით. ძლიერ გავლენას ახდენენ გარშემო მყოფებზე. ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა, სიჯიუტე, არტისტიზმი, აზროვნების ანალიტიკური უნარი, რომანტიზმი; ასევე, ადვილად შეუძლიათ ადამიანებთან ურთიერთობის დამყარება.

**8, 17, 26** რიცხვებში დაბადებული ადამიანები არიან მგზნებარე ბუნების, ახასიათებთ დამოუკიდებლობა, მაგრამ, ხშირად ხვდებიან გაუგებრობების მსხვერპლი და სწორედ ამის გამო გულის სიღრმეში მარტოდ გრძნობენ თავს. ასევე, გამოირჩევიან ფულის შოვნის უნარით, არსებული სიტუაციის საღად შეფასებით, კარგი ორგანიზატორული ნიჭით. არიან ემოციურები, ამავდროულად, ზარმაცები და ზოგჯერ მერყევებიც კი.

**9, 18, 27** რიცხვებში დაბადებული ადამიანები არიან სხვების მიმართ შემბრალებლები, თანაგრძნობას უწევენ გარშემო მყოფებს, შეუძლიათ მშვიდი ურთიერთობების დამყარება. ასევე, არიან დიდსულოვნები, მოუთმენლები, დამოუკიდებლები, ამბიციურები, ნიჭიერები, არტისტულები. ახასიათებთ სხვების დახმარება. აქვთ პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობა, ორგანიზატორული უნარი.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1984 წლის 15 ივლისს, საღამოს 23 საათზე. დავამთავრე საავიაციო ფაკულტეტი. მინდა უცხოეთში წასვლა. თუ მირჩევთ იქ კარიერის გაგრძელებას?**

**პასუხი:** ავიაციის სფერო თქვენთვის დამაბრკოლებელია. ამიტომ, თუ ორმაგი ძალისხმევა, შეუპოვრობა და მიზანსწრაფვა არ გამოავლინეთ, ისე წარმატებას ვერ მიაღწევთ. საერთოდ, პროფესიული თვალსაზრისით, თქვენთვის უკეთესია ისეთი სფეროები, როგორებიცაა: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმე. რაც შეეხება უცხოეთს, თქვენი კოსმიური მისია უკავშირდება სამშობლოს. ამიტომ, თქვენთვის მთავარია ოჯახის შექმნა, სტაბილურობა ნათესავებთან ურთიერთობაში და პატრიოტიზმი. დროებით კი, მაგალითად, ცოდნისა და კაპიტალის დასაგროვებლად, კარგია შემდეგი ქვეყნები: ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი ნაწილი, შოტლანდია, ჰოლანდია, თურქეთი, ახალი ზელანდია, ჩინეთი, ინდოეთი, ნორვეგია, დანიის ჩრდილოეთი ნაწილი, მექსიკა, კუბა.

**კითხვა: მე დავიბადე 1982 წლის 27 მაისს, დილის 7 საათზე, ჩემი რჩეული კი – 1983 წლის 5 თებერვალს. გაგვიმართლებს თუ არა სამომავლოდ სასიყვარულო-საოჯახო თვალსაზრისით?**

**პასუხი:** ურთიერთობა თქვენ შორის, საერთო ჯამში, მისაღებია როგორც წლების, ისე თვეების მიხედვით. ხასიათში ბევრი მსგავსებაა, რაც სამომავლოდ ჰარმონიულ ურთიერთობას გპირდებათ საოჯახო და სასიყვარულო თვალსაზრისით.

**კითხვა: ჩემი ძმა დაიბადა 2003 წლის 19 ოქტომბერს. მაინტერესებს, რა არის მისი კარმული მისია დედამიწაზე და რომელ პროფესიაში ელის მას მეტი წარმატება ასტროლოგიური კუთხით სამომავლოდ?**

**პასუხი:** თქვენი ძმის კარმული მისიაა, იყოს აქტიური, ენერგიული, ინიციატივიანი; ასევე, უნდა იყოს ლიდერი, უშიშარი მებრძოლი. დაეყრდნოს კეთილშობილებას. სადაც შევა, შეიტანოს სიმშვიდე და ჰარმონია. შეძლოს შუამავლის ფუნქციის შესრულება. პროფესიებიდან კი მისთვის წარმატების მომტანია: პლასტიკური ქირურგია, კარდიოლოგია, სტომატოლოგია, სახელმწიფო ზემაღალ ეშელონებში ადმინისტრაციული საქმიანობა, საიუველირო ბიზნესი, არქიტექტურა, დიზაინი, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ბიზნესი, იურისპრუდენცია, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო საქმიანობა, პროფესიული დიპლომატია, ტურისტული ბიზნესი.

**კითხვა: დავიბადე 1989 წლის 25 იანვარს, ღამის საათებში, ჩემი რჩეული კი – 1987 წლის 20 იანვარს, დილის საათებში. როგორ შევეწყობით ერთმანეთს?**

**პასუხი:** თქვენი ურთიერთშეწყობა საშუალოა. წლების მიხედვით, ეს, შეიძლება, შევაფასოთ ხუთქულიანი სისტემიდან სამი ქულით. ურთიერთგაგება იქნება, მაგრამ, ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციებიც არის მოსალოდნელი. თუ შეძლებთ თვითკონტროლსა და დათმობას, მაშინ ურთიერთობა ოთხი ქულით შეფასდება.

**კითხვა: დავიბადე 1979 წლის 22 ნოემბერს, დილის 9 საათზე. რა არის ჩემი კარმული მისია და უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის მისაღები და წარმატების იოლად მომტანი?**

**პასუხი:** თქვენი კარმულ-კოსმიური მისია უკავშირდება იმას, რომ იყოთ აქტიური, ენერგიული, ინიციატივიანი, ოპტიმისტი; ასევე, დაეყრდნოთ ცოდნის ბაზას. იყავით ფრთხილი და წინდახედული. შემოიკრიბეთ ირგვლივ ერთგული ადამიანები და სტაბილური გახადეთ ცხოვრება. რაც შეეხება უცხოეთს, ეს თქვენი კარმული მისია არ არის. თუმცა, ძალების მოსინჯვა ნამდვილად ღირს. ქვეყნებიდან კი შედარებით მისაღებია: უკრაინა, ირლანდია, კვიპროსი, პოლონეთი, შვეიცარიის აღმოსავლეთი ნაწილი, მოლდავეთი, ბელგია, არგენტინა, ესტონეთი, ფინეთი, ლატვია, ბულგარეთი, ისრაელი, ინგლისის დასავლეთი ნაწილი, კანადა, ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი ნაწილი, საბერძნეთი.

## ვერძი

შემოქმედებითი საქმიანობა შემოსავლის წყარო გახდება. მიღებული ინფორმაცია კარგად გააანალიზეთ, რათა არ დაუშვათ შეცდომა. ეცადეთ, გამოცდილება პრაქტიკულად გამოიყენოთ. ზედმეტად ნუ იაქტიურებთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების მოსაზიდად.

## კურო

შემოქმედებითი საქმეების შესრულება ფინანსურ მდგომარეობას გაგიმყარებთ. ინტიმური შეხვედრები ოპტიმიზმით აგავსებთ და დაგავიწყებთ დაძაბულობას. ერიდეთ ბევრ ხალხთან ურთიერთობას, ასევე, მოგზაურობას. სასიყვარულო პარტნიორმა კი, შესაძლოა, იმედები გაგიცრუოთ.

## ტყუპები

ეს პერიოდი გამოირჩევა ბევრი ურთიერთობითა და შეხვედრებით. ნუ შექმნით საკამათო სიტუაციას ოჯახში. ახალმა სასიყვარულო ურთიერთობამ, შესაძლოა, ძველი კავშირის გაწყვეტის აუცილებლობის საკითხი დააყენოს. ხშირი შეხვედრები და ახალი კონტაქტები გამოიყენეთ იდეების განსახორციელებლად.

## კირჩხიბი

გაგიტაცებთ ავანტიურული პროექტები. ჯობია, თავი აარიდოთ სერიოზული საკითხების გადაწყვეტას. ეცადეთ, არ იყოთ ზედმეტად კატეგორიული თქვენი პოზიციების დაცვისას. საყვარელ ადამიანს ძალიან გაახარებთ და მის გულსაც მოიგებთ, თუ მას საჩუქარს მიუტანთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ გზებზე.

## ლომი

სტაბილური პერიოდია, რომელიც აღსავსე იქნება რომანტიკულობითა და ფინანსური კეთილდღეობით. უანგაროდ გაწეული დახმარება ავტორიტეტს აგიმაღლებთ. საქმეში ჯობია, გაითვალისწინოთ გამოცდილი ადამიანების რჩევები. ოჯახის წევრებთან მეტად დამთმობი იყავით, რათა თქვენი სიმკაცრით არ დაძაბოთ სიტუაცია.

## ქალწული

თქვენი ენერგობალანსი დაბალია, ამიტომ, ეცადეთ, არ გადაიტვირთოთ ფიზიკურად და ხშირად დაისვენეთ. მოუსმინეთ სხვების რჩევებს, რათა არ დაუშვათ გამოუსწორებელი შეცდომა. უარი თქვით გადამეტებულ გართობაზე. სასიყვარულო სფეროში დროებითი სიმშვიდე კი მეტად გამაღიზიანებელი აღმოჩნდება.

## სასწორი

ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება გაგიძლიერებთ ამბიციურობასა და ეგოიზმს. სასიყვარულო და საოჯახო ურთიერთობაში გაორება და ხშირი კამათი შეასუსტებს თქვენს ფსიქიკას. უმჯობესია, თავისუფალი დრო მშვიდ გარემოში გაატაროთ. თავი შეიკავეთ მოგზაურობისგან.

## მორიელი

ფინანსური ოპერაციების ჩატარებისას ყური უგდეთ ინტუიციას და გადაამოწმეთ საბუთები. გამოიყენეთ ეს პერიოდი ახალი სიყვარულის ძიებისთვის, რადგან თქვენი მომხიბვლელობა და სექსუალურობა გარშემო მყოფებზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს. არ გირჩევთ მოგზაურობას.

## მშვილდოსანი

ძალა და ენერგია საკმაოდ გექნებათ, რაც დაგეხმარებათ ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობებსა და გადაადგილებებში. ამ პერიოდში ყველაზე წარმატებულია კორპორატიულ ბიზნესში მუშაობა და ერთობლივი კაპიტალის მართვა. პირად ცხოვრებაში გაძლიერდება რომანტიკულობა. დიდია ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დაწყების ალბათობა. არ გირჩევთ ახალი საქმის დაწყებას.

## თხის რქა

თქვენი ენერგია შესუსტებას იწყებს, ამიტომ, ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ და არ გადაიღალოთ. არ აჰყვეთ ცდუნებებს, რათა თავი აარიდოთ უსიამოვნებებს. ფრთხილად იმოქმედეთ სასიყვარულო სფეროში, რომ არსებულ სასიყვარულო კავშირს არ შეუქმნათ საფრთხე.

## მერწყული

ერიდეთ უცხოელებთან საქმიან ურთიერთობას. გონივრულად გამოასწორეთ ადრე დაშვებული შეცდომები. ოჯახში მოიმატებს ემოციური ფონი. სასიყვარულო ურთიერთობაში კი ჰარმონიული სიტუაციის გასამყარებლად, სჯობს დათმობაზე წახვიდეთ და გაითვალისწინოთ თქვენი რჩეულის სურვილები.

## თევზები

გაიზრდება თქვენი პოპულარობა. საქმეში დასაშვებია ცოტაოდენი რისკი. თავი შეიკავეთ უძრავი ქონების შეძენისგან და ეცადეთ, შეინარჩუნოთ ფინანსური სტაბილურობა. ოჯახური ურთიერთობა დაიძაბება ფარული სასიყვარულო კავშირის გამოაშკარავების შემთხვევაში.

**ახალმთვარეობა – 10 თებერვალი, 7 სთ: 20 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი

მოიმატებს მგრძნობელობა. ნუ იზარმაცებთ. დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი, მწვანე ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ტოპაზი, მარგალიტი ან ზურმუხტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სარისკო მოქმედება და სულსწრაფი გადაწყვეტილებების მიღება. კარგია უძრავი ქონების შეძენა, სასიყვარულო კავშირები, გართობა, ვაჭრობა, შემოქმედებითი მუშაობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, ფილტვები, ბრონქები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### სამშაბათი

მოიმატებს მოტყუების, ჭორების, კონფლიქტების ალბათობა. იყავით ყურადღებით. ატარეთ ნარინჯისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი, იასამნისფერი, კრემისფერი, ცისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, ნეფრიტი, იაგუნდი ან საფირონი. დაიმახსოვრეთ და კარგად გააანალიზეთ სიზმარი. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია ახალი კონტაქტები, მოლაპარაკებები, სავაჭრო გარიგებები, სამეცნიერო კვლევა, საბანკო ოპერაციები, მშენებლობა. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

მაღალია მოტყუებისა და ქურდობის ალბათობა. ეცადეთ, ყველგან შეიტანოთ დადებითი განწყობა. ატარეთ ნარინჯისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, იასამნისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, ლაზურიტი, ლალი და აკვამარინი. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია სწავლა, სამეცნიერო კვლევა, კონტაქტები, საბანკო ოპერაციები, მშენებლობა. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

შესაძლებელია ახალი საქმის დაწყება. ატარეთ თეთრი, მწვანე, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, მთვარის ქვა, ოპალი, მარჯანი ან ალექსანდრიტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებს სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კონტაქტები, სახლის მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, ფულის ვალად აღება. ნუ გასცემთ დაპირებებს. მაღალია ფინანსური შეცდომების დაშვების ალბათობა. კარგია ვაჭრობა, საოჯახო და ნათესაური ურთიერთობები. სუსტდება მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის.***

### პარასკევი

მაღალია ენერგოდაბინძურების ალბათობა. გამახვილდება ინტუიცია. ატარეთ თეთრი, მწვანე, იისფერი, ვერცხლისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, გიშერი, მწვანე იასპი, ოპალი ან აქატი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, სახლის მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, ფულის ვალად აღება. კარგია ვაჭრობა, შემოქმედება, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობები. სუსტდება მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღეა

შესაძლებელია გეგმების მოულოდნელად შეცვლა. მოიმატებს ამბიციურობა. კარგია ფიზიკური ვარჯიში, შემოქმედებითი მუშაობა. ატარეთ მწვანე, იისფერი, ვერცხლისფერი, ოქროსფერი, იისფერი, ლურჯი ან წითელი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, მალაქიტი, ამეთვისტო, ლაბრადორი ან ოპალი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა ადგილსამყოფლის შეცვლა, ფულის ვალად აღება, სახლის მშენებლობის დაწყება. სუსტდება კუჭი, მკერდი, გულ-სისხლძარღვთა სისტემა.

***პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღეა

ამ დღეს სავსემთვარეობაა, ამიტომ, მოჭარბებულია კოსმიური ენერგიები, რაც განაპირობებს ჯანმრთელობის გაუარესებას, აგრესიას, დეპრესიას, კონფლიქტებს, ცდუნებებს. იყავით ფრთხილი და წინდახედული. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს. ნუ აიღებთ ვალს და ნუ გასცემთ ტყუილუბრალო დაპირებებს. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ლურჯი, ბეჟი, ყვითელი, ოქროსფერი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, სარდიონი, ქარვა ან მთის ბროლი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

**რეპეტიციაზე რამდენიმე წუთით მისი მოსმენა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება მოეხდინა. ამიტომაც არის, რომ მსოფლიო საოპერო ვარსკვლავის, ანიტა რაჭველიშვილის გამოსვლას მაყურებელი, კრიტიკოსები, პროფესიონალები გულგრილად ვერ უსმენენ და მის შესაფასებლად ნებისმიერი დიდი მომღერლისთვის ყველაზე სასურველ და მნიშვნელოვან ეპითეტებს იყენებენ. მიუხედავად გადატვირთული გრაფიკისა, მაინც მოახერხა თბილისში ჩამოსვლა და, 18 იანვარს, ნიკოლოზ რაჭველთან ერთად, ქართველ მაყურებელს დაუვიწყარი საღამო აჩუქა.**

# სად შეხვდება ანიტა რაჭველიშვილისა და მისი მეუღლის „ცალმხრივი სიყვარულის“ დებიუტი და როდის აპირებს ანიტა თავის „მუსიკალურ ნათლიასთან“ სამუშაოდ დაბრუნებას

**ანიტა რაჭველიშვილი:** ეს კონცერტი რამდენიმე თვის წინ დაიგეგმა. „ფეისბუქის“ მესინჯერში ვსაუბრობდით მე და ნიკა, ერთმანეთი მოვიკითხეთ და შემდეგ ვთხოვე, იქნებ როგორმე გავაკეთოთ მანუელ დე ფალიას „ჯადოქრის სიყვარული“-მეთქი. იანვარში ორივეს გვეცალა და ამიტომ ეს კონცერტი უნდა გაგვეკეთებინა. ნაწარმოები, რომელზეც ვსაუბრობდი, 25 წუთი გრძელდება, ამიტომ, სხვა ნაწარმოებიც ჩავურთეთ; ასევე, ჩავსვით ჩემი მეგობარი ირინა ბორისოვა, რომელიც ესპანურ ნაწარმოებებს იმღერებს. ***(ინტერვიუ ჩაწერილია 16 იანვარს, – ავტორი).*** კონცერტი მთლიანად ესპანურ მუსიკაზეა აგებული და იქნება საინტერესო და გასართობი. ნიკა კლასიკურ მუსიკასაც არაჩვეულებრივად ასრულებს, დირიჟორიც და ორკესტრიც ჩემთვის ყველანაირად იდეალურია. როგორც ყოველთვის, ბედნიერი ვარ ნიკასთან მუშაობით, რადგან, არაჩვეულებრივად კომფორტულია მუშაობისას და მასთან მუშაობა ადრინდელ კონცერტზეც და ახლაც დიდი სიამოვნებაა.

**– კიდევ ვისთან მუშაობაა, დირიჟორს ვგულისხმობ, თქვენთვის კომფორტული?**

– იშვიათად, ვინმე იყოს ასეთი კომფორტული, რადგან, ძნელია, უცხოეთში იპოვო დირიჟორი, რომელიც კომფორტულია და მომღერალს ეხმარება ინტერპრეტაციაში. არის რამდენიმე ფრანგი დირიჟორი, რომლებთანაც ძალიან კარგად ვმუშაობ, ასევე, მაესტრო ბარენბოიმი, რომელთანაც არაჩვეულებრივად ვმუშაობ. ხშირად მოგვდის მომღერლებს დირიჟორებთან კონფლიქტი ტემპების გამო, ასევე, იმის გამო, რომ არ გვაძლევენ სიმღერის დროს სუნთქვის საშუალებას. ეს ძირითადად რეპეტიციებზე გვარდება, მაგრამ, ხშირად, დირიჟორების პრინციპის გამო, სცენაზე, სპექტაკლის დროს მომხდარა კონფლიქტი მომღერალსა და დირიჟორს შორის.



**კონფლიქტური არ ვარ, ყვირილამდე არასდროს მისულა საქმე. რომც გამიხდეს საყვირალი, ვერ ვიყვირებ, რადგან ეს იქნება ძალადობა ჩემს იოგებზე**

**– თქვენ ასეთი რამ არასდროს დაგმართნიათ?**

– ერთხელ მოხდა მსგავსი რამ – წავედი სცენიდან და გავაუქმე სპექტაკლი, რომელიც იტალიის პატარა თეატრში მქონდა. დირიჟორი უცნაური ადამიანი იყო, უნდოდა, სპექტაკლის განმავლობაში გამუდმებით მისთვის მეყურებინა თვალებში, მაგრამ, მე, რა თქმა უნდა, ამას არ ვაკეთებდი, რადგან „კარმენს“ ვმღეროდი და უნდა მეთამაშა, ჩემი პარტია უნდა შემესრულებინა. ის რაღაც მომენტში გაბრაზდა, მოტრიალდა და რეჟისორს ვითომ ხუმრობით უთხრა: „ხაბანერა“ მოვხსნათ, რადგან, მომღერალი რაღაც ვერ მღერისო. რა თქმა უნდა, ძალიან მეწყინა, გავედი სცენიდან, გავაუქმე სპექტაკლი და ვუთხარი: ასეთ ხუმრობას ვერ და არ მივიღებ, ჩემს პროფესიონალიზმზე ხუმრობა არ შეიძლება-მეთქი. ეს არ იყო მხოლოდ ხუმრობა, ნაწილობრივ სერიოზულად ნათქვამი იყო, რადგან, არ ვემორჩილებოდი მის ნებას. ამიტომ, ჯობდა, თანამშრომლობა მშვიდობიანად დაგვესრულებინა და წავსულიყავი. ბუნებრივია, ამ დირიჟორთან არასდროს აღარ მიმუშავია.

**– დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, თუ ახერხებთ მეუღლესთან ერთად სადმე დასვენებას?**

– ზაფხულის თვეებში, აგვისტოს ბოლოს ვახერხებთ ერთად სადმე წასვლას, მაგრამ, მაინც ძალიან ცოტა დრო გვრჩება იმისთვის, რომ ერთად დავისვენოთ. ვცდილობთ, საქართველოშიც ერთად ჩამოვიდეთ, რადგან, ძალიან მოსწონს ქართველი ხალხი, უყვარს ქართული საჭმელები. ზაფხულში ჩემი დედამთილიც მყავდა ჩამოყვანილი და ისიც გაოცებული დარჩა ქართული სამზარეულოთი, ქართველი ხალხით, ჩვენი სტუმართმოყვარეობით, კულტურით.

**– 2012 წელი თქვენთვის საკმაოდ წარმატებული იყო – გქონდათ დებიუტი „მეტროპოლიტენ ოპერაში“, რამაც არაჩვეულებრივად ჩაიარა და ძალიან კარგი გამოხმაურებაც ჰქონდა.**

– „მეტროპოლიტენი“ დღეს მთელ მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი თეატრია, ალბათ, ყველა თეატრს შორის. არაჩვეულებრივი თეატრია, ძალიან კარგად ორგანიზებული, მაღალ დონეზე კეთდება ყველა სპექტაკლი. წელს მეორედ ჩავედი ამერიკაში, „მეტროპოლიტენში“ ვიმღერე „კარმენი“, თებერვალში ვბრუნდები ისევ „კარმენის“ სამღერლად. შემდეგში ჩემი დაბრუნება „მეტროპოლიტენში“ არის დებიუტი რუსულ ოპერაში – „თავადი იგორი“, იდირიჟორებს მაესტრო გიორგიევი. ეს იქნება ახალი დადგმა, ამიტომ, დაახლოებით ორთვე-ნახევარი ვიცხოვრებ ნიუ-იორკში, მოვამზადებთ ახალ სპექტაკლს, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო იქნება. რაც შეეხება კრიტიკას, საკმაოდ საინტერესო კრიტიკები, რეცენზიები დაიბეჭდა „კარმენის“ შემდეგ „ნიუ-იორკ თაიმსში“ და „ნიუ-იორკ პოსტში“. საუბრობდნენ ხმის სიდიდეზე, მადარებდნენ თანამედროვეობის დიდ მეცო-სოპრანოს – დოლორა ზაჟიკს ხმის სიდიდითა და სილამაზით და ეს იყო ჩემთვის დიდი აღიარება. ასევე, ლაპარაკი იყო ჩემს სამსახიობო მონაცემებზე.

**– როგორც ვიცი, მალე გექნებათ დებიუტი მეუღლესთან ერთად.**

– დეტროიტში ვერდის „აიდაში“ გვექნება დებიუტი: მე ვიმღერებ მეფის ასულის – ამნერისის პარტიას, რომელსაც უზომოდ უყვარს მთავარსარდალი რადამესი, მაგრამ, რადამესს არ უყვარს ამნერისი და უყვარს აიდა, რომელიც მსახურია. რადამესი არის ჩემი მეუღლე და სხვა ქალი უყვარს.

**– მერე, როგორ „ეგუებით“ ამ ამბავს?**

– რას იზამ, ხდება ხოლმე. ჩვენს შემთხვევაში, სცენაზე ცალმხრივი სიყვარული იქნება – მე მეყვარება და მას არ ვეყვარები, მაგრამ, როცა საქმე მოითხოვს, ამისთვისაც მზად ვარ, შევეგუები. საინტერესო ის არის, რომ ერთად გვიწევს მუშაობა. დეტროიტში, მიჩიგანის შტატში, თვეზე მეტხანს ვიქნებით და მოვამზადებთ ამ სპექტაკლს.

**– გარდა საქმისა, ალბათ, ერთად ყოფნისთვისაც გამოიყენებთ დროს, რადგან, ამის ფუფუნება ხშირად არ გაქვთ.**

– შანსი იქნება, რომ ერთად ვიყოთ და ეს ნამდვილად ფუფუნებაა ჩვენთვის. ბოლოს გერმანიაში, დორტმუნდში ვიმღერეთ ერთად „გალა“ და, სიმართლე გითხრათ, მივხვდი, რომ იოლია ერთად სიმღერა, რადგან, დიდხანს ვიმუშავეთ და საინტერესო იყო. პირველი სპექტაკლები იყო რთული, რადგან ორივე გამოუცდელი ვიყავით და ერთმანეთზე ვნერვიულობდით, დიდი იყო მზრუნველობის მომენტი. ახლა ამან გაიარა და კარგად ვმუშაობთ ერთად. ერთმანეთს რჩევებს ვაძლევთ, თან, ერთი და იმავე ვოკალის მასწავლებელთან ვმეცადინეობთ, ერთმანეთის ვოკალური ტექნიკა ძალიან კარგად გვესმის. როდესაც მაესტრო არ გვყავს ხოლმე, ყოველთვის ერთმანეთს ვამღერებთ, ვამეცადინებთ.

**– თქვენი პროფესია საკმაოდ რთულია და, ალბათ, სხვა პროფესიის ადამიანი რომ გყოლოდათ გვერდით, ასე კარგად ვერ გაგიგებდათ.**

– რთულია, სხვა პროფესიის ადამიანმა გაიგოს ბოლომდე, ეს ყველაფერი რა დეტალებთან და სირთულეებთანაა დაკავშირებული. რაც უფრო მეტს მღერი, მუშაობ, სხეული უფრო მეტად მგრძნობიარე ხდება, ხმის იოგებზე აღარაფერს ვამბობ. პატარა შეცდომაზე, სიგარეტის ბოლზე, გამონაბოლქვზე, გაციებაზე – შეიძლება, პრობლემა გაჩნდეს. ამიტომ, ვცდილობთ, მოვუფრთხილდეთ ჯანმრთელობას, იოგებს, თუმცა, ვცდილობ, ამ ყველაფერს არ შევყვე. მოფრთხილება კარგია, მაგრამ, ზომიერება არ უნდა დაკარგო.

**ყველაზე უმთავრესი: 2013 წელს ვიმუშავებ მაესტრო ბარენბოიმთან, ბერლინის „შტაც-ოპერაში“, მასთან 2010 წლიდან აღარ მიმუშავია და ერთი სული გვაქვს ორივეს**

ჩემი მეუღლე ჩემზე გაცილებით ენერგიულია, ის უფრო მეტად უფრთხილდება თავს, რადგან, ტენორია და მისთვის უფრო რთულია ეს პროფესია. კონფლიქტური არ ვარ, ყვირილამდე არასდროს მისულა საქმე. რომც გამიხდეს საყვირალი, ვერ ვიყვირებ, რადგან, ეს იქნება ძალადობა ჩემს იოგებზე.

**– როგორც ვიცი, 2014 წელი უკვე განერილი გაქვთ.**

– 2014-იც, 2015-იც და იმის იქითაც. 2013 წელში მნიშვნელოვანია დეტროიტის დებიუტი ჩემს მეუღლესთან ერთად. მაქვს ვიზიტი ტოკიოში, ვმღერი ვერდის „რექვიემს“, ვბრუნდები „მეტროპოლიტენში“... და, ყველაზე უმთავრესი – 2013 წელს ვიმუშავებ მაესტრო ბარენბოიმთან, ბერლინის „შტაც-ოპერაში“, მასთან 2010 წლიდან აღარ მიმუშავია და ერთი სული გვაქვს ორივეს. ის ჩემი „მუსიკალური ნათლიაა“ – ასე უწოდა მან საკუთარ თავს, მისგან დაიწყო ყველაფერი, მან დამაკვალიანა, „დამაგდო“ „ლა სკალას“ სცენაზე. მისი ძალიან მადლობელი ვარ.

**ნათია უტიაშვილი**

საჩუქარი მეთერთმეტე კლასელების, აბიტურიენტებისა და მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველთათვის სასწავლო ცენტრ „პროფესიონალი 2010-ში“

სასწავლო ცენტრში – „პროფესიონალი 2010“ საჩუქრები და სიურპრიზები გრძელდება!

მოემზადე სასწავლო ცენტრ „პროფესიონალი 2010-ში“ საატესტატო და ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის დიდი ფასდაკლებით: მეთერთმეტე კლასელებისთვის 6 საგანი მხოლოდ 200 ლარად (4 – საატესტატო და 2 – ეროვნული გამოცდებისათვის).

აბიტურიენტებო! მოემზადეთ 3 საგანში ჩვენთან და მიიღეთ მეოთხე საგანი უფასოდ, საჩუქრად!

დიდი ფასდაკლება მოქმედებს მაგისტრატურაში ჩაბარების, უცხო ენებისა და კომპიუტერული პროგრამების შესწავლის მსურველთათვისაც.

*იჩქარეთ! ადგილების რაოდენობა შეზღუდულია!*

მისამართი: ჭოველიძის №5 (ყოფილი ბელინსკი, რუსთაველის მეტროსთან). ტელეფონის ნომრები: 230-71-13; 555-63-48-01; 790-30-71-13; 595-20-62-62.

**37 წლის გურამ ბაღდოშვილი უკვე წლებია, უცხოეთში ცხოვრობს. როგორც ითქვიან, ის ნამდვილად ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული – საქართველოდან შორს საკუთარი ბიზნესიც ააწყო, ცნობილ ადამიანებსაც დაუკავშირა ცხოვრება, რვა უცხო ენაც შეისწავლა და ახლა, სამშობლოში დროებით ჩამოსული, ისეთ გარემოს ეძებს, სადაც მომავალში ფულს მომგებიანად დააბანდებს. როგორც მისი საუბრიდან მივხვდი, ის საკმაოდ წარმატებულ ადამიანად მოიაზრება პორტუგალიაში და ახლა, მხოლოდ პირადი ცხოვრების აწყობაღა დარჩა, რომელშიც მთელი მისი სანათესაოა ჩართული.**

# როგორ გახდა პორტუგალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო სამსახურის უფროსის მენეჯერ-სტილისტი ქართველი გურამ ბაღდოშვილი და სად დადიან მისი კერძების დასაგემოვნებლად ზიდანი და რონალდუ

**გურამ ბაღდოშვილი**: უკვე 15 წელია, რაც საქართველოში აღარ ვცხოვრობ. ეს პერიოდი საკმაოდ საინტერესო და შთამბეჭდილებებით აღსავსე აღმოჩნდა ჩემთვის. ბევრი ქვეყნის საზღვარი გადავლახე, რვა უცხო ენაზე ავლაპარაკდი და ბოლოს პორტუგალიაში აღმოვჩნდი, სადაც დღესაც ვცხოვრობ. საკუთარი ორი რესტორანიც მაქვს და ბედს არ ვუჩივი. პროფესიით შეფ-მზარეული ვარ და 90-იან წლებში ეს კი არა, საქართველოში არც ერთი პროფესია არ იყო საჭირო, ისეთი კრიზისი იდგა. თავიდან მოსკოვში წავედი. იქ დავიწყე სწავლა და მუშაობა. შვიდი წელი ვცხოვრობდი მოსკოვში და ჩემდა გასაკვირად, ისეთი ვოკალური მონაცემები აღმომაჩნდა, რომ გლიზინის სახელობის სახელმწიფო სასწავლებელში ჩავაბარე, ესტრადის განხრით. პარალელურად, რესტორანში მზარეულად ვმუშაობდი. რთული იყო ამ ორი პროფესიის შეთავსება, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, შემოსავალი ხომ მინდოდა? ტრიოშიც ვმღეროდი და დიდ დარბაზებშიც გამოვდიოდით.

**– მართალია, რომ ბატონი ნოდარ ანდღულაძე შენზე დიდ იმედებს ამყარებდა?**

– დიახ, მართალია. მოსკოვიდან საქართველოში დავბრუნდი და ბატონ ნოდარ ანდღულაძესთან ვსწავლობდი. მან მოსკოვში მომისმინა და იქ მითხრა, აუცილებლად ჩემი მოსწავლე უნდა გახდეო. დაბალი ბარიტონი მაქვს და საკმაოდ კარგად ვმღეროდი საოპერო რეპერტუარსაც და ქალაქურ სიმღერებსაც.

**– თუმცა, შენ სასიმღერო კარიერაზე უარი თქვი და გადაწყვიტე უცხოეთში წასვლა. ეს ერთგვარი რისკი არ იყო?**

– რისკი იყო, მაგრამ გამიმართლა. ერთ დღესაც გადავწყვიტე, უცხო ქვეყნებს დავათვალიერებ და ცოტას დავისვენებ-მეთქი. სამთვიანი ვოიაჟი მქონდა გადაწყვეტილი და აგერ უკვე 15 წელია, კიდევ ვმოგზაურობ *(იცინის)*. მოკლედ, მოვიარე ის ქვეყნები, რომლებიც მაინტერესებდა და ბოლოს, ბრიუსელში გავიცანი ფედერიკო, რომელიც პორტუგალიელია და საკმაოდ მაღალ თანამდებობას იკავებს იქ. სხვათა შორის, რომ გაიგო შეფ-მზარეული ვიყავი და თან ვმღეროდი, ძალიან დაინტერესდა ჩემით, მივხვდი, მისი ნდობა მოვიპოვე და შემეძლო, გულღიად მესაუბრა... პორტუგალიას მე მხოლოდ წიგნებიდან ვიცნობდი, მან კი ისე დამიხატა, ვიფიქრე, რაც არის არის – მასაც დავათვალიერებ-მეთქი. არადა, სულ ერთი კვირაღა მქონდა დარჩენილი და ვიზას ვადა გასდიოდა. ფედერიკომ პორტუგალიაში თავის სახლში დამპატიჟა და შინაგან საქმეთა სამინისტროში, საიდუმლო სამსახურის უფროსს არ გასჭირვებია ჩემი ვიზის ერთი სატელეფონო ზარით, ერთი თვით გაგრძელება. მანქანით ჩავედით პორტუგალიაში, მის სახლში დავბინავდი და გაოცებული ვიყავი ჩემი მასპინძლის სტუმართმოყვარეობით. ის საკმაოდ მიღებული ადამიანია მაღალ საზოგადოებაში და უამრავი მიწვევაც აქვს სხვადასხვა ღონისძიებაზე დასასწრებად. არ დამავიწყდება, მის სახლში რომ ჩავედით, ფოსტა შეამოწმა და უამრავი მოსაწვევი გვერდზე გადადო. ვკითხე, ეს მოსაწვევები რატომ არ გაინტერესებს-მეთქი. მიპასუხა, ზოგი დისკოთეკის გახსნაა, ზოგიც „ტუსოვკა-ფართი", ზოგიც გასართობი ცენტრების გახსნა და იქ მე რა მინდაო. გადავირიე, აქ თუ ჩამომიყვანე, გართობაც ხომ მინდა-მეთქი. ერთი სიტყვით, იმდენი ველაპარაკე, რომ „ამოვქოქე". ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ „სატუსოვკო" ჩასაცმელი არ აღმოჩნდა მის გარდერობში. მისი იმიჯის შეცვლაც საკუთარ თავზე ავიღე და გარდერობიც გავაახლებინე *(იცინის)*. აბა, სერიოზულ, დიპლომატიურ პიჯაკში გამოწყობილი ხომ არ წამოვიდოდა გასართობად? თქვენ წარმოიდგინეთ, მენდობოდა და ამყვა კიდეც. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მე დღეს პორტუგალიაში წარმატებული შეფ-მზარეული ვარ, ორი საკუთარი რესტორანიც გავხსენი და ამ ქვეყნის ბომონდის ბევრი წარმომადგენლის მეგობრად ვითვლები.



ერთ ჩემს რესტორანს ჰქვია, უბრალოდ „გურამი", მეორეს კი – „არა მარტო წყალი"

**– აკლიმატიზაცია როგორ გაიარე? არ გაგიჭირდა პორტუგალიური ადათ-წესებისა და კლიმატის ატანა კავკასიელ ბიჭს?**

– ძალიან მომეწონა პორტუგალიური გარემო – ჰავა, სუნი, სიმწვანე, სულ ზაფხული და ბევრი მსგავსება ქართველ ერთან. დამიჯერეთ, ერთნაირი ხასიათი გვაქვს ქართველებსა და პორტუგალიელებს. ერთნაირად ფეთქებადები და ჯიუტები ვართ. ხმამაღალი ლაპარაკი ორივეს გვახასიათებს და სამზარეულოც ძალიან მსგავსია. სხვათა შორის, როგორც ამ დარგში პროფესიონალი, თამამად ვიტყვი, რომ იმ ქვეყანაში ზოგიერთი კერძი, კავკასიიდან ჩაიტანეს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ბასკები რომ წავიდნენ პორტუგალიაში, მათ კავკასიელი ალანებიც გაჰყვნენ და იქ დასახლდნენ. ვფიქრობ, მათ ჩაიტანეს კავკასიიდან ზოგი წესი და ადათი პორტუგალიაში. სახლებიც კი რიყის ქვით არის ნაშენი და ეს ტრადიცია დღესაც აქტუალურია ამ ქვეყანაში.

**არამარტო ბიზნესის მიზნით, არამედ ცოლის შესარჩევადაც ჩამოვედი საქართველოში**

**– დღეს, სამხრეთ პორტუგალიაში, სადაც ატლანტის ოკეანე და ხმელთაშუა ზღვა ერწყმის ერთმანეთს, ორი საკუთარი რესტორნის მეპატრონე ხარ. რა ჰქვია ამ რესტორნებს და თუ დადიან იქ ცნობილი ადამიანები?**

– პორტუგალიაში ღამე ვახშმით იწყება, არაჩვეულებრივი გურმანები არიან და უყვართ გემრიელი საკვები. ძირითადად, გარეთ ჭამენ და სახლში არაფერს ამზადებენ. ამ მხრივაც გამიმართლა *(იცინის)*. ბოლოს, ლისაბონში, წელიწად-ნახევარი, ერთ-ერთი ცნობილი პოლკოვნიკის რესტორანს ვკურირებდი, რომელსაც ერქვა „ყვითელი სახლი". მერე კი მივხვდი, რომ საკუთარი უნდა გამეხსნა. ბევრი ვიარე და ისეთი ადგილები შევარჩიე, რომელიც აფრიკის კონტინენტთანაა ახლოს. ეს არის ქალაქი ალგარი, სადაც ხედიც ლამაზია, კლიმატიც არაჩვეულებრივი, უძველესი ნაგებობებია და ის გარემოც ხელს მიწყობს ხალხის მოზიდვაში. კულინარიულ ინსტიტუტშიც ვკითხულობდი ლექციებს სამხრეთ პორტუგალიაში და პარალელურად, რესტორნის ბიზნესს ვაფართოებდი. მე ჩემი პირადი სამზარეულო მაქვს – შერეული კერძებითა და ჩემი ხელწერით გამოირჩევა. უფრო სწორად, პირადი ხაზის კულინარია მაქვს, სადაც ხუთივე კონტინენტის სამზარეულოა შერწყმული. ერთ ჩემს რესტორანს ჰქვია, უბრალოდ „გურამი", მეორეს კი – „არა მარტო წყალი". იმდენ სიყვარულს ვდებ ჩემს კერძებში, ისეთ სითბოს და სულ ღილინ-ღილინით ვამზადებ, ვინმეს რომ არ მოეწონოს და არ აღფრთოვანდეს, გამორიცხულია. რაც შეეხება სტუმრებს, უამრავი ცნობილი ადამიანი წვევია ჩემს რესტორნებს. მაგალითად, ფეხბურთელებს – ზიდანსა და კრიშტიანუ რონალდუს უკვე „ვიაიპ" კლიენტებად მივიჩნევთ და ისინი ჩემი კარგი მეგობრებიც არიან. ხშირად, რესტორნის დაცვებაც გვიწევს, რადგან ცნობილი ადამიანები პაპარაცებს ერიდებიან და მყუდრო, მშვიდ გარემოში უნდათ ვახშმობა ან სადილობა. ხშირად მიწვევენ ცნობილი ივენთებისა და ფესტივალების მოსაწყობად, სადაც მსოფლიოში ცნობილი მსახიობები, მომღერლები და სპორტსმენები არიან მიწვეულნი. ყველგან ფიქსირდება, რომ ის ქართველი შეფ-მზარეულის მოწყობილია.

**– პირად საუბარში აღნიშნე, არა მარტო ბიზნესის მიზნით, არამედ ცოლის შესარჩევადაც ჩამოვედი საქართველოშიო. პორტუგალიელმა ქალებმა ვერ მოგხიბლეს თუ უბრალოდ, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი ცოლი გინდა?**

– *(იცინის)*. ჩემი ცოლის შერჩევის საქმეში, მთელი სანათესაოა ჩარეული. პორტუგალიელი ქალებით ვერ ვიხიბლები, რაღაცნაირად მოუწესრიგებლები არიან, სადები, ყურადღებას არ აქცევენ ჩაცმას, გაპრანჭვას და ქუჩაში „ფაჩუჩებით" დადიან. წუნია კი ვარ, მაგრამ 37 წლის გავხდი და დაოჯახების დროა. ქართველი ცოლი მინდა, აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში. ვაკვირდები აქ ბიზნესის განვითარებას, პირად ცხოვრებასაც ავაწყობ და საბოლოოდ, აქ გავაგრძელებ ბიზნესსაქმიანობას.

**ნონა დათეშიძე**

## ბრძნული აზრები

**პაუსტოვსკი**: ბედნიერება ეძლევა მხოლოდ მცოდნეებს. რაც უფრო მეტი იცის ადამიანმა, მით უფრო გამოკვეთილად, უფრო ძლიერად ხედავს იგი პოეზიას იქ, სადაც ვერაფერს ვერ ნახავს ღარიბი ცოდნის მქონე.

**დიდრო**: ხალხი აზროვნების უნარს მაშინ კარგავს, როდესაც კითხვას თავს ანებებს.

***

მდუმარება თანმხლებია სიდიადისა.

**ოთარ ჭილაძე**: ყველა ქვეყანაში ქალაქის მოსახლეობა, რასაკვირველია, პროვინციების ხარჯზე ივსება, მაგრამ ჩვენში ეს ბუნებრივი პროცესიც დარღვეულია და ისევ ქვეყნის საზიანოდ – ქალაქში ჩამოსახლებული პროვინციალი ქალაქურ ყაიდაზე ცხოვრობს. კი არ სწავლობს, რაც აუცილებელია მისთვისაც და ქალაქისთვისაც, არამედ სოფლურ ყოფას ამკვიდრებს ქალაქშიც, რის გამოც სულიერ პროვინციალიზმში იძირება თვითონაც ქალაქთან ერთად.

**გერცენი**: ცალკეული ადამიანის ზნეობა მდგომარეობს იმაში, რომ ყველგან, ყოველთვის, რაც არ უნდა მოხდეს, იმოქმედოს თანახმად საკუთარი შინაგანი რწმენისა.

**ლაროშფუკო**: თავმოყვარეობა ზრდის ან ამცირებს ჩვენი მეგობრების სიქველეს, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად კმაყოფილნი ვართ ამ ხალხით, მათ სიქველეზე ჩვენდამი მათი დამოკიდებულებების მიხედვით ვმსჯელობთ.

**კუმორი**: კრიტიკოსი არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია კითხვა და სხვასაც ასწავლის მას.

**გოეთე**: არსებობენ ადამიანები, რომლებიც მაშინაც კი იტყუებიან, როცა სიმართლეს ამბობენ.

**ჩაპეკი**: ეშმაკი იბრძვის მანამ, სანამ ჭკვიანი არ დაუთმობს.

**სენეკა**: ახალგაზრდობა იდეალური მდგომარეობა იქნებოდა, ცოტა გვიან რომ მოდიოდეს.

**კაპიცა**: ადამიანი ახალგაზრდაა მანამ, სანამ არ ეშინია სისულელეების ჩადენა.

**შოუ**: რა ძნელია დუმილი, როცა არ გეკითხებიან.

**ციცერონი**: ჯერ სამჯერ დაფიქრდი და შემდეგ გაჩუმდი.

**ქვანეცკი**: როდესაც ღმერთს უნდა კურდღლის დასჯა, მას გამბედაობას ანიჭებს.

**ფრანკლინი**: ცხოვრების დონე ის არის, რის ზევითაც გვინდა ჩვენ ცხოვრება.

**კოენი**: თეორიებს, რომლებისაც გვჯერა, ვუწოდებთ ფაქტებს, ხოლო ფაქტებს, რომლებისაც არ გვჯერა, ვუწოდებთ ჭორებს.

**უაილდი**: სიბერის ტრაგედია ის კი არ არის, რომ ბერდები, არამედ ის, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ.

**ეჟი ლეცი**: ვირის ძალა იგრძნობა მაშინ, როცა ის ადგილიდან არ იძვრის.

**კლუჩევსკი**: თვითონ თუ არ შეგიძლია, ასწავლე სხვას.

**ბალზაკი**: შიშველი ქალი უთუოდ ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე ჩაცმული, მით უმეტეს მაშინ, თუ ისე ოსტატურადაა შემოსილი, რომ ყველაფერს, რასაც მალავს, იმავდროულად აშკარად აჩენს.

**კლემანსო**: სუსტი ქალები სუსტ მამაკაცებს ვერ იტანენ.

## თუ გამოიცნობთ

1. გაიუს იულიუს კეისარი, როდესაც მეკობრეების ტყვეობიდან გათავისუფლდა, როგორც მეკობრე-ზედამხედველებს შეჰპირდა, ბრძანა, ყველა დაეჭირათ და ჯვარზე გაეკრათ. **რა სიკეთე გაუკეთა მათ კარგი მოპყრობისთვის ტყვეობის დროს?**

2. დანტემ პირველად გააკეთა ის, რითაც ევროპელთა რისხვა და დაცინვა გამოიწვია, მაგრამ, სწორედ ამიტომ, „ღვთაებრივმა კომედიამ“, ისევე, როგორც მოგვიანებით პეტრარკას „სონეტებმა“ და ბოკაჩოს „დეკამერონმა,“ უდიდესი პოპულარობა მოიპოვა იტალიაში. **რით გამოიწვია დანტემ ეს საპირისპირო რეაქციები?**

3. როდესაც ამერიკელმა მწერალმა რეი ბრედბერმა მას სრულიად სერიოზულად შესთავაზა, თავისი კანდიდატურა ლოს-ანჯელესის მერობაზე წარედგინა და კენჭი ეყარა, მან უპასუხა: „რად მინდა მერობა, როცა უკვე მეფე ვარ?!“ ის მართლაც იყო 1955 წლის 14 ივლისს დაარსებული ქვეყნის მეფე. **ვინ?**

4. ამერიკელი იაპონიისმცოდნე დონალდ კიმი წერდა: „1970 წლის 25 ნოემბერს მწერალმა იუკიო მისიმამ, რომან „ოქროს ტაძრის“ ავტორმა, თავისი ხელით გაანადგურა ყველაზე სრულყოფილი ტაძარი“. **რა გააკეთა მისიმამ?**

5. ის, როგორც პლანეტა, ევროპელთაგან პირველმა არისტარხ სამოსელმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნეში აღმოაჩინა. მეთერთმეტე საუკუნეში მის, როგორც პლანეტის, არსებობაზე წერდა ალ-ბირუნი. სახელი კი ამ პლანეტას მისი ზედაპირის შემადგენელი 29,2 პროცენტის მიხედვით შეერქვა. მისი აღმოჩენის პატივი კი საბოლოოდ ნიკოლაი კოპერნიკს მიეწერება. **რომელი პლანეტის?**

6. 1988 წელს მისი იუბილე საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებშიც კი ფესტივალებით აღინიშნა. ამერიკელმა ჟურნალმა „ფილმ ქომენთმა“ ის მეოცე საუკუნის ყველაზე ცნობილ მსახიობად დაასახელა. მისი სკულპტურები დგას მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმში და მალაიზიის ერთ-ერთ ტაძარში, ვიშნუს სტატუეტის გვერდით. ჰიტლერი და ჰებელსი მას ვერ იტანდნენ და „დემოკრატიის კერპის საცოდავ პაროდიას“ უწოდებდნენ. **დაასახელეთ ეს მრავალგზის ოსკაროსანი „არტისტი“.**

7. მარკო პოლოს მიაჩნდა, რომ მას ამზადებდნენ დანაყილი ნიჟარებისგან. თანამედროვე მონაცემებით კი დადგინდა, რომ ამ მასას დანაყილ ძვლებსაც უმატებდნენ. **რას ამზადებდნენ ამ შემადგენლობისგან?**

8. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღევანდელი სადაზღვევო საზოგადოებები აზღვევენ ბინებს, ავტომობილებს, ადამიანის ჯანმრთელობასა და ყოველივე ამქვეყნიურს, რასაც მფლობელი ისურვებს და ამისთვის იძლევა სპეციალური მოწმობა – პოლისი. ოდესღაც კი იმქვეყნიური განსაცდელისგან „აზღვევდნენ“ მოკვდავთ. **რა ეწოდებოდა ჯოჯოხეთისგან დაზღვევის მოწმობას?**

9. მცენარე პიკანგს შეიძლება ეწოდოს „შავკანიანთა პური“. მას წვავენ, ასევე, მისგან ამზადებენ სუპს, სოუსს, მწვანე ნაყოფს კი ფქვავენ და ფქვილისგან უამრავ კერძს ამზადებენ. **უმეტესად რა სახელით არის ცნობილი პიკანგი?**

10. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გადაწყვიტეს, ამ ადამიანისთვის კარელიის კვარციტით ახალი სარკოფაგი გაეკეთებინათ და თხოვნით მიმართეს ალექსანდრე მეორეს. „სიამოვნებით!“ – სიხარულით წამოიძახა იმპერატორმა და ბრძანება გასცა, უფასოდ გამოეთალათ, გაეპრიალებინათ და უცხოეთში გაეტანათ 2 000 ტონამდე ჟოლოსფერი კვარციტი. **ვისი სარკოფაგისთვის?**

***პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე***

## მხოლოდ ფაქტები

* მეცხრამეტე საუკუნეში შვედმა ექიმმა ერიკ კრიუგერმა ციურიხში სამეცნიერო-გამაჯანსაღებელი კლინიკა გახსნა, სადაც მკურნალობდნენ ლოთებს და... აზარტულ მოთამაშეებს.

* 1567 წელს ვაჭარმა იოჰანაანმა ფრანკფურტში თავისი კანტორა გახსნა და კარის თავზე წითელი აბრა ჩამოკიდა. იოჰანაანი როტშილდების წინაპარი იყო.

* ერთ დროს საფრანგეთში არ შეიძლებოდა გარკვეულ რაოდენობაზე მეტი ყურძნის დაკრეფა, რადგან, ფიქრობდნენ, რომ მომავალ წელს ის აღარ დამწიფდებოდა, იქნებოდა წვრილი და მჟავე, ან, შეიძლება, მოსავალი საერთოდ ვერ აეღოთ.

* 1988 წელს კანადელმა ბიოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ არსებობს ბუზი, რომელიც ინიღბება და ემსგავსება ობობას. ბიბლიური ფრაზის სიტყვების გადანაცვლებით, მათ ამ ბუზს „მგლის ტყავში გახვეული კრავი“ უწოდეს.

* ყველა ევროპელისთვის მნიშვნელოვანია პატარა სოფელი – დელოვოე, რომელიც ორ ქალაქს: ტიაჩევსა და რახოვს შორისაა მოქცეული. ეს სოფელი ევროპის ცენტრია.

* ერთ-ერთი იტალიური ჩემპიონატის ბოლოს, ფეხბურთის კლუბებს – „მილანსა“ და „პარმას,“ მოგებათა და ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდათ; ასევე, ჰქონდათ, მიღებული და გაშვებული გოლების ერთნაირი მაჩვენებლები, ამიტომ ჩემპიონატის ცხრილში ანბანის მიხედვით, ჯერ „მილანი“ ჩასვეს, შემდეგ კი – „პარმა“.

* ყველაფერი დაიწყო კამათით, რომელიც ჰავაიზე, ერთ-ერთ ბარში ლუდის კათხებით ხელში თავშეყრილ მოყვარულ სპორტსმენებს მოუვიდათ: ისინი ვერაფრით ვერ შეთანხმდნენ, ვინ იყვნენ ნამდვილი სპორტსმენები – მორბენლები თუ მოცურავეები... და ასე წარმოიშვა სპორტის ერთ-ერთი სახეობა – ტრიატლონი.

* საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყების ყველასთვის ცნობილი გეგმა – „ბარბაროსა,“ გენერალ-მაიორმა ფრიდრიჰ ფონ პაულიუსმა ჰიტლერს 1940 წლის 29 ოქტომბერს წარუდგინა.

* შუა საუკუნეებში გლობუსის საუკეთესო ნიმუშებს ქმნიდა მარტინ ბეჰაიმი, თუმცა უფრო ცნობილი გახდა დურგალ ბერბეჯის მიერ შექმნილი გლობუსი.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**

**1. ლe1-a1!**

**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




ამერიკაში ერთმანეთს მეგრელი, გურული და სვანი შეხვდნენ, დალიეს და, რაღაც თავგადასავლების შემდეგ.... ციხეში აღმოჩნდნენ. ელექტროსკამზე მეგრელი უნდა დასვან.

– მე ღვთისმსახური ვარ და, თუ ელექტროსკამი არ ამუშავდება, ესე იგი, ღმერთი მიცავს...




ანუ, მართალი ვყოფილვარ და უნდა გამათავისუფლოთ...

ელექტროსკამი არ ამოქმედდა და გაუშვეს მეგრელი.

გურულის ჯერი დადგა.

– მე სამართლის მსახური ვარ, ადვოკატი და, თუ ელექტროსკამი არ ამუშავდება, ესე იგი, კანონი ჩემს მხარეზეა – ანუ, მართალი ვყოფილვარ და უნდა გამიშვათ...

ახლაც არ ამუშავდა ელექტროსკამი და გაუშვეს გურულიც.

სვანი დასვეს სკამზე.

– მე ელექტრიკოსი ვარ... თუ იმ ორ მავთულს არ შეაერთებთ, ვერასდროს ვერავის ვერ დასჯით...

ღმერთმა აცხონოს მისი სული...

***

– აუ, დღეს კინაღამ ავარია მოვახდინე!

– როგორ?

– წარმოიდგინე, რას იზამ, როცა ქათამი გადადის ქუჩაზე და თან, ტელეფონზე ლაპარაკობს....

***

– ბებო, ეს ავტობუსი თავისუფლების მოედანზე მიმიყვანს?

– არა, შვილო!

ბიჭი სასწრაფოდ წამოხტა და ჩავიდა.

– მე კი მიმიყვანს... – ჩაიქირქილა ბებომ და გათავისუფლებულ სკამზე მოკალათდა.

***

– პატრული დაეწია მანქანას, რომელიც არ დაემორჩილა მის ბრძანებას, გაჩერებულიყო.

– რატომ არ გაჩერდით ჩემს ხმოვან სიგნალზე?

– არ გამიგონია...

– ესე იგი, თქვენ გადააჭარბეთ ბგერით სიჩქარეს... ასეც ჩავწერთ...

***

გამონათქვამს – „ნამუსი არა გაქვთ" – ადამიანთა 70 პროცენტი პირდაპირი გაგებით იგებს, 30 პროცენტი კი – პორნოგაგებით.

***

ქმარი აბაზანაში შევიდა მობილურით და ცოლს ურეკავს.

ცოლი თავის ტელეფონს იღებს.

– ალო, მე თქვენ მიყვარხართ და შეხვედრა მინდა... – ეუბნება შეცვლილი ხმით ქმარი, თიშავს ტელეფონს, გამოდის აბაზანიდან და ცოლს ეკითხება:

– ვინ იყო?

– ლიკა იყო, ყავაზე დამპატიჟა...

***

– უნდა დავშორდეთ, ჩვენ ერთმანეთს არ შევეფერებით...

– კი მაგრამ, სხვებს კიდევ უფრო არ შევეფერებით....

***

საბავშვო ბაღში. აღმზრდელს ირგვლივ ბავშვები შემოხვევიან და ყურადღებით უსმენენ:

– აბა, ბავშვებო, ერთხმად, ხმამაღლა, გარკვევით დავიძახოთ ის სიტყვები, რომლის თქმაც არსად, არასდროს და არავისთან არ შეიძლება!

***

– გარგოთ ჩემმა გამოწერილმა სანთლებმა?

– მერე როგორ! თითის გამოღებასაც ვერ ვასწრებ, ეგრევე მეძინება...

***

გინდათ, რომ გოგონები თქვენკენ გამორბოდნენ, ან გამოგეკიდონ დღის ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ამინდში?

ავტოკოლონა სამუშაოდ იწვევს ავტობუსის მძღოლებს...

***

სტუდენტ გოგონასთან დაქალი მივიდა და ხედავს, მის მეგობარს თვალები დასიებული აქვს, ტირის...

– რა ხდება?

– ჩემებს დავურეკე, საჭმლისთვის ფული გამომიგზავნეთ-მეთქი და...

– გასაგებია, არ გამოგიგზავნეს...

– არა, მთელი სემესტრის სამყოფი მჭადის ფქვილი, ლობიო და კვახი ჩამომიტანეს...

***




მე მას ვუთხარი: მათხოვე ჟურნალი-მეთქი. მან მითხრა – აიპადი გამოიყენეო...

... ის ბუზი ვერც კი მიხვდა, რა პრესტიჟული სიკვდილი ხვდა წილად.

***

ცოლ-ქმარი საშინელებათა ფილმს უყურებს. გამოჩნდა ჯადოქარი – კუდიანი დედაბერი.

– უი, დედა! – წამოიძახა ცოლმა.

– იცანი, ხომ?! – გადაულაპარაკა ქმარმა.

***

ხმა აბაზანიდან:

– საყვარელო, მოიხსენი სათვალე, უკვე მაკიაჟს ვიხსნი!..

***

შექეიფიანებულმა ქალბატონმა სუფრაზე მის მოპირდაპირედ მჯდარ, იმავე მდგომარეობაში მყოფ მამაკაცს მიმართა:

– თქვენი აზრით, რამდენი წლის ვიქნები?

– თუ თქვენი თვალების ბრწყინვალებით ვიმსჯელებთ – 17 წლის, კანის მდგომარეობით – 17 წლის, თქვენი თმის შეფასებით – 18 წლის...

– როგორი ჯენტლმენი ხართ...

– მოიცა, ჯერ დავიანგარიშო...

***

– პირველ აქტში რომ მარგალიტი მიკეთია, აუცილებლად ნამდვილი უნდა იყოს! – კიდევ ერთი კაპრიზი წამოაყენა მთავარი როლის შემსრულებელმა მსახიობმა.

– თქვენ არ ინერვიულოთ, ყველაფერი ნამდვილი იქნება: მარგალიტიც – პირველ აქტში, საწამლავიც – სპექტაკლის ბოლოს...

***

ის ავად სახსენებელი დროა. ორი მეგრელი ღამით ქუჩაში მიდის. ჩაბნელებულ კუთხეში სამი შეიარაღებული ნილბიანი დახვდათ:

– აბა, ჩქარა, ფული, ძვირფასეულობა, საათი!..




ერთი მეგრელი მიუბრუნდა მეორეს:

– ჯიმა, კი არ დამვიწყებია, შენი 300 დოლარი რომ მმართებს! აგერ, ა, მოწმეების წინ გაძლევ...

***

– ბიჭო, მიყვარს ხოლმე გვერდზე გადახვევა, მაგრამ, ცოლს ვერაფრით ვერ ვატყუებ...

– შენ ზურას უნდა მიებარო – ყოველდღე ახალ-ახალი გოგოები მიჰყავს რესტორნიდან...

– ეგეც ყოფილა, რა, რესტორნიდან ადვილია, ყველა გადაკრულშია და ნებისმიერი გოგო ორ სიტყვაზე შენია...

– გოგო კი, მაგრამ, იმ რესტორანში მისი ცოლი მუშაობს...

***

– ვერ გამიგია, რატომ უყვარხართ ასე ქალებს...

– იმიტომ, რომ ვარ ჭკვიანი, კეთილი და სიმპათიური...

– მაშ, ცოლი რატომ არ მოგყავთ?

– გაგიმეორო? იმიტომ, რომ ვარ ჭკვიანი...

***

როდესაც გეუბნებიან, რომ ხელს არ შეგიშლითო, ეს ნიშნავს, რომ არანაირად არ დაგეხმარებიან...

***

გახსოვდეთ:

პოულობთ სიმდიდრეს – კარგავთ სინდისს;

პოულობთ ქალს – კარგავთ ჭკუას;

პოულობთ ჭეშმარიტებას – კარგავთ რწმენას;

და მხოლოდ ყველაფრის დაკარგვის შემდეგ პოულობთ თავისუფლებას.

***

მამაკაცს, ქალი რომ ლოგინში შეიტყუოს, ნებისმიერი სისაძაგლის ჩადენა შეუძლია... მას მხოლოდ ის ქალი სჯობნის, ვინც გათხოვება გადაწყვიტა...

# როგორ შეარცხვინეს საქვეყნოდ მეგობრებმა სპორტული კომენტატორი ნუგზარ ჯუღელი

ერთ საღამოს „მოამბეს“ გადავცემ ტელევიზიით.

წესით, გადაცემის დაწყებამდე ფურცლები უნდა დავალაგო კადრების მიხედვით და გავაკეთო კომენტარები.

კი ბატონო, მაგრამ, ჩემს წილ ეშმაკს არასდროს სძინავს.

ორ წუთში „მოამბე“ უნდა დაიწყოს და, მოულოდნელად, სტუდიაში ჩემი მეგობარი ფეხბურთელები არ შემოლაგდნენ?! – კახი ასათიანი და ვახტანგ ჭელიძე.

– ნუგზარ, – მეუბნებიან, – საქმე გვაქვს შენთან აუცილებელი.

– რა დროს საქმეა, კაცო, მაცალეთ, „მოამბეს“ გადავცემ და მერე ვილაპარაკოთ-მეთქი.

– კარგი, ბატონო, თუ სხვა გამოსავალი არ არის, მეტი რა გზაა, ეგრე იყოს, მაგრამ, ცალი თვალით მაინც გვაჩვენე ტექსტიო. ვიცი, არ მომეშვებიან. ერთი წუთი კიდევაა დაწყებამდე და მივაწოდე ეს ფურცლები. მალევე დამიბრუნეს და ჩავიდნენ ფოიეში, მელოდებიან.

დაიწყო „მოამბე“.

დავხედე ფურცლებს, დავიწმინდე ხმა და აკურატულად დალაგებული ფურცლების კითხვას შევუდექი:

– უნდა მოგახსენოთ, ძვირფასო ტელემაყურებლებო, რომ რუსთაველი მეტალურგები თავგამოდებით იბრძვიან დასახული გეგმების გადაჭარბებით შესრულებისთვის.

გადავდე ფურცელი. მონიტორზე გავარვარებული მარტენის საამქრო ჩანს.

– დიახ, – განვაგრძობ – თქვენ ახლა კადრში ხედავთ მშრომელი მეტალურგების ოფლით დაცვარულ სახეებს.




ეკრანზე ჩაის ბუჩქი გამოჩნდა. გამიშრა პირი. სასწრაფოდ მოვძებნე „ჩაის ფურცელი“ და რიხიანად ვამბობ:

– ჩვენი მეჩაიეები და მეციტრუსეები თავს არ იზოგავენ, რომ სოციალისტური შეჯიბრების გარდამავალი დროშა არავის დაუთმონ. ხედავთ, ალბათ, თუ როგორი თავგამოდებით ირჯება თითოეული მათგანი ჩაის დუყებით გადამწვანებულ ბუჩქებთან... – შევხედე მონიტორს და კინაღამ გადავირიე: ვიღაც ჩემი ცოდვით სავსე მეტალურგი უნიათოდ უჯაჯგურებს რკინის გრძელ კეტს ღუმელს. როგორმე უნდა გამოვასწორო სიტუაცია, თორემ, ძალიან ცუდადაა საქმე.

– დიახ! – განვაგრძობ ტექსტის კითხვას, – მოწინავე მეჩაიე, სონია ლაგვილავა... – იმ უნიათო მეტალურგმა კიდევ ერთხელ დაატრიალა კეტი ღუმელში და კინაღამ თვითონაც მიჰყვა...

ყველაფერი ნათელი იყო – რა მიხვედრა უნდოდა, რომ ჩემმა მეგობარმა ფეხბურთელებმა „შური იძიეს“ და საგანგებოდ დალაგებული ფურცლები ამირიეს. კვლავ შევეცადე მდგომარეობის გამოსწორებას:

– თქვენ ახლა ისევ რუსთაველ მეფოლადეს ხედავთ, ძვირფასო ტელემაყურებლებო, იგი თავგამოდ...

შევხედე მონიტორს: ბოსლიდან ჯერ ძროხამ გამოყო თავი, მერე მისმა პირმშომ – პატარა ხბომ. ეკრანს „ტაბლიცა“ ააფარეს.

რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

მოკლედ, ჩემმა მეგობრებმა გვარიან შარში გამხვიეს.

**ნუგზარ ჯუღელის ნაამბობის მიხედვით მოამზადა მურმან მერკვილიშვილმა**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 237-79-91(საავარიო); 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 240-40-45; 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი); 243-81-78 (კანცელარია)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 11, 111, 275-20-85, 241-17-71, 241-17-72
35. საპატრულო პოლიცია 122
36. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 133“ 13; 254-70-04; 254-70-03
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 247-87-78; 571 478-778
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24-01 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაციები 177
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური 237-80-50
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების გატანა 245-20-23
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-85-71
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 251-70-34; 241-10-68 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 298-39-43; 299-53-50
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 239-95-08 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11



რას უკრძალავს
ნატა ბერაძეს
ახალი
კონტრაქტი
და ტოკიოს
რომელ
სააგენტოში
გაატარებს
3 თვეს
ქართველი
მოდელი

გვ. 46

ISSN 1987-569X